



*საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანტონის პირველი თეოლოგიის
სახელობის ქართული უნივერსიტეტი*

ახალგაზრდა დოქტორთა და დოქტორანტთა ყოველწლიური სამეცნიერო კონფერენცია - 2020

სამეცნიერო კონფერენციის მასალები
2020 წლის 22 ივნისი

თბილისი
2020

საქართველოს საპატრიარქოს
წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტი
ახალგაზრდა დოქტორთა და დოქტორანთა
ყოველწლიური სამეცნიერო კონფერენცია - 2020

სამეცნიერო კონფერენციის მასალები
22 ივნისი 2020 წელი

რედაქტორი: პროფესორი, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი სერგო ვარდოსანიძე

კრებული გამოსაცემად მოამზადეს ჰუმანიტარულ მეცნიერებათა დოქტორმა ჯაბა
მესხიშვილმა და ისტორიის დოქტორმა ლევან ჯიქიამ

მისამართი: თბილისი, ილია ჭავჭავაძის გამზირი 53ა, საქართველო, 0179
ISBN: 978-9941-9650-7-4

გამომცემლობა „ქართული უნივერსიტეტი“
თბილისი 2020

Saint Andrew The First-Called Georgian University of Patriarchate of Georgia
Young doctors and PhD students annual scientific conference - 2020

Scientific Conference Materials
22 June 2020

Editor: Professor, Doctor of Sciences in History Sergo Vardosanidze

The collection for publication was prepared by:
Doctor of letters Jaba Meskhishvili and PhD in History Levan Jikia

Address: Ilia Chavchavadze Ave. 53a; Tbilisi, Georgia; 0179
ISBN: 978-9941-9650-7-4

Publishing House Georgian University
Tbilisi 2020

წინასიტყვა

საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტი დაარსდა 2008 წელს, უწმინდესისა და უნეტარესის, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, მცხეთა თბილისის მთავარეპისკოპოსის, ბიჭვინთისა და ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტის ილია II ლოცვა-კურთხევით. მისი მიზანი იყო საქართველოში შექმნილიყო უმაღლესი განათლების ახალი კერა, რომელიც დაიცავდა ქართული მეცნიერების ტრადიციებსა და მემკვიდრეობას, იმავდროულად იქნებოდა თანამედროვე და საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი.

ქართული უნივერსიტეტი, მისიიდან გამომდინარე, სათანადო პირობების შექმნით, მუდმივად ხელს უწყობს სამეცნიერო კვლევების განვითარებას. ამ მიზნით ქართულ უნივერსიტეტში პერიოდულად იმართება სხვადასხვა თემატიკის სამეცნიერო ღონისძიება. 2020 წლის 22 ივნისს გაიმართა „ახალგაზრდა დოქტორთა და დოქტორანთა ყოველწლიური სამეცნიერო კონფერენცია - 2020“, სადაც წარმოდგენილი მოხსენებათა თეზისები იბეჭდება კრებულის სახით. კონფერენცია იმუშავა საქართველოს ისტორიისა და ქართული ფილოლოგიის სექციებად. მასში მონაწილეობა მიიღეს, როგორც ქართული უნივერსიტეტის დოქტორანტებმა, ასევე ქართული უნივერსიტეტის კურსდამთავრებულმა დოქტორებმა.

საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის რექტორი, პროფესორი სერგო ვარდოსანიძე.

Foreword

St. Andrew the-first called Georgian University of Patriarchate of Georgia was founded in 2008 by blessing of His Holiness and Beatitude Ilia II, Catholicos-Patriarchate of all Georgia, Archbishop of Mtskheta-Tbilisi, Metropolitan of Bichvinta and Tskhum-Abkhazeti. The Aim of the University foundation was to establish a new place of higher education, able to preserve Georgian scientific traditions and inheritance, relevant to modern and international standards.

According to its mission, Georgian University with the suitable conditions constantly promotes the development of scientific researches. Due to this, the University holds various thematic Scientific conferences, symposia and etc. permanently. On June 22, 2020, “Annual Scientific Conference of Young Doctors and Doctoral Students – 2020” was held at Georgian University, presented theses are being printed as a collection. The conference was divided into History of Georgia and Georgian Philology sections. PhD students and PhD alumni of Georgian University participated in it.

Rector of St. Andrew the-first called Georgian university of Patriarchate of Georgia, Professor Sergo Vardosanidze.

ს ა რ ზ ე ვ ი

მიქაელ (მახარე) ზუკია - ეპისკოპოსი კირონი, წმიდანების ისტორიის მკვლევარი წმიდა ნინო -----	3
ნატა თეთვაძე - 1942 წლის შეთქმულების ისტორიიდან (ადამ ბობლიაშვილი) -----	11
ბექა გაჩეჩილძე - კავკასიის ერთა კონფერენცია 1918 წელი -----	23
ლაშა დეისაძე-შარვაშიძე - ქუთათელი მიტროპოლიტი დოსითეოსი (წერეთელი) - გარდაცვალებიდან (მკვლელობიდან) 200 წელი -----	29
ირაკლი ლორთქიფანიძე - დაკარგული საფლავის ისტორია... (იმერეთის ეპისკოპოსი ბესარიონ დადიანი) -----	35
ვალერი კეკელიძე - აფხაზეთის ისტორიული გეოგრაფია (XIX საუკუნე) -----	44
ბელა გზირიშვილი - ლევილის მამულის მმართველობის ისტორიიდან -----	49
მელანო კაციტაძე - პიროვნული არჩევანი ჯემალ ქარჩხაძის „ზეზულონის“ მიხედვით----	60
მაგდა ჭიქაბერიძე - გრიგოლ ვოლსკი ქართველ მწერალთა მოგონებებში -----	67
სოსლან სურმანიძე - ილია ჭავჭავაძის „მეფე დიმიტრი თავდადებული“ XIX საუკუნის ქართულ ლიტერატურულ კრიტიკაში -----	71
ირინე იაკობიძე - აზროვნების პროცესის აღმნიშვნელი ზოგიერთი ლექსიკური ერთეულის ცვლა ქართულში -----	79
ნინო ზაალიშვილი - რიცხვითი სახელის შემცველი ესპანური ენის ნაციონალური ფრაზეოლოგიზმების ეკვივალენტები ქართულ და რუსულ ენებზე -----	85
კესო გეჯუა - „ქართული ენის განმარტებით ლექსიკონში“ სალიტერატურო ენის ფორმად მიჩნეული ზოგი მეგრული სიტყვა-ფორმისათვის -----	90
მარინა მწყერაშვილი - ქართულენოვან სოციალურ ქსელ Facebook-ზე ინგლისური ენის გავლენის შესახებ -----	98
რუსუდან მოწყობილი - ეპიგრაფთა ქრონოტოპი „დათა თუთაშხიას“ მიხედვით-----	104
ნესტან ღამბაშიძე - გი დე მოპასანის ნოველების „მინდვრებში“ და „მზითვეი“ და ეკატერინე გაბაშვილის მოთხრობის „ორ-ენა და ქუჩეს“ შორის მსგავსების რამდენიმე ასპექტი -----	114
თეა სუმბაძე - სიმონ ჩიქოვანის „ფიქრები მტკვრის პირას“ (ურითმო განწყობილებები) -	119

Contents

Michael (Makhare) Bukia - Archbishop Kirion, researcher of saints: Saint Nino -----	3
Nata Tetvadze - From the history of the 1942 conspiracy (Adam Bobghiashvili) -----	11
Beka Gachechiladze - Caucasian countries failed conference (1918) -----	23
Lasha Deisadze-Sharvashidze - Metropolitan Dositheos (Tsereteli) of Kutaisi – 200 years since the death (murder) -----	29
Irakli Lortkipanidze - History of the Lost Grave Besarion Dadiani, Bishop of Imereti -----	35
Valeri Kekenadze - Historical geography of Abkhazia (19th Century) -----	44
Bela Gzirishvili - From the history of the governance of the Leville estate -----	49
Melano Katsitadze - Personal choice of character in introversial novel “Zebuloni” of Jemal Karchkhadze -----	60
Magda Chikaberidze - Grygol Volsky in Georgian writers’s memories -----	67
Soslan Surmanidze - Ilia Chavchavadze's "King Dimitri Tavdadebuli" in the XIX Century Georgian Literary Criticism -----	71
Irine Iakobidze - Change of some lexical units denoting to the process of thinking in the Georgian Language -----	79
Nino Zaalishvili - Equivalentents of the national numeral phraseological units of Spanish in the Georgian and Russian languages -----	85
Keso Gejua - In the "Expository Dictionary of the Georgian Language" for some Megrelian word-forms considered as a literary language -----	90
Marina Mtskerashvili - About the influence of English on the Georgian social network Facebook -	98
Rusudan Motskobili - Chronotype of epigraphs according to "Data Tutashkhia" -----	104
Nestan Ghambashidze – Several aspects of the similarities between Guy de Maupassant's novels "Fields" and "Dowry" and Ekaterine Gabashvili's short story "Two Languages and the Street" -----	114
Tea Sumbadze - Simon Chikovani's "Thoughts at The Bank of Mtkvari" (non-rhyming attitudes) --	119

ეპიკოპოსი კირიონი, წმიდანების ისტორიის მკვლევარი: წმიდა ნინო

წმიდა მღვდელმოწამე კირიონის სამეცნიერო ღვაწლი მრავალმხრივ მნიშვნელოვანია საქართველოს ეკლესიის ისტორიის შესწავლის კუთხით. მის შრომებში განსაკუთრებული ადგილი უჭირავს დედა ეკლესიის წმინდანთა ცხოვრების აღწერას მათი ღვაწლის უკეთ წარმოჩენის მიზნით, რათა შთამომავლობამ უკეთ შეიმეცნოს რანი ვიყავით, რანი ვართ და საით უნდა წარვმართოთ ჩვენი ცხოვრება.

ამ კუთხით გვინდა გამოვყოთ ჯერ კიდევ ერისკაცობაში გიორგი იერონიმეს ძე საძაგლიშვილის სადისერტაციო ნაშრომი თემაზე „საქართველოს განმანათლებელი, მოციქულთა სწორი, წმიდა ნინო“. ჩვენთვის ხელმისაწვდომია ამ ნაშრომის პუბლიცისტური ვარიანტი, რომელიც ჟურნალ „Пастыр“-ის 1888 წლის #16, 18 და 1989 წლის #1, 2, 5, 6 ნაშრომებში გამოქვეყნდა¹.

როგორც ჩანს, ეს არ არის დედანი დისერტაციისა. სამწუხაროდ უცნობია თავად სადისერტაციო ნაშრომის ადგილმდებარეობა. შესაძლოა ის ინახებოდეს კიევის სასულიერო აკადემიის არქივში. დისერტაცია დაცულია 1880 წელს, რადგან სწორედ ამ დროს დაამთავრა წმიდა კირიონმა კიევის სასულიერო აკადემია ღვთისმეტყველების კანდიდატის ხარისხით.

ნაშრომის მიმოხილვისას ჩვენ ვეყრდნობით ქალბატონ ვერიკო კოტარიას მიერ 2017 წელს შესრულებული თარგმანით, რომელიც ხელმისაწვდომია ელექტრონული ვერსიის სახით.²

წმიდა ნინოს ცხოვრებით წმიდა კირიონის დაინტერესება შემთხვევითი არ არის, თუ გავითვალისწინებთ იმ ფაქტს, რომ ქართულ მწერლობაში ძეგლის 5 რედაქცია არსებობს, რაც კიდევ ერთხელ ხაზს უსვამს ქართველთა ცხოველ ინტერესს ქართლის მოქცევის ისტორიის შესწავლის საქმეში. ჩვენი წინაპრები ცდილობდნენ ერყვენებინათ ქართველების განსაკუთრებული როლი მსოფლიო კულტურის ისტორიაში. რასაკვირველია, ამ უმთავრესი საკითხის ხაზგასმა ძირითად ინტერესს წარმოადგენდა გიორგი საძაგლიშვილისათვის, რამდენადაც ის იყო იმ ერისა და ქვეყნის შვილი, რომელსაც წარმეული ჰქონდა როგორც ქვეყნის დამოუკიდებლობა, ასევე ეკლესიის ავტოკეფალია.

შესავალში წმიდა კირიონი განიხილავს ქალთა ღვაწლს ქრისტიანობის გავრცელებაში. თუ როგორი მნიშვნელოვანი იყო გაქრისტიანებული დედოფლების ზეგავლენა ჭეშმარიტ სარწმუნოებაზე მეფეების მოსაქცევად.

ავტორის თქმით, „განსაკუთრებით დიდი ადგილი უჭირავს ქალის როლსა და ფენომენს ქართველი ხალხის ცხოვრებაში. ამორძალთა ისტორია საუკეთესო მტკიცებულებაა იმისა, თუ როგორ აფასებდნენ და პატივს სცემდნენ ქართულ საწყისს (აქ წმიდა კირიონი მიუთითებს, რომ საქართველოში ზოგიერთი ქალაქი შენდებოდაო ქალების საპატივცემულოდ. მაგალითად ოზურ-გეთი (ქალწულთა ქვეყანა), ქუთაისი, აიეტის დედაქალაქი-ქალთა ქვეყანა)³. ევროპის არც ერთ ქვეყანაში, სადაც შესაძლებელი იყო ქალი პიროვნულად გაცილებით ძლიერად განვითარებულიყო, ვიდრე სადმე აღმოსავლეთში, ჩვენ ვერ ვხვდებით ქალთა მიერ აღსრულებულ ისეთ საოცარ საქმეებს,

¹ „Пастыр“-ის 1888 წლის #16, 18 და 1989 წლის #1, 2, 5, 6.

² გიორგი საძაგლიშვილი. *საქართველოს განმანათლებელი მოციქულთა სწორი ნინო*/საკანდიდატო დისერტაცია/-ელექტრონული წიგნი. (თბილისი, წიგნის სავანე, 2017).

³ გ. საძაგლიშვილი. *საქართველოს განმანათლებელი მოციქულთა...* გვ. 1.

როგორც საქართველოში, რომელმაც ოდითგანვე გარშემორტყმული იყო ყოველ მხრიდან მოძალადე ტომებით, რომელთა ზეგავლენის ქვეშ შეიძლებოდა აღმოჩენილიყო უძველესი ივერია. ქალი აქ მოციქულიცაა და ქრისტიანობის თავდაუზოგავი მქადაგებელიც – ეს წმიდა ნინოა, დედოფალ ნანას თანამედროვე, რომელმაც ზეციური სწავლება მიიღო სიტყვის მქადაგებელ ქალისაგან და მთელი ძალისხმევა ჩადო თავისი მეუღლის მეფე მირიანის მოსაქცევად⁴. ქალის მიმართ განსაკუთრებული დამოკიდებულება ქართველი კაცისა ალბათ იმითაც იყო განპირობებული, რომ საქართველო იყო ღვთისმშობლის წილხედომილი ქვეყანა, რაც განსაზღვრავდა ქართველი კაცის დამოკიდებულებას დედისა და, ზოგადად, ქალის ბუნების მიმართ.

ქართველი ქალის თემას წმიდა კირიონი მრავალგზის მიმოიხილავს თავის სამეცნიერო სტატიებში. ამ საკითხს ჩვენ არაერთხელ შევეხებით ჩვენს ნაშრომში.

„ქალის მმართველობისას, – აღნიშნავს ავტორი, – აღწევს საქართველო თავისი ძლიერების ზენიტს, პოლიტიკური, ეკლესიური, საგანმანათლებლო თუ კეთილმოწყობის თვალსაზრისით. ეს დედოფალი აკეთებს იმდენს თავისი ქვეყნისთვის, რომ საბოლოოდ რაღაც მთლად მითად იქცევა, ეს იყო ქართველი ხალხისათვის სახელგანთქმული და უკვდავი თამარ მეფე. ქალი აქ, ყოვლისდამთრგუნველი ისლამისა და სამშობლოსა და ქრისტიანობის გადასარჩენად ტოვებს სასახლეს, სამეფო პატივს და მიდის სპარსეთის შაჰის კარზე, სადაც მოთმინებით იღებს წამების გვირგვინს და განცვიფრებაში მოჰყავს მტარვალ მტანჯველები და კათოლიკე ბერები – ეს არის კახეთის დედოფალი ქეთევანი.“⁵

ამ ამბების თხრობით დისერტანტი ცდილობს თავის თანამედროვე თითოეულ ქართველს, ქალი იქნება ის თუ კაცი, გაუღვივოს სამშობლოსა და სარწმუნოებისათვის თავდადების გრძნობა.

ნაშრომში წმიდა კირიონი ეხება წმიდა ნინოს მსახურებას საქართველოში. აქვე უნდა აღინიშნოს ავტორის დამოკიდებულება საკვლევი თემის მიმართ, ის ცდილობს მის მიერ მოყვანილი თითოეული ფაქტი დაამოწმოს დამადასტურებელი წყაროს მოხმობით, რაც კიდევ ერთხელ ხაზს უსვამს მის მაღალ მეცნიერულ დეაწლს. მიმოიხილავს რა ისტორიოგრაფიაში დაცულ ცნობებს წმიდა ნინოს შესახებ, გიორგი საძაგლიშვილი აღნიშნავს: „ქართველი, ბერძენი და სომეხი მწერლები საქართველოს განმანათლებლად ერთხმად აღიქვამენ წმიდა ნინოს“⁶ და გულისტკივილით აღნიშნავს, რომ არ არსებობს კრებული, სადაც ეს მასალები ერთად იქნება თავმოყრილი. წმიდა კირიონის ეს სურვილი დღესდღეობით უკვე აღმოფხვრილია, არსებობს უამრავი გამოცემა წმიდა ნინოს ცხოვრების შესახებ. მათ შორის განსაკუთრებულია 2015 წელს გამოცემული წიგნი რჩეული წყაროები – „წმიდა ნინო ემბაზი ქართლისა“, სადაც თავმოყრილია მოციქულთაწორი წმიდა ნინოს ცხოვრება, მისდამი მოძიებული საკითხავები, საგალობლები, დაუჯდომლები, გამოცხადებანი, უწყებანი, სიტყვა-მოდღვრებანი⁷.

მთავარ წყაროდ ავტორი იყენებს „ქართლის ცხოვრებას“ და მასში გადმოცემულ ცხოვრებას აღწერილს დედოფალ სალომე უჯარმელისა და პეროჯი ავრიელის (დედოფლის კარის მდივანი)⁸ მიერ (აქ იგულისხმება პეროქავრა სივნიელი. – მ.ბ.).

დისერტანტი ასევე ასახელებს აზიათარისა და მისი დის მონათხრობს, რომელიც ნინოს დროს დაიწერა. ის ამ აღწერას მიიჩნევს უეჭველ სანდო ისტორიულ ამბად. ქართულ წყაროებში ბევრი ისეთი ფაქტი არ არის გადმოცემული, რომლებიც წმ. კირიონის თქმით,

⁴ გ. საძაგლიშვილი. *საქართველოს განმანათლებელი მოციქულთა...* გვ. 2.

⁵ გ. საძაგლიშვილი. *საქართველოს განმანათლებელი მოციქულთა...* გვ. 2.

⁶ გ. საძაგლიშვილი. *საქართველოს განმანათლებელი მოციქულთა...* გვ. 2.

⁷ წმიდა ნინო ემბაზი ქართლისა. რჩეული ჩაწერილი წყაროები. (მცხეთა, 2015), გვ. 5.

⁸ გ. საძაგლიშვილი. *საქართველოს განმანათლებელი მოციქულთა...* გვ. 3.

უცხოურ წყაროებში მოიპოვება. ამას წმინდა მღვდელმთავარი შემდეგი არგუმენტით ასაბუთებს: წმინდა ნინო თავისი ერში 35 წლის ცხოვრების განმავლობაში არავისთვის მოუყოლია თავისი წარმომავლობის შესახებ, ვიდრე აღსასრულამდე 347 წლამდე. ამ წელს წმინდა კირიონი მიიჩნევს ნინოს გარდაცვალების წლად. ხოლო ცხოვრების დაწყების აუცილებლობას კი თავად ნინოს სურვილს უკავშირებს: დაიწეროს ჩემი ღარიბი და უღებო ცხოვრება. დაე, თქვენი შვილებისთვის იყოს ცნობილი ის თქვენი რწმენა და სიყვარული, რაც ჩემს მიმართ გქონდათ, მაგრამ განსაკუთრებით აღსანიშნავი იქნება წლიდან წლამდე ის ღვთიური ნიშნები, რომლებიც თქვენ საკუთარი თვალთა იხილეთ და რისი მოწმენიც ხართ“⁹. ავტორს სქოლიოში მითითებული ჰყავს ყველა ის უცხოელი ავტორი, რომლებიც ნინოს მოციქულებრივი ღვაწლის შესახებ წერდნენ: რუფინუსი 1.10; მოსე ხორენელი 1858 წ. გვ. 152-153. სოზომენი 1.7... აქვე დასძენს, რომ „ყველა ეს ცნობა მოთავსებული იქნება ჩვენი ესკიზის ბოლოს“-ო¹⁰.

რუფინუსის ცნობას წმინდა ნინოს მოღვაწეობის შესახებ ავტორი სიფრთხილით ეკიდება, რადგანაც თვლის, რომ ის არ იყო თვითმხილველი ამ ამბებისა: „არამედ იერუსალიმში ჰქონდა განაგონი ქართველი უფლისწული ბაქარისაგან, რომელიც მძევლად იმყოფებოდა იმპერატორთან“¹¹.

საკითხისადმი წმინდა კირიონის მაღალ მეცნიერულ დამოკიდებულებაზე მიუთითებს ასევე მისი სიტყვები: „ქართულ ძეგლებში ნინოს შესახებ ნამდვილად არის გვიანდელი წარმოშობის ანაქრონიზმები და ჩანარები, რაც ადვილად შეძლება ჩამოშორდეს ძველ ძეგლებს, ვისთვის არ არის ცნობილი, რომ იშვიათად რომელიმე წერილობითი ძეგლი გადარჩენია ინტერპოლაციებს, განსაკუთრებით საკმაოდ ძველი ძეგლი, რომელშიც გადამწერს შეეძლო გაეკეთებინა თავისი განმარტებები და შენიშვნები, მისი აზრით თავისი თანამედროვეებისთვის საჭირო. უცნაური იქნებოდა გვეფიქრა რომ IV საუკუნის ძეგლი, მრავალჯერ გადამწერილი გაუთვითცნობიერებელი გადამწერების მიერ, მოსულიყო ჩვენამდე ინტერპოლაციისა და გადაკეთების გარეშე...“¹².

წმინდა კირიონი მიმოიხილავს ისტორიოგრაფიაში დაცულ ცნობებს, ქართულ ხელნაწერებსა და ზეპირ გადმოცემებში შემონახულ სახელებს ნინო/ ნონა/ ნუნუ ... იზიარებს ქართულ ისტორიულ ლიტერატურაში მიღებულ აზრს, რომ მოციქულთასწორი ქალწულის სახელი ნინო მომდინარეობს საზოგადო სახელისაგან ნონა, რომელიც „უმწიკვლოს“, „წმინდანს“, „ქალწულს“ ნიშნავს და აქვე აღნიშნავს იმ ფაქტსაც, რომ მას „ნუნე“-დ მხოლოდ სომეხი ისტორიკოსი მოსე ხორენელი იხსენიებს.¹³

წმინდა ნინოს სახელთან დაკავშირებით მსჯელობისას ავტორი მიმოიხილავს ასევე იმ ვარაუდსაც, რომ ეს სახელი შეიძლება ქართული წარმოშობისაც იყოს: „სახელი ნინა ძალიან წააგავს წარმართული ღვთაების სახელს ათინას, რომელსაც განსაკუთრებით მიაგებდნენ პატივს დასავლეთ ივერიაში. უძველესი კაბადოკიის მოსაზღვრე ქართულ პროვინციაში, მესხეთში, ძალზე ხშირად „ნინა“-ს ნაცვლად გამოიყენება დღევანდლამდე „ნენე“, „ნანე“. თუ სახელი ნინო არ არის დასავლეთ საქართველოს წმინდა ადგილობრივი სახელწოდება, ხომ არ წარმოსდგება „ნინა“, „ნენე“, „ნუნე“ ნუნეხიასგან და ნუნეხია ხომ არა არის ჩვენი განმანათლებლის პირველსაწყისი სახელი?“-ო.¹⁴

წმინდა მღვდელმოწამე კირიონი წმინდა ნინოს მიიჩნევს მოციქულთა ანდრია პირველწოდებულისა და სვიმონ კანანელის მიერ დასავლეთ საქართველოში დაწყებული

⁹ გ. სამაგლიშვილი. *საქართველოს განმანათლებელი მოციქულთა...* გვ. 3.

¹⁰ გ. სამაგლიშვილი. *საქართველოს განმანათლებელი მოციქულთა...* გვ. 3.

¹¹ გ. სამაგლიშვილი. *საქართველოს განმანათლებელი მოციქულთა...* გვ. 4.

¹² გ. სამაგლიშვილი. *საქართველოს განმანათლებელი მოციქულთა...* გვ. 4.

¹³ გ. სამაგლიშვილი. *საქართველოს განმანათლებელი მოციქულთა...* გვ. 4.

¹⁴ გ. სამაგლიშვილი. *საქართველოს განმანათლებელი მოციქულთა...* გვ. 6.

საქმის დამაგვირგვინებლად. ასევე ხაზგასმით აღნიშნავს, რომ ნინო იყო კაბადოკიელი, დიდმოწამე გიორგის ნათესავი. ეს ცნობა კიდევ უფრო ამყარებს იმ აზრს, რომ წმინდა დიდმოწამე გიორგის ხსენების დაწესება 23 ნოემბერს უკავშირდება წმინდა ნინოს; და რომ სწავლება ამ დღის შესახებ, კერძოდ, წმინდა გიორგის ბორბალზე წამების ისტორია სწორედ მან შემოიტანა საქართველოში. ამ დღეს მხოლოდ საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია დღესასწაულობს. დანარჩენი ეკლესიები კი წმინდა გიორგის ხსენების დღედ 6 მაისს მიიჩნევენ. როგორც ჩანს, სწორედ ნინომ შეაყვარა ქართველებს წმინდა გიორგი.

წმინდა მღვდელმოწამე კირიონი თავის სადისერტაციო ნაშრომში ასევე ეხება მეტად მნიშვნელოვან ფაქტს კაბადოკიის შესახებ, იზიარებს რა დ. ჩუბინაშვილის მოსაზრებას, რომ „მცირე აზიის საფაშოები სივასი, კარამანია და ტრაპიზონი დასახელებული იყო ქართული ტომებით, რომელნიც დღესაც სახლობენ იქ ჭანების სახელწოდებით“. ¹⁵ ეს მოსაზრება კი ამყარებს აზრს, რომ წმინდა ნინო შეიძლება ქართველი ყოფილიყო.

საუბრობს რა წმინდა ნინოს მშობლებზე, ზაბულონსა და სოსანაზე [წმინდა ნინოს მშობლები საქართველოს მართლმადიდებლური სამოციქულო ეკლესიის წმინდა სინოდმა 1995 წელს შერაცხა წმინდანებად] ხაზს უსვამს მათ ღვთისმოსაობას, რომ სწორედ მათმა უფლისადმი განსაკუთრებულმა სიყვარულმა შვა და აღავსო საღვთო სიყვარულით ნაყოფი მათი ნინო. განსაკუთრებით აღნიშნავს ღვაწლს ღვთისმოსავ მონაზონ სარა ნიაფორისას [სარა ნიაფორი საქართველოს მართლმადიდებლური სამოციქულო ეკლესიის წმინდა სინოდმა 2017 წელს შერაცხა წმინდანად], რომელსაც მშობლებმა და წმინდა ნინოს ბიძამ იერუსალიმის პატრიარქმა აღსაზრდელად მიაბარეს წმინდა ნინო. სწორედ ამ სარა ნიაფორისგან ეუწყა წმინდანს უფლის კვართის შესახებ, რომელიც ღვთის განგებით მოხვდა თავის დროზე საქართველოში: „ნინო ყოველთვის მღელვარებით ისმენდა ხოლმე დაწვრილებით მონათხრობს გოლგოთაზე წამებულსა და მისი კვართის ადგილსამყოფელის შესახებ. ნიაფორის სიტყვები კვართის ბედის შესახებ ღრმად ჩაუვარდა ნინოს გულში. მისი ყოველწამიერი ფიქრი იყო მაცხოვრის ძვირფასი შესამოსლის პოვნა და კეთილი უწყების ხარება ივერიაში – წარმართთა ქვეყანაში“. ¹⁶

წმინდა კირიონი განსაკუთრებულად ხაზს უსვამს ღვთის განგებულებას, რომელსაც ყველა ადამიანის ცხოვება სურს და სწორედ ამ განგებულების აღმსრულებლად მიიჩნევს ის წმინდა ქალწულს, რომელიც არ ცხრებოდა სურვილით, რაც შეიძლება მალე ჩასულიყო იმ ქვეყანაში, სადაც მსვენარებდა კვართი უფლისა, და რომელი ქვეყანაც სწორედ ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის წილხვდომილი იყო. ნინო ხშირად ლოცულობდა ყოვლადწმინდა ქალწულ მარიამის წინაშე, რომ მიეღო შემწეობა ამ მეტად რთული საქმის აღსასრულებლად, საქმისა, რომელიც საბოლოოდ დაგვირგვინდა ამ ერის მოქცევით ჭეშმარიტ სარწმუნოებაზე. ეს მოხდა სწორედ ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის კურთხევით, რომელიც გამოეცხადა წმინდა ნინოს და „გადასცა მას ვაზის ტოტის ჯვარი, რომელიც წმინდა ნინომ თავისი თმებით შეკრა“. ¹⁷

ავტორი ასევე დაწვრილებით გადმოგვცემს ნინოს ბიძის, იერუსალიმის პატრიარქის დამოკიდებულებას იმ წმინდა და რთული საქმის აღსრულების მიმართ, რომელიც დაუცველ ყრმა ქალწულს ხვდა წილად. ის მხურვალე ლოცვით და კურთხევით გზას ულოცავს თავის დისშვილს, რომ მან ღირსეულად აღასრულოს თავისი წმინდათა წმინდა ვალი.

წმინდა კირიონი დაწვრილებით აღწერს იმ ურთულეს გზას რომელიც წმინდა ნინომ გაიარა იერუსალიმიდან ივერიაში სომხეთის გავლით: „ღმერთის განგებულებამ,

¹⁵ გ. სამაგლიშვილი. *საქართველოს განმანათლებელი მოციქულთა...* გვ. 6.

¹⁶ გ. სამაგლიშვილი. *საქართველოს განმანათლებელი მოციქულთა...* გვ. 7.

¹⁷ გ. სამაგლიშვილი. *საქართველოს განმანათლებელი მოციქულთა...* გვ. 8.

რომელიც ნინოსთვის ამზადებდა უდიდეს სასპარეზო მოედანს მოღვაწეობისთვის, გადაარჩინა ის ივერიის განსანათლებლად“.¹⁸

წმინდა კირიონი კრიტიკულად განიხილავს ისტორიოგრაფიაში მითითებული „ტყვე ქალის“ საკითხს და ხაზგასმით აღნიშნავს, რომ ეს მოსაზრება მის ფიზიკურ ტყვეობასთან მიმართებაში არის მცდარი, რამდენადაც წმინდა ნინო, სრულიად თავისუფალი, საკუთარი ნებით წამოვიდა საქართველოში მოციქულებრივი ღვაწლის აღსასრულებლად. „ტყვეობაში“ იგულისხმება მხოლოდ სულიერი ტყვეობა ღვთის ჭეშმარიტი სიტყვისადმი, რომლის გამოც ის მოწამეობისთვისაც მზად იყო, ამასვე ამტკიცებს თავად მოციქულთასწორის სიტყვები „ჭეშმარიტად, მე ვარ ტყვე, მაგრამ ტყვე და მონა ზეციერი მეფისა, იესო ქრისტესი, დავატყვევე რა ჩემი გონება მისი წმინდა ნების მორჩილებაში...“.¹⁹

წმინდა კირიონი დაწვრილებით მიმოიხილავს იმ მდგომარეობას, რომელიც სუფევდა იმდროინდელ ივერიაში, თუ როგორ იყვნენ დაბნელებულნი წარმართული რწმენა-წარმოდგენებისაგან თავად მეფე მირიანი და დედოფალი ნანა, მათთან მთელი ხალხი. ყოველივე ამის ფონზე ავტორი მიიჩნევს, რომ, ცხადია, წმინდა ნინოს მისია გაცილებით უფრო რთული იყო. ივერია არ იყო უბრალოდ წარმართული ველური გაუნათლებელი ხალხით დასახლებული ქვეყანა. ეს იყო სახელმწიფო თავისი ძლიერი ხელისუფალით და ძლიერი რწმენით, მაგრამ იქ, სადაც ღვთის ნებას ემორჩილება ადამიანი, კაცთათვის შეუძლებელი ღვთისგან ყოველივე შესაძლებელი ხდება. სწორედ წმინდა ნინოს ლოცვით და ღვთისმშობლის მეოხებით უფალმა დაამხო კერპნი. როგორც წმინდა კირიონი აღნიშნავს, ეს მოხდა სწორედ ძველი სტილით 6 აგვისტოს, მაცხოვრის ფერისცვალების დღეს, როდესაც თაბორის ნათელმა, საქართველოს მთებზე ამოზრწყინებულმა, ივერიელთა წარმართობის წყვდიადი გარდაქმნა ქრისტეს ნათლად“.²⁰

ავტორი სადისერტაციო ნაშრომში დაწვრილებით გადმოგვცემს იმ სასწაულების შესახებ, რომელსაც წმინდა ნინო აღასრულებდა მცხეთაში, თუ როგორ უმსუბუქებდა ხალხს ტანჯვას უფლის ძალით. სწორედ ქრისტეს რწმენით განკურნა მან დედოფალი ნანა, რომელიც, მიუხედავად თავდაპირველი წინააღმდეგობისა, აღივსო წმინდა ნინოს ღმერთის უდიდესი რწმენით. ყველაზე შთამბეჭდავი ის იყო, რომ მოციქულთასწორი ქადაგებდა არა მარტო სიტყვით, არამედ საქმითაც.

ნაშრომში განსაკუთრებული ადგილი უჭირავს მეფე მირიანის მოქცევის თემას, კერძოდ, თხოთის მთის სასწაულს, რომელიც მრავალთაგან აღქმულია, როგორც ლეგენდა. ავტორი ამ მოვლენას სულ სხვა თვალთა უყურებს და სამართლიანად თვლის, რომ: „ქრისტიანობაზე მოქცევამდე მირიანის გონება დაფარული იყო ისეთი სქელი ნისლით, რომელშიც ვერ აღწევს მზის სხივი. როგორადაც იუდეველების უნამუსობა გახდა იარაღი ღმრთაებრივი მადლისა, ასევე დაბრმავება ქართველი მეფისა იყო საბაბი ღმრთაებრივი დიდების გამოჩენისა და მიზეზი „მარადიული სინათლისა“.²¹ წმინდა კირიონს ასევე მოჰყავს მეცნიერთა ნააზრევი მზის დაბნელებასთან დაკავშირებით და დასკვნის სახით ამბობს: „იმ წლის 20 ივლისს („ქართლის ცხოვრება“) შეუძლებელია ყოფილიყო მზის დაბნელება“ (ბარათაშვილი, საქართველოს ისტორიის შუა საუკუნეები გვ. 11).²²

მეფე მირიანის მიერ სარწმუნოების შეცვლამ შეცვალა მეფის ცხოვრების წესი და მასთან ერთად მთელი ერისა. ეს პროცესი შეუქცევადი გახდა, რამაც დღის წესრიგში დააყენა ქვეყნის ქრისტიანულ ნიადაგზე მოწყობის საკითხი. ამ პროცესებს წმინდა ნინოს

¹⁸ გ. სამაგლიშვილი. *საქართველოს განმანათლებელი მოციქულთა...* გვ. 9.

¹⁹ გ. სამაგლიშვილი. *საქართველოს განმანათლებელი მოციქულთა...* გვ. 9.

²⁰ გ. სამაგლიშვილი. *საქართველოს განმანათლებელი მოციქულთა...* გვ. 10.

²¹ გ. სამაგლიშვილი. *საქართველოს განმანათლებელი მოციქულთა...* გვ. 12.

²² გ. სამაგლიშვილი. *საქართველოს განმანათლებელი მოციქულთა...* გვ. 12.

უშუალო კურთხევითა და სწავლებით ამყარებდა. წმინდა კირიონი დეტალურად აღწერს მეფე მირიანის ნაბიჯებს ქრისტიანული აღმშენებლობის საქმეში.

აქვე ავტორი ცდილობს ერთი მეტად სადავო საკითხის გარკვევას, კერძოდ, სომხურ წყაროებში წარმოდგენილ ვარაუდს წმინდა გრიგოლ განმანათლებლის ღვაწლის შესახებ საქართველოს გაქრისტიანების საქმეში. ის ეხება სომეხი ისტორიკოსის მოსე ხორენელის ისტორიას, სადაც ეს უკანასკნელი თვლის, რომ თითქმის წმინდა ნუნე-მ მეფის და ერის გაქრისტიანების საქმეში დახმარება სთხოვა სომეხთა განმანათლებელს წმინდა გრიგოლს, რომ მისთვის მიეცა რჩევა-დარიგება კონკრეტულ საკითხებზე. წმინდა კირიონი დასაბუთებლად აქარწყლებს ამ აზრს. ის ამბობს: „აქამდე ყველას სიტყვაზე სჯეროდა სომეხი მწერლების ჩვენებები იმის შესახებ, რომ მათ საქართველოზე ადრე მიიღეს ქრისტიანობა, მაგრამ ასე იყო სინამდვილეში? მივმართოთ მათ ისტორიას. მოსე ხორენელის სიტყვებიდან ჩანს, რომ როდესაც წარმართმა ტირიდატემ აწამა დედოფალი რიფსიმე და მისი მეგობრები, ნინო გამოემართა ივერთა ქვეყნისაკენ. ამ დროს წმ. გრიგოლი ჯერ კიდევ საპყრობილეში იმყოფებოდა. ნინომ კი, როგორც მოწმობს მისი ცხოვრება, სამ წელიწადში მოაქცია ქრისტიანობაზე დედაქალაქის ქართველები და, შესაბამისად, ნინოს მოციქულებრივი ღვაწლი წინ უსწრებდა წმინდა გრიგოლის მოღვაწეობას და როგორც მიმდინარე მოვლენებიდან ჩანს, ნინო ვერავითარ შემთხვევაში ვერ შეძლებდა რჩევისთვის მიემართა წმინდა გრიგოლისთვის, სომხეთის განმანათლებლისთვის.²³ ავტორის აზრით, ღრმად განსწავლულ ნინოს, რომელიც დიდი ხანი ემზადებოდა მოციქულებრივი ღვაწლისთვის, შეუძლებელია არ სცოდნოდა როგორ მოქცეულიყო, როცა ხალხი გამოთქვამდა სურვილს ქრისტიანობის მიღებისას.

შემდგომ უკვე წმინდა კირიონი აღწერს იოანეს მეთაურობით წმინდა სინკლიტის კონსტანტინოპოლიდან ჩამოსვლის და ქართლის მოქცევის პროცესს. ის დაწვრილებით განიხილავს ცნობებს ქართველთა გაქრისტიანების თარიღის შესახებ და სრულად მოყავს მისთვის ხელმისაწვდომი მეცნიერულ წრეებში არსებული თარიღები: „უკიდურესად განსხვავებულ ქართველთა მიერ ქრისტიანობის მიღების შესახებ მწერალთა ჩვენებები, – ამბობს ის, – ეს ჩვენებები დაახლოებით ორმოცდაათი წლის ფარგლებში მერყეობს უზარმაზარ სივრცეში. ბარონი თვლის ქართველთა მოქცევას 311 ან 327 წლებში; ქართველი ისტორიკოსი უფლისწული დავითი 312 წელს; საქართველოს ისტორიული გამოსახულება 314 წელს; ცნობათა კრებული კავკასიელი მთიულების შესახებ 315 წელს; სომეხი ისტორიკოსი ჩამჩიანი 317 წელს; ქართველი ისტორიკოსი ბატონიშვილი ვახუშტი 317-318 წწ; კავკასიის კალენდრის ქრონოლოგიის მიხედვით 318-320 წწ; მცხეთის ტაძარში ბ-ნ იოსელიანის მიერ ნაპოვნი ხელნაწერი 326 წელს; პატრიარქი დოსითეოსი 327 წელს; აკადემიკოსი ბროსე 328 წელს; ვივენ ს. მარტენი 331 წელს; ერთ-ერთი თვალსაჩინო მკვლევარი კავკასიის მხარისა, დიუბუა ქართველთა მოქცევას მიაკუთვნებს III საუკუნის დასასრულს, უფრო დაზუსტებით 276-277წწ.²⁴ ეს ქრონოლოგიული ჩამონათვალი კიდევ ერთხელ ხაზს უსვამს ავტორის ფრთხილ მეცნიერულ დამოკიდებულებას საკვლევი მასალის მიმართ. მისი აზრით, ახლად დაფუძნებული ივერიის ეკლესია ექვემდებარებოდა ანტიოქიის პატრიარქს. „ანტიოქიის პატრიარქი დღემდე იწოდება ივერიელად – ამბობს ის, პატრიარქი ანტიოქიისა, სირიისა, ივერიისა, კიმიკიისა, მესოპოტამიისა და სრულად აღმოსავლეთისა“.²⁵

წმინდა კირიონი განსაკუთრებულად ხაზს უსვამს წმინდა ნინოს თავმდაბლობას. მიუხედავად მიმდინარე მოვლენათა სიდიადისა, დედა ნინო მუდმივად ცდილობდა განრიდებოდა მიწიერ პატივს: „პატივისა და დიდებისა თავის დაღწევის მიზნით ნინო

²³ გ. სამაგლიშვილი. „საქართველოს განმანათლებელი მოციქულთა... გვ. 13.

²⁴ გ. სამაგლიშვილი. „საქართველოს განმანათლებელი მოციქულთა... გვ. 14.

²⁵ გ. სამაგლიშვილი. „საქართველოს განმანათლებელი მოციქულთა... გვ. 14.

დედაქალაქიდან ერთ გამოქვაბულში გადავიდა, სადაც მარხვით და ლოცვით ემზადებოდა მომავალი შრომისათვის, რომელიც უნდა გაეწია ღვთის სიტყვის საქადაგებლად“. ²⁶ დისერტანტი ასევე აღწევს წმიდა ნინოს დანარჩენი საქართველოს მოქცევის ღვაწლის ქადაგებას: „დიდი შრომის ფასად მოაქცია ქრისტიანობაზე ველური მთიულები; ერწოები, თიანელები და ჭართლელები ასევე, კახელები და ალბანები. მისი ყველაზე საყვარელი საქმიანობა აქ იყო ლოცვა, ფსალმუნება და ზრუნვა კვლავ მოქცეულთა ქრისტიანობაში განსამტკიცებლად.“ ²⁷

წმიდა კირიონის აზრით, წმიდა ნინომ საქართველოში იღვაწა 35 წელი, რამაც მთლიანად განსაზღვრა არა მარტო მის თანამედროვეთა, არამედ საქართველოს მომავალი 1500 წლოვანი ისტორია, მისი შეგნებული და გააზრებული კულტურული ცხოვრება. მან დაუსახა ერს გზა მამულის ჩვეულისამებრ სვლისა.

ავტორი მიმოიხილავს რა წმიდა ნინოს ცხოვრების უკანასკნელ წუთებს, ხაზს უსვამს ნინოს სურვილს, რომ დაკრძალულიყო კახეთში, რათა „ახლადდარსებული კახეთის ეკლესია არ დარჩენილიყო ობლად.“ ²⁸ უკანასკნელ წუთამდე ნინო, როგორც დედა ქართველთა, ფიქრებს თავის სამწყსოზე. მისი სურვილი დაკრძალულიყო ბოდბეში და არა ცხოველმყოფელ სვეტთან კიდევ ერთი მაგალითი გახდა მისი თავმდაბლობისა.

ამრიგად, ჩვენს მიერ განხილულ გიორგი სამაგლიშვილის ნაშრომში კიდევ ერთხელ ხაზგასმით აღნიშნულია ქართველი ერის არჩევანის განსაკუთრებულობა. ქრისტიანობაზე მოქცევის ფაქტს ავტორი უკავშირებს არა პოლიტიკური ორიენტაციას, არამედ ქართველი კაცის ღვთაებრივი ჭეშმარიტებისადმი ლტოლვასა და სიყვარულს, რომელიც დედა ღვთისმშობლის ლოცვა-კურთხევით დედა ნინომ გააღვივა თითოეული ქართველის გულში. მიუხედავად გარეშე სასტიკი მტრების არაერთი მცდელობისა, ქართველებს არასდროს არ გადაუხვევიათ სამეფეო გზისგან. აზრადაც არ მოსვლიათ პოლიტიკური ორიენტაციის მიხედვით შეეცვალათ სარწმუნოება.

დამოწმებული ლიტერატურა:

გიორგი სამაგლიშვილი. „საქართველოს განმანათლებელი მოციქულთა სწორი ნინო/საკანდიდატო დისერტაცია/-ელექტრონული წიგნი. თბილისი „წიგნის სავანე“, 2017;

წმიდა ნინო ემბაზი ქართლისად. რჩეული ჩაწერილი წყაროები. მცხეთა, 2015;

Пастыр“-ის 1888 წლის #16, 18 და 1989 წლის #1, 2, 5.

²⁶ გ. სამაგლიშვილი. „საქართველოს განმანათლებელი მოციქულთა... გვ. 15.

²⁷ გ. სამაგლიშვილი. „საქართველოს განმანათლებელი მოციქულთა... გვ. 15.

²⁸ გ. სამაგლიშვილი. „საქართველოს განმანათლებელი მოციქულთა... გვ. 18-19.

Michael (Makhare) Bukia

Student of PhD Programme History of Georgia

Archibishop Kirion, researcher of saints: Saint Nino

Summary

Candidate's dissertation of Patriarch Kirion "Enlightener of Georgia, Equal to the Apostles Nino", is dedicated to the missionary work of St. Nino in Georgia.

In the introduction the Holy Patriarch discusses the contribution of women in the spread of Christianity, the appreciation of the role of women in Georgia, and then directly refers to the service of St. Nino in Georgia. He reviews the information preserved in historiography about St. Nino, the names preserved in Georgian manuscripts and oral traditions Nino || Nona || Nune. The author shears the opinion received in the Georgian historical literature that the name of Equal to the Apostles Nino is derived from the common name Nona, which means "honest", "saint", "virgin".

The description of St. Nino's activity in Georgia occupies an extensive place in the dissertation. The author of the dissertation critically discusses the issue of the "captive woman" mentioned in historiography, as well as the date of her arrival in Georgia and the assumption made in the Armenian sources about the merits of St. Gregory the illuminator in Christianization of Georgia.

1942 წლის შეთქმულების ისტორიიდან (ადამ ბობლიაშვილი)

საქართველოს მოსახლეობა საბჭოთა კავშირ-გერმანიის ომის დაწყების პირველი დღიდანვე დიდ პატრიოტულ სულისკვეთებას იჩენდა, თუმცა აშკარა იყო, რომ ქართველთა ნაწილი ომს სამამულო ომად არ თვლიდა.

თბილისსა და საქართველოს სხვა კუთხეებში ომის პირველივე წლებში წარმოიშვა არაღელვარული ანტისაბჭოთა ჯგუფები. თბილისში მოქმედ ასეთ ჯგუფს „1942 წლის შეთქმულებად“ იხსენიებდნენ. ტრაგიკული აღმოჩნდა მათი ბედი, ვისაც სამშობლოს ბედ-ილბაღზე ზრუნვა და კეთილშობილური მიზანი დანაშაულად, ღალატად ჩაუთვალეს და სასტიკად დასაჯეს.

საქართველოდან გაწვეული ჯარისკაცების ნაწილი დეზერტირობდა. ამ ფაქტის დამადასტურებელი დოკუმენტები დაცულია საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს არქივში.

ბევრმა ქართველმა იცოდა, რომ ეს ომი არ იყო პატრიოტული და არც ენთუზიაზმს იჩენდნენ საბჭოთა კავშირის გადასარჩენად. საბჭოთა მთავრობა დაუნდობლად უსწორდებოდა იმ ადამიანებს, რომლებიც მათ წინააღმდეგ რაიმე მოქმედებდნენ. დახვრეტა ელოდებოდა ყველას, ვინც დეზერტირობას გაბედავდა, ხოლო მათ ახლობლებს, ოჯახის წევრებს გადასახლება - დაპატიმრება...

საქართველოს უახლესი ისტორიის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს მოვლენას წარმოადგენს 1942 წლის შეთქმულება, რომელიც „სამანელთა“ მოძრაობის სახელითაც არის ცნობილი. მოვლენა, რომელმაც დაადასტურა, რომ საბჭოთა ხელისუფლება ამაოდ ებრძოდა დაპყრობილი საბჭოთა ხალხების მისწრაფებას ეროვნული დამოუკიდებლობისკენ.

1942 წლის შეთქმულებმა და „სამანელთა“ მოძრაობამ, ისევე როგორც გერმანული დროშის ქვეშ მყოფმა ქართველებმა, საქართველოს გათავისუფლება ომში გერმანელთა გამარჯვებას დაუკავშირეს. 1941 წლის ზაფხულსა და შემოდგომაზე გერმანიამ ხელთ იგდო სტრატეგიული უპირატესობა და სწრაფად მოიწევა წინ. სულ უფრო ცხადი ხდებოდა, რომ მალე გერმანელები კავკასიასაც მოუახლოვდებოდნენ. ქართველმა პატრიოტებმა სცადეს, გერმანიის ჯარების წარმატება გამოეყენებინათ საქართველოს გასათავისუფლებლად. ისინი ფიქრობდნენ, რომ გერმანიის მიერ საბჭოთა კავშირის დამარცხების შემდეგ საქართველო თავისუფლებას მოიპოვებდა.¹ მეორე მსოფლიო ომის მძვინვარების ჟამს ქართველ ინტელექტუალთა არაერთ წარმომადგენელს გაუჩნდა იმედი არსებული პოლიტიკური სიტუაციის საქართველოს სასიკეთოდ გამოყენებისა თითქოს დადგა დრო - ჟამი, საქართველოს მიეღწია თავისუფლებისათვის.

საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ იბრძოდნენ თუშეთში, სადაც ფართოდ გაიშალა „სამანელების“ მოძრაობა. მოძრაობის მონაწილენი არ უშინდებოდნენ ხელისუფლებისაგან მოსალოდნელ დიდ საშიშროებას.

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს არქივში დაცული დოკუმენტებიდან ვგებულობთ თუშეთში ანტისაბჭოურად მოაზროვნე ჯგუფების შესახებ. ასევე

¹ თინათინ თუშმალიშვილი, ლევან კავჭაძე. 1942 წლის შეთქმულება მოსაგონრად. ჟურნალი „ჩვენი მწერლობა“, 2007, N23, გვ. 25.

საყურადღებოა როსტომ ჩხეიძის ნაშრომი „დაწყველილი თაობა“ რომელიც გამოიცა 1995 წელს. ამ ნაშრომიდან ვგებულობთ, რომ ²1941 წლის სექტემბერს თბილისში გაიხსნა და განადგურდა არალეგალური სამხედრო მემოზოხური ფაშისტური ორგანიზაცია, რომელსავე დააპატიმრეს 33 კაცი, მათ შორის **გიორგი ქადაგიძე**, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასპირანტი, მცხოვრები თელავის რაიონის სოფელ ზემო ალვანში, ერთ-ერთი აქტიური წევრი. ამ ორგანიზაციისა, რომელმაც ჩაითრია ზემოხსენებულ ორგანიზაციაში თანასოფლელები და ამხანაგები:

1. **ადამ ბობლიაშვილი** - თსუ ფილოლოგიის ფაკულტეტის IV კურსის სტუდენტი, მცხ. ს. ზემო ალვანში.
2. **მიხეილ იმედიძე** - მეტყვევ ინჟინერი თელავის რაიონში, მცხ. ს. ზემო ალვანში.
3. **ალექსანდრე ჭელიძე** - პედაგოგი, მცხ. დუშეთში.

1942 წლის სექტემბერში ამიერკავკასიის ფრონტის სამხედრო ტრიბუნალმა ორგანიზაციის 17 წევრს, მათ შორის ქადაგიძეს, შეუფარდა სასჯელის უმაღლესი ზომა, დანარჩენ ბრალდებულებს კი სხვადასხვა ვადით თავისუფლების აღკვეთა.

გიორგი ქადაგიძის დაპატიმრებისთანავე ბობლიაშვილი, იმედიძე და ჭელიძე გადავიდნენ იატაკქვეშეთში.

მიღებული ზომების მეშვეობით 1942 წლის 1 ოქტომბერს ალექსანდრე ჭელიძე დააპატიმრეს თბილისში თავისი ნათესავის ბინაში. სადაც აღმოჩნდა აგრეთვე უნივერსიტეტიდან მოტაცებული საბეჭდი მანქანა და ცეცხლსასროლი იარაღი. დაპატიმრებულმა ჭელიძემ აღიარა, რომ იგი ნამდვილად ირიცხებოდა არალეგალურ ორგანიზაციაში, სადაც ჩაითრია გიორგი ქადაგიძე, და რომ ერთ-ერთ არალეგალურ შეკრებაზე, რომელსაც ქადაგიძე უძღვებოდა შეიქმნა ხელმძღვანელი კომიტეტი ორგანიზაციისა სახელწოდებით: „საქართველოსთვის მებრძოლი ახალგაზრდული ნაციონალ-სოციალისტური ორგანიზაცია“, რომელშიც შევიდნენ: ქადაგიძე, თვითონ ჭელიძე, ბობლიაშვილი და იმედიძე.

მივების პროცესში ბობლიაშვილს და იმედიძეს, რომლებიც იმალებოდნენ თელავის რაიონის ტყეებში და შეავსეს თავიანთი რიგები წითელი არმიის დეზერტირთაგან, 1942 წლის 20 ნოემბერს ზემოხსენებულ რაიონში დააპატიმრეს გოგელა მინდიძე და ივანე არინდაული, ბრალდებულნი ამავე საქმეზე, ბობლიაშვილისა და იმედიძის პოლიტბანდების მონაწილენი, რომელთა ჩვენების მიხედვითაც დადგინდა, რომ თელავის რაიონის სოფელ ზემო ალვანში არსებობს არალეგალურ-გამცემლური ტერორისტული ორგანიზაცია ბობლიაშვილისა და იმედიძის ხელმძღვანელობით.

ზემოხსენებული ორგანიზაცია იმედს ამყარებს ფაშისტური გერმანიის გამარჯვებაზე და მიზნად ისახავდა:

ჩამოეყალიბებინა თელავის რაიონში მძლავრი ანტისაბჭოთა ორგანიზაცია ფართოდ გაშლილი ჩამთრევი მუშაობის გზით, აგრეთვე გაერთიანებინა ბანდიტთა და დეზერტირთა დაცალკეებული ჯგუფები, თელავის რაიონში, რომ მოქმედებდნენ.

განეხორციელებინათ ტერორისტული აქტები ხელისუფლებისა და პარტიის წარმომადგენლებზე.

გაერთიანებულიყვნენ იმჟამად მოახლებულ გერმანულ-ფაშისტურ ჯარის ნაწილებთან, საქართველოს ერთსულოვანი ოკუპაციის მიზნით“.

ესაა ამონაწერი 1943 წლის მარტში გამოტანილი „საბრალდებო დასკვნიდან“. (საქმე N3491), რომელიც თელავის სუკის არქივიდან მოიპოვა ლევან ოჟილაურმა.

² როსტომ ჩხეიძე. დაწყველილი თაობა. (გამომცემლობა ლომისი, თბილისი, 1995.) გვ. 9-10-11.

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს არქივში მოპოვებულია შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის მიერ შექმნილი დოკუმენტი, საბრალდებო დასკვნა, რომელიც დათარიღებულია 1942 წლის 2 დეკემბრით. დოკუმენტს ხელს აწერს მაიორი **მოროზოვი**. დოკუმენტში მოხსენებულია ხუთი პიროვნება. ესენი იყვნენ:³

1. მიხეილ (ფანცალა) ივანეს ძე იმედიძე;
2. ადამ იასონის ძე ბობლიაშვილი;
3. ბაგრატ პავლეს ძე თავბერიძე;
4. გიორგი ალექსანდრეს ძე ვეშაგურიძე;
5. ივანე დავითის ძე მაჩაბლიშვილი.

საბრალდებო დასკვნიდან ვგებულობთ, რომ შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის მიერ გამოვლენილი იყვნენ „კონტრრევოლუციური ტერორისტული“ ორგანიზაციის წევრები. მიხეილ იმედიძე, ადამ ბობლიაშვილი გაიქცნენ და მიიმალნენ. როცა გერმანიის ჯარები, მოუახლოვდნენ კავკასიას, მათ დაიწყეს ხალხის აქტიური გადაბირება ბანდაში, რათა დახმარებოდნენ გერმანიას თავიანთი ქმედებებით.

უკანონო, არალეგალურ მდგომარეობაში მყოფმა მიხეილ იმედიძემ და ადამ ბობლიაშვილმა შექმნეს დეზერტირი ადამიანებისაგან ათკაციანი შეიარაღებული დაჯგუფება სოფელ ზემო ალვანსა და მის მიმდებარე სოფლებში.

ჯგუფში აქტიურობით განსაკუთრებით გამოირჩეოდნენ მიხეილ იმედიძე და ადამ ბობლიაშვილი.

არალეგალურ ჯგუფს, რომელიც საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ იბრძოდა სათავეში, როგორც საარქივო დოკუმენტებიდან ჩანს, ადამ ბობლიაშვილი ედგა. ასევე, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს არქივში მოპოვებულია 1968 წლის დოკუმენტი, რომელიც ადამ ბობლიაშვილის დედის, მარიამ მიხეილის ასულ ბობლიაშვილის, თხოვნის საფუძველზეა შექმნილი. მარიამ ბობლიაშვილის თხოვნა შემდეგი შინაარსისა იყო:

საქართველოს რესპუბლიკის პროკურორს ბერძენიშვილს.

მარიამ მიხეილის ასულ ბობლიაშვილის⁴

/მცხ. სოფელ ზემო ალვანში-ახმეტის რაიონი/

გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა

ამჟამად ვარ 80 წლის მოხუცი სიცოცხლის მიწურულში. გთხოვთ, მომავკდავ დედას სათხოვარი შეუსრულოთ, თუ კი ეს რამენაირად შესაძლებელი იქნება.

მთელი ჩემი სიცოცხლე გაუთავებელ ტანჯვად გადამექცა. მე-16 წელში ვიყავი, როდესაც მშობლებმა ძალით გამათხოვეს 70 წლის მდიდარ კაცზე. შემდეგ დავქვრივდი და 21 წლის ასაკში გავთხოვდი იასონ თევდორეს ძე ბობლიაშვილზე (1883-1918წ). იგი უმაღლესი ცოდნით იყო, ბოლშევიკი, რის გამოც მეფის ხელისუფლების მიერ რამდენჯერმე იყო დაპატიმრებული და გადასახლებულიც. 1905 წლის რევოლუციის პერიოდში დააპატიმრეს, ჩასვეს მეტეხის ციხეში, საიდანაც საიდუმლო გვირაბით გაპარულა და წასულა პარიზში. 1905 წელს იარაღი გადმოიტანა საზღვარგარეთიდან. მე მქონდა 1500 თუმანი ოქროთი. იასონმა ეს ფული რევოლუციის საქმეში დახარჯა. მისი რევოლუციური მოქმედების გამო ოჯახს ძლიერ გვაღიწროვებდნენ. ჟანდარმერებმა რამდენჯერმე გვცემეს მე და ჩემს დედამთილს. როცა ძლიერ შეგვაწუხეს, იასონი იძულებული იყო გუბერნატორთან გამოცხადებულიყო. რევოლუციონერებმა უშველეს და დახვრეტა 10 წლის პატიმრობით შეუცვალეს. იგი მაშინ როსტოვში გადასახლეს, შემდეგ მანიფესტით გაანთავისუფლეს. მის შესახებ მასალები არსებობს მუზეუმში. საუბედუროდ, 1942 3/XII ჩვენი ოჯახის კონფისკაციისა და ჩემი დაპატიმრების შემდეგ იასონის არხივაც ან განადგურდა ან ვიღაცამ მიითვისა. მას საინტერესო

³ სშსს არქივი, ფონდი 6, საქმე N421927, ტომი I, ფურცელი 54.

⁴ სშსს არქივი, ფონდი 6, საქმე N421917, ტომი I, ფურც. 359-360, /სტილი და გრამატიკული ნორმები დაცულია/.

მოგონებები ჰქონდა ცნობილ ბოლშევიკებზე. 1942 წლამდე მისი დამსახურების შედეგად პენსიას ვღებულობდი. ჩემი პატიმრობის შემდეგ კი აღარ მიმიღია.

მყავდა ორი შვილი 1912 წელს დაბადებული ადამ და 1915 წელს დაბადებული ქალი, რომელმაც წლამდე იცოცხლა.

როცა იასონი კვდებოდა, მთხოვა, ჩემი ძმები, ბოლშევიკებს გულისხმობდა, რუსეთში მოვიდნენ და აქაც მოვლენ. ისინი მიკითხავენ და შვილი იმათ გააზრდევინეო.

ჩემი ყოველგვარი შესაძლებლობა მხოლოდ იმისთვის გამოვიყენე, რომ შვილი ნასწავლი ყოფილიყო. მივაბარე თუ არა ზემო ალვანის I კლასში იმ დღესვე გააცია, შემეშინდა, თელავში წავიყვანე. დღედაღამეს ვასწორებდი, არაფერი მოჰკლებოდა. მასწავლებლები კმაყოფილნი იყვნენ. მთელი დღე წიგნებს უჩიჩინებდა, ბავშობიდანვე წერდა ლექსებს, მოთხრობებს (ისინიც დაიკარგა) სკოლის სცენაზე მსახიობობდა. უნდოდა, მსახიობი გამოსულიყო, მე არ მსურდა, დამიჯერა, საშუალო სკოლის დამთავრებისა და სოფელ ნაფარეულში რამდენიმე თვის მასწავლებლობის შემდეგ გავგზავნე ერევანში, სადაც დაამთვარა ზოოვეტერინარული ინსტიტუტი. რამდენიმე წლის მუშაობის შემდეგ იგი შევიდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიურ ფაკულტეტზე. გახარებული იყო, რომ ბავშობის სურვილი აისრულა, სახლში იჯდა და სწავლობდა. იმედი ჰქონდა ასპირანტურაში დარჩენის.

მაგრამ ბევრისა და ჩემი დამლუპველი ომის დროს ვიდაცის ზეგავლენით ჩემი შვილი-ადამ იასონის ძე ბობლიაშვილი (1912-1943წ) აღმოჩნდა ჩვენი ხელისუფლების საწინააღმდეგო მოქმედებისად, რაც მოულოდნელი იყო ყველასათვის.

მან თავის შეცდომაზე სიკვდილი დაიმსახურა, ხოლო ტანჯვითა და ვაებით შექმნილი ოჯახი ერთ დღეს განიავდა.

მას შემდეგ, აი, 24 წელიწადი გავიდა, 24 წელიწადი ჩემთვის ორნაირად მძიმე და საშინელი დავკარგე. ჩემთვის სამაყო შვილი და დავკარგე, როგორც ქართველების მოღალატე.

მე არ მინდა საფლავში ჩავიდე, როგორც ხალხის მოღალატე შვილის დედა. გარდა ამისა, მე გეხვეწებით ქართველი ადამიანის სახელით, მართალია, საქართველოში ლექსს არავინ გამოლევს, მაგრამ ამ მხრივ ჩემს შვილსაც პატარა წვლილი აქვს და გთხოვთ, ამ კარგ მხარეს ნუ დაუკარგავთ, გადასინჯეთ საქმეები და თუ შესაძლებელია, აპტიოთ შეცდომა 24 წლის მკვდარს, რომ საშუალება მომცეს მისმა ნაწერებმა დღის სინათლე იხილონ.

მარიამ ბობლიაშვილი

15/VI.67 წ.

პასუხი შემატყობინეთ შემდეგ მისამართით:

თბილისი 61 ჯავახეთის ქუჩა. კორპუსი №7

I სადარბაზო ბინა №5

ლიზა ვახვახიშვილს.

მომდევნო დოკუმენტი სწორედ რეაბილიტაციასთან დაკავშირებული მარიამ ბობლიაშვილის განცხადების საპასუხოდ არის შედგენილი. ამ დოკუმენტში გადმოცემულია ადამ ბობლიაშვილის იმ დროინდელი „დანაშაულებრივი“ საქმიანობა. გთავაზობთ დოკუმენტის ქართულ თარგმანს:

⁵„ვადასტურებ“

სამხედრო პროკურორის მოადგილე

ა/კავკასიის სამხედრო ოლქის

გენერალ-მაიორი

/ვ. გორბაშევი/

6 მარტი 1968 წელი.

დასკვნა

⁵ სშსს არქივი, ფონდი 6, საქმე N421917, ტომი II, ფურც. 361-367, /სტილი დაცულია/.

ქ.თბილისი, ა/კავკასიის ოლქის იუსტიციის სამხედრო პროკურორის თანაშემწე პოდპოლკოვნიკმა მეზურნიშვილმა განვიხილე დაარქივებული საგამოძიებო საქმე N-3486 ბრალდებულების მ. ი. იმედიძის, ა.ი. ბობლიაშვილის, ბ.პ. თავბერიძის, გ.ა. ვეშაგურიძის და ი.დ.მაჩაბლიშვილის. ასევე მარიამ მიხეილის ასული ბობლიაშვილის საჩივარი.

დავადგინე:

საქ. სსრ-ს პროკურორს 1967 წლის აპრილში მიმართა საჩივრით საქართველოს მოქალაქემ, მცხოვრებმა ახმეტის რაიონის, სოფელ ზემო ალვანში მარიამ მიხეილის ასულმა ბობლიაშვილმა. მოითხოვა თავისი ვაჟის ბრალდებულ ა.ი. ბობლიაშვილის საქმის გადახედვა.

თავის საჩივარში მ.მ. ბობლიაშვილი წერს, რომ მისმა შვილმა- ა.ი. ბობლიაშვილმა იცოდა თავისი მამის იასონ თვეოდორეს ძის ბობლიაშვილის რევოლუციური საქმიანობა დამიზეზი რის გამოც ის გარდაიცვალა. ბავშობაში კარგად იქცეოდა და არანაირი დანაშაული არ ჩაუდენია. სკოლის დამთავრების მერე რამდენიმე თვე იმუშავა სოფელ ნაფარეულის სკოლაში მასწავლებლად. შემდეგ იგი გაემგზავრა ქალაქ ერევანში ზოოვეტერინალურ ინსტიტუტში და დამთავრებისთანავე რამდენიმე წელი იმუშავა სპეციალობით.

ბავშვობიდან მწერლობა და პოეზია ხიბლავდა. მისი მიზანი ფილოლოგიური განათლების მიღება იყო და ჩააბარა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში. სურვილი ჰქონდა სწავლა გაეგრძელებინა ასპირანტურაში. 1941 წელს აღმოჩნდა საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ მტრულად განწყობილ ჯგუფში და თავისი შეცდომის გამო დაისაჯა სიკვდილით.

შემდეგ მ.მ. ბობლიაშვილი თავის საჩივარში წერს, რომ არის 80 წლის. არ უნდა, მოკვდეს სამშობლოს მოღალატის დედის სახელით, იმ შვილის, რომელიც 24 წლის წინ მოუკვდა. ითხოვს შვილის დანაშაულის პატიებას და მისი ლექსების, მოთხრობების გამოქვეყნებას.

საჩივრის გამო შემოწმდა მ.მ. ბობლიაშვილის ვაჟის ა.ი. ბობლიაშვილის და სხვა ბრალდებულების საარქივო-საგამოძიებო საქმე.

საქმე გადაიხედა, რომლის მიხედვითაც საქ.სსრ-ს შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის მიერ 1942 წლის დასაწყისში გამოაშკარავდა და განადგურდა ქ. თბილისში არსებული კონტრევოლუციური მემზოხე-ტერორისტული ორგანიზაცია. ხელმძღვანელები იყვნენ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასპირანტები: იმერლიშვილი, ჯოგლიძე და თელავის რაიონის, სოფელ ზემო ალვანის მცხოვრები გიორგი ივანეს ძე ქადაგიძე.

კონტრევოლუციური ორგანიზაციის რამდენიმე წევრი, მათ შორის: 1941 წელს გადაბირებული ქადაგიძე, რომელიც ცხოვრობდა სოფელ ზემო ალვანში, ასევე ადამ იასონის ძე ბობლიაშვილი და მიხეილ ივანეს ძე იმედიძე მიიმალნენ თბილისიდან და თელავის რაიონში კანონს გაურბოდნენ. მათ შექმნეს ბანდიტური დაჯგუფება და ცდილობდნენ თავიანთი მოქმედებით ფაშისტური გერმანიის დახმარებას.

საბჭოთა ხელისუფლების მიმართ 1942 წლის დასაწყისში საქ.სსრ-ში, თუშეთის ტერიტორიაზე, თელავის რაიონში დეზერტირების და მტრულად განწყობილი ხალხისგან არალეგალებმა ა.ი. ბობლიაშვილმა და მ.ი. იმედიძემ ჩამოაყალიბეს კონტრევოლუციური, მემზოხე ბანდა სახელწოდებით „სამანი“. ეს კონტრევოლუციური, მემზოხე ბანდა მიზნად ისახავდა შეიარაღებული წინააღმდეგობის გაწევას საბჭოთა ხელისუფლებისათვის, გეგმავდნენ შეიარაღებულ ტერორისტულ ქმედებებს საბჭოთა-პარტიულ ორგანიზაციებზე და გეგმავდნენ ფაშისტურ გერმანიის დახმარებას კავკასიაში ოკუპაციის მიზნით.

ზემოხსენებულ კონტრევოლუციურ-მეამბოხე ბანდის ჩამოყალიბებას ხელმძღვანელობდნენ ა.ი. ბობლიაშვილი და მ.ი. იმედიძე. მისი წევრები იყვნენ საბჭოთა არმიის რიგებიდან დეზერტირები: ბაგრატ პავლეს ძე თავბერიძე, გიორგი ალექსის ძე ვეშაგურიძე, ივანე დავითის ძე მაჩაბლიშვილი, სოფელ ზემო ალვანის „HKBD“-ს სახელობის კოლმეურნეობის ბუღალტერი ელიზბარ გაბრიელის ძე აბაშიძე, მისი ძმა კოლმეურნეობის ფერმის გამგე აბაშო გაბრიელის ძე აბაშიძე, სოფელ ზემო ალვანის კოლმეურნეები: გოგალე მიხეილის ძე მინდაძე, აბრაამ თევდორეს ძე ბობლიაშვილი, შიო სიმონის ძე უშურაული, გიორგი პავლეს ძე ჩაჩქანაშვილი და სხვები.

კონტრევოლუციური მეამბოხე ბანდის ყველაზე აქტიურმა წევრებმა: ელიზბარ აბაშიძემ, აბაშო აბაშიძემ, ბაგრატ თავბერიძემ, და გიორგი ვეშაგურიძემ ჩართეს თელავის რაიონის სხვა მაცხოვრებლები. მათი დახმარებით 1942-1943 წლებში ჩაიდინეს დანაშაულებრივი ქმედებები:

1. 1942 წლის ოქტომბერში ოთხჯერ გაქურდეს სოფ. ზემო ალვანის „HKBD“-ს სახელობის კოლმეურნეობა, საიდანაც გამოიტანეს ყველი, ხორბალი და სხვა პროდუქტები.
2. მკვლელობის მიზნით 1942 წლის 8 ნოემბერს თელავის რაიონული საბჭოს თავჯდომარეზე მ.დ. ციხისთავზე მოაწყვეს შეიარაღებული თავდასხმა.
3. 19/XI-42 წ. სოფ. ზემო ალვანის კოლმეურნეობა გაქურდეს და წაიღეს 603 კგ. ყველი და 200 კგ. ხორბალი.
4. 1942 წლის დეკემბერში სოფ. ზემო ალვანში გაქურდეს დმიტროვის სახელობის კოლმეურნეობა.
5. 1942 წლის დეკემბერში ტერორისტული თავდასხმით მოკლეს კომუნისტური პარტიის ბოლშევიკი (BKII/6/) აბესალა იმანოვა.
6. 1943 წლის ივლისში მოკლეს შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის მე-8 ლეგიონიდან ორი წითელარმიელი გ.დ. სევასტიანოვა და ა.მ. ტრემენკო. გაიტაცეს იარაღი და საკვები. მათ ასევე მოკლეს დუშეთის რაიონის განყოფილების რწმუნებული ჩოხელი.
7. 1943 წლის აგვისტოში მოკლეს თიანეთის რაიონში გამანადგურებელი ბატალიონის ორი მებრძოლი გ.პ. ბესტავაშვილი, კ. გ. თამაზაშვილი და სხვები.

კონტრევოლუციური -მეამბოხე ბანდის წევრები: ე.გ. აბაშიძე, ა.გ. აბაშიძე, გ.მ. მინდაძე, ა.ფ. ბობლიაშვილი, მ. ი. იმედიძე, ბ.პ. თავბერიძე, გ.ა. ვეშაგურიძე, და ი.დ. მაჩაბლიშვილი თელავის რაიონიდან მიიმაღლნენ. ზემოხსენებული პირების საქმე გადაეგზავნა კავკასიის ფრონტის სამხედრო ტრიბუნალს დაუსწრებლად განსახილველად.

1943 წლის 12 იანვრის კავკასიის ფრონტის სამხედრო სასამართლომ განაჩენით ა.ი. ბობლიაშვილი, მ.ი. იმედიძე და ბ.პ. თავბერიძე დამნაშავედ სცნეს საქ. სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 17 და 58-ე „ბ“ მუხლით. გ.ა. ვეშაგურიძე და დ. მაჩაბლიშვილი საქ. სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 58-ე „ბ“ მუხლით. დაუსწრებლად მიესაჯათ **სასჯელის უმაღლესი ზომა - დახვრეტა**, მათ საკუთრებაში მყოფი ქონების კონფისკაციით.

კავკასიის ფრონტის მიერ 1943 წლის 12 იანვარს დაუსწრებლად გასამართლებულები: ა.ი. ბობლიაშვილი და მ.ი. იმედიძე არ იყვნენ დაკავებულები. სად იმყოფებოდნენ არ იყო ცნობილი. ი.დ. მაჩაბლიშვილი, რომელიც 1943 წლის თებერვალში დაუსწრებლად იყო გასამართლებული, თავისი ნებით ჩაბარდა ხელისუფლებას. იგი 1946 წლამდე ცხოვრობდა თავის სახლში და მუშაობდა კოლმეურნეობაში. 1946 წლის მარტში დააკავეს იგი, რომელმაც აღიარა წითელი არმიის რიგებიდან დეზერტირობა, რომ იყო კონტრევოლუციური მეამბოხე ბანდის წევრი, რომლის ხელმძღვანელები იყვნენ ა.ი. ბობლიაშვილი და მ. ი. იმედიძე. აღნიშნული ბანდის წევრებთან ერთად კოლმეურნეობის საწყობის ქურდობა, ტერორისტული თავდასხმა თელავის რაიონის აღმასრულებელ

კომიტეტის თავჯდომარე ციხისთავზე. ი.დ. მაჩაბლიშვილმა ითხოვა სიცოცხლე შეენარჩუნებინათ მისთვის.

საქ.სსრ-ს შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატმა 1946 წელს შეიტანა შუამდგომლობა სსრ კავშირის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმში, რომ შეეცვალათ კავკასიის სამხედრო ტრიბუნალის განაჩენი, რომელიც 1943 წლის 12 იანვარს უნდა მოეყვანათ სისრულეში ი.დ. მაჩაბლიშვილის მიმართ. სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა შეცვალა 13 / XI-1946წ. დადგენილებით N107 / 13CC დადგენილება. სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა დაადგინა N12 / 19CC და ი.დ. მაჩაბლიშვილს სიკვდილით დასჯა გამოსასწორებელი-შრომით ბანაკებში მუშაობით შეუცვალა.

/ ტომი II. 158-186.194-195/.

მსჯავრდებული გ.ა. ვეშაგურიძე დააკავეს საქ.სსრ-ს შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის მიერ 17/ III-44 წელს. სცნო თავი დამნაშავედ, აღიარა წითელი არმიის რიგებიდან ომის დროს დეზერტირობა და კონტრევოლუციურ-მემპოხურ ბანდაში მონაწილეობა, რომელსაც ხელმძღვანელობდნენ მ.ი. იმედიძე და ა.ი. ბობლიაშვილი. მისცა დეტალური ჩვენება ამ ბანდის საქმიანობის შესახებ.

საქ.სსრ-ს შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის შუამდგომლობა 1943 წლის 12 იანვრის გადაწყვეტილება ვეშაგურიძესთან დაკავშირებით იქნა დატოვებული და მოიყვანეს სისრულეში 17 / I-1945 წელს.

/ ტომი II. I-17.55-67.201/

დაუსწრებლად გასამართლებული ბ.პ. თავბერიძე საქ.სსრ-ს შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის მიერ დაკავებული იყო 1944 წლის ნოემბერში.

დაკითხვების დროს მან თავი დამნაშავედ ცნო. აღიარა საბჭოთა კავშირის ჯარში სამსახურობრივი მოვალეობითვის თავი არიდება, ყაჩაღურ ჯგუფთან შეერთება, რომელსაც ხელმძღვანელობდნენ ა. ი. ბობლიაშვილი და ი.მ. იმედიძე. იყო მონაწილე ბანდიტური ჯგუფის, რომელმაც შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის მე -8 ლეგიონის წითელარმიელები გ.დ. სევასტიანოვი და ა.მ. ტრეშენკო დახოცეს. ასევე დუშეთის რაიონის მილიციელის ჩოხელის განზრახ მკვლელობა.

საქ.სსრ-ს შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატმა შუამდგომლობა გაუწია კავკასიის სამხედრო ტრიბუნალთან 1943 წლის 12 იანვრის სასამართლო დადგენილების შესაცვლელად, მაგრამ ეს გადაწყვეტილება ძალაში დატოვეს და 18/ VI-45 წ. სასჯელი შესრულდა.

/ ტომი II 96-115,116-124,133/

იმისდა მიუხედავად, რომ ბრალდებულები ა. ი. ბობლიაშვილი და მ.ი. იმედიძე არ დაუკავებიათ და საქმესთან დაკავშირებით საერთოდ არ დაკითხულან, მათი სამშობლოს ლალატისა და კონტრევოლუციური საქმიანობის ბრალდება დაადგინეს თანამზრახველების ჩვენებით: გ.ი. ქადაგიძის, ა.გ.ჭელიძის, ე.გ. აბაშიძის, გ.ა. ვეშაგურიძის, ა.ფ. ბობლიაშვილის, ა.გ. აბაშიძის, ი.დ. მაჩაბლიშვილის და სხვების.

7 / X-1942 წლის დაკითხვის დროს, ბრალდებულმა გიორგი ივანეს ძე ქადაგიძემ ჩვენებაში თქვა, რომ 1941 წლის ივლისში თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასპირანტებმა ჯოგლიძემ და იმერლიშვილმა გადაიბირეს არალეგალურ სამხედრო მემპოხე ორგანიზაციაში, რომელიც მიზნად ისახავდა საბჭოთა რეჟიმის დამხობას, „დამოუკიდებელი საქართველოს“ აღდგენას. პირადად მისი გადაბირებულები იყვნენ ა. ი. ბობლიაშვილი, ა. გ. ჭელიძე, მ. ი. იმედიძე და სხვები.

კერძოდ, დაკითხვაზე მან ჩვენება მისცა: „...ამის შემდეგ, როგორც მახსოვს, აგვისტოში, ჩემ სახლთან შეეხვდი თანასოფელელს ადამ იასონის ძე ბობლიაშვილს, რომელთან ერთად ვსწავლობდი თელავის საშუალო სკოლაში. მე მას ვაცნობე ჩემი საუბრის შესახებ, როგორც

ჯოგლიძესთან ისე იმერლიშვილთან. აღვნიშნე, რომ ორივე ეწეოდა არალეგალურ მუშაობას და მე შემიყვანეს ორგანიზაციაში, რომელიც მიზნად ისახავს საბჭოთა ხელისუფლების დამხობას და „დამოუკიდებელი საქართველოს“ აღდგენას. როდესაც ბობლიაშვილს ამის შესახებ მოვუყევი, ვკითხე, რა აზრის იყო ამაზე? ბობლიაშვილი დამეთანხმა, მაგრამ შემომთავაზა შეგვექმნა სრულიად დამოუკიდებელი ორგანიზაცია, რომელიც არ იქნებოდა დაკავშირებული ჯოგლიძის და იმერლიშვილის არალეგალურ ორგანიზაციასთან.

/ იხ. საერთო საქმის პაკეტი /

7 / X-42წ-ის დაკითხვაზე ბრალდებულმა ა.გ. ჭელიძემ ჩვენებაში თქვა, რომ ანტისაბჭოთა არალეგალურ მუშაობაში 1941 წლის ბოლოს მისი ძმის მეგობარმა გიორგი ქადაგიძემ ჩაითრია. ის იყო პირველი ორგანიზებული შეკრების მონაწილე, რომელიც გაიმართა გიორგი ქადაგიძის ბინაში და იქ იყვნენ ადამ ბობლიაშვილი სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტი, გიორგი ჭიაბრიშვილი-თელავის რაიონში ერთერთი სკოლის დირექტორი და ლადო ბელიაური მწერალი.

ჭიაბრიშვილის წინადადებით შედგა არალეგალური ორგანიზაციის კომიტეტი ხუთი წევრისაგან. არ იმყოფებოდა ერთი წევრი მეტსახელად „ფანცალა“, ხოლო კომიტეტის ხელმძღვანელად არჩეულ იქნა გიორგი ქადაგიძე.

ჭელიძის ჩვენების თანახმად, მეორე არალეგალური შეკრება დაახლოებით ერთი კვირის შემდეგ შედგა ადამ ბობლიაშვილის სახლში, სადაც განაწილდნენ აღმოსავლეთ საქართველოს რაიონებში კომიტეტის წევრები რევოლუციური მუშაობის დასაწყებად. კერძოდ, ჭელიძემ ჩვენებისას თქვა: „შეხვედრას ხელმძღვანელობდა ქადაგიძე და მისი შეთავაზების თანახმად რაიონები კომიტეტის წევრებს შორის ასე გადანაწილდა: გიორგი ჭიაბრიშვილი - თელავის რაიონი, ლადო ბალიაური ფშავ-ხევსურეთი, ჭელიძე - დუშეთის რაიონი, ქადაგიძე და ბობლიაშვილი - თუშეთი.

თითოეულ ჩვენგანს ხალხი უნდა შეგვეჩრია და გადმოგვებირებინა არალეგალურ ორგანიზაციაში, მაგრამ კოსპირაციისათვის ახალ გადმობირებულებისათვის არ უნდა გვესაუბრა კომიტეტის არსებობასა და მის შემადგენლობაზე“.

/ იხ. საერთო საქმის პაკეტი /

1942 წლის 18 ოქტომბერს დაკითხვისას ჭელიძემ ჩვენება მისცა, რომ ორგანიზაციის ხელმძღვანელის ქადაგიძის დაპატიმრების შემდეგ კომიტეტის წევრები სხვადასხვა ადგილას გადავიდნენ და იგი მათ აღარ შეხვედრია. მან ჩვენება მისცა: „გიორგი ქადაგიძის დაპატიმრებასთან დაკავშირებით თბილისში, კომიტეტის წევრებს ჩემს, ბალიაურსა და ბობლიაშვილს შორის გაჩნდა კითხვა: რა უნდა გავაკეთოთ, რადგან ჩვენ ვვარაუდობდით, რომ ჩვენც დაგვაპატიმრებდნენ, როგორც ქადაგიძის მეგობრებს, არალეგალური საქმიანობისთვის. დაპატიმრების თავიდან ასაცილებლად გადავედით არალეგალურ მდგომარეობაში. ბობლიაშვილმა მტკიცედ გადაწყვიტა დაეტოვებინა თბილისი და წასულიყო თავის სოფელში. ქადაგიძის დაკავების მეორე დღესვე წავიდა თელავის რაიონში, სოფელ ალვანში.

ბობლიაშვილი შეგვპირდა, რომ შეგვატყობინებდა ტელეგრაფით, თუ რა მდგომარეობა იყო თელავის რაიონში. შესაძლებელი იქნებოდა თუ არა ჩემი და ბალიაურის ჩასვლა.

ბობლიაშვილის გამგზავრების მერე ის აღარ გვინახავს და არანაირი კავშირი არ გვექონია.

/ იხ. დაკითხვა დეტ. პაკეტი./

დაკითხვაზე 24 / XI-1942 წლის ბრალდებული ელიზბარ გაბრიელის ძე აბაშიძემ მისცა ჩვენება, რომ 1942 წლის ზაფხულში თანასოფელელმა დიმიტრი უჭარაულმა აცნობა მას, რომ

სოფელ ზემო ალვანის ახლოს ტყეში იმალებიან სოფლის მოსახლეობა იმედიძე, ადამ ბობლიაშვილი და ფაცო ვეშაგურიძე, რომლებიც არალეგალურად იმყოფებოდნენ. ის პირადად ტყეში შეხვდა 10-15 დღის მერე იმედიძეს და ბობლიაშვილს, რომლებმაც უთხრეს, რომ მათ თბილისში აქვთ კონტრევოლუციური ჯგუფი, ამ ჯგუფის ლიდერები დააპატიმრეს, რის გამოც ისინი იძულებული გახდნენ დაეტოვებინათ თბილისი და წასულიყვნენ არალეგალურ მდგომარეობაში, რომ ისინი თელავის რაიონში იყვნენ ჩასულები იმისათვის, რომ შეექმნათ საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ მიმართული კონტრევოლუციური ორგანიზაცია.

ბობლიაშვილმა და იმედიძემ დაავალეს მას თბილისში წასულიყო კონტრევოლუციური ორგანიზაციის წევრ ალექსანდრე ჭელიძესთან და გაეგო, რას აკეთებენ კონტრევოლუციური ორგანიზაციის წევრები ორგანიზაციის ხელმძღვანელის გიორგი ქადაგიძის დაპატიმრების შემდეგ. არის თუ არა ნაპოვნი სტამბა და არის თუ არა მისი გამოყენების შესაძლებლობა. იგი წავიდა თბილისში ვერ იპოვა ჭელიძე. დაბრუნდა სოფელში მოახსენა ბობლიაშვილს და იმედიძეს, რომ მან ვერ შეძლო დავალების შესრულება.

მისი ძმის შეთავაზებით აბაშო აბაშიძემ, ბობლიაშვილმა და იმედიძემ გადაწყვიტეს თუშეთში გადასასვლელად მთიანი საძოვრების ბილიკებით წასვლა. მას და მემამოხე ბანდის სხვა წევრებს გადასცეს თელავის რაიონული აღმასკომში - ციხისთავი.

/ ტომი 5. ფ. 24-35 /

26/XI-1942 წლის დაკითხვაზე ბრალდებულმა ე. აბაშიძემ ჩვენებაში თქვა, რომ კონტრევოლუციური ორგანიზაციის ლიდერები სოფელში იყვნენ ადამ იასონის ძე ბობლიაშვილი და მიხეილ ივანეს ძე იმედიძე. ჩამოთვალა გადაბირებული 18 ადამიანი, რომელთა შორის დაასახელა თავისი ძმა, აბაშო გაბრიელის ძე აბაშიძე, გიორგი ალექსანდრეს ძე ვეშაგურიძე, ბაგრატ პავლეს ძე თავბერიძე, ივანე დავითის ძე მაჩაბლიშვილი, გოგალე მინდაძე, აბრამ თევდორეს ძე ბობლიაშვილი და სხვები.

/ ტომი 1. ფ. 38-43 /

საქმეში დაკითხეს 3/V-1942წ, ბრალდებული აბრამ თევდორეს ძე ბობლიაშვილი. დაკითხვაზე მან თქვა, რომ 1942 წლის ივლისში მან მიატოვა მთებში განლაგებული სამხედრო ნაწილი ახალქალაქში და სოფელ ზემო ალვანში გადასული ტყეში დაიმალა. ამ ტყეში იგი შეხვდა თავის ბიძაშვილს ადამ ბობლიაშვილს, რომელმაც შეიტყო, რომ საბჭოთა არმიის დეზერტირი იყო იგი. განუცხადა, რომ ის პირადად აგროვებს ასეთ ადამიანებს, რათა ებრძოლოს საბჭოთა ხელისუფლებას. ბევრი დეზერტირი და ანტისაბჭოთა განწყობილების ხალხი შეიკრიბნენ ადამ ბობლიაშვილის გარშემო, ჩამოყალიბდა კონტრევოლუციური ამბოხებულთა ჯგუფი ... შემდგომ აბრამ თევდორეს ძე ბობლიაშვილმა ჩვენებაში თქვა: "...როდესაც ყველა შეიკრიბა ადამ ბობლიაშვილმა დაიწყო ლაპარაკი იმაზე, თუ როგორ უნდა ებრძოლოთ საბჭოთა კავშირის ხელისუფლებას. ასევე აღნიშნა, რომ ჩვენს ხალხს აუცილებლად იარაღი და პისტოლეტები უნდა ჰქონდეს. ჩვენი ორგანიზაციის წევრთა სასურსათით მომარაგება დაევალა „HKBD“-ს სახელობის კოლმეურნეობის ბუღალტერს, ჩვენი ორგანიზაციის წევრს ელიზბარ აბაშიძეს.

იმისათვის, რომ ანტისაბჭოთა ბუკლეტები მოსახლეობაში გავრცელებულიყო, ადამ ბობლიაშვილმა საჭიროდ ჩათვალა, რომ საბეჭდი მანქანა უნდა შეეძინათ ქართული შრიფტით. გიგო ქააძემ თქვა, რომ მანქანა შეიძლება მოეპარათ თელავის რაიონულ განყოფილებაში, მაგრამ ტიმოთე ლაღაძე, რომელსაც ავალეზდნენ ამ საქმეს, არ დათანხმდა და თქვა, რომ ამ მოქმედებით ჩვენ უფრო სწრაფად გავთქვამთ თავსო. შემდეგ ბობლიაშვილმა განაცხადა, რომ ჩვენს ორგანიზაციას უნდა დაერქვას სახელიო და მანვე შესთავაზა მოკლე დასახელება „სამანი“, რაც გულისხმობდა: „ახალგაზრდა მებრძოლი ნაციონალები, საქართველოს აყვავებისათვის“.

ადამ ბობლიაშვილმა გვითხრა, რომ ქალაქ თბილისში იყო კონტრრევოლუციური ორგანიზაცია, ამავე სახელწოდებით, მაგრამ ამ ორგანიზაციის ზოგიერთი წევრი დააპატიმრეს, ამიტომ ის არალეგალურად არსებობს. ბობლიაშვილმა ასევე თქვა, რომ ჩვენი ორგანიზაციის ამოცანაა თელავის რაიონში მოსახლეობის გააქტიურება საბჭოთა კავშირის დასასუსტებულად ისე, რომ მას აღარ შეეძლოს წინააღმდეგობა გაუწიოს ფაშისტურ ჯარებს. საქართველო მალე დაიპყრობენ და სახელმწიფო ძალაუფლებას ჩვენ ჩავიგდებთ.

იარაღის შეძენასთან დაკავშირებით ბობლიაშვილმა გვითხრა, რომ ჩვენ შეიარაღებული თავდასხმებით წითელარმიელები უნდა დავხოცოთ და ავიღოთ მათი იარაღი.

/ ტომი II. 18-24 /

აბრამ ბობლიაშვილმა ჩვენებაში თქვა, რომ შვედრებაზე აირჩიეს 3 ხელმძღვანელი. ორგანიზაციის დავალებით ისინი კოლექტიური მეურნეობის საწყობების, მწყემსების და მოქალაქეების მარცვით იყვნენ დაკავებული. ბობლიაშვილი უარყოფს მონაწილეობას წითელი არმიის თავდასხმაზე.

/ ტომი 2.გ. 25-30 /

ელიზბარ გაბრიელის ძე აბაშიძის და აბრამ ბობლიაშვილის ჩვენებები დაადასტურეს ბრალდებულმა გოგალე მიხეილის ძე მინდაძემ, აბაშო გაბრიელის ძე აბაშიძემ და სხვებმა, რომლებიც ამ საქმეზე იყვნენ დაკითხულები.

/ ტომი I. გ. 16-23, 36-37 /

კონტრრევოლუციონერი მეამბოხეების ბანდის წევრების მიერ თავდასხმის ფაქტი, რომელსაც ხელმძღვანელობდა ადამ ბობლიაშვილი და მიხეილ იმედიძე თელავის რაიონული აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარის ციხისთავის მკვლელობის მიზნით დაადასტურა ციხისთავის ავტომობილის მძღოლმა კავშიშვილმა და მსჯავრდებულებმა გ.ა. ვეშაგურიძემ, ი.დ. მაჩაბლიშვილმა, ე.აბაშიძემ, აბაშო აბაშიძემ და სხვებმა.

/ ტომი I, გ 45-48, ტომი II 2-16, 82-87, 159-164 /

ამრიგად, ადამ იასონის ძე ბობლიაშვილი და მიხეილ იავანეს ძე იმედიძე, იყვნენ კონტრრევოლუციური მეამბოხე ტერორისტული ორგანიზაციის წევრები და იმყოფებოდნენ არალეგალურ მდგომარეობაში. ფრონტი, რომ საქართველოს სსრ-ს ტერიტორიას უახლოვდებოდა, სწორედ მაშინ დაიწყო აქტიური მუშაობა საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ შეიარაღებულმა ბანდამ, რომელიც 1942 წელს წითელი არმიის რიგების დეზერტირებისგან იყო შემდგარი. შეიარაღებულ ბანდას წინასწარ ჰქონდა დაგეგმილი თავდასხმა თელავის რაიონის აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარეზე ციხისთავზე, რომელსაც თავს დაესხნენ. მოკლეს კომუნისტური პარტიის ბოლშევიკი(БКП/б/) აქტიური წევრი აბესალა იმანოვა და კოლმეურენეობის საწყობები გაქურდეს. საქმის მასალებმა დაადასტურა, რომ არ არსებობდა საფუძველი ამიერკავსაკიის სამხედრო ტრიბუნალს შეეცვალა 1943 წლის 12 იანვარს გამოტანილი განაჩენი, რომლის მიხედვით ადამ იასონის ძე ბობლიაშვილს დაუსწრებლად მიესაჯა სასჯელის უმაღლესი ზომა-დახვრეტა, რასაც ითხოვს მსჯავრდებულის დედა. მოქალაქე მარიამ მიხეილის ასული ბობლიაშვილი თავის საჩივარში -ზემოაღნიშნულის საფუძველზე მოთხოვნა არ დაკმაყოფილდეს. ამიერკავსაკიის სამხედრო-პროკურორის თანაშემწე, იუსტიციის პოლკოვნიკი / ტ. მეზურნიშვილი /“.

შინაგან საქმეთა სამინისტროს არქივში დაცული დოკუმენტის მიხედვით, ადამ ბობღიაშვილს დაუსწრებლად გამოუტანეს სასჯელის უმაღლესი ზომა დახვეწა, მაგრამ იგი მიმალვაში იყო. რევაზ კვერენჩილაძის ნაშრომის „წამების გზის“ მიხედვით, როცა დაჭერა შეძლეს, ადამ ბობღიაშვილს თავი მოკვეთეს და 1943 წლის 18 მარტს, მოკლულთა თავები ურმით სოფლებში ჩამოუტარებიათ ხალხის დასანახად თუ დასაშინებლად.

საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ „სამანელები“ იბრძოდნენ თბილისში და თუშეთში, სადაც ფართოდ გაიშალა მათი მოძრაობა. ადამ ბობღიაშვილის და მისი მეგობრების მიზანი საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამხობა იყო. ძირითადი მიზანი საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენა იყო. საბჭოთა ხელისუფლებამ ეროვნული მოძრაობა დიდი სისატიკით ჩაახშო. სამწუხაროა, როცა საბჭოთა ისტორიოგრაფიაში ხალხის მტრების სახელით სწორედ ის ადამიანები არიან მოხსენებულნი, ვინც საკუთარი სამშობლოსათვის იბრძოდა.

დამოწმებული ლიტერატურა:

ა) წყაროები

საარქივო დოკუმენტები და მასალები

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს არქივი, ფონდი 6, საარქივო საქმე №421927, ტომი I, ფურცელი 54;

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს არქივი, ფონდი 6, საარქივო საქმე №421917, ტომი II, ფურც. 361-367.

ბ) მემუარები

თინათინ თუმშალიშვილი და ლევან კვაჭაძე. 1942 წლის შეთქმულთა მოსაგონრად. ჟურნალი „ჩვენი მწერლობა“, №29, 9 ნოემბერი, 2007.

გ) ლიტერატურა

დავით იუკურიძე. *თუშთა შეთქმულება*. თბილისი, 1997;

კვერენჩილაძე 1999, 2005, 2007, 2011, 2017: კვერენჩილაძე, რევაზ (1999, 2005, 2007, 2011, 2017) საბუთები ღაღადებენ. თბილისი: გამომცემლობა „უნივერსალი“; წამების გზა, თბილისი, გამომცემლობა „უნივერსალი“;

როსტომ ჩხეიძე. დაწყევლილი თაობა; თბილისი: გამომცემლობა „ნაკადული“, 1992.

Nata Tetvadze

Student of PhD Programme History of Georgia

From the history of the 1942 conspiracy (Adam Bobghiasvili)

Summary

After the conquest of Georgia by Soviet Russia in 1921, a large part of the Georgian population, who had a patriotic disposition, could not get used to the Soviet government.

In the 40s of the XX century, when the war between Russia and Germany

was raging, the Georgian population hoped that Georgia's independence would be restored after Germany's victory.

In the early years of the war illegal anti-Soviet groups emerged called "Samani" that meant "The Youth National Socialist Organization fighting for Georgia". The organization relied its hopes on victory of Germany. One of the leaders of this organization in Tusheti was Adam Bobghiasvili, who was trying to fill the ranks of "Samani" with his comrades and deserters from the Red Army.

Patriotic Georgians sacrificed their lives to liberate Georgia from Soviet rule and restore their independence.

კავკასიის სახელმწიფოთა ჩაშლილი კონფერენცია (1918 წ.)

შესავალი

1918 წლის გაზაფხულზე განსაკუთრებული პროცესები განვითარდა კავკასიის ერების ცხოვრებაში, რომლებიც საუკუნეზე მეტი ხანის მანძილზე დამოუკიდებლობა დაკარგულები რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში არსებობდნენ. პირველი მსოფლიო ომის მიწურულს მათ შეძლეს მეტროპოლიიდან გამოყოფა და ეროვნული სახელმწიფოებრიობის აღდგენა.

მას შემდეგ, რაც 1917 წლის თებერვალ-მარტის რევოლუციის შედეგად რუსეთის იმპერიამ თავისი უმთავრესი სიმბოლო, იმპერატორი დაკარგა დაიწყო ძირეული და მანამდე არარსებული ვითარება რუსეთის სახელმწიფოში. ქვეყანა იმპერიად არსებობდა ბოლო ორასი წლის მანძილზე, რომელიც იმართებოდა აბსოლუტური და საყოველთაო ცენტრალური მმართველობით, სადაც მხოლოდ ერთი პერსონა იყო მნიშვნელოვანი და ყველა გადაწყვეტილების მიმღები. იმპერია, რომელიც ევროპის ტერიტორიაზე ყველაზე ვრცელი და ვერტიკალურად მართული იყო 1917 წლის თებერვალ-მარტის რევოლუციის შემდეგ სახელისუფლებო კრიზისში აღმოჩნდა.

იმპერატორ ნიკოლოზ II-ის მიერ ტახტზე უარის თქმის შემდეგ რუსეთში არსებულმა პარტიებმა, რომლებიც უმეტესად სოციალისტური მრწამსის იყვნენ გადაწყვიტეს მმართველობის დემოკრატიული მოდელის დანერგვა და რუსეთის აბსოლუტიზმის ნგრევა. დროებითი ხელისუფლება, რომელიც რუსეთში მოვიდა ცდილობდა იმპერიის მოდერნიზებას და მის ევროპულ, ზომიერ დემოკრატიულ ქვეყნად გარდაქმნას, თუმცა ეს შეუძლებელი აღმოჩნდა პირველი მსოფლიო ომის მიმდინარეობისა, ეკონომიკური და სოციალური სირთულეების გამო. ამგვარმა ვითარებამ მოამზადა ნიადაგი რადიკალური და რევოლუციური მიზნების მქონე პარტიის გაბატონებისთვის.

1917 წლის ოქტომბერ-ნოემბრის გადატრიალების გზით რუსეთში ძალაუფლება კომუნისტურმა პარტიამ (ბოლშევიკები) აიღო ხელში, რომელიც ომიდან გასვლას და მშვიდობას პირდებოდა მოსახლეობას. ბოლშევიკების ძალაუფლების მიტაცება რუსეთის იმპერიის ტერიტორიაზე ბევრმა ადმინისტრაციულმა ერთეულმა არ სცნო, მათ შორის კავკასიამაც, რომელმაც სრულებით გაწყვიტა კავშირი პეტერბურგთან.

კავკასია, რომელიც არ იყო ბოლშევიკური იდეოლოგიით მოწამლული გამოეყო რუსეთის დანარჩენ ტერიტორიას და შექმნა საკუთარი ადგილობრივი კავშირი „ამიერკავკასიის კომისარიატი“, რომელიც წარმოადგენდა კავკასიის ერთა პირველ ადმინისტრაციულ-პოლიტიკურ გაერთიანებას, რომლის მიზანიც იყო რეგიონში სიმშვიდის და ეკონომიკური სტაბილურობის შენარჩუნებას.

კომისარიატი დაკომპლექტდა ქართველი, აზერბაიჯანელი და სომეხი პარტიული პირებისგან, რომელთა ნაწილი იყო არჩეული დეპუტატები არშემდგარი საერთო რუსეთის დამფუძნებელი კრებისა, რომელიც ბოლშევიკების მიერ იქნა ძალით დაშლილი. კავკასიის არჩეული დეპუტატები ამ რეგიონის მოსახლეობის მანდატებით სარგებლობდნენ, რაც მათ მიერ შექმნილ ამიერკავკასიის კომისარიატს გარკვეულ ლეგიტიმურობას მატებდა.

დეპუტატთა შორისაც ქართველი სოციალისტი (მენშევიკი) დეპუტატები მეტი ავტორიტეტითა და გავლენით სარგებლობდნენ, რაც აისახა კომისარიატის თავჯდომარის სკამის ევგენი გეგეჭკორის დაკავებით, რომელსაც ზურგს უმაგრებდა ასევე ქართველი

მენშევიკი აკაკი ჩხენკელი, რომელიც შინაგან საქმეთა მინისტრად იქნა დანიშნული და ასევე ქართველი შალვა ალექსიშვილი, რომელი იუსტიციის მინისტრი გახდა.

კომისარიატის არსებობათან ერთად საჭირო იყო საკანონმდებლო პალატის შედგენა, რომელიც დაკომპლექტდა ასევე კავკასიის ერებისგან, რომლის თავჯდომარე ქართველი მენშევიკი ნიკოლოზ (კარლო) ჩხეიძე გახდა, საკანონმდებლო პალატა, რომელსაც „ამიერკავკასიის სეიმი“ ეწოდა და 1918 წლის 10 (23) თებერვალს იქნა მოწვეული.

ბოლშევიკების დაპირება ომის დასრულების თაობაზე მართლაც სიმართლე აღმოჩნდა და 1918 წლის 3 მარტს ბრესტ-ლიტოვსკში ხელი მოეწერა რუსეთის ომიდან გასვლისა და გერმანიისა და მისი მოკავშირეებისათვის ტერიტორიების გადაცემის დოკუმენტს. ხელშეკრულება კავკასიასაც მოიცავდა, რაც ოსმალეთის იმპერიისთვის ამ რეგიონის ნაწილის მიკუთვნებას გულისხმობდა.

ამ ვითარებამ კავკასიის ერები მიიყვანა გადაწყვეტილებამდე შეექმნათ კონფედერაციული კავშირი, რათა ერთიანი ძალებით მომხდარიყო ოსმალური აგრესიის შეჩერება. 1918 წლის 22 მაისს შეიქმენა „ამიერკავკასიის დემოკრატიული ფედერაციული რესპუბლიკა“ დედაქალაქით თბილისი. ისევე, როგორც ამიერკავკასიის კომისარიატის შემთხვევაში სამთავრობო პოსტები გადანაწილდა კავკასიის ერების წარმომადგენლებზე, ხოლო თავჯდომარის პოსტი აკაკი ჩხენკელმა დაიკავა.

მიუხედავად გაერთიანებისა არსებობდა აზრთა სხვადასხვაობა ერებს შორის, კერძოდ მათი საგარეო ორიენტაცია, რომელიც არ ემთხვეოდა არცერთ მხარეს, ასე მაგალითად საქართველო პროგერმანულ, სომეხთი პრობრიტანულ ხოლო აზერბაიჯანი პროოსმალურ პოზიციაზე იდგნენ და შეუძლებელი აღმოჩნდა ამ და სხვა ფაქტორების გამო გაერთიანების შენარჩუნება.

ამიერკავკასიის დემოკრატიული ფედერაციული რესპუბლიკა უდღეული კავშირი აღმოჩნდა, რადგან მან მხოლოდ თვე და ოთხი დღე იარსება, რადგან ჯერ 1918 წლის 26 მაისს საქართველომ და 28 მაისს სომხეთმა და აზერბაიჯანმა დამოუკიდებელ რესპუბლიკებად გამოაცხადეს თავი და საკუთარი გზით იწყეს სვლა.

ამგვარი იყო კავკასიაში ვითარება 1918 წლისთვის, რომელიც მეტად არასტაბილური და საშიში იყო ახალშექმნილი მცირე რესპუბლიკებისთვის, მათ უწევდათ განვითარებისთვის და კეთილდღეობისთვის ბრძოლა იარაღით ბრძოლასთან ერთად, რაც ნამდვილად დიდი ტვირთი იყო ყველა კავკასიური რესპუბლიკისთვის.

კავკასიის სახელმწიფოთა ჩაშლილი კონფერენცია (1918 წ.)

1918 წლის 26 მაისს თბილისში, ჯერ კიდევ ამიერკავკასიის დემოკრატიული ფედერაციული რესპუბლიკის დედაქალაქში, გოლოვინის ქუჩაზე არსებული ყოფილი მეფისნაცვლის სასახლეში, გამოცხადდა საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენა. იმავე შენობაში ორი დღის შემდეგ, 28 მაისს მიღებულ იქნა სომხეთისა და აზერბაიჯანის სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის აქტები.

მართალია, საქართველოს გერმანია ჰყავდა მოკავშირედ, მაგრამ არავინ იცოდა მსოფლიო ომი რა შედეგით დამთავრდებოდა. შესაბამისად, ქართველმა პოლიტიკოსებმა ომში გერმანიის შესაძლო მარცხის ნეგატიურ შედეგებზე დაიწყეს ფიქრი. ანტანტის სახელმწიფოების გამარჯვების შემთხვევაში შესაძლებელი იყო საქართველო დაესაჯათ, როგორც პროგერმანული ორიენტაციის სახელმწიფო. 1918 წლის ოქტომბრისთვის უკვე ნათელი იყო გერმანიის წარუმატებლობის გარდაუვალობა და ქართველმა პოლიტიკურმა ლიდერებმა და დიპლომატებმა ახალი მოკავშირის ძიება დაიწყეს.

საქართველოს, სომხეთსა და აზერბაიჯანს განსხვავებული საგარეო პოლიტიკური ორიენტაცია ჰქონდათ (ამან განაპირობა სწორედ ამიერკავკასიის ფედერაციის დაშლა).

სომხეთი ანტანტის სახელმწიფოებს უჭერდა მხარს, ხოლო აზერბაიჯანი ოსმალურ ორიენტაციაზე იდგა, თუმცა ანტანტის სახელმწიფოებთან თანამშრომლობდა, რაც გამოვლინდა ქ. ბაქოს 26 კომისიის დიქტატურისგან განთავისუფლებისას, როდესაც აზერბაიჯანელებს ბრიტანული ნაწილები ედგნენ მხარში.

ასეთი იყო ვითარება 1918 წლის ოქტომბრისთვის, როდესაც ქართულმა მხარემ აზერბაიჯანის, სომხეთისა და ჩრდილოკავკასიის მთიელთა რესპუბლიკის სახელმწიფოებს კონფერენციის მოწვევა შესთავაზა. მას უნდა გადაეწყვიტა ყველა სადავო საკითხი და მოემზადებინა რეგიონის სახელმწიფოები მომავალი საზავო მოლაპარაკებებისთვის, რათა ერთიანი ფრონტით წარმდგარიყვნენ მსოფლიო დიპლომატიის წინაშე.

კონფერენციის თარიღად 1918 წლის 10 ნოემბერი შეირჩა. კონფერენცია ქალაქ თბილისში უნდა ჩატარებულიყო. სამივე მეზობელ სახელმწიფოს ეცნობა ამის შესახებ. „დიადი და ღირსშესანიშნავია ამ მხრივ საქართველოს მთავრობის ნაბიჯი. დიადი და გადაწყვეტა ამ მხრივ საქართველოს მთავრობის ნაბიჯი, ნაბიჯი, რომელსაც ესმის მომენტი, მისი მოთხოვნილება და რომელიც მიმართულია, მაშასადამე, შეერთება-სოლიდარობისკენ. საქართველოს მთავრობა მიმართავს სომხეთს, ადერბაიჯანს, ჩრდილოეთ კავკასიის მთიელთა მთავრობების კავშირს, - წინადადებით 10 ნოემბერს მოხდეს კონფერენცია ტფილისში“¹ - წერდა გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“.

კონფერენციის დღის წესრიგში იდგა შემდეგი საკითხები:

- „1. კონფერენციაზე მოწვეულ მთავრობების მიერ ურთიერთი დამოკიდებულობის აღიარება.
2. ყველა სადავო საკითხის გადაწყვეტა, მათ შორის დაინტერესებულ სახელმწიფოთა საზღვრების შესახებ შეთანხმება და, თუ ასეთი არ მოხდა, არბიტრაჟის საშუალებით მისი გადაწყვეტა.
3. ურთიერთშორისი ვალდებულება, არ შევიდეს რომელიმე სახელმწიფოსათა რაიმე შეთანხმებაში, რომელიც კონფერენციაზე მონაწილე ხალხს რაიმე ზიანს მიაყენებს, და
4. ერთი მეორე მხარის დაჭერთ, სოლიდარული გამოსვლა საერთაშორისო კონგრესზე იმ მიზნით, რომ აღიარონ რესპუბლიკების დამოუკიდებლობა და დაცულ იქნეს საერთო ინტერესები“².

საქართველოს მხრიდან კონფერენციაში მონაწილეობის რწმუნება მიეცა შინაგან საქმეთა მინისტრ ნოე რამიშვილსა და საგარეო საქმეთა მინისტრ ევგენი გეგეჭკორს³.

აზერბაიჯანის სახელმწიფოს დელეგატებს წარმოადგენდნენ მუჰამედ ჯაფაროვი და მუსტაფა ვეჟილოვი, ხოლო ჩრდილოეთ კავკასიის მთიელთა რესპუბლიკის რწმუნებულებს ფშემახო კოცევი და ვასან ჯაბაჰი წარმოადგენდნენ⁴.

ქართველი პოლიტიკოსების შეთავაზება მიიღეს და კონფერენციაში მონაწილეობის სურვილი გამოთქვეს აზერბაიჯანისა და ჩრდილოეთ კავკასიის მთიელთა სახელმწიფოების ხელმძღვანელებმა. რაც შეეხება სომხურ მხარეს, მათ კონფერენციაში მონაწილეობის სურვილი არ გამოუთქვამთ და არც უპასუხიათ ოფიციალურად ქართული მხარის შეთავაზებაზე.

¹ გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“, N79, 1918, გვ. 2.

² გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“, N79, 1918, გვ. 2.

³ გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“, N90, 1918, გვ. 2.

⁴ A. Andersen and G. Partskhaladze. *Armeno-Georgian War of 1918 and Armeno-Georgian Territorial Issue in the 20th Century*. 2015. p.24.

https://www.academia.edu/10176756/Armeno-Georgian_War_of_1918_and_Armeno-Georgian_Territorial_Issue_in_the_20th_Century.

10 ნოემბერს თბილისში მუშაობას შეუდგა კონფერენცია, თუმცა სომხური მხარის კონფერენციაზე გამოუცხადებლობის გამო, კონფერენცია გადაიდო 14 ნოემბრისთვის.

სომხური მხარის ამგვარი პოზიცია განპირობებული იყო შემდეგი გარემოებით: მათ სურდათ კავკასიელ ერთა კონფერენციის მოწვევამდე შექმნილიყო სომხურ-ქართული კომისია, რომელიც განიხილავდა სასაზღვრო საკითხს ორ სახელმწიფოს შორის და სომხური დიასპორის ბედს ბაკურიანსა და ახალქალაქში.

სომხეთ-საქართველოს სახელმწიფო საზღვრის საკითხი, მას შემდეგ გახდა პრობლემური, რაც ოსმალეთის ჯარების ჯავახეთიდან გასვლის შემდეგ, ლორესა და ბორჩალოს ტერიტორია ქართულმა ჯარებმა დაიკავეს. ქართველი პოლიტიკოსები ამ ქმედებას ხსნიდნენ იმით, რომ ეს ტერიტორიები ისტორიულად საქართველოს შემადგენლობაში იყო. ამ არგუმენტს სომხური მხარე არ იზიარებდა და ერთა თვითგამორკვევის პრინციპით ხელმძღვანელობდა, შესაბამისად, მათი აზრით, ეს ტერიტორია სომხეთს უნდა მიკუთვნებოდა.

სომხური პარტია „დამნაცვიუთუნის“ რადიკალური ფრთა მიიჩნევდა, რომ ბაკურიანსა და ახალქალაქში მყოფი დევნილი სომხური მოსახლეობა თითქოს ფიზიკური განადგურების ქვეშ იმყოფებოდა და ამაში საქართველოს მთავრობას ადანაშაულებდა. სინამდვილეში დევნილი სომხური მოსახლეობა ოსმალეთის იმპერიის ჯარებს გამოექცა და თავი შეაფარა საქართველოს. გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკა“-ში დაიბეჭდა დამნაცთა მოწოდება არ დამორჩილებოდნენ საქართველოს მთავრობას და დაეწყათ აჯანყება. „დამნაცთა ორგანოს „ორიზონის“ სიტყვით: ენვერ-ფაშა სპობს სომხის ხალხს ოსმალეთში, ხან ხოელი-ამავე დანაშაულობას სჩადის ადერბაიჯანში და ნ. ჟორდანიას მთავრობა დემოკრატიულ საქართველოში. სომხის მთავრობა, მთელ საქართველოს სომხების მოსახლეობა, ყველა ორანიზაციები ტფილისში და ყველა მოქალაქე სომეხი არ უნდა დაერიდოს არავითად მსხვერპს და უნდა ძალა დაატანოს საქართველოს მთავრობას, რომ შესწყვიტოს სომხის ხალხის მოსპობა“⁵.

როგორც აღვნიშნეთ, სომხური მხარე კავკასიის ერთა კონფერენციაში მონაწილეობას შესაძლებლად თვლიდა მას შემდეგ, რაც მოგვარდებოდა ორ სახელმწიფოს შორის ზემოთ დასახელებული საკითხები. ქართული მხარე მოუწოდებდა სომხეთს, მიეღო მონაწილეობა კონფერენციაში, სადაც ყველა საკითხი არბიტრაჟის წესით გადაწყდებოდა. სომხურმა მხარემ კონფერენციაში მონაწილეობა არც 14 ნოემბერს არ მიიღო. „14 ნოემბერს, ბ. ე. პ. გეგეჭკორის თავჯდომარეობით მეორეთ შესდგა კრება კავკასიის ერების წარმომადგენერთა. კრებაზე მხედველობაში მიიღეს სომხეთის წარმომადგენელთა გამოუცხადებლობა. დაადგინეს ამიერ-კავკასიის ერთა კონფერენცია გაიხსნას 20 ნოემბერს იმ შემთხვევაშიაც კი, თუ სომხეთის წარმომადგენლები არ გამოცხადნენ“⁶.

სომხურმა მხარემ მონაწილეობა კონფერენციის არც 20 ნოემბრის სხდომაში არ მიიღო. საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრი ევგენი გეგეჭკორი მის სომეხ კოლეგას ტიგრანიანს დაუკავშირდა. სომხების ულტიმატუმი უცვლელი იყო - მანამდე უნდა გამართულიყო ორ სახელმწიფოს შორის მოლაპარაკება.

ევგენი გეგეჭკორი სომხურ მხარეს ადანაშაულებდა იმაში, რომ ჭიანჭურდებოდა ორმხრივი შეხვედრები არსებული პრობლემების გადასაჭრელად. „ჩემი მთავრობა სცდილობდა, რომ ყველა სადაო საკითხები შეთანხმებით გადაწყვეტილიყო. ის იწვევდა სომხეთის წარმომადგენლებს ამიერ კავკასიის კონფერენციაზე. როცა ეს შეუძლებელი შეიქმნა, საქართველოს მთავრობამ შეატყობინა სომხეთის მთავრობას, რომ ჩვენ თანახმა ვართ ვაწარმოვოთ წინასწარი მოლაპარაკება სომხეთის წარმომადგენლებთან ყველა

⁵ გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“, N88, 1918, გვ. 1-2.

⁶ გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“, N95, 1918, გვ. 2.

სადაო საკითხების შესახებ. დათუ ჩვენი დელეგატები ამდენხანს ერთმანეთს არ შეხვდნენ, ამაში საქართველოს მთავრობა დამნაშავე არ არის⁷ - აცხადებდა ევგენი გეგეჭკორი.

სომხეთის მთავრობა ერთის მხრივ ქართულ-სომხური მოლაპარაკების მომხრე იყო, მეორეს მხრივ კი გაურბოდა ამ მოლაპარაკებას. მკვლევარი ფ. ქაზეშაძე ნაშრომში „ბრძოლა ამიერკავკასიისთვის 1917-1921“ აცხადებს: „მათი შეურიგებლობის მეორე მიზეზი დაბეჯითებული რწმენა იყო, რომ როცა მოკავშირეები ამიერკავკასიაში შემოვიდოდნენ, სომხეთის მხარეს დაიჭერდნენ, და არა საქართველოსას და აზერბაიჯანისას. განა სომხეთმა მეფის რუსეთს, ინგლისს, საფრანგეთს და შეერთებულ შტატებს არ უერთგულა? განა თურქების წინააღმდეგ სომხებმა არ იომეს და გერმანელებს არ ეურჩებოდნენ, სანამ აზერბაიჯანი და საქართველო მათ წინაშე იყვნენ გართხმულები? განა მათ ბრიტანულმა თემთა პალატამ, ამერიკის კონგრესმა და საფრანგეთის დეპუტატთა პალატამ არ აღუთქვა, რომ სომეხთა მიმართ ჩადენილი უსამართლობა გამოსწორდება? სომხებს ეგონათ, რომ ბოლოს და ბოლოს, დადგა დრო, როცა მათი ქვეყანა ასობით ათასი დაღუპულის, გადატანილი უბედურებების და ტანჯვა-წამების გამო სრულად მიიღებდნენ კომპენსაციას“⁸.

სომხურმა მხარემ მოლაპარაკებებს თავი აარიდა. 1918 წლის 5 დეკემბერს კი სომხეთის შეიარაღებულმა ძალებმა, ომის გამოცხადების გარეშე, გადმოლახეს საქართველოს სახელმწიფო საზღვრები. Согласно плану военного командования Армении, в декабре армянские вооруженные банды совместно с армянскими регулярными войсками приступили к уничтожению грузинских пограничных кордонов и отрядов, стоящих на юге страны. Генерал Г. Цулукидзе докладывал о происходящем военному министру, Г. Гиоргадзе следующее: «...Нахальство и дерзость жителей селения Узунляр перешли границы. В этом селении появились очень сильные банды, именующие себя «шайка разбойников»⁹.

სომხეთ-საქართველოს ომი 31 დეკემბერს ბრიტანელების ჩარევით შეწყდა. 1919 წლის იანვარში თბილისში დაიწყო მოლაპარაკება ქართულ და სომხურ მხარეებს შორის. ორ ქვეყანას შორის არსებული სადავო ტერიტორია ლორე და ბორჩალოს მაზრა ბუფერულ ზონად გამოცხადდა, სადაც სომხური და ქართული ჯარები მორიგეობით იქნებოდა განლაგებული. სომხეთ-საქართველოს ომმა საბოლოოდ ჩაშალა კავკასიის ერთა კონფერენცია.

ამდენად, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის ინიციატივა, მოეწვია თბილისში კავკასიის სახელმწიფოთა კონფერენცია, უშედეგოდ დამთავრდა. სომხეთის სახელმწიფოს ულტიმატუმი საქართველოსთან მიმართებაში და საქართველოს წინააღმდეგ წარმოებული ომი გახდა მიზეზი ამ კონფერენციის ჩაშლის. კავკასიის ახალგაზრდა სახელმწიფოებმა ვერ შეძლეს გაერთიანება პრიორიტეტული საკითხების გარშემო, რამაც დიდად შეაფერხა მათი დე ფაქტო და დე იურე აღიარება დიდი სახელმწიფოების მიერ. აღნიშნული გარემოებით ისარგებლა საბჭოთა რუსეთმა და ეს სახელმწიფოები ერთი მეორის მიყოლებით დაიპყრო.

დამოწმებული ლიტერატურა:

გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“, N79, 1918;
გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“, N88, 1918;
გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“, N90;

⁷ გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“, N117, 1918, გვ. 2.

⁸ ფირუზ ქაზეშაძე. *ბრძოლა ამიერკავკასიისთვის 1917-1921*. (თბილისი, 2016), გვ. 222.

⁹ Г. Мархулия. *Армяно-Грузинские Взаимоотношения В 1918-1920 Годах*. (Тбилиси. 2007), Ст. 18 http://elibrary.bsu.az/yenii/ebookspdf/quram_marxuliya2.pdf.

გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“, N95;
გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“, N117, 1918;
ფირუზ ქაზეშაძე. *ბრძოლა ამიერკავკასიისთვის 1917-1921*. თბილისი, 2016 წ.
A. Andersen and G. Partskhaladze. *Armeno-Georgian War of 1918 and Armeno-Georgian Territorial Issue in the 20th Century*. 2015;
Г. Мархулия. *Армяно-Грузинские Взаимоотношения В 1918-1920 Годах*. Тбилиси, 2007 г.

Beka Gachechiladze

Student of PhD Programme History of Georgia

Caucasian countries failed conference (1918)

Summary

In 1918 Caucasian conference was a totally new experience for new formed republics, what could bring to all countries and whole region peace and prosperity, but because of internal or external misunderstanding politics this treaty couldn't assemble. A situation which bring this unsuccessful conference was hard and dramatic for the new formed republics of Georgia and Armenia, war between these two neighbor countries wicket them and open gate to the red terror which came in Caucasia from the north.

ქუთათელი მიტროპოლიტი დოსითეოსი (წერეთელი) - გარდაცვალებიდან
(მკვლელობიდან) 200 წელი

საქართველოს სამოციქულო მართლმადიდებელი ეკლესიის მრავალსაუკუნოვანი ისტორია აღსავსეა ერისა და ეკლესიისთვის თავგანწირული იერარქების მოღვაწეობით. სწორედ, მათ თავდადება და არც თუ იშვიათად მოწამეობრივმა აღსასრულმა უმნიშვნელოვანესი მისია და როლი შეასრულა ჩვენი ქვეყნისა და ეკლესიის ისტორიულ განვითარებაში, მომხდური მტრებისაგან განთავისუფლებაში.

მათ შორის ერთ-ერთი გამორჩეული და საპატიო ადგილები უჭირავთ აფხაზეთის (დასავლეთ საქართველოს) საკათოლიკოსოს გამგებელს, ქუთათელ მიტროპოლიტს დოსითეოსსა (წერეთელი) და გაენათელ მიტროპოლიტს ეფთვიმეს (შარვაშიძე).

მიმდინარე წელს, ორასი წელი შესრულდა მიტროპოლიტ დოსითეოსის მოწამეობრივი აღსასრულიდან - მკვლელობიდან. სწორედ, თავგანწირული ქუთათელის ცხოვრებისა და ღვაწლის შესახებ შევაჩერებთ თქვენს ყურადღებას.

საქართველოს სამოციქულო მართლმადიდებელი ეკლესიის სამღვდელმთავრო კათედრათაგან, ქუთაისის (1927 წლიდან ქუთაის-გაენათის) კათედრას მუდამ ერთ-ერთი გამორჩეული და წამყვანი ადგილი უჭირავს. დასავლეთ საქართველოს საკათოლიკოსოში, კათოლიკოსის კათედრის შემდეგ, ქუთაისის სამიტროპოლიტო უპირატესი კათედრა იყო. ქუთაისის სამღვდელმთავრო იმდენად ძველია, რომ მისი დაარსების კონკრეტული თარიღი დღემდე უცნობია, თუმცა არსებობს რამდენიმე ვერსია. პავლე ინგოროყვა ქუთაისში საეპისკოპოსო კათედრის დაარსების თარიღად მეცხრე საუკუნეს მიიჩნევდა, აფხაზეთის მეფის დემეტრე მეორეს ზეობის ხანას (825-861 წ.წ.) მიიჩნევდა. ნიკო ბერძენიშვილი კი მეათე-მეთერთმეტე საუკუნეების მიჯნას ასახელებდა, ბაგრატის კათედრალის კურთხევის თარიღთან (1003 წ.) ახლოს. ქუთაისის სამღვდელმთავრო ვრცელ ტერიტორიულ არეალს მოიცავდა და იგი სამხრეთ-დასავლეთით აჭარის ტბეთამდე ვრცელდებოდა. ასევე, მის საზღვრებში იყო ამჟამინდელი გურია, ვიდრე მეთერთმეტე საუკუნის მიწურულამდე. ცნობილია, რომ მეფე თამარს სამეფო გვირგვინი დაადგა ქუთათელმა მთავარეპისკოპოსმა ანტონ საღირის ძემ. „შესხმასა და გალობასა შინა, ვინათგან ლიხთ-იმერთაგან იყო დადგმად გვირგვინისა თავსა სამეფოსა, აწვიეს მონაზონი, მადლით შემოსილი მთავარეპისკოპოსი ქუთათელი ანტონი საღირის ძე მიღებად გვირგვინისა.¹ ამ ცნობიდან შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ერთიანი საქართველოს მეფეებს, კურთხევის ჟამს ქუთათელი მღვდელმთავარი ადგამდა სამეფო გვირგვინს.

მიტროპოლიტი დოსითეოსი ქუთაისის უძველესი და ისტორიული კათედრის ერთ-ერთი გამორჩეული და ეპოქალური მღვდელმთავარი გახლდათ. იგი ერისკაცობაში იყო თავადი დავით ნიკოლოზის ზე წერეთელი, ზემო იმერეთის თავად წერეთელთა საგვარეულოდან. მისი დაბადების ზუსტი თარიღი უცნობია. სავარაუდოდ, იგი დაიბადა მეთვრამეტე საუკუნის ორმოცდაათიანი წლების პირველ ნახევარში. მიტროპოლიტ დოსითეოსის მამა, ნიკოლოზ წერეთელი ზემო იმერეთის სარდალი იყო. მას ხუთი ვაჟიშვილი ჰყავდა.

¹ ქართლის ცხოვრება, ტ. 1, (თბილისი, 1955). გვ. 278.

მიტროპოლიტი დოსითეოსი 1781 წელს დადგინდა ქუთათელ მღვდელმთავრად. 1795 წლიდან იგი იყო აფხაზეთის (დასავლეთ საქართველოს საკათოლიკოსოს) გამგებელი ანუ საკათოლიკოსო ტახტის მოსაყდრე.

მიტროპოლიტ დოსითეოსის კათოლიკოსად აღსაყდრების ცნობა არ არსებობს. შესაბამისად, ქართულ ისტორიოგრაფიაში მოიაზრება, რომ იგი მხოლოდ გამგებლის სტატუსით განაგებდა აფხაზეთის საკათოლიკოსოს, თუმცა არსებობს წერილები, სადაც მას ულოცავენ კათოლიკოსის პატივის მინიჭებას. დარეჯან დედოფლის 1797 წლის 26 აპრილით დათარიღებულ მისალოც წერილში ნათქვამია: „დოსითეოსს, მათ უწმიდესობას, სრულიად იმერთა და ოდიშ-აფხაზთა კათოლიკოზს... მესმა ხმა ესე, რომელიც ადრიდგანვე საწადელ ჩემდა იყო, ყოვლადსამღვდელოებისა თქვენისა აღსვლა ხარისხსა ზედა უწმიდესობისასა. მოულოცავ უწმიდესობასა თქვენსა.“² არსებობს ასევე 1798 წლით დათარიღებული წერილი, რომელსაც ხელს აწერს იმერეთის მეფე სოლომონ მეორე, რომელშიც აღნიშნულია: „ქუთათელ მიტროპოლიტს დოსითეოს კათოლიკოზობა /ვ/უბოძეთ.“³

ისტორიკოსი გოდერძი ვაჭრიძე წერს: „დოსითეოს ქუთათელს სოლომონ მეორემ კათოლიკოსობა კი უბოძა, მაგრამ კურთხევა მოხდა თუ არა, ამისი დამადასტურებელი საბუთები მოსაძებნია.“⁴ ისტორიკოსი ლევან ტყეშელაშვილი წერს: „დღესდღეობით არ არსებობს არანაირი საბუთი, სადაც მიტროპოლიტი დოსითეოსი თავის თავს კათოლიკოსად იხსენიებს.“⁵ ისტორიკოსები გიორგი მჭედლიძე და მერაბ კეზევაძე კი აღნიშნავენ: „დოსითეოსის შესახებ ჩვენამდე მოღწეულ დოკუმენტებში იგი მხოლოდ ქუთათელ მიტროპოლიტად იწოდება და არც ერთხელ კათალიკოსად, თუმცა, როგორც ჩანს, იგი საკათალიკოსოს სავსებით უუფლებო განმგებელი არ ყოფილა. მის განკარგულებაში იყო გადასული საკათალიკოსოს მამულები იმ ტერიტორიაზე, რომელიც იმერეთის მეფის კომპეტენციაში რჩებოდა. მას მხარდამჭერები ჰყოლია საქუთათლოს გარეთაც. მაგალითად, ჰყონდიდელი მიტროპოლიტი ბესარიონი 1801 წლის 27 დეკემბერს დოსითეოსისთვის მიცემულ პირობის წიგნში, მას, როგორც ქუთათელ მიტროპოლიტს, მიმართავს, მაგრამ ეფიცება რომ თუ მეფე მოინდომებდა დოსითეოსისთვის ბოძებული წყალობის (ალბათ, იგულისხმება კათოლიკოსობის ბოძება) აღსრულებას, ჰყონდიდელი მიტროპოლიტი მთელ მის ძმობასთან (ე.ი. საეპისკოპოსოს სამღვდელოებასთან) ერთად გულმოდგინედ ეცდებოდა, მთელი სიცოცხლის განმავლობაში მტრულად არ მოქცეოდა მას.“⁶ მეუფე დოსითეოსის წოდება ამგვარი იყო: „ყდ სამღვდელო ქუთათელი მიტროპოლიტი დოსითეოსი, გამგებელი საკათალიკოსოსა“.⁷

1785 წელს იმერეთის მეფე დავით მეოთხე გიორგის ძე, ქუთათელ მიტროპოლიტს დოსითეოსს მიმართავს წყალობის წიგნით, რომელშიც აღნიშნულია: „დიდითა ერთგულებითა მეფობასა ჩვენსა ფრიად მსახურე და ჩვენისა ამაღლებისა და წარმატებისათვის მარადის მოსწრაფე იყავ“.⁸

² ლევან ტყეშელაშვილი. *საქართველოს მოწამე მღვდელმთავარნი დოსითეოსი და ეფთვიმე*, (გამომცემლობა „თბილისი“, ქუთაისი, 2005). გვ. 9.

³ ლ. ტყეშელაშვილი. *საქართველოს მოწამე მღვდელმთავარნი...* გვ. 9.

⁴ გოდერძი ვაჭრიძე. *იმერეთის დროებითი მმართველობა (1810-1840 წლებში)*, (საგამომცემლო ცენტრი სტამბა, ქუთაისი, 1999). გვ. 234.

⁵ ლ. ტყეშელაშვილი. *საქართველოს მოწამე მღვდელმთავარნი...* გვ. 9.

⁶ გიორგი მჭედლიძე, მერაბ კეზევაძე. *ქუთაის-გაენათის ეპარქია*, (საგამომცემლო ცენტრი ქუთაისი, ქუთაისი, 2008). გვ. 227.

⁷ გოდერძი ვაჭრიძე. *იმერეთის დროებითი მმართველობა...* გვ. 234.

⁸ სარგის კაკაბაძე. *დასავლეთ საქართველოს საეკლესიო საბუთები*, წ. 1, (თბილისი, 1921). გვ. 85.

ქუთათელი მიტროპოლიტის დოსითეოსის, როგორც დასავლეთ საქართველოს საკათოლიკოსოს სრულუფლებიანი გამგებლის შესახებ მიუთითებს ის ფაქტი, რომლის მიხედვით მან აღადგინა ხინოწმინდის ეპარქია და ხელი დაასხა მის მღვდელმთავარს, მიტროპოლიტ დავითს (წერეთელი), რომელიც მიტროპოლიტ დოსითეოსის ბიძაშვილის, ზურაბ წერეთლის ვაჟი იყო. აღნიშნული გარემოება მეტყველებს, რომ დოსითეოს ქუთათელი სრულუფლებიანად მწყემსმთავრობდა აფხაზეთის საკათოლიკოსოს.

აღსანიშნავია ქუთათელი მიტროპოლიტის დოსითეოსის განსაკუთრებული ყურადღება ჯრუჭის მონასტრისადმი, რომელიც თავად წერეთელთა საგვარეულო საძვალე იყო. 1792 წელს მიტროპოლიტ დოსითეოსის ღვაწლით დაამზადეს და შეამკეს ქუთაისის ყოვლადწმიდა ღმრთისმშობლის სახელობის ტაძრის დიდი ჯვარი. 1797 წელს დოსითეოს ქუთათელმა განაახლა კაცხის-მონასტრის სიგელ გურჯები. 1803 წელს მისი მზრუნველობით დაისტამბა „საღმრთო და სამღვდლო სახარება ვნების კვირიაკისა“. მიტროპოლიტი დოსითეოსი ღვაწლმოსილად და თავდადებულად მოღვაწეობდა ქუთაისის კათედრაზე...

საქართველოს არსებობის ისტორიაში დადგა ერთ-ერთი უმძიმესი ჟამი - რუსეთის იმპერიის კოლონიალისტური უღელი... იმპერატორ ალექსანდრე პირველის 1801 წლის მანიფესტით გაუქმდა ქართლ-კახეთის სამეფო. 1810 წელს რუსეთის იმპერიის მიერ გაუქმდა იმერეთის სამეფო, რომლის უკანასკნელი მეფე სოლომონ მეორე ოსმალეთში გადაიხვეწა. 1811 წელს რუსეთმა გააუქმა საქართველოს ეკლესიის უძველესი ავტოკეფალია ქართლის (აღმოსავლეთ საქართველოს) საკათოლიკოსოს, ხოლო 1814 წელს - ლიხთ-იმერეთისა და აფხაზეთის (დასავლეთ საქართველოს) საკათოლიკოსოს სახით. 1815 წლის 30 აგვისტოს შეიქმნა საქართველო-იმერეთის სინოდალური კანტორა. ეგზარქოსი მთავარეპისკოპოსი ვარლამი (ერისთავი) უკვე მთელ საქართველოზე ახორციელებდა საეკლესიო მმართველობას. 1817 წელს იგი რუსეთში გაიწვიეს და საქართველოს ეგზარქოსად რუსეთმა დაადგინა მთავარეპისკოპოსი თეოფილაქტე რუსანოვი, რომელმაც დასავლეთ საქართველოს საკათოლიკოსოს თორმეტი ეპარქიის გაერთიანების გზით შექმნა სამი ეპარქია.⁹ ეგზარქოსი თეოფილაქტე ჩავიდა იმერეთში და შეუდგა საეკლესიო რეფორმების გატარებას, რომელშიც მნიშვნელოვანი ადგილი ეჭირა საფინანსო-ეკონომიკურ საკითხებს, სხვადასხვა სახის გადასახადების გაზრდით, რამაც სასულიერო იერარქიისა და სამღვდელოების და ასევე საეკლესიო აზნაურების უკმაყოფილება გამოიწვია. აღნიშნულმა უკმაყოფილებამ სათავე დაუდო 1819-1820 წლების დიდ სახალხო აჯანყებას, რომელიც გასცდა საეკლესიო დამოუკიდებლობისათვის ბრძოლას და ეროვნულ-სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობისათვის ბრძოლად გადაიქცა. „აჯანყებას წამმართველი და ხელმძღვანელი ძალა გამოუჩნდა. განსაკუთრებით აქტიურობდნენ: სოლომონ პირველის შვილიშვილი, დარეჯან ბატონიშვილის ვაჟი - ივანე აბაშიძე, მღვდელმთავრები - დოსითეოს ქუთათელი და ეფთვიმე გელათელი, ბექან წერეთელი, სეხნია წულუკიძე, გიორგი წულუკიძე, მერაბ იაშვილი და სხვ. დაწყებული აჯანყების მიზანიც გაფართოვდა. თანდათან გავრცელდა ლოზუნგი „სამშობლოს თავისუფლება“. აჯანყებულებმა სრული პოლიტიკური დამოუკიდებლობა და იმერეთის სამეფოს აღდგენა მოითხოვეს“.¹⁰ ასევე, აჯანყების ერთ-ერთი მოთავე იყო ხონელი მთავარეპისკოპოსი ანტონი (ჩიჯავაძე). „ყდ სამღვდლო მთავარეპისკოპოსი ანტონ ჩიჯავაძე, გაენათელ წმ. მიტროპოლიტ ეფთვიმესა (შარვაშიძე) და ქუთათელ წმ. მიტროპოლიტ დოსითეოსთან

⁹ მიტრ. ანანია ჯაფარიძე. *საქართველოს სამოციქულო ეკლესიის ისტორია*, (გამომცემლობა ალილო, თბილისი, 2009). გვ. 1096.

¹⁰ გოდერძი ვაჭარიძე. *იმერეთის დროებითი მმართველობა...* გვ. 240.

(წერეთელი) ერთად არის 1819-1820 წლებში იმერეთში რუსეთის მმართველობის წინააღმდეგ აჯანყების ერთ-ერთი ორგანიზატორი და ხელმძღვანელი“.¹¹

1820 წლის დასაწყისიდან რუსეთის იმპერიამ სამხედრო ნაწილების გარკვეულ რაოდენობას მოუყარა თავი იმერეთში და აჯანყებულების წინააღმდეგ სადამსჯელო მოქმედება წამოიწყო. მიტროპოლიტები დოსითეოსი და ეფთვიმე მიუღებელი პიროვნებები და მაღალიერარქები აღმოჩნდნენ რუსეთის იმპერიის მოხელეებისათვის და მეტადრე, საქართველოს ეგზარქოსის თეოფილაქტესათვის, რომელსაც მფარველობას უწევდა იმპერატორ ალექსანდრე პირველის ახლო მეგობარი, რუსეთის სახალხო განათლებისა და სასულიერო საქმეების მინისტრი ა. გოლიცინი. ეს უკანასკნელი მისთვის მიუღებელ იერარქებს იმპერიის სხვადასხვა ადგილებში გზავნიდა. სწორედ გოლიცინმა გამოიტანა განაჩენი, რომ ქუთათელი და გაენათელი მიტროპოლიტებისთვის სამშობლო დაეტოვებინა, მით უფრო, რომ ისინი მიიჩნიეს 1819 წელს იმერეთში მომხდარი საეკლესიო აჯანყების მოთავეებად.¹² 1820 წლის 15 თებერვალს ა. ერმოლოვმა შეატყობინა ეგზარქოს თეოფილაქტეს, რომ მიტროპოლიტების დოსითეოს ქუთათელისა და ეფთვიმე გაენათელის ნოვგოროდში გადასახლების შესახებ თანხმობა უკვე მიიღო სასულიერო საქმეთა და სახალხო განათლების მინისტრის ა. გოლიცინისგან.¹³

1820 წლის 16 თებერვალს რუსი პოლკოვნიკი პუზირევსკი, რუს გენერალ ველიამინოვს წერს: „მიტროპოლიტი ქუთათელი ამჟამად ცხოვრობს სოფელ მაღლაკში, ქუთაისიდან 8 კილომეტრის დაშორებით... ეს საქმე დავალებული აქვს მაიორ ოსტროუხოვს, რომელიც გუშინ უკვე იყო მაღლაკში და ელაპარაკა ქუთათელს, ჩემს მიერ დაქირავებული მთიბავეების შესახებ. მის შესაპყრობად გამოყოფილია ასი ეგერი და თხუთმეტი კაზაკი გუბისწყლის პოსტიდან. თუ კი იქნება საჭიროება, მონაწილეობას მივიღებ პირადად...“¹⁴ 23 თებერვალს, გენერალი ველიამინოვი, პოლკოვნიკ პუზირევსკის წერს: „ყველაზე უფრო საშიშია, რომ არ გაიგონ მიტროპოლიტების სიკვდილი, რომელთა მკვლელობაც ააღელვებს ხალხს, სამღვდელოებასა და თავადებს. ასევე, ცუდად იმოქმედებს ეს ფაქტი ჩვენს ჯარისკაცებზედ, რომელთაც რწმენა აქვთ სამღვდელოებისა. თუ კი ჩვენდა საუბედუროდ გამჟღავნდება, არავითარ შემთხვევაში, არც ერთის სხეული არ დატოვოთ იმერეთში, არ დამარხოთ! ასევე, არ ჩააგდოთ გვამები მდინარეში, თორემ სწრაფ მდინარეს შეუძლია სხეული ზემოთ ამოიტანოს. აუცილებლად მიიტანეთ სხეულები კაიშაურამდე, სადაც შეიძლება ისინი მიაბაროთ მიწას.“¹⁵

1820 წლის 4 მარტს, დიდი მარხვის ჟამს, რუსეთის იმპერიის ოფიციალურმა მოხელეებმა შეიპყრეს: სოფ. მაღლაკში მდებარე სამიტროპოლიტო რეზიდენციაში - ქუთათელი მიტროპოლიტი დოსითეოსი და გელათის მონასტერში - გაენათელი მიტროპოლიტი ეფთვიმე. ქუთათელთან ერთად, ასევე შეიპყრეს ტაბაკინის მამათა მონასტრის წინამძღვარი, არქიმანდრიტი გრიგოლი (ცქიტიშვილი). მხცოვან მიტროპოლიტ დოსითეოსს, რუსებისთვის წინააღმდეგობა გაუწევია, რის გამოც, იგი სასტიკად ცემეს, დაჩხვლიტეს ხიმტებით, დასისხლიანებულს შეუკრეს ხელები და ტომარა ჩამოაცვეს...

¹¹ **თორნიკე ეფრემიძე.** *ხონის ეპარქიის მთავარეპისკოპოსი ანტონ ჩიჯავაძე* (გამომცემლობა „თეთნულდი“, ქუთაისი, 2014). გვ. 165.

¹² **ლაშა დეისაძე-შარვაშიძე.** რუსეთის მიერ წამებული (მოკლული) და გადასახლებული ქართველი მღვდელმთავრები, ჟურნალ „აფინაჟის“ ვებ-გვერდი, 16.09.2019. <https://apinazhi.ge/journal/240--.html>).

¹³ **გიორგი მჭედლიძე, მერაბ კეზევაძე.** *ქუთაის-გაენათის ეპარქია*, (საგამომცემლო ცენტრი ქუთაისი, ქუთაისი, 2008). გვ. 239.

¹⁴ **ლ. ტყეშელაშვილი.** *საქართველოს მოწამე მღვდელმთავარნი...* გვ. 29.

¹⁵ **ლევან ტყეშელაშვილი.** *საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის ისტორიის ძირითადი საკითხები*, (გამომცემლობა შპს მბმ-პოლიგრაფი, ქუთაისი, 2014 წ.), გვ. 247.

გაენათელმა მიტროპოლიტმა ეფთვიმემ შეინარჩუნა სიმშვიდე, თუმცა რასაკვირველია, დიდი გაცემა გამოხატა მისი ძალით შეპყრობის გამო.¹⁶

მიტროპოლიტები დოსითეოს ქუთათელი და ეფთვიმე გაენათელი ნაცემ-ნაწამებნი და ნაგვემნი რუსეთის გზას გაუყენეს... მხცოვანმა ქუთათელმა ვერ გაუძლო ტანჯვასა და გზაში, სურამსა და გორს შუა აღესრულა, 8 მარტს, დილის 5 საათზე. აღნიშნული ფაქტი შეატყობინეს ეგზარქოს თეოფილაქტეს, რომელმაც ბრძანა, რომ წამებისგან გარდაცვლილი მიტროპოლიტ დოსითეოსის ცხედარი გადაეცათ გზაში პირველივე ტაძრის მოძღვრისათვის და დაეკრძალათ ქრისტიანული წესით, ყოველგვარი ცერემონიალის გარეშე. 1822 წლის 14 ივნისს არქიმანდრიტი გრიგოლი (ცქიტიშვილი) წერდა: „კურთხეულ ქუთათელს ერთი დღის სავალის მეტს არ გამოუვლია ცოცხალს, სურამს მიიცვალა. მე რომ არ დავსწრებოდი, უზიარებელი დარჩებოდა, რომელიც ღმერთმან შემადლებინა, მოვუარე და ვემსახურე“.¹⁷ მიტროპოლიტი დოსითეს ქუთათელი საიდუმლოდ დაფლეს ანანურის ტაძარში. თედო ჟორდანias ცნობით, იგი დაკრძალულია ყოვლადწმიდა ღმრთისმშობლის ხატის წინ, ორი არმინახევრით დამორებული.¹⁸

გაენათელმა მიტროპოლიტმა ეფთვიმემ ჩააღწია რუსეთამდე. სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ამბროსი (ხელაია) წერდა: „იმპ. ალექსანდრე პირველმა მოისურვა მისი ნახვა. ჩაიყვანეს პეტერ-ბურღში, იმპერატორმა დიდი ზეიმით და პატივით მიიღო, მაგრამ ამისთვის არ მოერიდა ემხილებინა საქართველოს ეკლესიისა და ერის თავისუფლების წართმევისა და სამშობლოს დამცველების წამებისათვის, მას უწოდა ახალი ნერონი. ეს იყო მიზეზი, რომ იგი გააგზავნეს ალექსანდრე სვირის მონასტერში, ოლონეცკის გუბერნიაში, სადაც განისვენა და დასაფლავებულია.“¹⁹ მიტროპოლიტი ეფთვიმე გაენათელი აღესრულა 1822 წლის 21 აპრილს. 2005 წლის 27 მარტს იგი გადმოასვენეს საქართველოში და ამავე წლის 9 აპრილს გელათის მონასტერში დაკრძალეს პატივით.

1917 წელს საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენის შემდეგ, პირველივე კრებამ პატივი მიაგო თავგანწირულ მიტროპოლიტებს დოსითეოსსა და ეფთვიმეს. აღნიშნული კრების მეგლისწერაში ვკითხულობთ: „მოიხსენიეს ეკლესიის თავისუფლებისათვის თავგანწირული დოსითეოზ ქუთათელი და ექვთიმე გელათელი“.²⁰

2005 წლის 27 ივნისს, საქართველოს სამოციქულო მართლმადიდებელი ეკლესიის წმიდა სინოდის სხდომაზე, ქუთათელ-გაენათელი მიტროპოლიტის კალისტრატეს (მარგალიტაშვილი) წარგინებით წმიდანებად კანონიზირდნენ ქუთათელი მიტროპოლიტი დოსითეოსი (წერეთელი) და გაენათელი მიტროპოლიტი ეფთვიმე (შარვაშიძე) და ეწოდათ მათ წმიდა მღვდელმთაფარი.

მიტროპოლიტები დოსითეოსი და ეფთვიმე სამართლიანად უნდა მივიჩნიოთ საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიისა და ჩვენი ქვეყნის სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენისათვის ბრძოლის სათავეებთან მყოფებად, რომლებმაც რუსეთის მიერ განხორციელებული ანექსიისთანავე ჩაუყარეს საფუძველი დიდ ეროვნულ-სარწმუნოებრივ მოძრაობას, რაც საკუთარი თავგანწირვით გაამყარეს.

¹⁶ ლაშა დეისაძე-შარვაშიძე. „რუსეთის მიერ წამებული (მოკლული) და გადასახლებული ქართველი მღვდელმთავრები“, ჟურნალ „აფინაჟის“ ვებ-გვერდი, 16.09.2019. <https://apinazhi.ge/journal/240--.html>).

¹⁷ ლ. ტყემელაშვილი. საქართველოს მოწამე მღვდელმთავარნი... გვ. 32.

¹⁸ ლ. ტყემელაშვილი. საქართველოს მოწამე მღვდელმთავარნი... გვ. 33.

¹⁹ კ. პ. ამბროსი ხელაია. „მე შევასრულე ჩემი მოვალეობა“, ჟურნალი „მნათობი“, N10, 1988 წ. გვ. 152).

²⁰ მიტროპოლიტი ანანია ჯაფარიძე. „საქართველოს საეკლესიო კანონების კრებული“, (გამომცემლობა „საქართველოს მაცნე“, თბილისი, 2017.), გვ. 684.

მათი მეოხება მოუკლებლად ყოფილიყოს ჩვენს მრავალსაუკუნოვან სამშობლოსა და საქართველოს უძველეს სამოციქულო ეკლესიასა ზედა.

დამოწმებული ლიტერატურა:

- ამბროსი ხელაია, კათოლიკოს-პატრიარქი. მე შვესარულე ჩემი მოვალეობა, ჟურნალი „მნათობი“, N10, 1988;
- ანანია ჯაფარიძე, მიტროპოლიტი. *საქართველოს სამოციქულო ეკლესიის ისტორია*, თბილისი, 2009;
- ანანია ჯაფარიძე, მიტროპოლიტი. *საქართველოს საეკლესიო კანონების კრებული*, თბილისი, 2017;
- გიორგი მჭედლიძე, მერაბ კეზევაძე. *ქუთაის-გაენათის ეპარქია*, ქუთაისი, 2008;
- გოდერძი ვაჭრიძე. *იმერეთის დროებითი მმართველობა (1810-1840 წლებში)*, ქუთაისი, 1999;
- თორნიკე ეფრემიძე. *ხონის ეპარქიის მთავარეპისკოპოსი ანტონ ჩიჯავაძე*, ქუთაისი, 2014;
- ლაშა დეისაძე-შარვაშიძე. რუსეთის მიერ წამებული (მოკლული) და გადასახლებული ქართველი მღვდელმთავრები, ჟურნალი *აფინაჟი*, 16.09.2019. <https://apinazhi.ge/journal/240--.html>;
- ლევან ტყეშელაშვილი. *საქართველოს მოწამე მღვდელმთავარნი დოსითეოსი და ეფთვიმე*, ქუთაისი, 2005;
- ლევან ტყეშელაშვილი. *საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის ისტორიის ძირითადი საკითხები*, ქუთაისი, 2014;
- სარგის კაკაბაძე. *დასავლეთ საქართველოს საეკლესიო საბუთები*, წ.1, თბილისი, 1921; „ქართლის ცხოვრება“, ტ.1, თბილისი, 1955.

Lasha Deisadze-Sharvashidze

Phd in History

Metropolitan Dositheos (Tsereteli) of Kutaisi – 200 years since the death (murder)

Summary

The lives and activities of a number of high-ranking hierarchs, who were tortured, exiled or killed by the Russian rulers in the 19th and 20th centuries in the history of the Georgian Apostolic Orthodox Autocephalous Church. Among them, from the chronological point of view, as well as from the point of view of activity and devotion, His Eminence Dositheos (Tsereteli), the Metropolitan of Kutaisi, occupies one of the most distinguished and prominent places.

Dositheos (Tsereteli), the Metropolitan of Kutaisi ruled the Eparchy of Kutaisi from 1781. In 1795 he became the governor of the Catholicosate of Abkhazia (West Georgia). Metropolitan Dositheos performed this duty until 1814, when the Russian Empire abolished the Catholicosate of Western Georgia and its autocephaly through illegal and forceful use.

In March 1820, Metropolitan of Kutaisi His Eminence Dositheos (Tsereteli) and Metropolitan of Gaenati His Eminence Eftvime (Sharvashidze) were captured by the Russian Empire on charges of active participation in the Imereti uprising in the rebellion of 1819-1820. Metropolitan of Kutaisi Dositeos (Tsereteli) could not withstand the torture and died on the way between Surami and Gori. He was secretly buried in Ananuri.

Both bishops are recognized as Saints by Apostolic Orthodox Church of Georgia.

დაკარგული საფლავის ისტორია...
(იმერეთის ეპისკოპოსი ბესარიონ დადიანი)



საქართველოს სამოციქულო მართლმადიდებელი ავტოკეფალური ეკლესიის მრავალსაუკუნოვან ისტორიაში იმერეთის ეპარქიას მნიშვნელოვანი ადგილი უკავია.

იმერეთის საეპისკოპოსო კათედრაზე ბრძანდებოდნენ გამორჩეული მღვდელმთავრები: გაბრიელი (ქიქოძე), ბესარიონი (დადიანი), ლეონიდე (ოქროპირიძე), გიორგი (ალადაშვილი). თითოეულმა მათგანმა იმერთა სამწყსოს მოღვაწეობაში დიდი თუ მცირე კვალი დატოვა.

იმერეთის ეპარქია შეიქმნა რუსეთის უწმიდესი სინოდის გადაწყვეტილებით.

1810 წელს რუსეთის იმპერიამ იმერეთის სამეფო დაიპყრო. 1814 წელს რუსეთის ეკლესიის სინოდმა დასავლეთ საქართველოს საკათალიკოსო გააუქმა და დაუქვემდებარა ეგზარქოსს, რომელიც საქართველო-იმერეთის ეგზარქოსად იწოდებოდა.

1821 წლის 19 ნოემბრის ბრძანებით, იმერეთში მოქმედი ხუთი ეპარქია გაერთიანდა იმერეთის ეპარქიის სახელით, რომლის კათედრალი ქუთაისის ღვთისმშობლის მიძინების ტაძარი (სწორია: ტაძრის სამხრეთ კარიბჭეზე მინაშენი ღვთისმშობლის შობის სახ. სამლოცველო - ი. ლ.) გახდა¹.

იმერეთის ეპისკოპოს გერმანეს (გოგოლაშვილი) გადაყენების შემდეგ (1860 წლის 2 ივლისიდან 1896 წლის 25 იანვრამდე) იმერეთის ეპარქიას განაგებდა ეპისკოპოსი გაბრიელი (ქიქოძე). იმ დროს იმერეთის ეპარქია მთელ დასავლეთ საქართველოს მოიცავდა.

1895 წელს ჟურნალი „მწყემსი“ წერდა: „მათი ყოვლადუსამღვდელოესობა, იმერეთის ეპისკოპოსი გაბრიელი, თანახმად უწმიდესი სინოდის ნებადართვისა, ორი თვით საეკიმოდ წაბრძანდა ბორჯომს. მის მაგიერ ეპარქიის მმართველად უწმიდესი სინოდისაგან დანიშნულია ალავერდის ეპისკოპოსი ბესარიონი, რომელიც უკვე მობრძანდა 29 ივნისს ქუთაისში“².

ეპისკოპოს ბესარიონის (დადიანი) ბიოგრაფიიდან მისი ცხოვრებისა და მოღვაწეობის მხოლოდ იმ პერიოდს (ზოგადად) შევხებით, რომელიც მღვდელმთავრის იმერეთში მოღვაწეობას უკავშირდება.

¹ ირაკლი ლორთქიფანიძე. *XX საუკუნის საქართველოს ეკლესიის ისტორიიდან - ქუთათელი მიტროპოლიტი ანტონი (გიორგაძე) ცხოვრება და მოღვაწეობა*. სადოქტორო ნაშრომი, საქართველოს საპატრიარქოს ქართული უნივერსიტეტი. 2019. გვ. 100.
<http://dl.sangu.edu.ge/pdf/dissertacia/ilortkipanidze.pdf>

² ახალი ამბები და შენიშვნები. *ჟურნალი „მწყემსი“* N12, 1895, გვ. 15.

ეპისკოპოსი ბესარიონი (დადიანი) 1832 წელს³ სამეგრელოში, თავადის ოჯახში დაიბადა. იგი იყო შვილიშვილი სამეგრელოს მთავრის მანუჩარისა. სიყრმიდანვე იზრდებოდა მარტვილის ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის მიძინების სახელობის მამათა მონასტერში, სადაც საფუძვლიანი აღზრდა-განათლება მიიღო. საბერო მორჩილება ჯრუჭის წმიდა გიორგის სახელობის მამათა მონასტერში გაიარა. 1849 წლის 6 აგვისტოს იმერეთის მიტროპოლიტმა დავითმა (წერეთელი)⁴ ბერად აღკვეცა და სახელად ბესარიონი უწოდა. ამავე წელს დიაკვნად აკურთხა. 1857 წლის 16 ნოემბერს იმერეთის ეპისკოპოსმა გერმანემ⁵ (გოგოლაშვილი) მღვდლად დაასხა ხელი. 1859 წლის 20 დეკემბერს არქიმანდრიტის წოდება მიანიჭეს. 1860 წლის 20 მარტს ჯრუჭის წმიდა გიორგის მამათა მონასტრის წინამძღვრად დაინიშნა. 1865 წლის 7 დეკემბრიდან გელათის ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის შობის სახელობის მამათა მონასტრის წინამძღვრად გადაიყვანეს. 1869 წელს წმინდა ანას მე-3 ხარისხის ორდენით დააჯილდოვეს. 1871 წლიდან საქართველო იმერეთის სინოდალური კანტორის წევრად აირჩიეს. 1873 წელს წმინდა ანას მე-2 ხარისხის ორდენი ეწყალობა. 1874 წლის დეკემბერში სამეგრელოს ეპარქიის მღვდელმთავრად გამოარჩიეს. 1875 წლის 12 იანვარს სიონის ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის მიძინების სახელობის საკათედრო ტაძარში საქართველოს ეგზარქოსმა ევსევიმ (ილინსკი), გორის ეპისკოპოსმა ალექსანდრემ (ოქროპირიძე) და იმერეთის ეპისკოპოსმა გაბრიელმა (ქიქოძე) ეპისკოპოსად დაასხეს ხელი და იმერეთის ეპარქიაში შემავალ სამეგრელოს ეპარქიის ქორეპისკოპოსად დანიშნეს. 1886 წლის 1 მარტს ალავერდის ახლად ამოქმედებული ეპარქიის მმართველად გადაიყვანეს, რომელსაც 1898 წლის 6 ივნისამდე განაგებდა. ამასთანავე, დაინიშნა შუამთისა და ალავერდის მონასტრების წინამძღვრად. შუამთის მონასტერში მისი მეცადინეობით ჩატარდა სარესტავრაციო სამუშაოები, გარემონტდა და კეთილმოეწყო ბერების საცხოვრებელი სახლი. 1887 წლის 5 აპრილს წმინდა ანას 1 ხარისხის ორდენი უბოძეს. 1895 წელს, ეპისკოპოს გაბრიელის (ქიქოძე) ავადმყოფობის გამო, წმინდა სინოდმა იმერეთის ეპარქიის დროებით მმართველად დანიშნა. 1896 წლის იანვარში, მეუფე გაბრიელის გარდაცვალების შემდეგ კი, ორივე ეპარქიის მართვა დაევალა. 1898 წლიდან მხოლოდ იმერეთის ეპარქიას განაგებდა.⁶

იმერეთი ეპისკოპოსად დადგენა

გაბრიელ ეპისკოპოსის ავადმყოფობის გამო, დროებით ალავერდის ეპისკოპოსს ბესარიონს (დადიანი) მიენდო იმერეთის ეპარქიის მართვა.⁷

იმერეთის ეპარქიის დროებითი მმართველი, ეპისკოპოსი ბესარიონი, ეპარქიაში შემავალ ეკლესია-მონასტრებს სტუმრობდა და აღასრულებდა ღვთისმსახურებას, მორწმუნე მრევლს ქადაგებით მიმართავდა. 1895 წლის 13 აგვისტოს სოფელ კვალითს ეწვია და დანიეთის ეკლესიაში აზნაურ ჟღენტაგან შეკვეთილი წირვა შეასრულა. მეორე დღეს ქუთაიში ჩამობრძანდა და 15 აგვისტოს საკათედრო ტაძარში აღავლინა ლიტურგია.⁸

³ შენიშვნა: მერაბ კეზევაძის წიგნში „გელათის მონასტერი ეგზარქოსობის დროს“ (ქუთაისი 2008), საარქივო დოკუმენტზე დაყრდნობით დაბადების თარიღად მითითებულია 1820 წელი. ამჟამად საარქივო დოკუმენტის გადამოწმების შესაძლებელობა არ გვეძლევა.

⁴ 1843-1853 წლებში იმერეთის ეპისკოპოსი.

⁵ 1856-1860 წლებში იმერეთის ეპისკოპოსი.

⁶ გიორგი მაჩუროშვილი, ლუარსაბ ტოგონიძე. XVIII-XX საუკუნეში მოღვაწე სასულიერო პირთა ცხოვრება და მოღვაწეობა, (საქართველოს საპატრიარქოს სტამბა „პირველად იყო სიტყვა“, თბილისი, 2012). გვ. 308-310.

⁷ მღ. მელიტონ სპ. კელენჯერიძე. გაბრიელი ეპისკოპოსი იმერეთისა, („მძიბა“, ქუთაისი, 1913), გვ. 218.

⁸ ახალი ამბები და შენიშვნები. ჟურნალი „მწყემსი“ N14-15, 1895, გვ. 15.

1895 წელს არგვეთის მთავართა, წმინდა მოწამეთა დავითისა და კონსტანტინეს ხსენების დღე განსაკუთრებით მოწამეთას მამათა მონასტერში აღინიშნა, რომლის შესახებაც ჟურნალი „მწყემსი“ წერდა: „დიადი დღესასწაულობა მოწამეთის მონასტერში 2 ოქტომბერს რა დიდებულებითაც დღესასწაულობენ კვართის დღეობას აღმოსავლეთ საქართველოს უწინდელს სატახტო ქალაქ მცხეთაში 1 ოქტომბერს, იმნაირვე დიდებულებით დღესასწაულობენ დასავლეთ საქართველოში ორს ოქტომბერს „მოწამეთობას“.

მოწამეთობას ჩვეულებრივად ყოველ წლობით დღესასწაულობენ, მაგრამ წელს დიდი ამბით შესრულდა ეს დღესასწაული, რადგან ამ დღესასწაულზე მოიტანეს მშვენიერი ახალი ლუსკუმა. დღესასწაულობა დაიწყო 1 ოქტომბერს საღამოდგან. საღამოს ექვს საათზე ქუთაისიდან მობრძანდა ყოვლადსამღვდელო ბესარიონი, ალავერდის ეპისკოპოსი, რომელიც დროებით განაგებს იმერეთის ეპარქიას ყოვლადსამღვდელო გაბრიელის ავადმყოფობის გამო. მათმა მეუფებამ თავისი კრებულისა და ადგილობრივი მონასტრის ძმათა თანამსახურებით ცისკარი შეასრულა ღამის თევით. ცისკრის შესრულების შემდეგ წაიკითხეს აკათისტო და მოწამეთა წმინდა ნაშთი ძველი ლუსკუმიდან ჩაასვენეს ახალ ლუსკუმაში. ცისკარს მრავალი მლოცველი დაესწრო. მეორე დღეს, 2 ოქტომბერს, დილის 10 საათზე დაიწყო წირვა. მწირველი ბრძანდებოდა ყოვლადსამღვდელო ბესარიონი. თანამწირველებად იყვნენ რექტორი ქუთაისის სასულიერო სემინარიისა არქიმანდრიტი დიმიტრი, არქიმანდრიტი ლეონიდე (ინსპექტორი მართლმადიდებელი სარწმუნოების აღმდგენელი საზოგადოების სკოლებისა და ამავე საზოგადოების მისიონერი), ქუთაისის სობოროს დეკანოზი გაბრიელ ცაგარეიშვილი და სხვა სამღვდელონი, წირვაზე ქართულად გალობდნენ. განიცადეს დროს არქიმანდრიტმა ლეონიდემ წარმოსთქვა სიტყვა“.⁹

1896 წლის 6 ივლისს, ყოვლადსამღვდელო ბესარიონი მწირველი ბრძანდებოდა საქარის მაცხოვრის ეკლესიაში მარინე საყვარელიძის ასულის სულის მოსახსენებლად. მეორე დღეს, კვირას, მისმა მეუფებამ სწირა ქუთაისის საკრებულო ტაძარში და იმავე დღეს, 2 საათზე, საგანგებო მატარებლით გაემგზავრა ტყიბულში და იქიდან რაჭის მაზრაში ეკლესიების სარევიზიოდ“.¹⁰

1896 წლის 15 ნოემბერს წერდა: „ჩვენ შევიტყვეთ ნამდვილი წყაროებიდან, რომ ყოვლადსამღვდელოს, ალავერდის ეპისკოპოს ბესარიონს დაენიშნა იმერეთის ეპისკოპოსის ჯამაგირი, შტატისამებრ, 3000 მანეთი, დღიდან ყოვლადსამღვდელო გაბრიელის გარდაცვალებისა“.¹¹

1898 წლის 6 ივნისს ოფიციალურად დაინიშნა იმერეთის ეპისკოპოსად.¹²

1898 წელს გაზეთი „ივერია“ წერდა: „ხელმწიფე იმპერატორმა იმერეთის ეპისკოპოსად საქართველოს ეპარქიის მეორე ვიკარი, ყოვლადსამღვდელო ბესარიონი დაამტკიცა“.¹³

მღვდელი მელიტონ კელენჯერიძე წიგნში „გაბრიელი ეპისკოპოსი იმერეთისა“ ეპისკოპოს ბესარიონის შესახებ წერს: „სამწუხაროა, რომ 35 წლის ნაღვაწი და ნაკაფ-ნარწყავი იმერეთის ყანა ბესარიონს მისცეს.“¹⁴

⁹ დიადი დღესასწაულობა მოწამეთის მონასტერში 2 ოქტომბერს. *ჟურნალი „მწყემსი“* N19-20, 1895, გვ. 1-2.

¹⁰ *ჟურნალი „მწყემსი“* N13-14. 1896, გვ. 15.

¹¹ იმერეთის ეპარქიის სამღვდელოების კრება ქუთაისში. *ჟურნალი „მწყემსი“* №22, 1896, გვ. 10.

¹² **Епископ Кирион Садзаглишвили.** *Краткий очерк истории грузинской церкви и экзархата за XIX столетие*, (Тифлис, 1901), 71с.

¹³ პეტერბურგი. *გაზეთი „ივერია“* N130, 1898, გვ. 4.

¹⁴ **მ. კელენჯერიძე.** *გაბრიელი ეპისკოპოსი იმერეთისა*. გვ. 229.

მამა მელიტონს გაბრიელ ეპისკოპოსი ისეთ დიდ მოღვაწედ მიაჩნდა, რომ სხვა სასულიერო პირთა კრიტიკასაც კი არ ერიდებოდა.

მეუფე ბესარიონი, როგორც იმერეთის ეპისკოპოსი, სამღვდელმთავრო ღვთისმსახურებას აღასრულებდა ქუთაისის ალექსანდრე ნეველის სახელობის საკათედრო ტაძარში (სობოროში) 1896-1900 წლებში.

მეუფის იმერეთის ეპისკოპოსად დადგენას 1898 წელს გაზეთი „ცნობის ფურცელი“ გამოეხმაურა: „მოვიდა თუ არა ამბავი, ეპისკოპოსი ბესარიონი უმაღლეს მთავრობას ეპისკოპოსად დაუნიშნავსო, მაშინვე აუარებელი ხალხით აივსო ეპისკოპოსის სასახლის¹⁵ ეზო. ეპისკოპოსს წარუდგნენ ყოველი წოდების და ეროვნების წარმომადგენელნი და მიულოცეს დამტკიცება. ყოვლადუსამღვდელოესმა ბესარიონმა ყველანი სიამოვნებით მიიღო, მიმართა მათ შესაფერისი სიტყვით და ბოლოს მადლობით და ლოცვა-კურთხევით გაისტუმრა“.¹⁶

ყოვლადსამღვდელო ბესარიონის ლოცვა-კურთხევით, ყოველ კვირა და სადღესასწაულო დღეებში ქუთაისის წმიდა ალექსანდრე ნეველის სახელობის საკათედრო ტაძარში (სობორო) ევალეობდა სამღვდელოებას ქადაგების წამოთქმა.¹⁷

1898 წელს იმერეთის ეპისკოპოს ბესარიონის (დადიანი) ძალისხმევით ქუთაისში სტამბა „მეურნის“ რედაქციაში, რომლის რედაქტორი იყო ილია ჭყონია, ანტონ ჭყონდიდელის ქადაგებანი გამოიცა. წიგნის წინასიტყვაობაში თედო ჟორდანია წერს: „გულისხმიერი მკითხველი ადვილად დარწმუნდება, რომ წინამდებარე ქადაგების წიგნს, გამოცემულს მისი მეუფების იმერეთის ეპისკოპოსის ბესარიონის საფასით, იმდენი ღირსება აქვს, რომ ის სამართლიანად უნდა იკითხებოდეს ყველა ქართველთა ეკლესიებში და შეგნებულ ოჯახებში, როგორც აწ განსვენებულის გაბრიელის ქადაგებანი.“¹⁸

გარდაცვალება

*„ძმანო ჩემო საყვარელო, ნუ დამივიწყებთ მე,
ოდეს უგალობდით უფალსა,
არამედ მოიხსენებდით ძმებრივსა სიყვარულსა ჩემსა,
ვედრებით ღმერთსა,
რათა განმისვენოს მართალთა თანა უფალმან.“¹⁹*

მღვდელმთავრობის უკანასკნელ წლებში მეუფე ბესარიონი ხშირად ავადმყოფობდა. 1900 წლის მაისის თვეში მან ექიმების რჩევით გამოითხოვა სასულიერო მთავრობისაგან ორი თვით დასვენება. უწმინდესმა სინოდმა მისცა ორი თვის შვებულება. ივლისის თვეში გაემგზავრა უწერაში, საიდანაც კვლავ მძიმე მდგომარეობით დაბრუნდა. ავადმყოფის ჯანმრთელობა დღითიდღე უარესდებოდა და ბოლოს ექიმებმა იმედი გადაიწურეს. პირველ აგვისტოს მეუფე ეზიარა და, აქედან მოყოლებული, თითქმის უგრძნობლად იყო ლოგინში.²⁰

1900 წლის 3 აგვისტოს, ღამის 12 საათზე 68 წლის ასაკში გარდაიცვალა იმერეთის ეპისკოპოსი ბესარიონი დადიანი.

¹⁵ საეპისკოპოსო სასახლე (რეზიდენცია) იყო ბაგრატის ტაძრის გალავანში, 1986 წელს დაანგრეს

¹⁶ ქუთაისი. ეპისკოპოსის ბესარიონის მოლოცვა. გაზეთი „ივერია“ N574 1898, გვ. 2.

¹⁷ ბეჟან ხურციძე. იმერეთის ეპარქია 1821-1917 წლებში, (ქუთაისი, 2008), გვ. 121.

¹⁸ ანტონ ჭყონდიდელის ქადაგებანი, ყოვლადსამღვდელოს იმერეთის ეპისკოპოსის ბესარიონის გამოცემა (სტამბა „მეურნე“, ქუთაისი, 1898).

¹⁹ კურთხევანი. (მოსკოვი, 1825), გვ. 324.

²⁰ სერგო ვარდოსანიძე. ქართველი მღვდელმთავრები (XX-XXI საუკუნეებში), (გამომცემლობა ნათლისმცემელი, თბილისი, 2010), გვ. 40.

1900 წლის 6 აგვისტოს პეტერბურგიდან საქართველოს ეგზარქოსმა ფლაბიანემ (გოროდეცკი) გორის ეპისკოპოს ლეონიდეს (ოქროპირიძე) შემდეგი შინაარსის დეპეშა გაუგზავნა: „იკისრეთ და განკარგულება მოახდინეთ ყოვლადსამღვდელო ბესარიონის გვამის დაკრძალვის შესახებ იმერეთის საეკლესიო ხაზინის ხარჯით, აგრეთვე მიიღეთ ეპარქიის საქმეთა გამგებლობა.“

„ყოვლადსამღვდელო ლეონიდე 8 აგვისტოს ჩამობრძანდა ქუთაისში ყოვლადსამღვდელო ბესარიონის გვამის დასაკრძალვად; მათმა მეუფებამ ქუთაისში დაჰყო რამდენიმე დღე საქმეების წესრიგში მოსაყვანად და კვირას, 13 აგვისტოს, წაბრძანდა ტფილისში“.²¹

1900 წელს გაზეთი „ცნობის ფურცელი“ წერდა: „ქუთაისიდან სამწუხარო ამბავი მოვიდა: 3 აგვისტოს, ღამით გარდაიცვალა იმერეთის ეპისკოპოსი ბესარიონი (დადიანი). განსვენებული კარგა ხანია ავადმყოფობდა და ამას წინათ რაჭაში იყო წყლებზე.“²²

ეპისკოპოს ბესარიონის ქუთაისის სობოროში დაკრძალვა

ყოვლადსამღვდელო ბესარიონის გადასვენება მღვდელმთავრის სასახლიდან ქუთაისის საკათედრო ტაძარში (სობორო)

იმერეთის ეპისკოპოს ბესარიონ დადიანის დაკრძალვა აღწერილია ჟურნალ „მწყემსში“. წერილში ვკითხულობთ:

„4 აგვისტოდან დაკრძალვის დღემდე შუადღისა და საღამოს 8 საათზე მღვდელმთავრის სასახლეში საკათედრო ტაძარშიბდეკანოზ გაბრიელ ცაგარეიშვილის მეთაურობით იკრიბებოდა ქალაქის სამღვდელოება, იხდიდა პანაშვიდს, რომელსაც უამრავი ხალხი ესწრებოდა.

5 აგვისტოდან განსვენებულ მღვდელმთავარს პანაშვიდს უხდიდნენ არქიმანდრიტები: ქუთაისის სასულიერო სემინარიის რექტორი ბენიამენი (ბარნუკოვი), ნიკოფორე (კანდელაკი), სიმონი (აფაქიძე), ამავე ესწრებოდა სემინარიის ინსპექტორი ნიკანდრი.

8 აგვისტოს, სამშაბათს დილით თბილისიდან მატარებლით მობრძანდა გორის ეპისკოპოსი, მისი ყოვლადუსამღვდელოესობა ლეონიდე (ოქროპირიძე). ამ დღეს მისმა მეუფებამ სამღვდელოების თანამსახურებით გადაიხადა ორგზის პანაშვიდი განსვენებული ყოვლადსამღვდელო ბესარიონის სულის მოსახსენებლად.

9 აგვისტოს, ოთხშაბათს დილით, ფოთიდან მობრძანდა გურია-სამეგრელოს ეპისკოპოსი ყოვლადსამღვდელო ალექსანდრე (ოქროპირიძე), რომელსაც პეტერბურგიდან, საქართველოს ეგზარქოს ფლაბიანესგან (გოროდეცკი), დავალებული ჰქონდა ეპისკოპოს ბესარიონის დასაფლავებაზე დასწრება.

ამ დღეს, დილით 9 საათზე, მღვდელმთავრის სასახლესთან მოვიდა უამრავი ადამიანი, ეკლესიებიდან გაისმა სამგლოვიარო ზარების ხმა. ქალაქისა და მახლობელი სოფლებიდან მოსული სამღვდელოება შეიკრიბა ქუთაისის სასულიერო სასწავლებლის ეკლესიაში. სადაც შეიმოსნენ და გაემგზავრნენ მღვდელმთავრის სასახლეში. აქვე მობრძანდნენ და შეიმოსნენ ყოვლადსამღვდელონი ალექსანდრე და ლეონიდე. გადაიხადეს მცირე პანაშვიდი, ჩამოლოცვის შემდეგ სამღვდელოება გაემართა საკათედრო სობოროსკენ.

საკათედრო ტაძარში მობრძანდნენ ეპისკოპოსები ალექსანდრე და ლეონიდე. კუბოს მიასვენებდნენ არქიმანდრიტები: ქუთაისის სემინარიის რექტორი, ბენიამენი (ბარნუკოვი), სერაპიონი (ახვლედიანი), ბესარიონი (ახვლედიანი), სიმონი (აფაქიძე) და ნიკოფორე

²¹ ახალი ამბები და შენიშვნები. ჟურნალი „მწყემსი“ N15, 1900, გვ. 13.

²² ქუთაისიდან. გაზეთი „ცნობის ფურცელი“ N1203, 1900, გვ. 2.

(კანდელაკი), აგრეთვე დეკანოზი გაბრიელ ცაგარეიშვილი. პროცესია არქიელის მთიდან გაბრიელის ქუჩით გაემართა სობოროში. როგორც კი კუბო ტაძარში შეასვენეს დაიწყო წირვა. მწირველები ბრძანდებოდნენ: ყოვლადსამღვდელონი ალექსანდრე და ლეონიდე, არქიმანდრიტები: სერაპიონი, სემინარიის რექტორი ბენიამენი, ბესარიონი, სიმონი და ნიკოფორე, დეკანოზები გაბრიელ ცაგარეიშვილი და რაჟდენ გიგაური. წირვის დასრულების შემდეგ გადაიხადეს პანაშვიდი.

წესის აგებაში აღნიშნულ პირთა გარდა მონაწილეობა მიიღო მრავალმა დეკანოზმა და მღვდელმა.

რადგან საკათედრო ტაძარში ამ დღეს ვერ მოასწრეს საფლავის გაჭრა ეპისკოპოსი ბესარიონი (დადიანი) ტაძარში დაიკრძალა მესამე დღეს.²³

XX საუკუნის 20-იან წლებში ბოლშევიკური ხელისუფლების გადაწყვეტილებით, საქართველოში დახურეს ასობით ეკლესია, სამეფო მონასტრები და კაცთაგან მივიწყებულად აქციეს ისინი. საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიაში არსებული ანტირელიგიური კამპანია მტკივნეულად შეეხო ისტორიულად მნიშვნელოვან უძველეს ქუთაის-გაენათის ეპარქიასაც. დაინგრა და განადგურდა არაერთი ტაძარი, იღვენებოდა სასულიერო იერარქია, ზოგიერთ მათგანს მოწამეობრივი აღსასრული ხვდა.²⁴

ქუთაისის საკათედრო ტაძარი ვერ გადაურჩა ანტირელიგიურ კამპანიას, ეკლესია ჯერ დახურეს და შემდეგ მიწასთან გაასწორეს.

1924 წლის 22 მაისს ქუთათელმა მიტროპოლიტმა ნაზარიმ (ლეჟავა) განცხადებით მიმართა „საქართველოს რესპუბლიკის უმაღლეს მთავრობას“, საიდანაც მოვიტანთ ამონარიდს: „ქუთაისის საკათედრო ტაძრის დაკეტვამ ძაძვებით შემოსა მორწმუნეები, ხოლო მისი დანგრევა უეჭველად სასოწარკვეთილებაში ჩააგდებს და სარწმუნოებრივ აღშფოთებას გამოიწვევს არა თუ ქუთაისის მორწმუნეთა შორის, არამედ იმერეთის ნახევარ მილიონ მორწმუნეთა შორის... ასეთი სარწმუნოებრივი გრძნობის შელახვა არ მომხდარა“.²⁵

იმდროინდელ პრესაში სიხარულით აღნიშნავდნენ: „სობოროდან“ 1923 წლის შემოდგომაზე გამოვიტანეთ ხატები და დავყარეთ ბალისკიდის წინ. ფეხებით დავდიოდით ზედ კომკავშირლები.²⁶

1923 წელს გაზეთი „მუშა და გლეხი“ წერდა: „სობორო, დიდი ხანი არ არის რაც დემონსტრაციულად ჩამოვართვით ეს საყდარი.. ალბათ გახსოვთ, როგორ ლამაზად დაიმსხვრა ჯვარი და აფრიალდა წითელი დროშა. ცნობათ: ამ დღეებში წითელ ვარსკვლავს დაინახავთ იქ, სადაც გუშინ თქვენი ჯვარი იყო გუმბათზე“.²⁷

დასანანია, რომ ულამაზესი ქუთაისის საკათედრო ტაძარი 1924 წელს ათეისტების მიერ განადგურდა.

1900 წელს ქუთაისის წმ. ალექსანდრე ნეველის სახელობის საკათედრო ტაძარში (სობოროში) დაკრძალეს იმერეთის ეპისკოპოსი ბესარიონი (დადიანი), ხოლო 1918 წლის 24 სექტემბერს ქუთათელი მიტროპოლიტი ანტონი საკათედრო ტაძარის ინტერიერში დაიკრძალა. აღნიშნული ტაძარი საბოლოოდ დაანგრეს 1924 წელს და დიდი მღვდელმთავრების განსასვენებელიც დაიკარგა.

2020 წლის 3 აგვისტოს 120 წელი სრულდება იმერეთის ეპისკოპოს ბესარიონის (დადიანი) გარდაცვალებიდან.

²³ ყოვლადსამღვდელობესარიონი ეპისკოპოსი იმერეთისა. *ჟურნალი „მწყემსი“* №15, 1900, გვ. 2-3.

²⁴ ი. ლორთქიფანიძე. *XX საუკუნის საქართველოს ეკლესიის ისტორიიდან...* გვ. 187.

²⁵ *ჟურნალი „განთიადი“* №3, 1989, გვ. 217-218.

²⁶ *ჟურნალი „ომეგა“* №11(37), 2002, გვ. 24-25.

²⁷ გაზეთი „მუშა და გლეხი“ №15 (131), 1923, გვ. 2.

დამოწმებული ლიტერატურა:

- ანტონ ჭყონდიდელის ქადაგებანი, ქუთაისი 1898;
- ბეჟან ხურციძე. *იმერეთის ეპარქია 1821-1917 წლებში*, ქუთაისი 2008;
- გიორგი მაჩურიშვილი, ლუარსაბ ტოგონიძე. *XVIII-XX საუკუნეში მოღვაწე სასულიერო პირთა ცხოვრება და მოღვაწეობა*, თბილისი 2012;
- ირაკლი ლორთქიფანიძე. *XX საუკუნის საქართველოს ეკლესიის ისტორიიდან - ქუთათელი მიტროპოლიტი ანტონი (გიორგაძე) ცხოვრება და მოღვაწეობა*, თბილისი, 2019;
- კურთხევანი, 1825;
- მერაბ კეზევაძე. *გელათის მონასტერი ეგზარქოსობის დროს*, ქუთაისი 2008;
- მღ. მელიტონ სპ. კელენჯერიძე. გაბრიელი ეპისკოპოსი იმერეთისა (მისი დრო, ცხოვრება და მოღვაწეობა), ქუთაისი 1913;
- სერგო ვარდოსანიძე. *ქართველი მღვდელმთავრები (XIX-XXI საუკუნეები)*, თბილისი 2010;
- Епископ Кирион (Садзаглишвили), Краткий очерк истории грузинской церкви и экархата за XIX столетие*, Тифлис, 1901;
- ივერია, N130, 1898;
- ივერია, N574, 1898;
- განთიადი, N3, 1989;
- ბუშა და გლეხი, N15 (131), 1923.
- მწყემსი, N12, 1895;
- მწყემსი, N14-15, 1895;
- მწყემსი, N19-20, 1895;
- მწყემსი, N13-14, 1896;
- მწყემსი, N22, 1896;
- მწყემსი, N15, 1900;
- ომეგა, N11(37), 2002;
- ცნობის ფურცელი, N1203, 1900.

Irakli Lortkipanidze

PhD in History

History of the Lost Grave Besarion Dadiani, Bishop of Imereti

Summary

The Diocese of Imereti has an important place in the centuries-old history of the Georgian Apostolic Orthodox Autocephalous Church.

The Diocese of Imereti was established by the decision of the Holy Synod of Russia ...

In 1810 Russian Empire conquered the Kingdom of Imereti. In 1814 the Holy Synod of Russia abolished the Catholicosate of Western Georgia and subordinated it to the Exarch, who was called the Exarch of Georgia-Imereti.

By the Order on November 19, 1921, five eparchies acting in Imereti were united under the name of Imereti Eparchy.

On June 1989 Bishop of Alaverdi Besarion (Dadiani) was appointed Bishop of Imereti.


On August 3, 1900, in the age of 68, Bishop of Imereti Besarion (Dadiani) died.

On August 12, 1900, Bishop of Imereti Besarion (Dadiani) was buried in Kutaisi St. Aleksander Nevsky Cathedral, and the Metropolitan of Kutaisi Anton was buried in the interior of the Cathedral on September 24, 1918. Finally this Cathedral was demolished in 1924 and the burial place of bishops was lost.

On August 3, 2020 will be the 120 anniversary of death of Bishop of Imereti Besarion (Dadiani).


Scientific literature and press materials of those years are used in this article; the great majority of them entered the scientific circulation for the first time.

დანართი



ქუთაისის საკათედრო ტაძრიდან (სობორო) ჯვრის ჩამოხსნა 1923 წლის 8 მარტი

1923 წელს გაზეთი „მუშა და გლეხი“ წერდა: „სობორო, დიდი ხანი არ არის რაც დემონსტრაციულად ჩამოვართვით ეს საყდარი.. აღბათ გახსოვთ, როგორ ლამაზად დაიმსხვრა ჯვარი და აფრიალდა წითელი დროშა. ცნობათ: ამ დღეებში წითელ ვარსკვლავს დაინახავთ იქ, სადაც გუშინ თქვენი ჯვარი იყო გუმბათზე“.



გაზეთი „ივერია“, 1900 წელი

ფოტოზე მარცხნიდან მარჯვნივ: ეპისკოპოსი ბესარიონი (დადიანი), ეპისკოპოსი გრიგოლი (დადინი), ეპისკოპოსი გაბრიელი (ქიქოძე), ეგზარქოსი პალადი (რაევი), ეპისკოპოსი ალექსანდრე (ოქროპირიძე), ეპისკოპოსი აგაფადორი (პრეობრაჟენსკი), არქიმანდრიტი ტიხონი (მოროშკინი - თბილისის სასულიერო სემინარიის რექტორი); უკან დგას არქიმანდრიტი. 1892 წელი.

აფხაზეთის სტორიული გეოგრაფია (XIX საუკუნე)

აფხაზეთის ტერიტორია მუდამ იყო საქართველოს ორგანული ნაწილი და ეს თავისებადობა კითხვის ნიშნის ქვეშ არასოდეს დამდგარა. XV საუკუნიდან, როდესაც ერთიანი საქართველოს სამეფო დაიშალა, აფხაზეთი რჩება იმერეთის სამეფოს შემადგენლობაში. XVI საუკუნის შუა წლებში იმერეთის სამეფოს გამოეყო და ცალკე პოლიტიკურ ერთეულებად ჩამოყალიბდნენ: გურიის, ოდიშისა და აფხაზეთის სამთავროები. ქართული სამეფო-სამთავროების მუდმივმა ურთიერთქმედებამ და ოსმალთა განუწყვეტელმა სამხედრო ექსპანსიამ ძალზედ დაამცრო მათი უნარი აღეკვეთათ XVI საუკუნიდან აფსუა ტომთა მასიური ჩამოწოლა აფხაზეთის ტერიტორიის ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში. აღნიშნულ მოვლენებს მკვეთრი ეთნიკური ცვლილება მოჰყვა რეგიონში. XVII-XVIII საუკუნეებში აფხაზეთის სამთავროში ჩამოსახლებულ აფსუებს, რომლებიც ოდიშის სამთავროს დაპყრობასაც ცდილობდნენ, შეურიგებელ წინააღმდეგობას უწევდნენ ოდიშის მთავრები. ისინი მუდმივ ბრძოლას აწარმოებდნენ აფხაზეთის მიმართულებით და აფსუათა ექსპანსიის შეჩერებას ცდილობდნენ.¹

საქართველოს ისტორიულ გეოგრაფიაში, გვიან ფეოდალური ხანის კვლევის სფეროში, ერთ-ერთ პრობლემურ საკითხს წარმოადგენს კარტოგრაფიული გამოსახულებების სიმცირე, არსებული ისტორიული რუკები ძირითადად სქემატურია და ტოპონიმების ნაკლებობას განიცდის. გეოგრაფიულად გამართული, ოროგრაფიული ერთეულებით დატვირთული საისტორიო კარტოგრაფიული გამოსახულებები ხელს შეუწყობს სხვადასხვა საკითხის უკეთეს ვიზუალურ აღქმასა და თეორიულ გააზრებას.

წინამდებარე ნაშრომში ჩვენ მიზნად დავისახეთ რეტროსპექტული კარტოგრაფირების მეთოდის გამოყენებით აღგვედგინა თანამედროვე აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ტოპონიმისა და ადმინისტრაციული დანაყოფების ცვლილება XIX საუკუნეში. მუშაობის პროცესში უდიდესი დახმარება გაგვიწია რუსულმა 5 ვერსიანმა რუკებმა,² რომელიც წარმოადგენს განუზომლად დიდ ტოპონიმის წყაროს და გვაძლევს საშუალებას მიახლოებით აღვადგინოთ აფხაზეთის ტერიტორია XIX საუკუნეში, მოვახდინოთ არსებული ტოპონიმის ლოკალიზაცია და ცვალებადობის დადგენა. აღნიშნული ატლასიდან ჩვენ 300-მდე ტოპონიმის აღგენა მოვახერხეთ. რუსული რუკებიდან აღებული ტოპონიმის მართებულ თარგმანში უდიდესი დახმარება გაგვიწია პაატა ცხადაიასა და ბეჟან ხორავას მონოგრაფიამ „აფხაზეთის გეოგრაფიული სახელწოდებანი“. აღნიშნული ნაშრომის საშუალებით ჩვენ განუზომლად დიდი ინფორმაცია მივიღეთ აფხაზეთის ტერიტორიაზე სოფლების წარმოშობა-გაუქმებასა და სახელწოდებათა ცვლილებების შესახებ. ტოპონიმის ქართულად გადმოთარგმნაში აგრეთვე დაგვეხმარა საქართველოს სსრ ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფის ცნობარი (გამოცემა IV, თბ., 1977). ადმინისტრაციულ დანაყოფებს შორის საზღვრის გატარებაში დიდი დახმარება გაგვიწია ზურაბ ცინცაძისა (2001) და კობა ხარაძის (2005) ნაშრომებმა. აგრეთვე გამოყენებულ იქნა თეიმურაზ მიბჩუანის (1997), ვახტანგ გურულისა (2018) და ბეჟან ხორავას (1996) მონოგრაფიები. ისტორიულ რუკაზე სწორი ორიენტირების საფუძველი მასალა აღებულ იქნა თსუ ვახუშტი ბაგრატიონის სახელობის გეოგრაფიის

¹ პაატა ცხადაია, ბეჟან ხორავა. *აფხაზეთის გეოგრაფიული სახელწოდებანი*, (თბილისი 2016), გვ. 21.

² (Карта кавкаского края XIX-XX, 1905).

ინსტიტუტის მიერ შედგენილი „საქართველოს ეროვნული ატლასიდან“ (2012) და დავით მუსხელიშვილის რედაქტორობით გამოცემული „საქართველოს ისტორიული ატლასიდან“ (2015).

მთელი XIX საუკუნის მანძილზე აფხაზეთში მძიმე პოლიტიკური ვითარება იყო, ეს მხარე რუსეთისა და ოსმალეთის იმპერიების ფარული თუ ღია ბრძოლების ასპარეზად იქცა. ძირძველი ქართველი მოსახლეობა ზურგმოშლილი შერჩა აფსუათა აგრესიასა და იმპერიათა ურთიერთქმედობის მძიმე შედეგებს. ეთნიკურად ქართული მოსახლეობა ნელ-ნელა, იძულებით იხევდა უკან, ნადგურდებოდა ძირძველი ქართული სოფლები და მათ ადგილს აფსუური სახელწოდების სოფლები ანაცვლებდა, ამ მხრივ განსაკუთრებული დარტყმა თანამედროვე ლესელიძიდან გაგრამდე არსებულმა ტერიტორიამ მიიღო, ქართული დასახლებები შედარებით მრავლად შენარჩუნდა სოხუმიდან გალამდე, თუმცა მკვეთრი სახეცვლილებით. ეს ყველაფერი ჩვენს მიერ შედგენილ რუკაზე ნათლად იკვეთება.

მძიმე პოლიტიკურ ფონს ქმნიდა აფხაზეთის სამთავროს დაშლა ცალკეულ სამფლობელოებად, რომელიც XVII-XVIII საუკუნეების მიჯნაზე განხორციელდა და XIX საუკუნემდე ფაქტიურად უცვლელი დარჩა. ჩამოყალიბდა შემდეგი ერთეულები: 1. **საძენი** (ზღვისპირა ჯიქეთი, მდ. ბზიფსა და მდ. მზიმთას შორის); 2. **ბზიფის აფხაზეთი** (მდ. ბზიფსა და მდ. გუმისთას შორის); 3. **გუმა** (მდ. გუმისთასა და მდ. კოდორს შორის); 4. **აბჟუა** (შუა სოფელი, მდ. კოდორსა და მდ. ღალიძგას შორის); 5. **სამურზაყანო** (მდ. ღალიძგასა და მდ. ენგურს შორის). აღნიშნულ ტერიტორიებზე თავის მხრივ იყო ცალკეული მცირე ფეოდალური დანაყოფები.³

XIX საუკუნის პირველ მეოთხედში დასახლებული სამფლობელოების საზღვრებში მცირედი ცვლილებები შეინიშნება: ბზიფის აფხაზეთი, გუმა, აბჟუა, სამურზაყანო, წებელდა, საძენი (ზღვისპირა ჯიქეთი), ფსხუსა და ახჩიფსხუს საზოგადოებები. XIX საუკუნის პირველ მეოთხედში არსებულ ტოპონიმიაში კარგად იკვეთება აფსუური ექსპანსიის შედეგები, ისე რომ ლესელიძიდან ბიჭვინთამდე ქართულს აფსუური ტოპონიმები ჭარბობს, ბიჭვინთიდან სოხუმამდე მდგომარეობა თითქმის თანაბარია, ხოლო სოხუმიდან გალამდე აშკარად იკვეთება ქართული ტოპონიმის სიმრავლე. თანამედროვე ლესელიძე-ბიჭვინთის მონაკვეთზეც მიკროტოპონიმის ნაწილი ისევ ქართული რჩებოდა, რაც აშკარად მიუთითებდა, რომ აქ მკვიდრი მოსახლეობა – ქართველები აფსუებმა ჩაანაცვლეს. ტოპონიმისთან ერთად ამას ქართული ხუროთმოძღვრული ძეგლებიც ადასტურებდნენ, ქრისტიანული ტაძრები, რომლებიც წარმართ აფსუა მოსახლეობას არაფერში სჭირდებოდა, გაუკაცურდა და განადგურდა.

1806–1812 წლების ომში რუსეთმა ოსმალეთი დაამარცხა. ომის პერიოდში, 1810 წელს, რუსებმა სოხუმის ალბაც შეძლეს და იგი ოსმალებისაგან გაანთავისუფლეს. მომწიფდა ვითარება, რომელიც აფხაზეთის მთავარს აიძულებდა ნებით თუ უნებლიეთ, ისევე როგორც სხვა ქართული სამეფო-სამთავროები რუსეთის მფარველობაში შესულიყო. საბოლოოდ 1810 წლის ოქტომბერში აფხაზეთის სამთავრო რუსეთის იმპერიის მფარველობაში შევიდა. ოსმალთა სურვილი დაებრუნებინათ გავლენა აფხაზეთზე 1828–1829, 1853–1856 და 1877–1878 წლების რუსეთ-ოსმალეთის ომების შედეგად შეუძლებელი გახდა, რუსეთმა ყველა შემთხვევაში შეძლო ოსმალეთის დამარცხება. რუსეთის მდგომარეობას აფხაზეთში განამტკიცებდა ისიც, რომ უკვე 1864 წლისათვის მან კავკასიის მთიელები დაიმორჩილა და კავკასიის ომი სრული გამარჯვებით დაასრულა.⁴

³ კობა ხარაძე. *საქართველოს ისტორიული გეოგრაფია*, (თბილისი 2005), გვ. 262.

⁴ ვახტანგ გურული. *საქართველოს ახალი ისტორია*, წ. 1. (მერიდიანი, თბილისი 2018), გვ. 442.

17 წლის განმავლობაში რუსეთის იმპერიის მოხელეები აფხაზეთის ადმინისტრაციული დაყოფის ძველ სტრუქტურაში არ ჩარეულან, თუმცა მოსახლეობის მუდმივმა დაუმორჩილებლობამ და პარტიზანულმა ბრძოლებმა რუსეთის ხელისუფლება აიძულა 1837 წელს წებელდის საპრისტავო შეექმნა და ჩამოეყალიბებინა მძლავრი სამხედრო ადმინისტრაცია. 1840 წელს შეიქმნა კიდევ ორი საპრისტავო სამურზაყანოსა და ჯიქეთში ამავე სახელწოდებით. რუსული სამხედრო ადმინისტრაციის რეზიდენცია 1834 წლამდე ზამბორაში იყო, შემდგომ კი სოხუმში გადავიდა.

1847 წელს სამურზაყანოს საპრისტავო ქუთაისის სამხედრო გუბერნატორის დაქვემდებარებაში გადავიდა. იმავე წელს კიდევ ერთი ცვლილება განხორციელდა: აფხაზეთის სამთავროს ჯიქეთისა და წებელდის საპრისტავო ჩამოართვეს და კავკასიის საპრისტავო სამმართველოს გადასცეს. 1856 წელს შეიქმნა ქუთაისის საგენერალგუბერნატორო, რომელსაც მმართველობაში გადასცეს სამურზაყანოსა და წებელდის საპრისტავოები.⁵

როგორც უკვე ავღნიშნეთ, რუსული მმართველობის სისტემა აფხაზეთში 1837 წლიდან შემოვიდა. სწორედ ამის შემდეგ ცდილობენ რუსი მოხელეები ადგილობრივი მტრულად განწყობილი მოსახლეობის ნაცვლად ადგილზე რუსი ან მათ მიმართ კეთილგანწყობილი ერები დაასახლონ (უმეტესად უკრაინელები, ბელორუსები, ესტონელები, გერმანელები, სომხები და ბერძნები). მიუხედავად იმისა, რომ რუსული კოლონიების ჩამოყალიბება დიდი ხნის დაწყებული იყო, გარდამტეხი მომენტი აფხაზეთა მუჰაჯირობის დროს დგება. 1866 წელს რუსეთის ხელისუფლების წინააღმდეგ აჯანყებული აფხაზები იძულებით ოსმალეთში გადასახლეს. კავკასიის სამეფისნაცვლოს ადმინისტრაცია ფორმალურად ამ მოვლენის წინააღმდეგი იყო, თუმცა სინამდვილეში ეს მისი დიდი გამარჯვება იყო.

აფხაზეთა მუჰაჯირობის შემდეგ მკვეთრად შეიცვალა ვითარება აფხაზეთში. როგორც ზემოთ ავღნიშნეთ თანამედროვე ლესელიძიდან ბიჭვინთამდე აფხაზური ტოპონიმია ჭარბობდა, იგი ქართულთან ერთად მრავლად შეინიშნებოდა ბიჭვინთიდან სოხუმამდე არსებულ ტერიტორიაზეც. ამიერიდან კი მის ადგილს რუსული ახლად შექმნილი ტოპონიმია იკავებს. რუსული კოლონიები ყალიბდება შემდეგი აფხაზური სოფლების ადგილზე: ხისხორიფში – ქრისტოფოროვო, ცანდრიფში – პილენკოვო, გეჩრიფში – ვესიოლოვკა, ფსოუ – სალმე და სულევო, ხუშკარიფში – დემერჩენცი, ბაღრიფში – დერეკეი, არასადიხი – კოვალევსკოე, ლაფსთაარხა – ბარანოვო, ააცი – ბაკლანოვკა, აჯაფხუნი – კავაქლუქი, გუმა – მიხაილოვკა, ამხიალი – ალექსანდროვკა, ნაუში – ანასტასიევკა და სხვ. მსგავსი ბედი გაიზიარეს ქართული სოფლების ნაწილმაც: მიგუთა – გნადენბერგი, კელასური – ეკატერინოვკა, ლეკუხონა – მარინსკოე, კელასური – პოლტავსკოე და სხვ. 1864 წელს რუსეთის ხელისუფლებას გადაწყვეტილი ჰქონდა აფხაზეთი საერთოდ მიეერთებინა ყუბანის მხარისათვის მაგრამ ბოლოს ეს პროექტი აღარ განხორციელდა.⁶

რუსეთმა წარმატებით შეძლო აფხაზეთის ტერიტორიის კოლონიური ათვისება, მაგრამ რუსეთის იმპერიის სხვადასხვა მხრიდან ჩამოსახლებული ხალხები ადგილობრივ ჭაობიან ადგილებს ვერ ეგუებოდნენ და ხელისუფლების მხრიდან შექმნილი შეღავათების მიუხედავად ხშირად უკან, სამშობლოში ბრუნდებოდნენ. შესაბამისად, აფხაზეთში ქართველთა წილის მკვეთრი შემცირება იმპერიამ ვერ შეძლო. კოლონიური პოლიტიკის ერთ-ერთ მიზანს წარმოადგენდა მხარის რელიგიური ასიმილაციაც, ამ მიზნით ეკლესიებიდან იდევნებოდა ქართული ენა და მსახურება რუსულად აღევლინებოდა,

⁵ ზურაბ ცინცაძე. აფხაზეთის ტერიტორიულ-ადმინისტრაციული დაყოფა XIX საუკუნესა და XX საუკუნის დასაწყისში. *აფხაზეთის მოამბე* N5. თბილისი, 2001, გვ. 29.

⁶ თეიმურაზ მიბჩუანი. *აფხაზეთის მეფეები და მთავრები*, (თბილისი 1997), გვ. 52.

შენდებოდა ახალი რუსული მონასტრები. ასე აშენდა ისტორიული ქართული უღალის ადგილზე ნოვი აფონი (ახალი ათონი) რუსული მონასტერი, რომელიც რუსული სასულიერო ძალის ექსპანსიის ნათელ გამოვლინებად შეიძლება ჩაითვალოს. ქართული ენა იდევენებოდა სკოლებიდანაც. ამ მიზანს ემსახურებოდა 1898 წლის 17 მარტის საქართველო–იმერეთის სინოდალური კანტორის ბრძანებულებაც, რომელიც აფხაზეთში არსებულ ტაძრებსა და სკოლებში ქართულ ენას კრძალავდა და უმკაცრეს კონტროლს აწესებდა.⁷

ზემოთჩამოთვლილი მიზეზების გამო XIX საუკუნის ბოლოსათვის აფხაზეთში ძალზე მძიმე ვითარება შეიქმნა, მიმდინარეობდა მხარის გაცხოველებული რუსიფიკაცია, რასაც ქართველი საზოგადოება სათანადოდ ვერ ეწინააღმდეგებოდა. უნდა აღინიშნოს, რომ XVI-XVII საუკუნეებში დაწყებულ აფსუა ტომების მოძალებისა და 90 წელი რუსული აქტიური კოლონიური პოლიტიკის მიუხედავად აფხაზეთში მცხოვრებმა ქართველობამ XIX საუკუნეში თვითმყოფადობის შენარჩუნება მაინც შეძლო და აფხაზეთის ტერიტორია გადარჩინა ჯერ სრულ გააფსუებას, ხოლო შემდეგ გარუსებას. აფსუებისა და რუსული პოლიტიკის შედეგები ნათლად ჩანს ჩვენს მიერ შედგენილ რუკებზე.

დამოწმებული ლიტერატურა:

ვახტანგ გურული. *საქართველოს ახალი ისტორია*, წ. 1. (მერიდიანი, თბილისი 2018);
ზურაბ ცინცაძე. აფხაზეთის ტერიტორიულ–ადმინისტრაციული დაყოფა XIX საუკუნესა და XX საუკუნის დასაწყისში. *აფხაზეთის მოამბე* N5. თბილისი, 2001;
თეიმურაზ მიბჩუანი. *აფხაზეთის მეფეები და მთავრები*, (თბილისი, 1997);
კობა ხარაძე. *საქართველოს ისტორიული გეოგრაფია*, (თბილისი, 2005);
პაატა ცხადაია, ბექან ხორავა. *აფხაზეთის გეოგრაფიული სახელწოდებანი*, (თბილისი, 2016);
Карта кавкаского края (XIX-XX), 1905.

Valeri Kekenadze

Student of PhD Programme History of Georgia

Historical geography of Abkhazia (19th Century)

Summary

In the present paper, we aimed at retrospective mapping Using the method, we restored the Autonomous Republic of Modern Abkhazia Change of toponymy and administrative divisions in the 19th century. Russian 5-version maps helped us a lot in the work process (Карта кавкаского края XIX-XX, 1905), Which is a source of immeasurably great toponymy and allows us to roughly reconstruct the territory of Abkhazia in the 19th century, Localize the existing toponymy and determine the variability. We managed to recover up to 300 toponyms from the mentioned atlas. Various scientific literature, Based on cartographic images and historical sources, we have compiled two thematic maps: Abkhazia in 1801-1837 and Abkhazia in 1837-1906. The cartographic images in the paper will be of great help Researchers interested in the history of the Autonomous Republic of Abkhazia.

⁷ ვ. გურული. *საქართველოს ახალი ისტორია...* გვ. 442.

დანართი:



ლევლის მამულის მმართველობის ისტორიიდან

1921 წლის თებერვალ-მარტის ტრაგიკული მოვლენების შემდეგ, როცა საბჭოთა რუსეთმა მოახდინა დემოკრატიული საქართველოს ანექსია, ეროვნული მთავრობა და დამფუძნებელი კრების ნაწილი, ისე, რომ ქვეყნის მთავარ საკანონმდებლო ორგანოს არ მოუხსნია თავისი უფლება-მოვალეობა, ემიგრაციაში წავიდა საფრანგეთში, რათა იქ გაეგრძელებინა ბრძოლა დაკარგული დამოუკიდებლობის დასაბრუნებლად. ბრძოლის ეს ფორმა ძირითადად დიპლომატიური საშუალებებით ევროპის სახელმწიფოებისა და საზოგადოებრივი ორგანიზაციების ინფორმირებას გულისხმობდა იმ პროცესების შესახებ, რასაც რეალურად ბოლშევიკების მიერ დაპყრობილ საქართველოში ჰქონდა ადგილი და მათგან მოელოდა აქტიურ მხარდაჭერას.

საფრანგეთში ჩასვლისთანავე საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობას სამოღვაწოდ საბინადრო სადგომი სჭირდებოდა და სწორედ ამიტომ მან პარიზის მახლობლად ლევლის შატო შეიძინა, რომელიც გახდა დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის მთავარი შტაბ-ბინა, ქართული კულტურის დიდი კერა და პატარა საქართველო საფრანგეთში.

მამულის ყიდვისთანავე მისმა დამფუძნებელმა მამებმა მოძებნეს საშუალება ლევლის ფლობისათვის-იგი ჯერ ორ კაცზე გააფორმეს, ხოლო შემდეგ, 1928 წლის 30 აპრილს, შეადგინეს ანდერძი, რომლის მთავარი აზრიც იყო ის, რომ ლევლის მამული შემენილი იყო მთავრობის ფულით და ამიტომ დამოუკიდებელი საქართველოს საკუთრებას შეადგენდა (ამაში მტკიცედ იყვნენ დარწმუნებულნი ემიგრანტები). როდესაც ჩვენი სამშობლო აღიდგენდა თავისუფლებას, ლევილიც აუცილებლად უნდა დაბრუნებოდა საქართველოს. ეს განხორციელდა მოგვიანებით.

თავიდანვე განისაზღვრა ლევლის მამულის მმართველობის ორგანიზაცია, რომელიც, როგორც საარქივო მასალის ანალიზიდან ჩანს, საკმაოდ მოქნილი და იმ დროისათვის ოპტიმალური ყოფილა. მამია ბერიშვილის ცნობით „ქართულ კერას მართავს ორი ორგანო: I-ე.წ. მეპატრონეთა სოციეტე და II-ქართული კერის ასოციაცია, რომლის მმართველი ორგანო არის ასოციაციის ადმინისტრაცია. ორივე ორგანო დაარსებული არის მთავრობის ინიციატივით და დადგენილებით. პირველი ეგრეთ წოდებული **სოციეტე** მამულის ყიდვისას, მეორე-**კერის ასოციაცია** 1958-1960 წლებში. მისი მრჩეველი და ორგანიზატორი იყო ქართველი ერის დიდი მეგობარი სენატორი და მინისტრი ბატონი მარიუს მუტე, რომელიც ასაბუთებდა რა მემკვიდრეების მომრავლებას ჩამომავლობის გზით... ის ურჩევდა მთავრობას: 1) პარალელურად კერის სოციეტესი უნდა შეიქმნას კერის ადმინისტრაცია. 2) ასოციაციამ მამული უნდა აიღოს იჯარით სიმბოლურად ერთი ფრანკის გადახდით. 3) მამულის მმართველობა ადმინისტრაციულად და ფიზიკურად სრულად გადადის ასოციაციის ხელში. 4) სოციეტე რჩება გარანტად, როგორც „მეპატრონე“ ფრანგული ადმინისტრაციის წინაშე... 5) ასოციაცია უნდა+- იქნეს გაფორმებული, როგორც „საქველმოქმედო ურთიერთდამხმარე საზოგადოება“... 15) ასოციაციის შინაგანაწესი, დისციპლინის დამყარების მიზნით, უნდა იქნეს მკაცრი“.¹

სენატორ მუტეს მიერ ქართული კერის ასოციაციის დაარსება და მამულის მმართველობის ამ სახით შექმნა გამოწვეული იყო იმ აუცილებლობით, რომ კოლონიას

¹ საქართველოს ცენტრალური საისტორიო არქივი, ფონდი 2126, აღწერა 1, საქმე 66, ფურცელი 15-16.

უჭირდა სახელმწიფო გადასახადის გადახდა, რომელიც ყოველ წელს იზრდებოდა და არსებობდა იმის საშიშროება, რომ გადასახადის ვერ გადახდის შემთხვევაში ლევილის შატო ჩაუვარდებოდა ხელში ფრანგულ სახელმწიფოს. სწორედ ამიტომ მარიუს მუტემ „მთავარი ყურადღება მიაქცია მამულის ფიზიკური მოვლის და მის ადმინისტრაციულად მართვის საკითხს“.²

ამისათვის შემუშავდა ლევილის ფლობის რამდენიმე ვარიანტი: პირველი გეგმით, ქართველთა შორის უნდა გამოჩენილიყო ვინმე მდიდარი პიროვნება, რომელიც საქველმოქმედო მიზნით „გაიღებდა წლიურად საკმაო თანხას, თვით გახდებოდა „სოციეტეს წევრი“, მამული დარჩებოდა სოციეტეს იურიდიულ უფლებებში“, როგორც წარსულში, ახლაც ის შეასრულებდა მეპატრონის როლს საფრანგეთის კანონმდებლობის წინაშე, ხოლო მამულში მცხოვრები ადამიანები იქნებოდნენ მდგმურები ყველა თავისი უფლებით და „სოციეტე“ მიიღებდა კომერციულ სახეს. მისი უმაღლესი ორგანო იქნებოდა „გენერალური ანსამბლე“, რომლის დადგენილებებს სისრულეში მოიყვანდა „ჟერანი“, რომელიც იქნებოდა არჩეული ყველა „სოციეტერების“ მიერ შეთანხმების ნიადაგზე.³

მეორე გეგმით, უნდა დაარსებულიყო ასოციაცია, სადაც „სოციეტე“ თვით გახდებოდა ქველმოქმედი და „დონაციის“ სახით ძალაუფლებას გადასცემდა „ასოციაციას“, „რომელიც იქნებოდა დარსებული 1901 წლის კანონის ბაზაზედ საქველმოქმედო მიზნით როგორც მოხუც ქართველთა თავშესაფარი“. აქ ასოციაცია დაიჭერდა „ფიქტიური პატრონის ადგილს, მაგრამ ურეზერვოდ იცნობდა ყველა ხელშეკრულებებს, ხელწერილებს, კვიტანციებს, ჩეკებს და სავალდებულოდ გაიხდიდა ყველა იმ პირობებს რომელიც სოციეტერებმა დადვეს მამულის ყიდვის დროს. ასოციაცია გახდებოდა ფიქტიური პატრონი რომლის ხელში გადავიდოდა მამული ადმინისტრაციულად და ფინანსურად“.⁴

მესამე ვარიანტით, სოციეტე დარჩებოდა თავდაპირველ მდგომარეობაში და გააგრძელებდა თავის მოვალეობას როგორც მეპატრონე ფრანგული კანონების მიხედვით. მისი წევრები დაიცავდნენ ყველა პირობას, რომელიც დადებული ჰქონდათ მთავრობის წინაშე, მაგრამ პარალელურად სოციეტესი უნდა დაარსებულიყო საქველმოქმედო ასოციაცია „ხანდაზმულ ქართველთა თავშესაფრის საბაზით“, რომელიც „აიღებდა მამულს „ბაის“ საშუალებით, რისთვისაც ასოციაცია ყოველ წლიურად გადაუხდიდა სოციეტეს „სიმბოლურ“ ერთ ფრანკს რაც ასოციაციას აძლევდა უფლებას მოიჯარადობის“. ამ ვითარებაში სოციეტეს და ასოციაციაც ისარგებლებდნენ თანაბარი უფლებით, რადგან ისინი პატრონობდნენ სხვის ქონებას და მათი უფლება-მოვალეობების თავიდანვე უნდა განსაზღვრულიყო შემდეგნაირად: სოციეტე დარჩებოდა თავის ძველ ფუნქციაში, როგორც იურიდიული სუბიექტი საფრანგეთის კანონების წინაშე, ხოლო ასოციაციის ხელში გადავიდოდა მამულის ფიზიკური მოვლა, მასი მმართველი ორგანო იქნებოდა ადმინისტრაცია, სოციეტეს წევრები დარჩებოდნენ შეუცვლელნი, ხოლო ჟერანი გახდებოდა „სკუტატორი“ სოციეტესა და ადმინისტრაციას შორის. მამულში მცხოვრები ხანდაზმული ქართველები მიიღებდნენ შეხიზნულის ტიტულს და „მოკლებული იქნებოდნენ ლოკატერის სტატუსს“. ყველა ეს ღონისძიებები სახელმწიფო გადასახადს შეამცირებდა მინიმუმამდე. ასოციაციას ექნებოდა უფლება წევრების შეცვლის „გენერალური ანსამბლეს“ საშუალებით.⁵

ამ სამ შეთავაზებულ შესაძლებლობაში ეროვნულმა მათავრობამ აირჩია მესამე, იმ პერიოდისათვის ყველაზე ოპტიმალური გეგმა და როგორც მამია ბერიშვილი აღნიშნავდა, ამ გეგმის მიხედვით სოციეტე და ასოციაცია ურთიერთ-დახმარებით, ხელი-ხელ

² თსუ-ს ბიბლიოთეკა, სდრ-672/ბერ-665, ფ. 2.

³ თსუ-ს ბიბლიოთეკა, სდრ-672/ბერ-665, ფ. 2.

⁴ თსუ-ს ბიბლიოთეკა, სდრ-672/ბერ-665, ფ. 2.

⁵ თსუ-ს ბიბლიოთეკა, სდრ-672/ბერ-665, ფ. 2-3.

ჩაკიდებული ერთად გაუძღვებოდნენ მამულს, რომ ხანდაზმულ თანამემამულეებს ეცხოვრათ „ქართულ გარემოში“.

თავიდანვე განისაზღვრა სოციეტეს და ასოციაციის უფლება-მოვალეობანი: ვინაიდან ორივე მათგანის დაარსება ემსახურებოდა ერთსა და იგივე მიზანს-ეპატრონათ საქართველოს ქონებისთვის, ისინი ისარგებლებდნენ თანაბარი უფლებით-სოციეტე დარჩებოდა თავის ძველ ფუნქციაში, როგორც მამულის იურიდიული გარანტი საფრანგეთის კანონების წინაშე, ხოლო ასოციაციას დაეკისრებოდა მამულის ფიზიკური მოვლა, მისი ადმინისტრაცია და სოციეტეს წევრები იქნებოდნენ შეუცვლელნი, ხოლო მათ მიერ არჩეული ჟერანი გახდებოდა „სკუტატორი“ სოციეტესა და ადმინისტრაციას შორის. ყველა უნიშვნელოვანესი საკითხის გადაწყვეტა მოხდებოდა სოციეტესა და ასოციაციის „გენერალური ანსამბლეს“ საშუალებით, რომელსაც დაესწრებოდა ორივე ორგანოს წარმომადგენლობა. რაც შეეხება ლევილის მამულის მცხოვრებლებს, ისინი მიიღებდნენ შეხიზნულის სტატუსს. მამულის ამგვარი მოწყობა შეამცირებდა სახელმწიფო გადასახადს მინიმუმამდე და მამია ბერიშვილის სიტყვებით რომ ვთქვათ ეს „საშუალებას მისცემდა ჩვენ ხანდაზმულ თანამემამულეებს ეცხოვრათ ერთად. მინიატურულ „ქართულ გარემოში“.⁶

ამგვარად, ლევილის იურიდიული საფუძველი გახდა „ქართული კერის სოციეტე“, რომელიც შედგებოდა ეგრედ წოდებული ფიქტიური მაპატრონეებისგან და როცა მამული იქნა ნაყიდი, „სოციეტეში იქნა შეყვანილი ყველა ის მიმდინარეობანი, რომელიც დამოუკიდებელ საქართველოს პარლამენტში იყო წარმოდგენილი პროპორციულად“.⁷

იგივე ცნობებით, „მეპატრონეები“ არიან პატრონი ქონებისა, რომელიც მათ არ ეკუთვნით. მათი სოციეტე ამ მხრივ ფიქტიურია. მისი არსებობა განსაზღვრული იყო არა მეპატრონეობის ნიადაგზე, არამედ ფრანგული ადმინისტრაციული სისტემის აუცილებლობით... სოციეტეს თავისი კაპიტალი არ გააჩნია. მას ჰყავს ჟერანი, რომელიც ჟერანია სხვისი ქონების, მაგრამ მისი არსებობა საჭიროდ იქნა ცნობილი, როგორც თვალყურის მდევნებელი, რომ რომელიმე „მესაკუთრემ“ ან მისმა ჩამომავალმა თავისი ფიქტიური უფლება ბოროტად არ გამოიყენოს. ამ მიზნით მთავრობამ შექმნა „ქართული კერის ასოციაცია“, როგორც საქველმოქმედო ორგანიზაცია, ქართველ მოხუცთა თავშესაფრის საჭიროების მიზნით. მისი მიზანია, მამული დაიცვას როგორც შიგნიდან, ისე გარედან მოსალოდნელი შეტევებისგან. ის მოვალეა, შეინახოს მამული ფიზიკურად, გააკეთოს საჭირო შეკეთებები, გადაიხადოს სახელმწიფო გადასახადი და გადადგას ოფიციალური ნაბიჯები, რასაც მამული მოითხოვს... ასოციაცია წარმოადგენს თავისებურ სპეციფიკურ ორგანიზმს, რომელშიც გათვალისწინებულია ზოგიერთი თავისებურებანი: ა) ასოციაცია არ უნდა იქნეს ფართო საზოგადოებრივი და მისი წევრი სასურველია, დაყვანილნი იქნენ მინიმუმამდე, ბ) ასოციაციის წევრებს უნდა შეეძლოთ მსხვერპლის გაღება, რადგან ექნებათ ორმაგი პასუხისმგებლობა, მოკლებული ყოველგვარ ამბიციებს. პირველი მათი მოვალეობა იქნება, მიიღონ მონაწილეობა ყოველგვარი ანაზღაურების გარეშე, ასოციაციის მუშაობაში და მეორე-დაიცვას მამული მისი საბოლოო დანიშნულების ფარგლებში“.⁸

მამია ბერიშვილი საგანგებოდ აღნიშნავს, რომ იმ დღიდან, რაც ასოციაცია დაარსდა, მას მიეცა ლევილის ცხოვრებაში საკმაოდ დიდი პასუხისმგებლობა, როგორც მამულის ფიზიკურად მომვლელ დაწესებულებას. და თუ რომელიმე „მეპატრონეთა შთამომავალი“ ბოროტად გამოიყენებდა მასზე მინიჭებულ ფიქტიურ უფლებას, მას იურიდიულად გზას გადაუღობავდა კერის ასოციაცია და არ მისცემდა არსებული მდგომარეობის შეცვლის

⁶ თსუ-ს ბიბლიოთეკა, სდრ-672/ბერ-665, ფ. 3.

⁷ თსუ-ს ბიბლიოთეკა, სდრ-628/ბერ-621, ფ. 2.

⁸ მამია ბერიშვილი. *ლევილობა*, (ლევილის ქართული კერის ასოციაციის ადმინისტრაციის საუბილეო გამოცემა, 1987 წ.) გვ. 10-11.

საშუალებას. რომ სოციეტე და ასოციაცია ერთსა და იგივე საქმეს ემსახურება, „აქ პრიმოტ არ არსებობს მათ ერთი მისია აქვთ და ისინი ერთი მეორეს უნდა უმაგრებდეს ზურგს. სოციეტე გამოდის მამულის იურიდიულად დამცველის როლში, ასოციაცია კი, როგორც იურიდიულად ისე ფიზიკურად გადამრჩენის როლში“.⁹

მამულის მმართველობაში განსაკუთრებულ როლი ეკისრებოდა ჟერანს, რადგან იგი წარმოადგენდა ერთგვარ წონასწორობის გარანტს მეპატრონეებსა და ასოციაციას შორის. მამია ბერიშვილი საგანგებოდ აღნიშნავდა, რომ თუ სოციეტეს წევრიდან რომელიმე უნამუსო გამოდგებოდა და შეეცდებოდა უფლების გადამეტებას, ჟერანი ვალდებული იყო გვერდში დაეყენებინა ასოციაცია და „საერთო ძალით“ ამოეძირკვა ყველა პრობლემა, რაც საფრთხეს უქმნიდა მამულის არსებობას. იგი უნდა ყოფილიყო მედიატორი დაპირისპირებულ მხარეებს შორის და არა რომელიმე მოდავის წარმომადგენელი. ამის მაგალითად მარტო გიორგი ერაძის ჟერანობაც კმარა, რომელსაც მამულში ამის გარდა სხვა უამრავი პასუხისმგებლობა ჰქონდა დაკისრებული, მაგრამ „ის საქმეს კი არ აბრკოლებდა არამედ ხელს უწყობდა საქმეში ჩაურევლობით.“¹⁰

სანამ მარიუს მუტეს რჩევით სოციეტესთან ერთად შეიქმნებოდა ქართული კერის ასოციაცია, მამულს მართავდა 7 კაციანი სოციეტე და ადგილობრივი კერის საზოგადოება. აქ ჟერანი დიდ როლს თამაშობდა, განსაკუთრებით მაშინ, როცა რაიმე მნიშვნელოვანი საკითხისთვის იკრიბებოდა ორივე საზოგადოების გაერთიანებული კრება. 1945 წლის 2 მაისს ლევილში მსგავს შეკრებაზე ძირითად საკითხად იქნა გამოტანილი შატოს სახურავისა და ცენტრალური გათბობის გამოცვლის საკითხი და კიდევ ერთი უმნიშვნელოვანესი პრობლემა, ეს იყო შატოში მცხოვრები ადამიანების მემკვიდრეობის საკითხის გარკვევა იმ შემთხვევაში, თუ ისინი უმემკვიდრეოდ გარდაიცვლებოდნენ, რის შედეგადაც კრებამ მიიღო დადგენილება, რომ ახალმა შეხიზნულმა ხელი უნდა მოაწეროს „შატოს წესდებაზე“ და „მან სიმბოლურად უნდა აღიაროს რომ მას აქვს შატოს ერთი ლოგინი და ორი სკამი ერთი მაგიდით“.¹¹

ლევილის გამგეობის სხდომები იმართებოდა ყველა მნიშვნელოვანი საკითხის გადაწყვეტისას, რაც მამულს ეხებოდა. ამისათვის დგებოდა დღის წესრიგი რეგლამენტის მკაცრი დაცვით, შემდეგ განხილული საკითხები აისახებოდა ოქმებში. სწორედ ეს დოკუმენტები გვიქმნის წარმოდგენას მამულში მიმდინარე პროცესების შესახებ. ახლად არჩეული გამგეობა მალევე იწვევდა პირველ სხდომას, სადაც განსახილველი პრობლემების გეგმა ასე გამოიყურებოდა: გამგეობაში მოვალეობის განაწილება, პლენარული სხდომის ოქმის და პრეფექტურაში გასაგზავნი ანგარიშის განხილვა, გამგეობის წინა სხდომის ოქმის დამტკიცება და ა.შ.¹²

თავდაპირველად ლევილის სათვისტომოს განაგებდა კონსტანტინე კანდელაკი, მამულის გამგედ კი დანიშნული იყო გრიგოლ ურატაძე, ხოლო 1947 წლის 30 ოქტომბრისა და 8 ნოემბრის საზოგადოება „ქართული კერის“ „არაჩვეულებრივმა კრებამ“ დაადასტურა 1947 წლის 2 ივნისის გადაწყვეტილება გემგეობის თავჯდომარედ გიორგი ერაძის დანიშვნის შესახებ 5 წლის ვადით. კრებას დაესწრნენ: ნოე ჟორდანიას, აკ ჩხენკელი, ევ. გეგეჭკორი, კ. კანდელაკი. სხდომას თავჯდომარეობდა საზოგადოების გამგე გ. ერაძე.¹³

გიორგი ერაძე მამულს მართავდა 70-იანი წლების დასაწყისამდე. სხვადასხვა დროს ლევილის ქართული კერის თავჯდომარედ არჩეული იყვნენ ქალბატონი ნამეტია გოგუაძე

⁹ თსუ-ს ბიბლიოთეკა, სდრ-629/ბერ-622, ფ.1.

¹⁰ თსუ-ს ბიბლიოთეკა, სდრ-629/ბერ-622, ფ.1.

¹¹ თსუ-ს ბიბლიოთეკა, სდრ-649/ბერ-642.

¹² თსუ-ს ბიბლიოთეკა, სდრ-647/ბერ-640.

¹³ საქართველოს ცენტრალური საისტორიო არქივი, ფონდი 2126, აღწერა 1, საქმე 14, ფურცელი 1.

(საქმე №48 არის ამ საკითხზე მოწვეული კრების ოქმი, რომელიც ადასტურებს გამგეობის თავჯდომარის თანამდებობაზე ნამეტი გოგუაძის არჩევა)¹⁴ და ლევან ფალავა. ემიგრანტთა შორის განსაკუთრებით დიდი სიყვარულით სარგებლობდა ნამეტი ბერძენიშვილი-გოგუაძისა, რომელსაც ემიგრანტმა ქართველებმა „ლევილის ადგილის დედა შეარქვეს“, ძალზე დიდია მისი ღვაწლი ქართული ემიგრაციის წინაშე, საკმაოდ დიდი ხნის მანძილზე ეჭირა მას ლევილის მამულის გამგის თანამდებობა და სწორედ მის სახელთანაა დაკავშირებული მიწის შეძენა და ლევილის ქართული სასაფლაოს მოწყობა, ხოლო 1970-იანი წლების დამდეგს პირველად სათვისტომოს ისტორიაში ლევილის გამგეობამ მას საპატიო წევრის ტიტული მიანიჭა.¹⁵

1980 წლებიდან ასოციაცია ქართული კერის უცვლელ თავჯდომარედ გვევლინება მამია ბერიშვილი. მანამდე იგი 1969 წლიდან დანიშნული იყო საფრანგეთის ნაციონალური არქივისთვის 30 წლით ჩაბარებული ემიგრირებული მთავრობის დოკუმენტების მეთვალყურედ.

სწორედ ეს ადამიანი სხვა ქართველ ემიგრანტებთან ერთად იყო ინიციატორი ლევილის მამულის ისტორიის ახალი ფურცლის დაწერის, რომელიც გულისხმობდა კერის დამფუძნებელი მამების ანდერძის აღსრულებას და მამულის საქართველოსთვის დაბრუნებას.

მიუხედავად იმისა, რომ მამულის არსებობა დამოკიდებული იყო სოციალურ და კერის ასოციაციის „ხელიხელჩაკიდებულ“ მუშაობაზე, მათ ურთიერთთანამშრომლობასა და საკუთარი ფუნქციების კარგად გააზრება-შესრულებაზე, როგორც საარქივო მასალის ანალიზიდან ირკვევა, ამ ორ მმართველ ორგანოს შორის ურთიერთობა ყოველთვის არ ყოფილა ჰარმონიული და შეხმატკბილებული. ამ საკითხს პირდაპირ ეხებიან საკუთარ ჩანაწერებში ქართული კერის ასოციაციის გამგეები გიორგი ერაძე, პავლე სარჯველაძე და მამია ბერიშვილი, რომლებიც იყვნენ მთავარი ფიგურანტები და ყველაზე მცოდნე პირები მამულის ცხოვრების შიდა პერიპეტეიების და ამიტომ მათ მიერ მოწვეული მასალა სანდო წყაროებად შეიძლება მივიჩნიოთ.

თითოეული მათგანი დიდი გულისტკივილით აღწერდა ლევილის მამულის პრობლემებს, რომელიც არ იყო გამოწვეული მხოლოდ უსახსრობით და გაჭირვებით. ეს დაბრკოლებები იქმნებოდა როგორც მამულის ცენტრალური ორგანოების არასწორი მუშაობით, ისე მოზინადრეთა გულგრილი დამოკიდებულებით და დაუდევრობით საერთო საქმისადმი, მამულის შინაგანაწესის და წესდების დაუცველობით, მათი თვითნებური მოქმედებებით.

გიორგი ერაძე ერთ-ერთ ჩანაწერში ეხება რა ლევილში დაგროვილ მოუგვარებელ საკითხებს, პუნქტობრივად აყალიბებს მათ, დაწვრილებით ანალიზებს გამომწვევ მიზეზებსა და დაშვებულ შეცდომებს და მსჯელობს, მამულის მმართველი ორგანოებიდან (სოციალურ და კერის ასოციაცია) რომელი უფრო მეტად იყო პასუხისმგებელი არსებულ სავალალო მდგომარეობაზე და ვალდებული პრობლემების გადაჭრაზე. იგი ამაში უპირველესად მეპატრონეთა სოციალურ მიიჩნევს და მას ქართული კერისადმი უყურადღებობასა და თავისი მოვალეობის არასათანადოდ შესრულებაში ადანაშაულებს. მაშინ, როცა მამული ენით აღუწერელ მატერიალურ გაჭირვებას განიცდიდა, მთავარმა ორგანომ ვერ შეძლო სახელმწიფო გადასახადის შემცირების კუთხით მისი ისეთ ორგანიზაციად წარმოდგენა, რომელიც იქნებოდა მხოლოდ ღარიბი ხალხის თავშესაფარი, ექნებოდა საქველმოქმედო სტატუსი და ამით აიცილებდა „იმ დიდ გადასახადებს, რაც მას აწევს სახელწიფოსგან“. და ამ საქმის გაკეთებას ცდილობდა კერის ასოციაცია; სოციალურ

¹⁴ საქართველოს ცენტრალური საისტორიო არქივი, ფონდი 2126, აღწერა 1, საქმე 48, ფურცელი 1.

¹⁵ გურამ შარაძე. *უცხოეთის ცის ქვეშ*, ტ. 2. (მერანი, თბილისი, 1993 წ.). გვ. 156-163.

არამცთუ ვერ შეეძლო მოეზიდა თანხები მამულის აღსადგენად საჩუქრის ან უპროცენტო სესხის სახით, არამედ „მან არ შეასრულა თავისი არსებითი მოვალეობა ეწარმოებინა L' Association ანგარიშები“, რომ კრედიტორებისათვის მიეცა მამულს გარანტიები ვალის გადახდის; სოციეტეს ბოლო სამი წლის განმავლობაში არც კი შეუმოწმებია მამულის ბუღალტერია და არც ჰქონდა წარმოდგენა, თუ როგორ დაიკლო ვაშლების შემოსავალმა, რომელიც ძველად 30000-50000 ფრანკს შეადგენდა და ლევილს სულის მოთქმის საშუალებას აძლევდა, ხოლო სოფლად წვრილი გლეხური მეურნეობის დაცემამ, „შატოს“ მცხოვრებლებს დაუკარგა სურვილი მისი მიწების დამუშავების და მამულში გაამეფა თვითნებობა და განუკითხაობა. გიორგი ერადე გულისტკივილით აღნიშნავდა, რომ რადგან მამულში პატრონი აღარ ჩანდა, ყველა თავის ქეიფზე ირჯებოდა, ვინც წესრიგს იცავდა და უნებართვოდ არაფერს არ აკეთებდა, იგი ამ კანონიერი საქციელით დაზარალებული ხდებოდა და ვინც შეგნებულად არღვევდა წესრიგს, ის მოგებულ მდგომარეობაში იმყოფებოდა. საბოლოოდ ყველაზე სასაცილო და აბუჩად აგდებულნი კერის ადმინისტრაცია და მისი წევრები გამოდიოდნენ, რადგან მათი დადგენილი და გამოცემული განკარგულებებიდან, აღარაფერი სრულდებოდა.¹⁶

გიორგი ერადეს კარგად ესმოდა, რომ თუ მამულში არსებული მდგომარეობა კიდევ დიდხანს გაგრძელდებოდა, ეს სერიოზულ საშიშროებას შეუქმნიდა მის არსებობას, ამიტომ საჭირო იყო ქმედითი ღონისძიებების გატარება, რომელიც მდგომარეობდა შემდეგში: უნდა გაემართათ ასოციაციის წევრების საზოგადო კრება, როლის წინაშეც წარდგებოდა ადმინისტრაციის ბიურო. მას პირველ რიგში ყველა ფინანსური ანგარიში უნდა მოეწესრიგებინა და წარედგინა კრებისთვის. ასევე უნდა არჩეულიყო ასოციაციის ადმინისტრაციის ახალი შემადგენლობა და იქ უნდა ყოფილიყო წარმოდგენილი მხოლოდ ერთი სოციეტერი, ისიც მეთვალყურის როლში. რადგან კერის ადმინისტრაციაში ბევრი სოციეტერის ყოფნა ხელს უშლიდა მამულის მოვლის „ნორმალიზაციას“.¹⁷

იგივე მტკივნეულ პრობლემას ეხება ლევილის შატოს გამგე პავლე სარჯველაძემ 1970 წლის 25 ივლისს „სოციეტესა“ და „ასოციაციის“ შეერთებულ სხდომაზე გაკეთებულ მოხსენებაში, სადაც იგი საუბრობს ლევილის მამულის მმართველ ორივე ორგანოს მნიშვნელობასა და დანიშნულებაზე „შატოს“ მოვლა-პატრონობის საქმეში და აღნიშნავს, რომ მხოლოდ მათ ჰარმონიულ მუშაობაზეა დამოკიდებული მთავარი მისიის შესრულება-მთავრობის ანდერძის აღსრულება. იგი ამბობს: „მამულს ყავს ორი მესაკუთრე-ერთია იურიდიული მეორე ფაქტიური. დღევანდელ სოციეტეს წევრებს წილად ხვდათ ამ იურიდიული პასუხისმგებლობის ტარება... რომ მათ შეუნახონ მამული, - მის ფაქტიურ მესაკუთრეს ე.ი. საქართველოს... ამავე დროს „ასოციაციას“ როგორც ერთგვარ ფილანტროპიულ საზოგადოებას აქვს შეღავათი სახელმწიფო გადასახადებიდან. რაც მესაკუთრეთა ორგანოს შეუძლებელია ჰქონდეს... ორი ორგანო ისეა ერთი-მეორეში შეჭრილი, რომელიც მოითხოვს გარკვეულობას, მაგალითად, „ასოციაციის თავჯდომარე არის ამავე დროს-„სოციეტეს წევრი. არიან აგრეთვე სხვებიც ორივე ორგანოს წევრი. ამიტომ არასდროს არ უნდა დაისვას საკითხი-რომელიმე ორგანოს ინტერესების დაცვის,- ერთიც და მეორეც იცავს ერთს ინტერესს-მამულის ინტერესს“.¹⁸

მოცემულ საკითხებს არაერთხელ ეხება თავის ჩანაწერებში მამია ბერიშვილიც. იგი აღნიშნავს, რომ რადგან „სოციეტე და ასოციაცია ერთსა და იგივე საქმეს ემსახურება, ამიტომ ისინი ერთმანეთს უნდა უმაგრებდნენ ზურგს. სოციეტე გამოდის მამულის იურიდიულად დამცველის როლში, ასოციაცია კი, როგორც იურიდიულად ისე ფიზიკურად გადამრჩენის როლში“, ხოლო მათ შორის მედიატორი ჟერანი იყო. ორივე

¹⁶ თსუ-ს ბიბლიოთეკა, სდრ-148/ბერ-141.

¹⁷ თსუ-ს ბიბლიოთეკა, სდრ-732/ბერ-725, ფ. 2.

¹⁸ თსუ-ს ბიბლიოთეკა, სდრ-642/ბერ-635, ფ. 1-4.

ორგანოს მკაცრად განსაზღვრული ფუნქციები ჰქონდა, ყველაზე მნიშვნელოვანი საკითხები კი, მაგალითად როგორც იყო ჟერანის ან მისი მოადგილის არჩევა ხდებოდა სოციტეს გენერალურ ანსამბლეზე, რომელსაც აუცილებლად ესწრებოდა ასოციაციის შემადგენლობა სათათბირო ხმის უფლებით. მაგრამ ზოგჯერ ეს ბალანსი ირღვეოდა. განსაკუთრებით მდგომარეობა შეიცვალა ჟერან პავლე სარჯველაძის ავადმყოფობის შემდეგ, როცა ყოველგვარი შეკრების გვერდის ავლით ვ. ხომერიკი დაინიშნა მის მოადგილედ, ეს ჩაიწერა 1977 წლის 27 დეკემბრის ასოციაციის ოქმში და ამის შესახებ კერის ასოციაციის წარმომადგენლებმა არაფერი იცოდნენ. ამას მოჰყვა „უკანონო მოქმედებების“ მთელი წყება, როგორცაა ჟერანის მიერ თვითნებურად მოწვევა სოციტეს კრების, რომლის მიზანიც ყოფილა ნიკო ურუშაძის მემკვიდრეებისთვის მისი ოთახის მიცემა კერის ადმინისტრაციის გვერდის ავლით, რაც მამულის შინაგანაწესის დარღვევას წარმოადგენდა, რადგან ეს პირდაპირ შედიოდა ადმინისტრაციის ფუნქციაში და ჟერანს არ შეეძლო მისი განხორციელება. და აქ მამია ბერიშვილი სვამდა კითხვას: „თუ ოთახებს სოციტეს ჟერანი ანაწილებს, რისი მაქნისია ასოციაციის არსებობა“?¹⁹

მამია ბერიშვილი 1985 წლის 3 მარტით დათარიღებულ წერილში ლევან ფაღავასადმი საუბრობს რა „კომოდას“ პროექტზე (ეს იყო შეთანხმების ახალი პროექტი, დადებული „სოციტესა“ და „ასოციაციას“ შორის, რომლის ძალითაც ასოციაციამ 50 წლიანი იჯარით აიღო მამული²⁰), რომელსაც მან ხელი მხოლოდ იმიტომ არ მოაწერა, რომ მასში არ იყო განსაზღვრული ასოციაციის როლი და ფუნქციები.²¹

როგორც საარქივო მასალის ანალიზით ირკვევა, „კომოდაზე“ ვერ შეთანხმებამ კერის ასოციაციას სოციტესთან მეტად დამაბული სიტუაცია შეუქმნა და ეს გაგრძელდა საკმაოდ დიდხანს, რამაც არაერთხელ აზარალა ლევილის მამული“. ²² და ეს ყველაფერი მოხდა მეოცე საუკუნის ოთხმოციან წლებში.

ფრანგ ემიგრანტებში ისეთი ხმებიც დადიოდა, რომ ქართული მამულის მმართველობა არსებული სახით აღარ შეიძლებოდა და იგი უნდა შეცვლილიყო. თუმცა მამია ბერიშვილი მათ საპირისპიროს უმტკიცებდა, რომ ლევილის ნორმალური ფუნქციონირებისათვის, იმ დიადი მიზნის მისაღწევად, რისთვისაც ნოე ჟორდანას მთავრობამ იგი შეიძინა ორივე ორგანოს-სოციტესა და ასოციაცია არსებობა აუცილებელია, მათ უნდა შეძლონ მუშაობა ერთად, ხელი-ხელ ჩაკიდებულებმა და ყველა საჭირობო საკითხი მოაგვარონ სოციტესა და ასოციაციის ადმინისტრაციის საერთო კრებაზე. არ უნდა შეიცვალოს მამულის სტატუსი, რადგან იგი „მთავრობის მიერ არის დაზუსტებული“ და გაფორმებულია ნოტარიული წესით. „სოციტე და ასოციაცია მთავრობამ შექმნა მამულის სწორი და ნამუსიანი მოვლა-პატრონობისთვის ამიტომ ისინი თანასწორ უფლებით სარგებლობენ და არც მეორე არის პირველის მოჯამაგირე და ამიტომ ორივე უნდა დარჩეს თავის უფლება-მოვალეობის ფარგლებში“. ასევე აუცილებელია ჟერანის არსებობა. მაგრამ ის უნდა იყოს სრულად ნეიტრალური პიროვნება და არ უნდა შედიოდეს ასოციაციის ადმინისტრაციაში. და რაც მთავარია, სოციტემ და ასოციაციამ უნდა გაიაზრონ ის დიდი პასუხისმგებლობა, რომელიც აკისრიათ შთამომავლობის წინაშე. ესაა ლევილის მამულის შენახვა და მისი საქართველოსთვის გადაცემა, როგორც ეროვნული ქონების. და სამწუხარო, ფაქტია, რომ რეალურად ეს აღარ სრულდება და ისეთი შთაბეჭდილება რჩება, რომ ერთად მოქმედების მაგიერ სოციტე და ასოციაცია ერთმანეთს

¹⁹ თსუ-ს ბიბლიოთეკა, სდრ-629/ბერ-622, ფ. 1-2.

²⁰ თსუ-ს ბიბლიოთეკა, სდრ-635/ბერ-628, ფ. 3.

²¹ თსუ-ს ბიბლიოთეკა, სდრ-690/ბერ-683.

²² თსუ-ს ბიბლიოთეკა, სდრ-629/ბერ-622, ფ. 5.

ხელს უშლის. ამიტომ საჭიროა ამის გამოსწორება და გადამჭრელი ზომების მიღება, რომ მათ შორის აღდგეს ძველი თანამშრომლობა და ფუნქციები.²³

თუმცა ყოველივე ამის შესრულება შეუძლებელი აღმოჩნდა, რაც შემდეგ გამოიკვეთა მამია ბერიშვილის და ერთ-ერთი სოციეტერის, მისი ბიძაშვილის აკაკი რამიშვილის დაპირისპირებაში. მამია ბერიშვილი თავის ჩანაწერში საუბრობს რა მამულში შექმნილ უმძიმეს მდგომარეობაზე, აღნიშნავს: „მამულის დღევანდელი მდგომარეობა სავალალოა და ის დალუპვის პირზე არის მიყვანილი! მე რა თქმა უნდა თავს არ ვიმართლებ, რადგან არ ვაჩენდი მთავრობის, სოციეტესა და ასოციაციის ფრიად მნიშვნელოვან ოქმებს, რადგან ვფიქრობდი შინაური მოლაპარაკებებით ურთიერთგაგებით ვიმოქმედებდით... მაგრამ ყველაფერი ეს დამთავრდა კრახით რამაც მიგვიყვანა გამოუვალ მდგომარეობამდე“.²⁴

საქმე იმაში იყო, რომ 70-იანი წლების შემდეგ ყველა პრობლემამ, რომელიც გროვდებოდა წლების მანძილზე ერთად იჩინა თავი. პირველ რიგში კი ეს ეხებოდა სოციეტესა და ასოციაციის შორის უფლებების ვერგანაწილებას, ერთმანეთის ქიშპობას, ასევე ჟერანის არჩევისა და მისი მოვალეობის განსაზღვრის საკითხისაც. 1943 წელს, როცა ჟერანი იყო სოციეტეს წევრი ევგენი გეგეჭკორი, გარკვეული პრობლემების გადაწყვეტისას ამან ერთგვარი გამოუვალი სიტუაციები შექმნა. ამიტომ სოციეტეს კრებამ დაადგინა, რომ ამიერიდან ჟერანად დანიშნული ყოფილიყო სრულიად ნეიტრალური ადამიანი და „მათ არასოდეს სოციეტეს წევრი არ აერჩიათ სოციეტეს ჟერანად“. ამით მას შეეძლებოდა წონასწორობის დაცვა სოციეტესა და კერის ადმინისტრაციას შორის. ეს წესი განუხრელად სრულდებოდა 1970 წლამდე, ჟერან გიორგი ერადის გარდაცვალებამდე. მისმა საქმის გამგრძელებალმა პავლე სარჯველაძემ დიდხანს ვერ შეძლო ამ თანამდებობაზე ყოფნა ავადმყოფობის გამო, ხოლო ახალ ჟერანად ვიქტორ ხომერიკის დანიშვნაზე სასტიკი წინააღმდეგი წავიდა სოციეტერი აკაკი რამიშვილი, იმ მიზეზით, რომ მას თვითონ სურდა ამ თანამდებობაზე არჩევა. იგი იყო მამია ბერიშვილის ბიძაშვილი და დახმარებისთვისაც სწორედ მას მიმართა.

როგორც ჩანს, მამულის მდგომარეობა იმდენად არასახარბიელო იყო, რომ მამია ბერიშვილმა მხარი დაუჭირა აკაკი რამიშვილის წესის დარღვევით ჟერანად არჩევას, იმ იმედით, რომ ისინი იმუშავებდნენ „შეხმატკბილებულად“ და „საჩხუბარიც“ არაფერი ექმებოდათ. იგი იმედოვნებდა, რომ ამით მამულის მდგომარეობას შეამსუბუქებდა, მაგრამ მოტყუვდა. წინააღმდეგობა სოციეტესა და კერის ასოციაციას შორის ახლი ძალით განახლდა. ეს იმ დროს, როცა მეოცე საუკუნის 90-იან წლებში უკვე მოლაპარაკებები დაიწყო საქართველოსთან ლევილის მამულის საკითხზე და ამ მოლაპარაკებებში პრეზიდენტ ედუარდ შევარდნაძესთან ერთად ჩართული იყო საქართველოს საპატრიარქოც. სწორედ კათალიკოს-პატრიარქ ილია მეორესთან შეთანხმებით სოციეტემ აკაკი რამიშვილის მეთაურობით და კერის ასოციაციამ მამია ბერიშვილის ხელმძღვანელობით მიიღო ერთობლივი გადაწყვეტილება, რომ ლევილის მამულში აღდგენილიყო სამლოცველო, რაზედაც განსაკუთრებით ზრუნავდა საპატრიარქო და მათ ამაზე თანხმობის წერილიც კი გაუგზავნეს პრეზიდენტსა და კათალიკოსს. მოულოდნელად აკაკი რამიშვილმა შეცვალა თავისი დამოკიდებულება აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით და მამია ბერიშვილის უკითხავად კიდევ ერთი წერილი აფრინა საქართველოში, სადაც იგი ამბობდა რომ ის წინააღმდეგია ლევილში სამლოცაოს აღდგენის 10-15-20 წლის განმავლობაში. ეს იმ დროს, როცა მას არავითარი უფლება არ ჰქონდა ჩარეულიყო მამულის ადმინისტრაციულ საქმეში“²⁵.

²³ თსუ-ს ბიბლიოთეკა, სდრ-637/ბერ-630, ფ. 5-6.

²⁴ თსუ-ს ბიბლიოთეკა, სდრ-632/ბერ-625, ფ. 1.

²⁵ თსუ-ს ბიბლიოთეკა, სდრ-632/ბერ-625, ფ. 1-2.

მეორე საკითხი, რომელიც კერის ადმინისტრაციასთან უკითხავად გადაწყვიტა აკაკი რამიშვილმა, იყო ის, რომ საქართველოს მთავრობასთან წარმოებული მოლაპარაკებისას „მან მიიღო აქედან ჩამოსული დელეგაცია ბატონ იუსტიციის მინისტრ ხომტარიას ხელმძღვანელობით და მასთან პიროვნულად დასდო ხელშეკრულება „კომუნიკეს“ სახით... ეს მან გააკეთა იმ დროს როცა ასოციაციას ჰქონდა 50 წლის იჯარაზედ ხელი მოწერილი და ასოციაციასთან შეუთანხმებლად მას არავითარი უფლება არ ჰქონდა ადმინისტრაციულ საკითხში ჩარეულიყო ასოციაციის თანხმობის გარეშე.²⁶

მამია ბერიშვილი არც მალავდა თავის მკვეთრ უარყოფით დამოკიდებულებას „კომუნიკესადმი“. იგი აღნიშნავდა, რომ დოკუმენტი წარმოადგენს მთლიანად სიყალბეს, რადგან სოციეტეს ორ წევრს აკაკი რამიშვილსა და ნათელა ჟორდანიას არანაირი უფლება არ ჰქონდათ ხელი მოეწერათ ხელშეკრულებაზე, რადგან „სოციეტესა და ასოციაციის ხელმოწერილ „კომოდას“ უფლებით მამული 50 წლის განმავლობაში ადმინისტრაციულად და ფინანსურად წარმოადგენს ასოციაციის უფლება მოვალეობას“.²⁷

ამან მამია ბერიშვილი აიძულა ასოციაციაში შეეტანა განცხადება თავჯდომარეობიდან გადადგომის შესახებ. იგი იმედოვნებდა, რომ მოწვეული იქნებოდა ასოციაციის გენერალური ანსამბლე, რომელიც აირჩევდა „ახალ კონსეი ადმინისტრაციას“ 7 კაცის შემადგენლობით და რომელსაც იგი ჩააბარებდა ანგარიშს და განიხილავდა ყველა პრობლემას, რომელიც არსებობდა მამულში. მაგრამ აკაკი რამიშვილმა აქაც ცვლილებები შეიტანა. კომისიას თვითონ დაანიშნინა თავი ადმინისტრაციის პრეზიდენტად, გააუქმა ასოციაციის წესდება და შინაგანაწესი, მთელი მამულის შეხიზნულები გამოაცხადა ასოციაციის წევრებად და სრულიად გადაუხვია მარიუს მუტეს მიერ შედგენილ მამულით სარგებლობის წესებს. ეს იმ დროს, როცა ლევილი უდიდეს უდიდესი საფრთხის წინაშე იდგა.²⁸

საქმე იმაში იყო, რომ ამ პერიოდში საფრანგეთში ქალაქის გამგეობებს გადაეცათ დიდი უფლებები და როგორც მამია ბერიშვილი წერდა, „მუნიციპალიტეტს უნდა რომ მამული ჩაიგდოს ხელში რადგან მათ უნდათ რომ იქ გახსნან მუნიციპალიტეტის ბაღად... მით უმეტეს რომ მამულში მუდმივი მცხოვრები არის მხოლოდ 5 მოსახლე, დანარჩენი 19 ბინა მხოლოდ ზაფხულობით არის დაკავებული... 5 ოჯახს რომელიც იქ ცხოვრობს მერს ადვილად შეუძლია მისცეს ბინები, მერის საჭიროებისათვის მოახდინოს მისი რეკვიზიცია და მამული იქნება სამუდამოდ დაკარგული. მორე რაც საშიშია ის არის რომ აკაკი რამიშვილს უნდა დააარსოს რაღაც ახლი ასოციაცია 99 წლის განმავლობაში... გარდა ამისა მის ახალ წესდებაში წერია გახსნას საავადმყოფო, მუზეუმი, მისცემს სკოლებს ასეირნოს ბავშვები... და რაც მთავარია რომ მერმა შუა მამულში გაიყვანოს კანალიზაცია“.²⁹

როგორც ჩანს, საფრთხე მამულისთვის საკმაოდ სერიოზული იყო, რამაც მამია ბერიშვილს და აკაკი რამიშვილს უბიძგა ურთიერთკომპრომისისკენ, რომ დაევიწყებინათ პირადი შუღლი და ლევილის ინტერესებისათვის შეთანხმებულიყვნენ საერთო მოქმედების გეგმაზე, რისი დასტურიცაა მათ მიერ ხელმოწერილი და საქართველოს სახელმწიფო მეთაურ ედუარდ შევარდნაძესთან გამოგზავნილი 1993 წლის 23 სექტემბრით დათარიღებული წერილი, სადაც ისინი იტყობინებიან, რომ „დიდი უფლებები გადაეცათ ქალაქის გამგეობებს, ამიტომ საშიშროება არსებობს, მანამ სანამ ლევილის ქართული მამული არ დაუბრუნდება საქართველოს“. ისინი იქვე მიუთითებენ, რომ ლევილის ქალაქის გამგებლობას გეგმაში აქვს, ქართული მამულის პარკი გამოიყენოს სხვადასხვა

²⁶ თსუ-ს ბიბლიოთეკა, სდრ-632/ბერ-625, ფ. 1-3.

²⁷ თსუ-ს ბიბლიოთეკა, სდრ-635/ბერ-628, ფ. 1-3.

²⁸ თსუ-ს ბიბლიოთეკა, სდრ-632/ბერ-625, ფ. 1-3.

²⁹ თსუ-ს ბიბლიოთეკა, სდრ-632/ბერ-625, ფ. 3.

გასართობებისა და სპორტული მიზნებისთვის და ამის თავიდან ასაცილებლად საჭიროა საქართველოს მთავრობის აქტიური მხარდაჭერა.³⁰

სწორედ ამის შემდეგ აქტიურ ფაზაში შევიდა ლევილის მამულის საქართველოსთვის გადმოსაცემად დაწყებული ღონისძიებები, თუმცა ეს საკითხი დროში გაიწელა და 2009 წელსაც კი არ წყვეტდნენ ფრანგები მამულის ხელში ჩაგდების მცდელობას. როგორც ისტორიკოსი რუსუდან დაუშვილი აღნიშნავდა, „...ფრანგებს უნდათ, რომ ლევილი, რომელიც ოდიტგანვე ფრანგი თავადების საკუთრება იყო, მათ მფლობელობაში გადავიდეს. ისინი ამისათვის ძალებს არ იშურებენ და ნებისმიერ ხელსაყრელ მომენტს გამოიყენებენ“ და ალბათ, მიზანსაც მიაღწევდნენ, რომ არა ქართველი ემიგრანტების დიდი წინააღმდეგობა.³¹

ამრიგად, ლევილის მამულის ისტორია მჭიდროდაა დაკავშირებული საქართველოს ახალ და უახლეს ისტორიასთან. არქივში დაცული დაცული ცნობები გვიქმნის ნათელ წარმოდგენას ლევილის მამულის მმართველობის, მისი ისტორიის შესახებ. სწორედ აქედან ვიგებთ, რომ მამულის ორგანიზაცია საკმაოდ რთული, ხოლო მის მმართველ ორაგანოებს-სოციალურ და კერის ასოციაციას შორის ურთიერთდამოკიდებულება წინააღმდეგობრივი იყო, რაც ხშირად მამულის არსებობას სერიოზულ საფრთხეს უქმნიდა. ამის მიუხედავად, ემიგრანტებმა შეძლეს იმ დიდი მისიის შესრულება, რომ „პატარა საქართველო საფრანგეთში“, ლევილის ქართული კერა შემოენახათ, დაებრუნებინათ საქართველოსთვის და შთამომავლობისთვის ამაყად ეთქვათ: აქ დღესაც „ფრანგულად ირწევა ქართული აკვნები, ქართულად ითქმება სანუკვარი სიტყვა დედა, ქართული ჯიში და გენი ბოგინობს“.³²

დამოწმებული ლიტერატურა:

ა) წიგნი

გურამ შარაძე, *უცხოეთის ცის ქვეშ*, ტ. 2. (თბილისი, მერანი. 1993 წ.).

ბ) სტატია ჟურნალში ან გაზეთში:

დალი ხორიაშვილი, „იქა ლევილში პატარა საქართველოში“, *საოჯახო გაზეთი*;

ია აბულაშვილი, საქართველოს ამბები, *რეზონანსი*, 2013;

მამია ბერიშვილი, „ლევილობა“, (ლევილის ქართული კერის ასოციაციის ადმინისტრაციის საუბილეო გამოცემა, 1987);

სალომე წერეთელი, ვინ იყო ქართველი ქალი, რომელიც მაუზერით ხელში თურქებს ებრძოდა და ლევილის მამულს პატრონობდა, *თბილისელები*, #2, 2009.

გ) არქივი

თსუ-ს ბიბლიოთეკა, სდრ-148/ბერ-141;

თსუ-ს ბიბლიოთეკა, სდრ-628/ბერ-621, ფ. 2;

თსუ-ს ბიბლიოთეკა, სდრ-629/ბერ-622, ფ. 1-5;

თსუ-ს ბიბლიოთეკა, სდრ-632/ბერ-625, ფ. 1-3;

თსუ-ს ბიბლიოთეკა, სდრ-635/ბერ-628, ფ. 1-3;

თსუ-ს ბიბლიოთეკა, სდრ-637/ბერ-630, ფ. 5-6;

თსუ-ს ბიბლიოთეკა, სდრ-642/ბერ-635, ფ. 1-4;

თსუ-ს ბიბლიოთეკა, სდრ-647/ბერ-640;

თსუ-ს ბიბლიოთეკა, სდრ-649/ბერ-642;

³⁰ ია აბულაშვილი., საქართველოს ამბები, *რეზონანსი*, 2013 წლის 2 მაისი, გვ. 11.

³¹ სალომე წერეთელი. ვინ იყო ქართველი ქალი, რომელიც მაუზერით ხელში თურქებს ებრძოდა და ლევილის მამულს პატრონობდა, *თბილისელები*, 2009 წ. #2, 12-18 იანვარი, გვ. 21.

³² დალი ხორიაშვილი. „იქა ლევილში პატარა საქართველოში“. *საოჯახო გაზეთი*.

თსუ-ს ბიბლიოთეკა, სდრ-672/ზერ-665, ფ. 2-3;
თსუ-ს ბიბლიოთეკა, სდრ-690/ზერ-683;
თსუ-ს ბიბლიოთეკა, სდრ-732/ზერ-725, ფ. 2;
საქართველოს ცენტრალური საისტორიო არქივი, ფონდი 2126, აღწერა 1, საქმე 14, ფურცელი 1;
საქართველოს ცენტრალური საისტორიო არქივი, ფონდი 2126, აღწერა 1, საქმე 48, ფურცელი 1;
საქართველოს ცენტრალური საისტორიო არქივი, ფონდი 2126, აღწერა 1, საქმე 66, ფურცელი 15-16.

Bela Gzirishvili

Student of PhD Programme History of Georgia

From the history of the governance of the Leville estate

Summary

The history of the Georgian land of Leuville is associated with a new and recent history of Georgia. After invading Georgia, in February/March, 1921 by Soviet Russia, the government of the Democratic Republic was forced to immigrate to France.

In 1922, Georgian emigrants purchased Leuville Château near Paris with the state funds, which became the main headquarters of the fight for the gaining Georgia's independence and as a shelter for asylum seekers.

This article discusses about governance of the Leuville estate, about its organizational structure and the history of its establishment. Only the proper organization of governance and status saved the “Georgian Kera” from various dangers, from the claws of France or Soviet Russia and it came to us as a monument to “free Georgia”.

პიროვნული არჩევანი ჯემალ ქარჩხაძის „ზებულონის“ მიხედვით

პიროვნულობაზე მეცნიერული კვლევა და სიღრმისეული მსჯელობა მხოლოდ მე-20 საუკუნის მეორე ნახევრიდან დაიწყო. პიროვნების ფსიქოლოგია, როგორც მეცნიერება, მეორე მსოფლიო ომის შემდეგ უმაღლესი განათლების სისტემის სწრაფი განვითარების კონტექსტში გახდა აქტუალური. „პიროვნების ფსიქოლოგია მთლიანი პიროვნების მეცნიერული შესწავლაა, მისი მიზანია ადამიანის ინდივიდუალობის მეცნიერულად სანდო ახსნა-როგორ ხდება, რომ ადამიანები ჰგვანან ყველა სხვა ადამიანს, ჰგვანან ზოგიერთ სხვა ადამიანს და არ ჰგვანან არავის.“¹ დრო შეიცვალა, განვითარდა ადამიანის შესაძლებლობები, ინტელექტუალურიც და ტექნოლოგიურიც, რთულია გარკვევა და გზის გაგნება ლაბირინთებში, სწორისა და არასწორის დეფინიცია. თანამედროვე ახალგაზრდა დეზორიენტიერებულია. ზოგისთვის პიროვნული თავისუფლება ყველაფრის უფლებაა, პიროვნული არჩევანი- სურვილების დაკმაყოფილება. თუ ადამიანი რელურ თავისუფლებას ეძებს, უპირველეს ყოვლისა, უნდა შეიმეცნოს თავისი მოვალეობა სამყაროს წინაშე, გაიაზროს, რომ არის კაცობრიობის ნაწილი, კონკრეტული ერის წარმომადგენელი და ინდივიდი თავისი განუმეორებელი თვითმყოფადობით.

ამ საკითხს თავისებურად ეხმიანება მსოფლიო და ქართული მწერლობა. ქართულ ლიტერატურაში ამ მხრივ საინტერესოა მე-20 საუკუნის პროზაიკოსის ჯემალ ქარჩხაძის შემოქმედება. ერთგან ის ამბობს, რომ ნებისმიერი ცვლილებები მწერლობასა და ლიტერატურაში მხოლოდ მაშინ არის ფასეული, როცა იგი თავისუფლების გზაზე დგას. მწერალი ყველა თავისი ნაწარმოებით ამ თემას უტრიალებს, იკვლევს ადამიანის სულის ღრმა შრეებს და მხატვრულად აღწერს ადამიანისგან პიროვნების დაბადება-ვერდაბადების რთულ პროცესს.

„ზებულონი“ ჯემალ ქარჩხაძის მეოთხე რომანია. მას უკვე დაწერილი აქვს „მდგმური“, „ქარავანი“, „ანტონიო და დავითი“, რომლებშიც მხატვრულად არის განსახოვნებული ქართული ხასიათი, როგორც რთული და წინააღმდეგობრივი, მრავალწახნაგოვანი ფენომენი. ეს არის შემოქმედების ის პერიოდი, როდესაც იწყება ისტორიისა და თანამედროვეობის ერთ მთლიანობად წარმოდგენის ბელეტრისტული დისკურსი. ჯემალ ქარჩხაძეს ისტორია, უპირველეს ყოვლისა, ფსიქოლოგიური თვალსაზრისით აინტერესებს - როგორც ქართველი კაცის ხასიათის გამოვლინება. ამ საკითხის შესახებ მას აქვს საკუთარი, საკმაოდ ღრმა და მწყობრივი ფსიქოლოგიურ - ფილოსოფიური კონცეფცია, რომელსაც ყოველთვის უძებნის ორიგინალურ მხატვრულ რეალიზაციას.

„ზებულონი, ცალთვალა ისახარის ვაჟი, წყაროსთვალში დაიბადა, წყაროსთვალში გაიზარდა და, თვრამეტი წლისა ისე შეიქნა, იქიდან ფეხი არ მოუცვლია“-თავისი მარტივი, სადა ენით გვამცნობს პროზაიკოსი. ყურადღებამისაქცევია სოფლის სახელწოდება „წყაროსთვალი“, წყაროს ორმაგი მნიშვნელობა აქვს-ახალ, მდინარე წყალს ნიშნავს და სულიერად ცხოველმყოფელ სიცოცხლის მომნიჭებელს, სწორედ ამ მნიშვნელობით ამბობს მაცხოვარი „ღმერთი არს წყარო წყლისა ცხოველისა“(იერემია: 2.13) ცხოველ წყალში იესო საკუთარ თავსაც გულისხმობს, ჰემმარიტებისა და საღმრთო მადლის მთელი სისრულით, ვინც ქრისტეს მოძღვრებას ისმენს, ის სულის წყურვილსაც იმშვიდებს და

¹ ლილი ხეჩუაშვილი. *პიროვნების ფსიქოლოგია*, (თბილისი, 2013), გვ. 4.

აღმოცენებს რწმენას. წყაროსთვალთან განშორებით ზებულონი ქრისტეს ნათელს განეშორება და კარგავს ღვთისმოდებულ მადლს. მისი ცხოვრება ბოხოქარ ზღვაში გემის უმისამართო ხეტიალს ემსგავსება, ეს მას მერე, რაც „მეცხრამეტე გაზაფხული წარღვნასავით მოვარდა და ყველაფერი უღმობლად ქვეშ დაიტანა“²

ზებულონი ბუნებასთან იდუმალ კავშირს ამყარებს, ის არავის ჰგავს, თითქოს მხოლოდ ბუნებაში პოულობს თავშესაფარს. მწერალი გმირის ცნობისმოყვარე ეგოს წარმოსაჩენად ხატოვნად გადმოგვცემს ფიქრებს იმის შესახებ, თუ რატომ აქვთ ყვავილებს სხვადასხვა ფერი, სად მიდის და საიდან მოდის ამდენი ვარსკვლავი. პერსონაჟი სხვებს იმითაც არ ჰგავს, რომ თანატოლებში თამაშს მუდამ მარტო ყოფნა ურჩევნია, „უნდოდა თუ არ უნდოდა, ისე უნდა მოქცეულიყო, როგორც ისინი იქცეოდნენ, ის თამაში ეთამაშა, რასაც ისინი თამაშობდნენ, იმაზე ელაპარაკა, რაზედაც ისინი ლაპარაკობდნენ. ამას კი ვერ იტანდა. ჯიუტი ხასიათი ჰქონდა და სხვების ჰკუაზე სიარული არ შეეძლო“³ უდავოა, ავტორი ყურადღებას მიგვაქცევინებს ზებულონის პიროვნულ თვითმყოფადობაზე, განსხვავებულობაზე. ამკარაა, ბავშვობიდან არის მასში ის სხივი, რომელსაც თავისუფლებას უწოდებენ. აი, რას წერს ამ საკითხთან დაკავშირებით მაია ჯალიაშვილი: „იგი სხვათაგან გამორჩეული ბავშვია, ყველასგან განრიდებული, განმარტოებული, თავის ფიქრებსა და ოცნებებში ჩაძირული. რა ელის ამ სიწმინდეს ცხოვრებაში? გაუძლებს თუ არა ცხოვრების მღვრიე ტალღების შემოტევას?“⁴ ეს კითხვები აინტერესებს მკითხველს და ავტორიც თავისი დინჯი, საოცრად დახვეწილი, მწყობრი თხრობით ამოგზაურებს მას თავის სამყაროში.

ადამიანი საკუთარი თავისა და სამყაროს შესაცნობად უნდა სწავლობდეს, იაზრებდეს, რომ არის ინდივიდი და კაცობრიობის ნაწილი. თითოეული დღე, ნაბიჯი, არჩევანი არა მხოლოდ ერთი ადამიანის ცხოვრებას გადაწყვეტს, არამედ ოჯახის, ქვეყნის, მსოფლიოს, რადგან კაცი ერთი რგოლია იმ დიდი ჯაჭვისა, რომელსაც სამყაროს ჰარმონია ჰქვია. თითოეული პიროვნება ამ წესრიგში თავისი წვლილის შეტანას უნდა ცდილობდეს. განათლება სწორედ ამაში ეხმარება კაცს. „ზებულონშიც“ ამ თემას აქტიურად გამოკვეთს ავტორი და მთავარ გმირს მიზნად დაუსახავს თეთრ ტაძარში სულის გასანათლებლად წასვლას. პროზაიკოსს სურს გვითხრას, რომ განათლების გარეშე ისეთი უმწიკვლო ადამიანიც კი, როგორც ზებულონია, სწორ პიროვნულ არჩევანს ვერ გააკეთებს. რასაკვირველია, ყველა ადამიანშია სინათლის სხივი, ზოგში მეტი, ზოგში-ნაკლები, მაგრამ მას აელვარება, აკაშკაშება სჭირდება განათლების ლამპრით. ზებულონმა კი ღვთისგან ბოძებული ნათელი საკუთარ თავში ჩაკლა და ჩააბნელა.

ჯემალ ქარჩხაძე რომან „ზებულონში“ მოგვითხრობს მთავარი გმირის თავგადასავალს დაბადებიდან გარდაცვალებამდე. პირველი ნაწილი, რომელსაც შურისძიება ჰქვია, ზებულონის ამ ვნებასთან ჭიდოდა და დამარცხებას აღწერს. პერსონაჟი მარტივად ექცევა საზოგადოების გავლენის ქვეშ, სოციალური მიმდებლობის ფასად ის კონფორმული ხდება და ეს არც არის გასაკვირი მისნაირი სუსტი პიროვნებისაგან. „კონფორმულობას დიდი ხანია შეისწავლიან, აღსანიშნავია ორი კლასიკური კვლევა, რომელმაც დიდი წვლილი შეიტანა კონფორმულობის გამოკვლევაში. შერიფისა და აშერის კვლევებმა აჩვენა, თუ როგორ ყალიბდება ჯგუფური ნორმები და სტანდარტები. საინტერესოა, რატომ ექცევიან ადამიანები ჯგუფის გავლენის ქვეშ და რა არის კონფორმული ქცევის მიზეზი. მკვლევარები ორ ძირითად მიზეზს გამოყოფენ: იყო

² **ჯემალ ქარჩხაძე.** *ზებულონი*, (ქარჩხაძის გამომცემლობა, თბილისი, 2016), გვ. 7.

³ **ჯ. ქარჩხაძე.** *ზებულონი...* გვ. 9.

⁴ **მაია ჯალიაშვილი.** *ქართველი მწერლები სკოლაში*, (გამომცემლობა საქართველოს მაცნე, 2016) გვ. 133.

მართალი და მოწონებული.“⁵ ზებულონმა წყაროსთვალელების სურვილი აღასრულა, რომლებიც ჭაბუა ამირეჯიბის არქიფო სეთურის („დათა თუთაშხიდან“), ჯემალ ქარჩხაძის „იგის“, ვაჟა-ფშაველას „ალუდა ქეთელაურის“ და „სტუმარ-მასპინძლის“, რიჩარდ ბახის „თოლია ლინგვინსტონის“, ჰერმან ჰესეს „ტყის კაცის“ (კიდევ ბევრის ჩამოთვლა შეიძლება) საზოგადოებას ემსგავსებოდა. წყაროსთვალელები არ განსჯიან, რა მოხდება მერე, ზებულონი თუ სისხლს აიღებს, სისხლს სისხლით ხომ ვერ დაახშობს, ბოროტებას ბოროტებით ხომ ვერ დაამარცხებს? მხოლოდ მედლის ერთ მხარეს ჭვრეტენ და არ ფიქრობენ, რომ სიმართლეს, როცა ვინმეს წინააღმდეგ მიმართავ, ზნეობრივი საწყისი ეკარგება და ქვად, ისრად, ტყვიად გადაიქცევა, ჯერ პირად და მერე საზოგადო უბედურებას წარმოშობს. მიუხედავად ამისა, სოფელი ჩუმი რისხვით თავისას ითხოვს: „ეზოში მოგროვილი ხალხი, თითქოს გადარაჯებული ყოფილიყოს, წამსვე მისკენ მოტრიალდა და ურიცხვი თვალი მოაპყრო. მწუხარე, შეშფოთებულ და ჯიუტად მდუმარე სახეებზე ისეთი რამ ეწერათ, თითქოს რაღაცას ითხოვდნენ, ხოლო ამ მოთხოვნის უკან, ვინიცობისაა ზებულონს მის შესრულებაზე უარი ეთქვა, შეგუბებული და შეკავებული რისხვა იდგა“. მეოცე საუკუნის მიწურულს შექმნილ ამ რომანში, უდავოა, ჯემალ ქარჩხაძეს თავის თანამედროვე საზოგადოების ზნეობრივი და სარწმუნოებრივი გადაგვარების ასახვა სურს. მწერალს აწუხებს ის, რომ ადამიანებს საკუთარი აზრი არ გააჩნიათ, ინდივიდუალიზმის დეფიციტს განიცდიან. საკუთარი ნების აღსრულებას უფრთხიან. ეს მონაკვეთი დაგვანახებს, როგორ ექცევა ზებულონი ხალხის გავლენის ქვეშ. როდესაც იგი ბროლას და ლომიას დასახოცავად მიდის, ერთ-ერთ ძაღლს ძია ანანიას მიაშვავებს, თავში გაუელვებს გაკვირვების კითხვა, „რომელიც ადრე არც ზებულონსა და არც სხვა ვინმეს სოფელ წყაროსთვალში თავში არ გასჭაჭანებია: რატომ ითვლებოდა ძია ანანია ყველაზე უფრო გონიერ და ჭკუის საკითხავ კაცად?“-ეს ეპიზოდი კიდევ ერთხელ დაგვანახებს, როგორი ერთსახოვანი და უფერულია წყაროსთვალის საზოგადოება. მიიმედ, მდორედ, კითხვების გარეშე მიჰყვება ცხოვრებას. დაახლოებით ამავეს წერს თანამედროვეობაზე ჯემალ ქარჩხაძე: „ჩვენ ის ხალხი ვართ, ვისაც საკუთარი ჭკუით გადაწყვეტილება ვერ გამოაქვს და მხოლოდ შეკვეთებს ასრულებს. ჩვენ ის ხალხი ვართ-ვისაც კომუნიზმის ავთვისებიანი სიმსივნე აქვს და მონობის ბანგითაა გაბრუებული. მე არ ვიცი, როგორი ვიყავით ჩვენ ჩვენი ისტორიის ამა თუ იმ მონაკვეთში, მაგრამ დღეს ერი არ ვართ, საზოგადოება არ ვართ, დღეს ჩვენში ჯერ კიდევ კოლექტიური ცნობიერება ბატონობს.“⁶ ზებულონს პიროვნული თავისუფლება აკლია, სიმყარე, მდგრადობა არა აქვს, არ ყოფნის ძალა, შურისძიების ვნება დაამარცხოვს. ცდუნების დაძლევის განსაკუთრებული სულიერი სიმაღლე და პიროვნული თვითმყოფადობა სჭირდება. არაა ადვილი საკუთარი სურვილების წინააღმდეგ წასვლა, ეს ძლიერ და თვითმყოფად ადამიანებს ხელეწიფებათ. კაცობრიობის საუკეთესო ნაწილი, განურჩევლად რწმენისა, იმთავითვე ამას მიიჩნევდა ადამიანური არსებობის უმთავრეს მიზნად. რომის იმპერატორი, მარკუს ავრელიუსი, რომელიც არ იყო ქრისტიანი, წერდა: „მე უფრო დიდი ვარ და დიდი რამისთვის შობილი, ვიდრე მსახურება ჩემივე თავის მიმართ“. ეს „მე“ გულისხმობს საზოგადოდ პიროვნებას და არა მაინცდამაინც იმპერატორს“.⁷ კონსტანტინე გამსახურდიაც ათქმევინებს დავით აღმაშენებელს თავის ტეტრალოგიაში: „ყველაზე დიდი გამარჯვება საკუთარ თავთან მოგებული ომია“. არც სამცხელი ზენონისთვის („გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებიდან“) იქნებოდა ადვილი დის შეურაცხყოფელის მოკვლაზე ხელის აღება, მაგრამ ამ სიტყვებით შთაგონებული: „ვარ მე

⁵ ნინო ჟამურაშვილი. კონფორმულობა და მისი მიზეზები. (intermedia.ge 2018).

⁶ ჯემალ ქარჩხაძე. პუბლიცისტიკა, (ქარჩხაძის გამომცემლობა, თბილისი, 2014), გვ. 142.

⁷ გია მურდულია, გია ალიბეგაშვილი, ვასილ მაღლაფერიძე. საუბრები ქართულ ლიტერატურაზე, (გამომცემლობა ინტელექტი, თბილისი, 1992) გვ. 94.

ჭაბუკ სახელოვან და რომელსა ვსდევ, ფრიად შეურაცხ არს. დაღაცათუ ვეწიო და მოვკლა, საბრხე არს სულისა ჩემისა და, უკუეთუ ცუდად უკუნ-ვიქცე სახედ ჩემდა, სირცხვილ არს ჩემდა. არამედ აღთქუმაი მონაზონებისაი აწ აღუსრულო უფალსა.“⁸ სულის წაწყმედის ნაცვლად მის ასამაღლებლად და გადასარჩენად მონასტერს მიაშურებს. ამ საკითხთან დაკავშირებით გია არგანაშვილი წერს: „ზებულონი არჩევანის წინაშე იდგა, იოველ ბატონიშვილთან წასულიყო, თუ შური ეძია დაროაშვილებზე, მან შურისძიება გადაწყვიტა, ზენონმა კი მონასტერში წასვლა არჩია, ზენონის გადაწყვეტილების შედეგი კარგად ვიცით, აგიოგრაფი მას დიდ ზენონად მოიხსენიებს“.⁹

როტული იქნებოდა შურისძიებაზე უარის თქმა აკაკი წერეთლის „გამზრდელის“ ბათუსთვისთვისაც, საყვარელი ცოლის შეურაცხყოფელი არც საძებნელი ჰყოლია, როგორც ზებულონს მამის მკვლელები, არც ფიზიკური ძალით დაჯახნიდა მოწინააღმდეგე. საოცარ სულიერ სიმაღლეს და იგავმიუწვდომელ მოთმინებას ავლენს, სტუმარს შესაფერისი პატივით ისტუმრებს და „მთის მწვერვალზე“, ღმერთთან ახლოს, თავის ამაღლებულ სამყოფელში კრინტსაც არ ძრავს საზარელი ცოდვის შესახებ. მხოლოდ მას შემდეგ, რაც „გაახურვეს მათ ცხენები, ააღელვეს, ააჩქარეს და ვიწრო გზით ის დაღმართი სულ კუნტრუმით ჩაატარეს“ (აკაკი წერეთელი, „გამზრდელი“) - მხოლოდ აქ, ბიწიერ დედამიწაზე, უნდა გადაწყდეს, ჩაეფლობა ბათუ ცოდვის ჭაობში, თუ კვლავ ამაღლდება თავის სამყოფელში. ავტორი დილემის წინაშე აყენებს პერსონაჟს - შური იძიოს მოღალატე ძუძუმტეზე, თუ მიუტევოს და ღმერთს მიანდოს მისი განსჯა?! ბათუ უკანასკნელს ირჩევს, ამის საფასურად კი, მართალია, „ძლივს, ბარბაცით“, მაგრამ მაინც უბრუნდება იმ სულიერ სიმაღლეს, რომელზეც ნაწარმოების დასაწყისში იყო. „„გამზრდელის“ პერსონაჟებისთვის პრინციპია შენდობა და დანაშაულის გამოსყიდვა. აკაკის აზრით, დანაშაულის ზნეობრივი გამოსყიდვა ადამიანს შეუძლია მონანიებითაც (საფარ-ბეგი), პატივითაც (ბათუ) და თვითდასჯითაც (ჰაჯი-უსუბი), შურისძიებით კი დანაშაული არ გამოსყიდება, მხოლოდ დანაშაულის ერთი სახეობა შეიცვლება მეორეთი.“¹⁰ ამგვარი დიდსულოვნებისა და პატიების გამოვლინება, რა თქმა უნდა, ყველას არ შეუძლია და რეალურ ცხოვრებაშიც ცოტა დაუჯერებელია. ალექსანდე კუპრინის მოთხრობაში „ზღვის ავადმყოფობა“ ელენა ტრავინაც შეურაცხევს, ამის შესახებ თვითონ უამბო ქმარს. სერგეიმ ცოლს დაუყვავა, ანუგეშა, მაგრამ როგორც მოგვიანებით აღმოჩნდა, ეს სიმშვიდე მოჩვენებითი იყო. ძალიან დიდ სულიერ სიმაღლეს და შინაგან ენერგიას მოითხოვს პატიება. შეიძლება ამის სურვილი კი გქონდეს, მაგრამ არ გეყოს ძალა. ორივე მწერალი დამაჯერებლად აღწერს მოვლენებს, მაგრამ პირველის (აკაკის) შემთხვევაში, ალბათ, უფრო მწერლის სურვილია გადმოცემული, ადამიანი იყოს ასეთი მიმტევებელი, მეორეში კი (კუპრინის) - რეალობა: ჩვეულებრივ ადამიანს უჭირს გულწრფელი პატიება, ეს რჩეულებს, ნამდვილ პიროვნებებს შეუძლიათ. საინტერესო მოსაზრებას გამოთქვამს მწერლობის დანიშნულებაზე აკაკი ბაქრაძე: „ადამიანი ორ სინამდვილეში ცხოვრობს. ერთია რეალური, მეორე - ილუზიური, თუ რეალური სინამდვილე ბუნების შემოქმედების ნაყოფია, ილუზიური სინამდვილე ლიტერატურისა და ხელოვნების შემქმნელია. თუ არ იქნება რეალური სინამდვილე, გაქრება ის მკვებავი ფესვი, ურომლისოდაც ვერ იარსებებს ილუზიური სინამდვილე. თუ არ იქნება ილუზიური სინამდვილე, გაქრება იმედი, ოცნება, მისწრაფება. რეალურ სინამდვილეში ადამიანს გამოეცლება მამოძრავებელი მუხტი. ადამიანი ობოლივით იგრძნობს თავს. ერთი სიტყვით, ილუზიური სინამდვილე რწმენას ქმნის, ურომლისოდ არსებობა

⁸ გიორგი მერჩულე. *გრიგოლ ხანძთელის ცხოვრება*, (გამომცემლობა საქართველოს მაცნე, თბილისი, 2010) გვ. 133.

⁹ გია არგანაშვილი. ზებულონის ტრაგედია, ჟურნალი *არილი*, 2008, (<http://arilimag.ge>).

¹⁰ აკაკი ბაქრაძე. *რწმენა*, (გამომცემლობა მერანი, თბილისი, 1990) გვ. 328.

შეუძლებელია.“¹¹ დიახ, მწერლობა ქმნის რწმენას, რომ ბათუს, ზენონის, ავთანდილის, ალუდა ქეთელაურის, ჯოყოლას და სხვათა მსგავსი ადამიანები შეიძლება რეალურადაც არსებობდნენ. ისინი ღმერთს მიემსგავსებიან, რადგან მხოლოდ უფალია ასეთი სულგრძელი და შემწყნარებელი.

ზებულონი დგას დილემის წინაშე- დაემორჩლოს ხალხისა და საკუთარი თავის ნებას და წავიდეს შურის საძიებლად, თუ ჩაიცვას ახალი ჩოხა-ახალუხი, შეჯდეს ქურანაზე და გაემართოს საოცნებო თეთრი ტაძრისკენ?! მკითხველი ინტერესით ელოდება მის გადაწყვეტილებას, განვლილი ცხოვრება იმედს აძლევს, რომ სწორ პიროვნულ არჩევანს გააკეთებს პერსონაჟი-თუმცა დიდი მოთმინება არ სჭირდება, ბევრს არ ფიქრობს წყაროსთვალეული ისახარის ვაჟი- შურისძიებას გადაწყვეტს. ვნახოთ, რას ამბობს რუსი ფილოსოფოსი ნიკოლაი ბერდიაევი: „სწორედ პიროვნებაა ღმერთის ხატი და მსგავსება ადამიანში. პიროვნება უპირატესად ზნეობრივი საწყისია, რომელიც განსაზღვრავს დამოკიდებულებას ყოველგვარ ფასეულობათა მიმართ. ზნეობრივი ცხოვრების ცენტრი პიროვნებაა და არა საზოგადოება. სიკეთის და ბოროტების ნამდვილი შეჯახება მხოლოდ პიროვნებაში ხდება. ტრაგედია ყოველთვის დაკავშირებულია პიროვნებასთან, პიროვნების გაღვიძებასთან, მის შინაგან ბრძოლასთან. პიროვნების ცხოვრების არსია არა თვითშენარჩუნება, არამედ საკუთარი თავის გაზრდა, საკუთარი თავის გადალახვა, ძლევა“¹² ვერ გადალახა ზებულონი საკუთარი თავი, ვერ სძლია ცდუნებას, ვერ შედგა მისგან პიროვნება, ვერ გაიმარჯვა ზნეობრივმა საწყისმა მასში, სიკეთისა და ბოროტების ჭიდილში უარსო არსს მისცა ასპარეზი საკუთარ ხორცში.

მთელი ცხოვრება ზებულონი გულის კარნახით მოქმედებს, დარღვეული აქვს ის ადამიანური მთელი, რომელზეც შოთა რუსთაველი საუბრობს: „გული, ცნობა და გონება ერთმანეთზედა ჰკიდია, რა გული წავა იგიცა წავლენ და მისკენ მიდიან“, გული- გრძნობა, ცნობა-ხედვა, აღქმა, გონება-ჭკუა- ეს ის რამაა, რომელიც ყველა ადამიანში სულდგმულობს, მნიშვნელოვანია მათ შორის ბალანსის დაცვა, ადამიანმა საკუთარ თავთან და სამყაროსთან ჰარმონიაში რომ იცხოვროს. ზებულონის არსებაში წონასწორობა დარღვეულია, მასში ყოველთვის გრძნობა ბატონობს და გასაქანს არ აძლევს ცნობასა და გონებას. სიყვარულის შემთხვევაშიც ასეა, გრძნობებს აყოლილმა, აფექტურ მდგომარეობაში მყოფმა მოიტაცა ნესტანი ისე, რომ არავითარი გეგმა არ ჰქონია. მისი არჩევანი, პიროვნული გადაწყვეტილება ყოველგვარ განსჯასა და რაციონალურობასაა მოკლებული. კიდევ ეუბნება ყველაფრისმცოდნე ბექა ამილახვარი: „გულზე გასხია თვალები, გონებაზე უნდა გესხას.“ გონივრულ რჩევასაც აძლევს ზებულონი: „თუ შეძლებ ცხოვრება ჩემსავით თამაშად აქციო, წუთისოფლის ოღრო-ჩოდროებსაც უფრო იოლად გაივლი, თუ არადა შენ იცი.“ მართლაც ასეა, როცა გრძნობებს ემორჩილები, უფრო სწორად კი, როცა გრძნობები გიმორჩილებენ, რთულია ცხოვრება, ასე ცხოვრობს ზებულონი და ამიტომ ყურმოჭრილი მონაა ყველასი, ნესტანს თმობს იმიტომ, რომ ასე უბრძანებს ბექა ამილახვარი, იმიტომ კი არა, რომ დილემის წინაშე მდგომი არჩევანს საქვეყნოზე აკეთებს. შურს იძიებს, იმიტომ რომ ასე უბრძანებს ხალხი. იოველ ბატონიშვილთან წასვლას ვერ ბედავს და სამხედრო სამსახურში ჩადგება, რადგან მეფე უბრძანებს... ლაღი შევარდენი გაწვრთნილ მიმინოდ იქცა, რომელიც სხვის ნება-სურვილს ასრულებს და იქით მიფრინავს, საითაც ანიშნებენ. ზებულონი რადგან ერთხელ უკვე უარყო თავისი პიროვნება, როცა შურისძიება ჩაიდინა, ახლა კიდევ უფრო მეტად უჭირს, რომ საკუთარი თავის მიხედვით იმოქმედოს და იძულებულია სხვების ბიძგით და კარნახით იცხოვროს.

¹¹ აკ. ბაქრაძე. რწმენა... გვ. 414.

¹² ნიკოლაი ბერდიაევი. ქართული ლიტერატურა სკოლაში, (გამომცემლობა დიოგენე, თბილისი, 2006) გვ. 148.

სამწუხაროა, რომ ფიზიკურად ძლიერი, სულიერად სპეციალური ადამიანისგან ვერ შედგა პიროვნება, მწერალსაც ეს აწუხებს: „ნუთუ ღონე მხოლოდ იმისთვის მისცა ღმერთმა, რომ ვეება ლოდი, რომელსაც სხვა მის მეტი ვერავინ მოერეოდა, უსაშველო აღმართში ეთრია და ბედისწერის გამოქვაბულისთვის დაეცო, რათა იმ ლოდის სიმძიმე მერე მთელი სიცოცხლე ზურგით ეტარებინა!“¹³ ავტორი ზებულონის ცხოვრების შესახებ მზამზარეულ პასუხებს გვაძლევს, როგორ უნდა მოქცეულიყო მისი გმირი: „არ უნდა დაეხოცა დაროშვილები ზებულონს. ისახარს რაღას უშველიდა! სამაგიეროდ, დედა მაინც არ მოკვდებოდა ასე ჩქარა, ასე შემუშებულის და ასე გალურჯებული... უნდა მისულიყო იოველ ბატონიშვილთან ზებულონი. ვითომ რატომ არ მიიღებდა? ნესტანი არ უნდა დაეთმო ზებულონს. ვინ მისცა ქვეყანას იმის ნება, ყველაფერი წაგართვას და არაფერი დაგიტოვოს?!“¹⁴ ზებულონის ცხოვრების გაანალიზება თითოეულ მოაზროვნე ადამიანს დააფიქრებს- განათლება და რწმენა ეხმარება კაცს პიროვნული ფასეულობებისა და ღირებულებების ჩამოყალიბებაში, რის შემდეგაც უჩნდება კრიტიკული აზროვნება, თავდაჯერება და პასუხისმგებლობა. ამ ყველაფერს უნდა დაემატოს გულისა და გონების თანაბარი მუშაობა, აწმყო მომენტიც ცხოვრების უნარი. ასეთი ადამიანი მოიპოვებს შინაგან თავისუფლებას და გააკეთებს სწორ პიროვნულ არჩევანს.

დამოწმებული ლიტერატურა:

- აკაკი. ბაქრაძე. *რწმენა* (გამომცემლობა მერანი, თბილისი, 1990);
- გია მურღულია, გიორგი ალიბეგაშვილი, ვასილ მაღლაფერიძე, *საუბრები ქართულ ლიტერატურაზე*, (გამომცემლობა ინტელექტი, თბილისი, 1992);
- გიორგი არგანაშვილი. ზებულონის ტრაგედია, *ჟურნალი არილი*, 2008, <http://arilimag.ge/wp-content/uploads/2008/04/karchkhadze.jpg>
- გიორგი მერჩულე. *გრიგოლ ხანძთელის ცხოვრება*. გვ. 133.
- ლილი ხეჩუაშვილი. *პიროვნების ფსიქოლოგია*. (თბილისი, 2013);
- მაია ჯალიაშვილი. *ქართველი მწერლები სკოლაში*, (გამომცემლობა საქართველოს მაცნე, 2016);
- ნიკოლაი ბერდიაევი. *წიგნიდან ქართული ლიტერატურა სკოლაში*, (გამომცემლობა დიოგენე, თბილისი, 2006);
- ნინო ჟამურაშვილი. „კონფორმულობა და მისი მიზეზები“, (intermedia.ge 2018);
- ჯემალ ქარჩხაძე. *ზებულონი*, (ქარჩხაძის გამომცემლობა, თბილისი, 2016);
- ჯემალ ქარჩხაძე. *პუბლიცისტიკა*. (ქარჩხაძის გამომცემლობა, თბილისი, 2014).

¹³ *ჯ. ქარჩხაძე. ზებულონი... გვ. 308.*

¹⁴ *ჯ. ქარჩხაძე. ზებულონი... გვ. 309.*

Personal choice of character in introversial novel “Zebuloni” of Jemal Karchkhadze

Summary

In modern world person and personality are very common concepts. We constantly hear the following terms from today’s humans: personal choice, identity and freedom. It’s hard to find out, their definitions, but it’s good, that people are talking and thinking about.

Scientific research about personality started in the second half of the twentieth century. Personal psychology became an actual as a science in the context of the educational system’s rapid development.

This issue is peculiarly echoed by world and Georgian literature. In the Georgian literature the work of 20th century prose writer Jemal Karchkhadze is interesting. Elsewhere, he says, any change in writing and literature is valuable only when it stands in the way of freedom. The writer is circulating this topic throughout the work, spins, explores the deep layers of the human spirit and artistically describes the difficult process of human’s birth-non birth.

This article discusses the life and personal choice of character in introversial novel “Zebuloni” of Jemal Karchkhadze.

გრიგოლ ვოლსკი ქართველ მწერალთა მოგონებებში

ქართველმა მწერლებმა: **სოფრომ მგალობლიშვილმა** და **დავით კლდიაშვილმა** საინტერესო მოგონებები შემოგვინახეს პოეტისა და პუბლიცისტის, გამორჩეული მოღვაწის, თავდადებული მამულიშვილის - **გრიგოლ ვოლსკის (1860-1909)** - შესახებ.

მოგონებები გრ. ვოლსკიზე იმ მხრივაც არის ძალზე საყურადღებო, რომ მემუარისტები 1880-იანი წლების ბათუმს, ბათუმისათვის, მისი გაქართულებისათვის ბრძოლას გვაცნობენ, იმ მოვლენებს, რომლებშიც თავი იჩინა გრ. ვოლსკის მებრძოლმა სულმა და მისმა უდიდესმა ღვაწლმა ჩვენი ქვეყნის წინაშე.

ს. მგალობლიშვილისა და მოგვიანებით **დ. კლდიაშვილის** მიერ აღწერილი ოთხმოციანი წლების ბათუმი ძალიან ახლოსაა ერთმანეთთან, რაც გვიმყარებს იმის განცდას, რომ სიმართლეს არც ერთი მემუარისტი არ ღალატობს. ისინი შექმნილ ვითარებას დაკვირვებით აღწერენ და უაღრესად სანდონი არიან.

მემუარისტები ღრმა პატივისცემით განგვაწყობენ იმ თავდადებულ ქართველთა მიმართ, რომელთა წყალობითაც მოხერხდა, რომ ბათუმი ქართული ქალაქი გამხდარიყო. 1880-იანი წლებისთვის აქეთ მოილტვოდნენ ბერძნები, თურქები, სომხები. ყველას უნდოდა ამ ადგილების დაპყრობა. „იქაური რუსობა ხომ ცნობილი შავრაზმელების პალმის და დეკანოზი რალცევიჩის მეთაურობით ქართველების ძირიანად აღმოფხვრას ლამობდნენ“.¹ ამ დროს ბათუმი შედიოდა გურია-სამეგრელოს ეპარქიაში, რომელსაც განაგებდა ეპისკოპოსი გრიგოლ დადიანი - „კაცი ბუნებით მჭერმეტყველობის ნიჭით უხვად დაჯილდოებული, ამასთან დამჯერე და გამგონე კეთილი რჩევისა“.² ს. მგალობლიშვილი კარგად იცნობს ყოველივეს, რასაც აღწერს, რადგან იგი სწორედ აქ დაინიშნა საეპარქიო კანცელარიის მდივნად. რასაც ურჩევდა ს. მგალობლიშვილი, იჯერებდა ეპისკოპოსი და ამის მიხედვით მარჯვედ მოქმედებდა.

მემუარისტი ასახელებს იმ ადამიანებს, რომლებიც ქართული საქმისათვის იღვწოდნენ აქ - ესენი იყვნენ **გრიგოლ ვოლსკი, ივანე მესხი - სერგეი მესხის ძმა, ლეონიდ და აპალონ ქიქოძეები, თეიმურაზ აგიაშვილი, მღვდელი სვიმონ თოთიბაძე...** როგორც ჩანს, ს. მგალობლიშვილისათვის უცნობია ამ საქმეში ახალგაზრდა ოფიცრის, **დ. კლდიაშვილის**, როლი, თორემ მასაც უთუოდ მოიხსენიებდა.

გრ. ვოლსკი ამ გუნდის სული და გული იყო. იგი პროფესიით ექიმი იყო; იყო პოეტი, პუბლიცისტი, შესანიშნავი მოღვაწე; წერდა ლექსებს „უმწიფარიძის“ ფსევდონიმით. მის კალამს ეკუთვნის ბევრი მშვენიერი ლექსი. განსაკუთრებული პოპულარობით სარგებლობდა მისი „შენ გეტრფი მარად“, რომელსაც საქართველოს ყველა კუთხეში მღეროდნენ. გრ. ვოლსკიმ ზედმიწევნით იცოდა ქართული ენა და ლიტერატურა, რასაც **დ. კლდიაშვილიც** გვიდასტურებს. მისი თქმით, „იგი ხშირად ჩაუჯდებოდა „ივერიის“, „კვალის“ ნომრებს და ასწორებდა ხმარებულ ენას; ამ შენიშვნებით ავსებულ ფურცლებს უგზავნიდა ილია ჭავჭავაძეს და გიორგი წერეთელს. ორივენი დიდად აფასებდნენ ამ შენიშვნებს და სთხოვდნენ გრიგოლს, ხშირ-ხშირად მიეწოდებია ამგვარები“³

¹ **სოფრომ მგალობლიშვილი. მოგონებანი**, (გამომცემლობა ფედერაცია, ტფილისი, 1938), გვ. 186.

² **ს. მგალობლიშვილი. მოგონებანი...** გვ. 186.

³ **დავით კლდიაშვილი. პიესები, მემუარები**, (გამომცემლობა პალიტრა, თბილისი, 2013), გვ. 264.

ს. მგალობლიშვილის თქმით, დღევანდელი ბათუმის არსებობას გრ. ვოლსკის და მის თანამებრძოლებს უნდა ვუმაღლოდეთ. ქართველობა აქ თავდაპირველად ძალიან შევიწროებული იყო, განსაკუთრებით - რუსებისა და სომხებისაგან. დეკანოზი რალცევიჩი არ აძლევდა ქართველ მღვდელს, სვიმონ თოთიბაძეს, ქართულად წირვის ნებას. არ არსებობდა ადგილი, სადაც ქართველები შეკრებას შეძლებდნენ. ხანდახან ქართული წარმოდგენა თუ იქნებოდა, ან - წელიწადში ერთხელ წმიდა ნინოს დღის - ნინოობის აღნიშვნა. ქართველებმა ეკლესიის აშენება გადაწყვიტეს. ეპარქიულმა მთავრობამ ხელი მოუმართათ და ქალაქმაც შუა ბათუმში მისცათ ადგილი, ჩაიყარა საძირკველი. მაგრამ რედაქტორ პალმს, დეკანოზ რალცევიჩსა და მათ შავრაზმელ დამქმებებს არ ეძინათ, სურდათ, ეს ძვირფასი ადგილი ქართველებისათვის წაერთმიათ, მაგრამ მათ ცდას არავითარი შედეგი არ მოჰყოლია.

ბათუმელ ქართველებს წინ უფრო დიდი განსაცდელი ელოდათ, უფრო მნიშვნელოვანი მისიის აღსრულება. ეს იყო ქალაქის არჩევნები (1895). ძნელი წარმოსადგენია, თუ რა შრომა დასჭირდათ ქართველებს; კერძოდ, გრ. ვოლსკის. **დ. კლდიაშვილის** გადმოცემით, „რუსი მოხელეები და სომხის ბურჟუაზია შეერთებული ძალ-ღონით ეწინააღმდეგებოდა ქართველობას და მისი დაცემა სულით და გულით სწადდათ“ (გვ. 268). ცნობილი სომეხი მაიორი ტერ-ასატუროვი დაუფარავად ხმამაღლა აცხადებდა: „ბათუმში ქალაქის თავი ან სომეხი, ან ქართველი უნდა იქნეს: მაგრამ ქართველებს ამისათვის კაცი არ მოგეძებნებათ და, შვილებო, არც უნარი გაქვთ საამისო; ამიტომ ჩვენ, სომხებს, გვრჩება სათავეში ჩადგომა“.⁴

გრ. ვოლსკი შეუდგა გაცხარებულ მუშაობას. უპირველესად, საჭირო იყო იმ უიმედობის, უნდობლობისა და შიშის გაქარწყლება, თავიანთი თავის მიმართ ქართველებს რომ დაუფლებოდათ. მათ სჯეროდათ, რომ „უღონონი იყვნენ, უძლურნი და მომუშავე ძალებს მოკლებულნი“.⁵

გრ. ვოლსკი მოითხოვდა, რომ ყოველი ქართველი მოღვაწე სამართლიანი და მიუკერძოებელი ყოფილიყო. რადგან ამ თვისებებს ქალაქის წინანდელ მმართველებში ვერ ხედავდა, მან ყოველი ღონე იხმარა და ქალაქის თვითმმართველობაში ბევრი ახალი, ჯერ გამოუცდელი ძალა შეიყვანა. შემდეგ მათ გამოცდილებაც მისცა და სწორ გზაზეც დააყენა.

არჩევნებისათვის თბილისიდან საგანგებოდ ჩამოვიდა **ილია ჭავჭავაძე**, რაც ამ დღის უდიდეს მნიშვნელობაზე მიუთითებს. **დ. კლდიაშვილი** მოკლედ, მაგრამ შთამბეჭდავად აცოცხლებს ამ საქმეში **ილიას** თანამონაწილეობას: „საარჩევნო დარბაზში თვალსაჩინო ადგილას სავარძელზე მოთავსებული იყო და არჩევნების მსვლელობას უყურებდა განგებ ამ შემთხვევისათვის თბილისიდან ჩამოყვანილი ილია ჭავჭავაძე“.⁶

ბრწყინვალე გამარჯვებით ქართველებმა ძირი მოიმარეს და მას შემდეგ ქალაქს ისინი განაგებდნენ. **ს. მგალობლიშვილსა და დ. კლდიაშვილს** ეს, ძირითადად, **გრ. ვოლსკის** დამსახურებად მიაჩნიათ. იგი **ს. მგალობლიშვილს** წარმოუდგება, როგორც „იშვიათი ენერგიის ადამიანი, პირდაპირი, მტერთან ბრძოლაში გულადი, მოურიდებელი, გამჭრიახი სიტყვისა, თავდადებული მამულიშვილი და უანგარო პატრიოტი“.⁷ **დ. კლდიაშვილის** დახასიათებით, „განსხვავებული კეთილი გულის პატრონმა, საოცარი რისხვით მისვლა იცოდა უსაქციელო ადამიანთან. აქ ის პირდაპირ გადარეულივით იყო. მისი გაბედული, უშიშარი მიმართვა სავსე იყო ხოლმე გამანადგურებელი სიტყვებით. არ იცოდა დარიდება,

⁴ **დ. კლდიაშვილი**. *პიესები, მემუარები...* გვ. 241.

⁵ **დ. კლდიაშვილი**. *პიესები, მემუარები...* გვ. 242.

⁶ **დ. კლდიაშვილი**. *პიესები, მემუარები...* გვ. 243.

⁷ **ს. მგალობლიშვილი**. *მოგონებანი...* გვ. 187.

რაც უნდა პიროვნება ყოფილიყო, უმაღლესი, უმდაბლესი - ამ დროს გარჩევა არ ჰქონდა. გავლენიანობით, თავისი სიდიადით მას ვერავინ შეაშინებდა და ვერ ჩააჩუმებდა.⁸

ს. მგალობლიშვილი გრ. ვოლსკის ღირსებად მიიჩნევს მის ინტერესს ეკლესიის საქმეებისადმი, ქართველების ერთად შეკრებისათვის ზრუნვას, რადგან ძალა ერთობაშია; „იმისვე მხნეობას ეკუთვნის კულტურული დაწესებულების-ქართული სკოლის უკეთესად დაყენება და განვითარება“, მომავალი თაობის უკეთესად აღზრდა, ქართველებში ეროვნული ღირსების გრძნობის, სამშობლოს სიყვარულის გაღვივება.⁹

დ. კლდიაშვილის **გადმოცემით**, სოფლებიდან ბათუმში ჩამოსახლებულ ღარიბთა შვილებს დაწყებითი განათლების მიღების საშუალება არ ჰქონდათ. ქალაქში არსებობდა წერა-კითხვის საზოგადოების სკოლა, მაგრამ იმდენად უსახსრო, რომ ერთ მასწავლებელს ძლივს ინახავდა. **გრ. ვოლსკიმ** და **ივანე მესხმა** გადაწყვიტეს ამ სკოლის გაძლიერება და ყოველ წელიწადს, 14 იანვარს, ნინოობას, სასწავლებლის სასარგებლოდ საღამოს გამართვა. მემუარისტი შთამბეჭდავად აღწერს პირველ საქველმოქმედო საღამოს, რომელიც დიდებულად ჩატარდა. დარბაზს ანათებდა ელექტრონი, რაც იმ დროისათვის სიახლე იყო. თბილისიდან მოწვეულნი იყვნენ სტუმრები, მათ შორის **აკაკი წერეთელი**. დიდ პოეტს „სადგურზე დაუხვდა მთლად ქართველობა და რომელიც გამოჩნდა თუ არა ვაგონის კარებში, აუარებელმა ხალხმა აღტაცებით შესძახა მქუხარე ვაჟა და დიდის ამბით მიაცილა ეტლამდის“.¹⁰

საღამომ დიდი ფული შემოიტანა და დიდი შთაბეჭდილებაც დატოვა. ნინოობა სასწავლებლის მაცოცხლებელ წყაროდ იქცა. მეორე წელიწადს სასწავლებელს უკვე ჰქონდა დიდი შენობა, რომელიც ორას მოსწავლეს იტევდა. მასწავლებელთათვის გამოიყო ცალკე ბინები. სწავლაც მაღალ დონეზე იყო და ყოველ წელიწადს აქედან ათი-თორმეტი ყმაწვილი გადადიოდა ბათუმის გიმნაზიაში სწავლის გასაგრძელებლად.

გრ. ვოლსკის ინიციატივით, ასევე, გაიხსნა საკრედიტო საზოგადოება, რომელიც ღირსეულ კონკურენციას უწევდა თბილისის კომერციული ბანკის ბათუმის ფილიალს და ღარიბ ხალხს შეღავათიან კრედიტს აძლევდა. საკრედიტო საზოგადოების თავმჯდომარედ აირჩიეს მდიდარი, განათლებული და ერუდირებული ებრაელი **შპოლიანსკი**, რომელმაც, წახალისებულმა ქართველთა პატივისცემით, მყარ ნიადაგზე დააყენა ბანკი. ჯერ კიდევ მოსკოვში სტუდენტობისას თავი იჩინა **გრ. ვოლსკის** ორგანიზატორულმა ნიჭმა, ეროვნულად მომართულობამ - მან იქ ქართველთა სათვისტომო დაარსა. ბათუმი ხომ „მისი შექმნილია, მისი პირმშო შვილია“.¹¹

გრ. ვოლსკი იმერეთში გაიზარდა. მამამისი პოლონელი იყო, დედა კი ქართველი - კეჟერადის ქალი. იგი „ცოცხალი ბუნების, გონებაგახსნილი ადამიანი იყო“ და გრიგოლი მას განსხვავებული სიყვარულით იხსენებდა.¹² ქუთაისის გიმნაზიის დამთავრების შემდეგ გრიგოლმა სწავლა მოსკოვის უნივერსიტეტში, სამედიცინო ფაკულტეტზე განაგრძო, მაგრამ ექიმად არ უმუშავია. მან ბათუმში 11-12 წელი იღვაწა. 1907 წელს ჩამოვიდა თბილისში და ქართულ გიმნაზიაში ასწავლიდა ქართულს; დიდხანს არ უცოცხლია, გარდაიცვალა 1909 წელს. მისი სიკვდილი და მოღვაწეობა აღნიშნა აღმანახმა „ქართველთა ერი“ (N 1, 11 ოქტომბერი, 1909).

ს. მგალობლიშვილისა და **დ. კლდიაშვილის** მოგონებები **გრ. ვოლსკის** შესახებ იმით არის აღსანიშნავი, რომ მათში ცოცხლდება დიდი მამულიშვილის მრავალმხრივი

⁸ **დ. კლდიაშვილი**. *პიესები, მემუარები...* გვ. 265.

⁹ **ს. მგალობლიშვილი**. *მოგონებანი...* გვ. 187.

¹⁰ **დ. კლდიაშვილი**. *პიესები, მემუარები...* გვ. 239.

¹¹ **ს. მგალობლიშვილი**. *მოგონებანი...* გვ. 187.

¹² **დ. კლდიაშვილი**. *პიესები, მემუარები...* გვ. 237.

საზოგადოებრივი მოღვაწეობა, მისი პიროვნული თვისებები თუ ხასიათის თავისებურებები. გარდა ამისა, ეს მოგონებები არის უტყუარი ისტორიული წყაროც და, ამდენად, ძალიან მნიშვნელოვანი.

დამოწმებული ლიტერატურა:

დავით კლდიაშვილი. *პიესები, მემუარები*, (გამომცემლობა პალიტრა, თბილისი, 2013);

სოფრომ მგალობლიშვილი. *მოგონებანი*, (გამომცემლობა ფედერაცია, ტფილისი, 1938).

Magda Chikaberidze

PhD in Philology

Grygol Volsky in Georgian writers's memories

Summary

Georgian writers: S. Mgaloblishvili and D. Kldiashvili's memoirs bring to life the versatile public activity of the poet and publicist, a distinguished figure, a devoted patriot - Grigol Volski, his personal qualities or character traits. These memories are also an unmistakable historical source and, therefore, very important.

ილია ჭავჭავაძის „მეფე დიმიტრი თავდადებული“
XIX საუკუნის ქართულ ლიტერატურულ კრიტიკაში

როგორც სათანადო თეორიულ ლიტერატურაშია შენიშნული, მწერლის თანამედროვეთა კრიტიკული შეფასებების გათვალისწინება გვცხადებს მისი შემოქმედების უფრო ღრმად გააზრებაში, რადგან თანამედროვეთათვის ზოგჯერ ბევრად უფრო გასაგებია ტექსტის ის ნიუანსები და ქვეტექსტები, რაც შემდგომი თაობების მკითხველისათვის ხშირად მიუწვდომელი რჩება.

ჩვენი კვლევის მიზანია, წარმოვაჩინოთ, თუ რა დამოკიდებულება ჰქონდათ, ილია ჭავჭავაძის თანამედროვე კრიტიკოსებს „მეფე დიმიტრი თავდადებული“ შესახებ.

პოემა „მეფე დიმიტრი თავდადებული“ 1877-1878 წლებში დაიწერა. იგი გამოქვეყნდა „ივერიაში“ 1879 წელს. გამოქვეყნებისთანავე ეს თხზულება კრიტიკოსთა დიდი ვნებათაღელვის საგნად იქცა.

1879 წელსვე დაიბეჭდა გ. თუმანიშვილის წერილი „ეხლანდელი ჟურნალ-გაზეთების მიმართულება“, რომელშიც სხვა ნაწარმოებებთან ერთად ილიას „მეფე დიმიტრი თავდადებულზეც“ არის ნათქვამი ორიოდ სიტყვა. კრიტიკოსის წერილის მთავრი აზრი ისაა, რომ თანამედროვე ქართული პრესა მეტად უფერულია და ვერ პასუხობს დროის მოთხოვნილებებს. ამ მოსაზრების დასტურად ავტორი ილია ჭავჭავაძის შემოქმედებას მოიხმობს. გიორგი თუმანიშვილის თქმით, ათი-თხუთმეტი წლის წინ ილია ჭავჭავაძე დიდ გავლენას ახდენდა ქართულ საზოგადოებრივ აზროვნებაზე. ახალგაზრდები ბაძვდნენ მას და იზებოდნენ მის „მუშას“ და „პოეტს“. შემდეგ კი ილიას პოეტური ნიჭი თითქოს დაიფერფლა. ამის დასტურად მიაჩნია კრიტიკოსს ილია ჭავჭავაძის ახლადგამოქვეყნებული პოემა „მეფე დიმიტრი თავდადებული“. „დიმიტრი თავდადებული“, რომელიც მოიწონა ერთმა, ორმა მწერალმა, წაიკითხეს „ივერიის“ მკითხველებმა და ჩქარა დაივიწყეს. ზოგმა წაიბუტბუტა: „ჭავჭავაძეს აღარ აქვს ძველებური პოეტური ნიჭი“ და ამით გათავდა ის შთაბეჭდილება, რომელიც მოახდინა თავის წამკითხავებზე ილ. ჭავჭავაძის ახალმა ლექსმა.¹

კრიტიკოსის თქმით, ასეთი შთაბეჭდილება ნაწარმოების შესახებ იმიტომ შეიქმნა, რომ ილიას ენამ ბევრად უფრო მეტი სისადავე შეიძინა ახალ პოემაში, ვიდრე მის ადრინდელ თხზულებებში. „დიმიტრი თავდადებული“ დაწერილია უფრო მსუბუქ ლექსით და ცოცხლ ხალხურ ენით, ვინამც „მუშა“ და „პოეტი“. მართალია თქვენ შეგიძლიათ მითხრათ, რომ ის არ არის მდიდარი ნამდვილი პოეზიით, ე.ი. ვერ იპოვით ცოცხალ სურათებს დახატულებს ხელოვნურად, მრავალფეროვანი ენით, მაგრამ ვერც ეს შენიშვნა აგვიხსნის რასმეს, რადგან ილ. ჭავჭავაძის ლექსს ადრეც ნეკრასოვის ლექსის ხმა ჰქონდა დავარდნილი.²

რაში მდგომარეობს ილიას პოეზიის მსგავსება ნეკრასოვის შემოქმედებასთან, კრიტიკოსის აზრით? მისი შეხედულებით, საერთო ორ პოეტს შორის ისაა, რომ მათ

¹ გიორგი თუმანიშვილი. შარშანდელი ქართული მწერლობის გადათვალიერება, წიგნში „ილია ჭავჭავაძე ქართულ ლიტერატურულ კრიტიკაში (ქრესტომათია), (სამეცნიერო-მეთოდური კაბინეტის გამომცემლობა, თბილისი, 1957.) გვ. 239.

² გ. თუმანიშვილი. შარშანდელი ქართული მწერლობის გადათვალიერება... გვ. 239.

პოეზიაში დომინანტობს აზრი და მათი შემოქმედება პასუხობს დროის აქტუალურ სოციალურ პრობლემატიკას.

გ. თუმანიშვილის თქმით, ილია ჭავჭავაძის, როგორც პოეტის ნოვატორობის საფუძველი ისაა, რომ მან მოახდინა თანამედროვეობის იმ თემატიკის აქტუალიზება ქართულ ლიტერატურაში, რაც თავის დროზე სიახლედ აღიქმებოდა. ამასთანავე ილიამ მოიტანა პოეზიისა და პოეტის დანიშნულების ახლებური გაგება ჩვენს სინამდვილეში: „აიღეთ „მუშა“, ის დაწერილია იმ დროს, როცა ჩვენი განათლებულები თავიდან ფეხის ფრჩხილებამდე ბატონები იყვნენ, გარდა ორიოდ ახალგაზრდასი. დაცინვა ამ უგულო ბატონობაზე და ტირილი „მუშა კაცის“ უბედურებაზე ახალი რამ იყო ჩვენს მწერლობაში. იგივე ითქმის „პოეტზე“. ამ ლექსის დაბადებამდე თითქმის მთელი ქართული პოეზია ჩაყლაპული იყო „ვარდ და ბულბულის“, „წალკოტისა და იადონის“, „ამიყთ ჭიკჭიკას“ სიმღერებით. არავის არ აგონდებოდა, რომ პოეტი უნდა იყოს ხალხის შვილი და იმისთვის სულდგმულობდეს. ილ. ჭავჭავაძის „პოეტმა“ გვითხრა ახალი სიტყვა, კაცთმოყვარეობით სავსე, მქებელი ძმობის და თანასწორობის“.³

ეს ნოვატორული სულისკვეთება ილია ჭავჭავაძის შემოქმედებისა, გ. თუმანიშვილის თქმით, შემდეგში თანდათან მიიწვავს, გაუფერულდა. ამ შემოქმედებითი კრიზისის ნიშნებს ხედავს კრიტიკოსი პოემაში „მეფე დიმიტრი თავდადებული“, რომელშიც, მისი აზრით, „არაფერია ახალი“.

გ. თუმანიშვილს ერთგვარად აღიზიანებს ილიას მხრიდან ისტორიული თემატიკისადმი მიბრუნება და წარსულის იდეალიზაცია: „იქ პოეტი დამღერის მეფეს, რომელმაც თავის დაღუპვა ირჩინა, თავისა და თავის ქვეყნის დაღუპვასთან ერთად. აქ ძლიერი გმირობა არაფერია, მაგრამ რაც უნდა დიდი გმირობა იყოს, ის არაფერს ახალს არ გვეუბნება“.⁴ ცხადია, ასეთი მოთხოვნის წაყენება მწერლისადმი შეუწყნარებელია. შეუძლებელია მწერლის ყოველ თხზულებას ნოვატორული ღირებულება მოვთხოვოთ. კრიტიკოსი მითითებასაც კი აძლევს ილიას, თუ რაზე იქნებოდა უმჯობესი, რომ ეწერა. მისი თქმით, მკითხველზე ბევრად უფრო ცხოვლად იმოქმედებდა, პოეტს რომ აღეწერა „ახალგაზრდა, ცხოვრებისაგან ჯერ არ გაფუჭებული კაცის ტანჯვა ერთ ლუკმა პურის შოვნაზე“.⁵ აშკარაა კრიტიკოსის შეზღუდული ლიტერატურული თვალთახედვა. იგი მხოლოდ ვიწრო სოციალურ თემატიკას მიიჩნევს შემოქმედებითად ღირებულად, თითქოს ასეთი პრობლემატიკა უკვე თავისთავად აპირობებდეს ნაწარმოების მხატვრულ ღირსებას.

„მეფე დიმიტრი თავდადებულს“ გამოეხმაურა ალექსანდრე სარაჯიშვილიც წერილით „მწერლობა“⁶ კრიტიკოსმა დაიწუნა ნაწარმოების მთავარი გმირის სახე. მისი შეხედულებით, მწერალმა ვერ მოახერხა დაემლია მის წინაშე მდგარი მხატვრული ამოცანა – ეჩვენებინა მამულისათვის თავდადებული გაუტეხელი გმირი. ალ. სარაჯიშვილის თქმით, დიმიტრი არაა გაუზზარავი სახე. იგი დამოუკიდებლად კი არ მიდის თავგანწირვის გადაწყვეტილებამდე, არამედ დარბაზს მოიხმობს და მღვდელმთავრის შეგონების შემდეგ განიზრახავს ყაენთან წასვლას. ამიტომაც, კრიტიკოსის თქმით, იგი უფრო მსხვერპლია, ვიდრე – გმირი: „მეფე თითქმის სხვის გადაწყვეტილებას ემორჩილება და არა თავის გულის წადილს. ასე რომ დიმიტრი გმირი არ არის, ის მამულის მსხვერპლია, თავის ქვეყნის მოწამე... შეცოდების ღირსია“.⁷ დიმიტრი მეფე კრიტიკოსს სქემატურ სახედ ეჩვენება. მას

³ გ. თუმანიშვილი. შარშანდელი ქართული მწერლობის გადათვალიერება... გვ. 240.

⁴ გ. თუმანიშვილი. შარშანდელი ქართული მწერლობის გადათვალიერება... გვ. 240.

⁵ გ. თუმანიშვილი. შარშანდელი ქართული მწერლობის გადათვალიერება... გვ. 239.

⁶ გაზეთი. „დროება“, N31, 1879.

⁷ ალექსანდრე სარაჯიშვილი. *მწერლობა, წიგნში „ილია ჭავჭავაძე ქართულ ლიტერატურულ კრიტიკაში (ქრესტომათია)“*, (სამეცნიერო-მეთოდური კაბინეტის გამომცემლობა, თბილისი, 1957). გვ. 242.

თითქოს არავინ და არაფერი უყვარს. ის არავის ემშვიდობება წასვლის წინ. მაგრამ, ალ. სარაჯიშვილი იქვე ხსნის ამ გარემოებას. მისი თქმით, მეფის ამბავი თავად ილია ჭავჭავაძეს, როგორც მთხრობელს რომ ეამბნა, მაშინ ყოველივე ამას ფსიქოლოგიური დამაჯერებლობით აღწერდა, მაგრამ ვინაიდან ავტორი ბრმა მეფანტურეს გადმოაცემინებს მომხდარს, იძულებულია „თავისი გმირიც დაამდაბლოს“, რათა არ დაირღვეს მხატვრული დამაჯერებლობა. ასე გადაიქცევა, კრიტიკოსის თქმით, თხზულების მხატვრული ნაკლი მის ღირსებად.

ალ. სარაჯიშვილი მაღალ შეფასებას აძლევს ნაწარმოების მხატვრულ ფორმას, ილიას ლექსწყობას. „მისი ლექსი დაემსაგავსება რიგზე წყობილს და გაწვრთნილს ჯარს“. ⁸ კრიტიკოსი აღნიშნავს იმ გარემოებასაც, პოემა მდიდარია პოეტური სურათებითაც.

ალექსანდრე სარაჯიშვილის რეცენზიას გამოეხმაურა გრ. ვოლსკი (უმწიფარიძე) წერილით „შენიშვნა უფ. ა-ის რეცენზიაზე შესახებ პოემისა: „დიმიტრი თავდადებული““. ⁹

თავის საპასუხო სტატიაში გრ. ვოლსკიმ ექვეყნა ალ. სარაჯიშვილის ზოგიერთი შეხედულება. იგი აცხადებს, რომ თუ მართალია სარაჯიშვილის მტკიცება, რომ დიმიტრი თავდადებული უფერული სახეა, გმირი კი არ არის, არამედ მსხვერპლი, მაშინ შეუძლებელია ვისაუბროთ ილია ჭავჭავაძის პოეტურ ოსტატობაზე, რადგან მწერალს ვერ დაუძლევია მის წინაშე მდგარი მხატვრული ამოცანა. გრ. ვოლსკის ვერ აკმაყოფილებს ალ. სარაჯიშვილისეული ახსნა მეფის სახის სქემატურობისა (რომ იგი განპირობებულია ილიას მიერ შერჩეული თხრობის სტრატეგიით, – ამბის მთხრობელად ბრმა მეფანტურის შერჩევით).

წერილის ავტორი არ იზიარებს ალ. სარაჯიშვილის თვალსაზრისს იმის თაობაზე, რომ მეფე დიმიტრი დამოუკიდებლად კი არ იღებს თავგანწირვის გადაწყვეტილებას, არამედ დარბაზის რჩევის შედეგად. პოემის სიუჟეტის ამგვარი ინტერპრეტაცია გრ. ვოლსკის არასწორად მიაჩნია: „თქვენ სრულიად ვერ გიცვნიათ და დამახინჯეთ პოეტისგან გამოხატული დიმიტრი. დიმიტრი არ იყო ერთი იმ დესპოტთაგანი, რომელსაც შეეყარა კრება ოღონდ თავის ნების გამოსაცხადებლათ იმის დაუკითხავად, თუ რა აზრისანი არიან დიდებულნი და მღვდელმთავარნი. ის იხმობს წარჩინებულ დიდკაცობას, უხსნის გარემებას და ეკითხება რჩევას, მაგრამ ეს სულაც არ ნიშნავს, რომ ის დაემორჩილება რჩევას. დასტურიც, გარდა მღვდელმთავრისა, ყველა ევედრება დარჩენას, სირცხვილის ჭამათ მიაჩნია მეფის გაცემა და თუმცა გრძნობს, ვერას გავა. მზათაა შეაკვდეს გმირულათ მამულის მტერს. მეფე ცხადათ, გარკვევით აღიარებს თავის აზრს და ყრილობაც დაღონებით ემორჩილება. რა არის აქ გაუგებარი, რაშია ხასიათის სისუსტე, მხდალობა, გაუგებრობა?! პირიქით, კრებას რომ დამორჩილებოდა, უნდა დარჩენილიყო, და ან სადაურია, საქართველოს მეფე კრებას ემორჩილებო?!“ (ვოლსკი 1879: 245-246). მოტანილი ამონაწერიდან ცხადად ჩანს, რომ გრ. ვოლსკი ძალზე დამაჯერებლად და სწორად მსჯელობს. იგი მიუთითებს, რომ მეფე ერთპიროვნულად იღებს გადაწყვეტილებას, არ უჯერებს მათ, ვინც დარჩენას ევედრება და მიდის თავის გასაწირად.

გრ. ვოლსკი ეკამათება ალ. სარაჯიშვილის იმ მოსაზრებასაც, რომ დიმიტრი თითქოს გულცივი კაცია და არ ემშვიდობება არავის სამშობლოს დატოვების წინ. ამგვარი ბრალდების წაყენება, კრიტიკოსის თქმით, პერსონაჟისადმი არაა გამართლებული, რამდენადაც მწერლის წინაშე სრულიადაც არ იდგა მხატვრული აუცილებლობით ეჩვენებინა ჩვენთვის მეფის მახლობლებთან გამოთხოვების სცენა: „რათ იჩენთ უცნაურს იქ, სადაც არაფერია უცნაური! კაცია და გუნება: ვის ხუცესი მოსწონსო და ვის ხუცის ცოლიო. ერთი იტყვის, რატომ დედას არ გამოეთხოვაო, მეორე – ცოლი რათ არ გადაპროშტაო, მესამე

⁸ ალ. სარაჯიშვილი. *მწერლობა, წიგნში „ილია ჭავჭავაძე...“* გვ. 243.

⁹ გაზეთი. „დროება“, N 53, 1879.

– მეძებრებს უნდა გამომშვიდობებოდაო და მეასე – ხატებსო... ეს ადამიანის გემოზეა, და პოეტი ყველას ვერ გაწვდება. განა გმირისთვის მოიძებნება თავის ხალხზე უსაყვარლესი სატრფო და მეგობარი? იმაზედ უკეთესი გამომშვიდობება და სიყვარულის გამოცხადება, რომელსაც მეფე უცხადებს ხალხს, განა შეიძლება კიდევი?!“.¹⁰ გრ. ვოლსკის თქმით, მწერალმა შეარჩია რამდენიმე არსებითი, მთავარი მომენტი გმირის ცხოვრებიდან (დიდებულებთან თათბირი, ხალხთან გამოთხოვება, გამოგზავნილ ჯართან შეხვედრა, ყაენის წინაშე წადგომა, ტყვეობაში ყოფნა და სიკვდილით დასჯა), რომელშიც ნათლად გამოჩნდა მისი ვაჟკაცობა, გაუტეხელი ხასიათი და მამულისათვის თავგანწირვა: „როგორ თუ გმირი არ არის მეფე, რომელსაც დარჩენას ევედრება მთელი ხალხი, რომლის გულისთვის სამარეში ფეხჩადგმული მოხუცი, როგორც მთელი ხალხის სურვილის და გრძნობის გამომთქმელი, მზათ არის შვილები მტერს შეაკლას და რომლის რკინა გული (თუმცა სტირს და ვაებს) უცვლელათ ადგია ერთხელვე გადაჭრილ-გაზომილს აზრს?!“.¹¹

გრიგოლ ვოლსკი ბრწყინვალედ სწვდება ნაწარმოებში ილიას მიერ წარმოდგენილი დრამატიზმის არსს. მისი თქმით, პოემის ავტორი დიდი დამაჯერებლობითა და ფსიქოლოგიური სიღრმით გვიჩვენებს გმირის სულში მიმდინარე ბრძოლას თვითგადარჩენის ინსტინქტსა და ზნეობრივ მოვალეობას შორის: „უკანასკნელათ ტანჯულ-წამებულმა, ღონემიხდილმა ხორცმა კინაღამ სძლია მაღალ სულსა და დაამტკიცა, რომ რაც უნდა გმირი ადამიანი იყოს, ადამიანი მაინც ადამიანათ რჩება. უბრალო სიკვდილის შვილსა და ნამდვილ გმირს შუა ამ შემთხვევაში ის განსხვავებაა, რომ გმირი გმირობას მაინც ბოლომდე გაიტანს, მაშინ როდესაც უბრალო მომაკვდავი მოულოდნელათ, საცოდავათ იჩენს, რომ წუთისოფელს მანაც ვერ მოსცილდება. აქაც, ჩემის აზრით, საქებურმა პოეტმა გამოიჩინა კაცის გულის ნამდვილი ცოდნა და მხატვრულ-პოეტური გულთმისნობა“.¹²

გრიგოლ ვოლსკის დასკვნით, არავითარი მნიშვნელობა გმირის ხასიათის გასახსნელად არ აქვს იმ ფაქტს, რომ ამბის ნარატორად გვევლინება არა ავტორი, არამედ ბრმა მეფანტურე. კრიტიკოსის თქმით, ალ. სარაჯიშვილს არასწორი წარმოდგენა აქვს უბრალო ხალხზე, როცა აცხადებს, რომ ჩვეულებრივი მეფანტურე ვერ შეძლებდა გმირის სულიერი მოძრაობის სრულფასოვან აღწერას. კრიტიკოსის თქმით, თავად ილია რომ ყოფილიყო ამბის მთხრობელი, ისიც უთუოდ იმავე ფორმით გადმოგვცემდა მომხდარს, როგორც – მეფანტურე, ამიტომაც, მისი აზრით, არაფრის მომცემია მთხრობელისა და ავტორის შეპირისპირება ნაწარმოებში: „თქვენ ძლიერ ცუდი აზრი გქონიათ შედგენილი დაბალი ხალხის პოეტურ ნიჭზე, თუ გგონიათ, რომ მისი გონება ვერ გაიგებს, ვერ მიწვდება გმირის გულის გულს, უნებურად დაამდაბლებს და, როცა ლომის გამოხატვას დააპირებს, კატა გამოუვა ხოლმე“.¹³ კრიტიკოსის თქმით, ამის დასტურია ხალხური პოეზია, სადაც შეიძლება ბევრ ფაქტობრივ უზუსტობას ვხვდებით, ხშირად არეულია ისტორიული პირები და მოვლენები, მაგრამ ფსიქოლოგიური დამაჯერებლობისა და ეროვნულ გმირთა ხასიათების წარმოჩენის თვალსაზრისით ხალხური საგმირო ეპოსი არ ჩამოუვარდება ლიტერატურულ შედეგებს.

1894 წელს გაზეთ „კვალში“ დაიბეჭდა სილოვან ხუნდაძის წერილი „მეფე დიმიტრი თავდადებული“ მკითხველის შენიშვნები“.

¹⁰ გრიგოლ ვოლსკი (უმწიფარიძე). *შენიშვნა უფ ა-ის რეცენზიაზე შესახებ პოემისა „დიმიტრი თავდადებული“*, წიგნში („ილია ჭავჭავაძე ქართულ ლიტერატურულ კრიტიკაში (ქრესტომათია)“), სამეცნიერო-მეთოდური კაბინეტის გამომცემლობა, თბილისი, 1957.) გვ. 245-246.

¹¹ გ. ვოლსკი. *შენიშვნა უფ ა-ის რეცენზიაზე შესახებ...* გვ. 246.

¹² გ. ვოლსკი. *შენიშვნა უფ ა-ის რეცენზიაზე შესახებ...* გვ. 247.

¹³ გ. ვოლსკი. *შენიშვნა უფ ა-ის რეცენზიაზე შესახებ...* გვ. 246.

ავტორი თავდაპირველად ქართული კრიტიკის ზოგად მდგომარეობაზე საუბრობს და მიუთითებს, რომ რადიკალიზმი დამახასიათებელი ნიშანია საერთოდ ჩვენი კრიტიკული აზროვნებისათვის. ქართველი კრიტიკოსები ან ხელაღებით უარყოფენ ამა თუ იმ მწერლის ნააზრევს, ან ხოტბას ასხამენ მას. ასეთი დამოკიდებულება, კრიტიკოსის აზრით, ხშირად ვლინდება ილია ჭავჭავაძის შემოქმედების მიმართაც. იგი წერს: „ილია ჭავჭავაძე, ჩვენის აზრით, შესანიშნავი მწერალია ჩვენს ქვეყანაში, ბევრი ნიჭიერი თხზულება მიუწოდებია მას ქართველ საზოგადოებისათვის. მაგრამ ეს გარემოება კრიტიკისათვის არ არის საკმაოდ საფუძველი, რომ ამ მწერლის კალმის ყოველივე ნაწარმოები უნაკლულოდ და უძვირფასეს განმად ჩაითვალოს“.¹⁴

კრიტიკოსი წერილის დასაწყისშივე კატეგორიულობით აცხადებს: „ილია ჭავჭავაძის თხზულებათა შორის ჩვენ ზოგი მიგვაჩნია შესანიშნავ თხზულებათ, ხოლო იმის კი დიდი წინააღმდეგი ვართ, რომ „დიმიტრი თავდადებული“ შესანიშნავი და საუკეთესო იყოს. ამიტომაც ავიღეთ კალამი, რომ ჩვენი აზრი წარმოვთქვათ ამ პოემის შესახებ“. იგი აღნიშნავს, რომ ყმაწვილობისას, როცა წაიკითხა ილიას პოემა, ნაწარმოებმა ძლიერ ააღელვა და ცრმლებიც დაღვარა, მაგრამ როცა უკვე ზრდასრულმა ხელახლა გადაიკითხა იგი, მასზე დიდი შთაბეჭდილება ნაწარმოებს აღარ მოუხდენია.

სილოვან ხუნდაძის აზრით, ავტორმა ვერ მოახერხა წარმოეჩინა მეფის დიდბუნებოვნება. მისი აზრით, დიმიტრი კი ცდილობს, რომ მოიქცეს, როგორც მწყემსი კეთილი, „მაგრამ საქმით კი გამოდის, რომ მწყემსი ცხვრის ფარას ღვთის ანაბარათ ტოვებს და ხელის გაუნძრევლათ მგელს კბილებში უვარდება. ჩვენის აზრით, ამისთანა მწყემსსაც „ფუ“ ეთქმის, რადგან მისი საქციელი, თუ სიმხდალის არა, უგუნურობის ნაყოფია, წინდაუხედავი და უანგარიშო თავგანწირვა...“¹⁵ კრიტიკოსის თქმით, მწერალმა ვერ დაგვიხატა მისაბამი სახე, ვინაიდან იგი მხოლოდ მსხვერპლია და არა გმირი, რომელიც ხალხს აძლევს ბრძოლისა და დაუმორჩილებლობის მაგალითს: „როცა კი მეფე უხმლოდ და უიარაღოდ მტერთან მიდის და „მამკალიო“ ეუბნება, ამგვარ მაგალითს ხალხის ბუნების მხოლოდ გალანჩრება შეუძლია და არა გაგულადება და გამხნეება“.¹⁶

სილოვან ხუნდაძის კატეგორიული დასკვნით, დიმიტრი თავდადებული არ არის ქართველ მეფეთა შორის სანატრელი იდეალი. მეფის თავგადასავალი დაწვრილებითაა მოთხრობილი „ქართლის ცხოვრებაში“. პოეტი კი თითქმის არაფერს უმატებს ისტორიულ ამბავს. ილიასეული ამ პოემაში, კრიტიკოსის თქმით, არის მხოლოდ ის, რომ 1) მეფის თავგადასავალს მოგვითხრობს ვიღაც მეფანდურე (ეს ხერხი ილიამდეც მრავალგზის გამოუყენებიათ), 2) მოხუცისა და მის ორის შვილის გამოსვლა. კრიტიკოსის აზრით, საუკეთესო ადგილი პოემისა მეფისადმი მოხუცის მიმართვაა: „ამ სიტყვას მე ყოველთვის აღტაცებაში მოვყევარ და ვამბობ: აი, კაცი, რომელსაც არ შეჰხებია ლაჩრობა და რომელსაც ესმის სამეფოს წარმომადგენლის დანიშნულება! ის, მხოლოდ ის არის ჩვენის თანაგრძნობისა და თვით სამეფო ტახტის ღირსი, და არა მეფე დიმიტრი, როგორც პოეტი ფიქრობს – მეთქი“.¹⁷

მეფე დიმიტრი თავდადებული მისაბამი პიროვნება ვერ იქნება, კრიტიკოსის აზრით, თუნდაც იმიტომ, „ქართლის ცხოვრების“ მიხედვით, იგი თავდაპირველად თავის ხალხის მოყვარე, მოწყალე და ღვთისმოსავი იყო, ხოლო გარკვეული დროის შემდეგ უწესო ცხოვრების წესს დაადგა: სამი ცოლი შეირთო და მისი მაგალითით მთელი სამეფო გაირყვნა. ს. ხუნდაძე წერს: „ჩვენის აზრით, დიმიტრის საქციელი (მტრის შებრძოლების

¹⁴ ილია ჭავჭავაძე ქართულ ლიტერატურულ კრიტიკაში, (სამეცნიერო-მეთოდური კაბინეტის გამომცემლობა, თბილისი, 1957). გვ. 490.

¹⁵ ილია ჭავჭავაძე ქართულ ლიტერატურულ კრიტიკაში... გვ. 491.

¹⁶ ილია ჭავჭავაძე ქართულ ლიტერატურულ კრიტიკაში... გვ. 492.

¹⁷ ილია ჭავჭავაძე ქართულ ლიტერატურულ კრიტიკაში... გვ. 492.

შიში და მტრის წინ ლაჩრულად ქედის წახრა) მეფის გარყვნილ ცხოვრების შედეგი უნდა ყოფილიყო, თორემ „პატარა კახს“ განა ერთხელ და ორჯერ დამუქრებია ასჯერ უფრო ძლიერი მტერი? — მაგრამ, მოხუცის არ იყოს, „მტრისა წინ არ წაუხრია ქედია“.¹⁸

ს. ხუნდაძე ყურადღებას ამახვილებს პოემის რიტმულ თავისებურებებზეც. იგი ნაკლად უთვლის ილიას იმას, რომ თხზულება შერეული რიტმითაა ნაწერი და ერთმანეთში გადადის დაბალი და მაღალი შაირი: „დიმიტრი თავდადებულში“ ერთობ ხშირად არის დაღვეული ლექსთწყობის ზემოხსენებული კანონი. ამის მაგალითი თითქმის ყოველ ხანაშია, მაგრამ ჩვენ, რასაკვირველია ყველას აქ ვერ მოვიყვანთ“.¹⁹

კრიტიკოსის აზრით, მეტად უფერულია ნაწარმოები რითმული თვალსაზრისითაც, რადგანაც ავტორი არ ზრუნავს საგანგებოდ ლექსის ამ კომპონენტზე: „მუსიკალობასა და უპარმონიობას ის გარემოებაც ხელს უწყობს, რომ ჩვენი პოეტი რითმების სიმდიდრეს ყურადღებას არ აქცევს, ერთობ მძიმესა და ხმაუფწყობელ რითმებს ხმარობს ხშირად: „ბიჭმა“ — „წადილმა“, „როდი იყვნენ“, „შესწირვიდნენ“, „ხელში“ — „ჩვენში“, „გვიხაროდა“, — „ემატებოდა“ და მზგავსთავე თითქმის ყოველ ხანაში“.²⁰ ს. ხუნდაძე მიუთითებს პოეტური ლიცენციის ნიმუშებზე, რომლებიც, მისი აზრით, უფრო ენის დამახინჯების შთაბეჭდილებას ტოვებს. მისი საბოლოო დასკვნით კი ეს თხზულება ილიას შედევრად ვერ ჩაითვლება.

სილოვან ხუნდაძის ვერსიფიკაციული დაკვირვებების დამაჯერებელი კრიტიკაა წარმოდგენილი თეიმურაზ დოიაშვილის ილიას პოეტიკისადმი მიძღვნილ ნარკვევში. თ. დოიაშვილი მიუთითებს, რომ სილოვან ხუნდაძის კატეგორიული დასკვნით, მაღალი და დაბალი შაირის შერევა ლექსწყობის კანონების დარღვევად ცხადდება, მაგრამ ეს ასე არაა. კრიტიკოსის თქმით, „სილოვან ხუნდაძის მსჯელობა ტიპური ნიმუშია კონკრეტული მხატვრული ნაწარმოების მერტულ-რიტმული სტრუქტურისადმი აბსტრაქტული, განყენებული მიდგომისა. ასეთი მიდგომა, როგორც წესი, მცდარ დასკვნებს წარმოშობს — კონკრეტული სიტუაციისა და კონტექსტის გაუთვალისწინებლად რომელიმე ფორმალური კომპონენტის, მათ შორის მეტრულ-რიტმული სტრუქტურის, ფუნქციის გარკვევა და შეფასება შეუძლებელია“.²¹ მკვლევარმა აჩვენა, თუ რა მხატვრული ფუნქცია აქვს ილიას პოემაში მაღალი და დაბალი შაირის შერევას და როგორ ეფექტურად იყენებს ილიას ამ ხერხს სათქმელის ემოციურ-აზრობრივი აქცენტებისათვის“.²²

შემდგომი ხანის მკვლევართაგან ორიოდე სიტყვით ეხება ილიას „მეფე დიმიტრი თავდადებულს“ კიტა აბაშიძე. კრიტიკოსი მიიჩნევს, რომ ამ პოემის სახით საქმე გვაქვს მკაფიო რეალისტური მიზანდასახულობის ნაწარმოებთან, რომელშიც სინამდვილისადმი რეალისტური მიდგომა კიდევ უფრო განმტკიცებულია. „დიმიტრი თავდადებული“ ნამდვილი რეალურ-ეპიკური პოემაა. ამ პოემით თ. ი. ჭავჭავაძე შეუდგება მტკიცედ გარკვეულს რეალიზმის გზას“.²³ ამ პოემაში, კიტა აბაშიძის აზრით, კლასიკური მშვენიერებითაა ხორცმესხმული უდიადესი ეთიკური პრინციპი — პირადი კეთილდღეობის მიტანა ქვეყნის სამსხვერპლოზე: „მთელი აზრი და შინაარსი პოემისა, რომელიც ღაღადებს, რომ ყოველისავე პირის კერძო სურვილი და ზრახვები უნდა

¹⁸ ილია ჭავჭავაძე ქართულ ლიტერატურულ კრიტიკაში... გვ. 494.

¹⁹ ილია ჭავჭავაძე ქართულ ლიტერატურულ კრიტიკაში... გვ. 495.

²⁰ ილია ჭავჭავაძე ქართულ ლიტერატურულ კრიტიკაში... გვ. 496.

²¹ თეიმურაზ დოიაშვილი. ვერსიფიკაციული პორტრეტები, (თბილისი, 1999.) გვ. 60.

²² თ. დოიაშვილი. ვერსიფიკაციული პორტრეტები... გვ. 60-63.

²³ კიტა აბაშიძე. ეტიუდები ქართულის ლიტერატურიდან: თ-დი ილია ჭავჭავაძე, ჟურნალი „მოამბე“, N8-9, 1898). გვ. 30.

სამშობლოსა, ერისა და საზოგადოების საკურთხეველზედ იქმნეს მსხვერპლად მიტანილიო”.²⁴

როგორც ვხედავთ, „მეფე დიმიტრი თავდადებული“ ლიტერატურული კრიტიკის მხრიდან არაერთგვაროვნად იქნა შეფასებული. ილიას პოემა მემარცხენე მიმართულების კრიტიკოსთა უკმაყოფილების საგნად იქცა. ილიას უსაყვედურეს ფეოდალური მონარქიის აპოლოგეტობა, წარსულის იდეალიზაცია, თანამედროვეობის თემატიკისადმი გულგრილობა. გ. თუმანიშვილი, ალ. სარაჯიშვილი და ს. ხუნდაძე მიიჩნევდნენ, რომ დიმიტრი არ არის მისაბამი და გაუზიარავი სახე, რამდენადაც იგი თავს სწირავს არა საკუთარი ნებით, არამედ სხვათა რჩევის შედეგად. ს. ხუნდაძემ პოემა დაიწუნა ვერსიფიკაციული თვალსაზრისითაც. „მეფე დიმიტრი თავდადებულის“ შესახებ შექმნილ კრიტიკულ ლიტერატურაში უთუოდ გამორჩეულია გრ. ვოლსკის წერილი, რომელშიც გათვალისწინებული და არგუმენტირებულად გაკრიტიკებულია წინამორბედი კრიტიკოსების მსჯელობა. გრ. ვოლსკიმ შესანიშნავად წარმოაჩინა ილიას მიერ მოწოდებული დრამატიზმის არსი, მეფის შინაგან სამყაროში მიმდინარე ბრძოლა ზნეობრივ მოვალეობასა და სიცოცხლის შენარჩუნების ბუნებრივ ინსტინქტს შორის.

დამოწმებული ლიტერატურა:

ალექსანდრე სარაჯიშვილი. *მწერლობა, წიგნში „ილია ჭავჭავაძე ქართულ ლიტერატურულ კრიტიკაში (ქრესტომათია), (სამეცნიერო-მეთოდური კაბინეტის გამომცემლობა, თბილისი, 1957);*

გიორგი თუმანიშვილი. *შარშანდელი ქართული მწერლობის გადათვალთვლება, წიგნში „ილია ჭავჭავაძე ქართულ ლიტერატურულ კრიტიკაში (ქრესტომათია), (სამეცნიერო-მეთოდური კაბინეტის გამომცემლობა, თბილისი, 1957);*

გრიგოლ ვოლსკი (უმწიფარიძე). *შენიშვნა უფ. ა-ის რეცენზიაზე შესახებ პოემისა „დიმიტრი თავდადებული“, წიგნში „ილია ჭავჭავაძე ქართულ ლიტერატურულ კრიტიკაში (ქრესტომათია), (სამეცნიერო-მეთოდური კაბინეტის გამომცემლობა, თბილისი, 1957);*

თეიმურაზ დოიაშვილი. *ვერსიფიკაციული პორტრეტები, (თბილისი, 1999);*

კიტა აბაშიძე. *ეტიუდები ქართულის ლიტერატურიდან: თ-დი ილია ჭავჭავაძე, ჟურნალი „მომბე“, 1898, N 8-9;*

ილია ჭავჭავაძე ქართულ ლიტერატურულ კრიტიკაში, (სამეცნიერო-მეთოდური კაბინეტის გამომცემლობა, თბილისი, 1957).

²⁴ კ. აბაშიძე. ეტიუდები ქართულის ლიტერატურიდან... გვ. 30.

**Ilia Chavchavadze's "King Dimitri Tavaddebuli" in the XIX Century Georgian
Literary Criticism**

Summary

“The King Demetrius the Devoted” was evaluated in various ways by the critics. Ilia’s poem became the subject of dispute for left-handed critics. Ilia was reprimanded of being an apologist for feudal monarchy, indifferent about modern thematic and past idealizing. G. Tumanishvili, Al. Sarajishvili and S. Khundadze believed that Demetrius is not a character to follow, as he sacrifices himself not according to his will, but the others’ advice. S. Khundadze rejected the poem because of its versification. Gr. Volsky’s essay among the other critical literature about “The King Demetrius the Devoted” is the most distinguished one, as it analyzes and criticizes the discussions by predecessor critics in an argumentative way. Gr. Volsky perfectly presented the content of Ilia’s dramatism, battles between moral responsibilities and natural instinct of survival occurring in the inner world of the king.

აზროვნების პროცესის აღმნიშვნელი ზოგიერთი ლექსიკური ერთეულის ცვლა ქართულში

ქართულში აზროვნების, გონიერების ლექსიკა ფართოა. ენა იმახსოვრებს გონებრივი ქმედების ყველა მიმართულებას. უდავოა, რომ დროთა განმავლობაში საზოგადოება იცვლის დამოკიდებულებას ნებისმიერი ცნების მიმართ. ლექსიკური ერთეულების სემანტიკური ბუდეების გამოყოფა ძველ და ახალ ქართულ ტექსტებში და მათზე დაკვირვება გვიჩვენებს ლექსიკის ცვლის დინამიკას, დაგვანახებს, თუ რა სემანტიკური ცვლილებები განიცადა საუკუნეების განმავლობაში ამა თუ იმ ცნებამ, მოხდა თუ არა მნიშვნელობის გაფართოება, დავიწროება.

აზროვნების პროცესების ამსახველი ლექსიკის ჩამოყალიბება ქართულში დროისა და სივრცის ძალიან დიდ მონაკვეთებში მიმდინარეობდა და დღესაც განიცდის ცვალებადობას. ამ პროცესში მონაწილეობდა ძირითადი ფუძეებისა და ნასესხობების სიტყვაწარმოებითი მექა-ნიზმები, სინტაქსურ-სტილისტიკური კომბინაციები, ეთნოლინგვისტური, ფსიქოლინგვისტური და ლინგვოკულტუროლოგიური ფაქტორები, პოლიტიკური და სოციალური ტენდენციები, გემოვნება და ა.შ. ამ თვალსაზრისით დიდძალი ლექსიკა იყრის თავს: **აზრ-ი, გონ-ი, ბრძენ-ი, სწავლა, ფიქრ-ი, ცოდნა, ცნობა, ჭკუა...**

ერთ-ერთი საკვალიფიკაციო ლექსიკური ერთეული არის „**ფიქრი**“. ქართული ენის განმარტებით ლექსიკონსა და სულხან-საბა ორბელიანის „ქართულ ლექსიკონში“ იგი ასე განიმარტება: „**ფიქრი** - არაბთა ენაა, ქართულად საგონებელი, განზრახვა (+ და ა) გულის-თქმა, (+ და ბ) წვლილმოგონება ჰქვია¹“ ზაა.¹ აბ, ცაბ, ცკ, ღ, ე - რედაქციებშიც აღნიშნული სიტყვა არაბულადაა მიჩნეული, თან იქვე ვკითხულობთ, რომ ეს სიტყვა **უკმარია**: „უკმარად ვიტყვი ქართველნი E“. ² ე. ი. იმ დროს, როდესაც სულხან-საბა ამ ლექსიკონს ადგენდა, ანუ 1685 წლიდან, **ფიქრი** „უკმარი“ სიტყვაა. არაბული წარმომავლობა უდასტურდება ქეგლში: „არაბ. ფიქრ (გუნებაში მსჯელობა, რაიმეს წარმოდგენა) საგონებელი, სადარდებელი, საზრუნავი, საფიქრებელი“. ³ იუსტ. აბულაძის სპარსული ენის სახელმძღვანელოში „**არაბ. ფიქრი, ოცნება**“. ⁴ დ. ჩუბინაშვილი კი ამ სიტყვას სპარსულად მიიჩნევს იმავე მნიშვნელობებით.⁵ არაბული წარმომავლობა უდასტურდება ამ ლექსემას თურქულ ენაშიც: „**fikir (-kri) - აზრი, იდეა, შეხედულება, აზროვნება, განსჯა, გონება**“. ⁶ „საგონებელი - გონებად მოსასვლელი, **ფიქრი**“. ⁷

¹ **სულხან-საბა ორბელიანი, ლექსიკონი ქართული.** ტ. I-II, (გამომცემლობა მერანი, თბილისი, 1991-1993), გვ. 194.

² **სულხან-საბა ორბელიანი, ლექსიკონი ქართული.** ტ. I-II... გვ. 194.

³ **ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი,** რვატომეული, (საქართველოს სსრ. მეცნიერებათა აკადემია, თბილისი 1950-1964), გვ. 64.

⁴ **იუსტინე აბულაძე, სპარსული ენის სახელმძღვანელო, გრამატიკა, ქრესტომათია, ლექსიკონი,** (ოსუ გამომცემლობა, თბილისი, 1953), გვ. 246.

⁵ **დავით ჩუბინაშვილი, ქართულ-რუსული ლექსიკონი,** (თბილისი, 1984), გვ. 1307.

⁶ **Турецко – русский словарь,** (Академия наук СССР институт востоковедения, Москва: изд. “Русский язык”, 1997), ст. 302.

⁷ **სულხან-საბა ორბელიანი, ლექსიკონი ქართული.** ტ. I-II... გვ. 23.

ფიქრი ადამიანის მენტალური ქმედების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი შემადგენელია. სინონიმთა ლექსიკონში მოცემულია ამ ლექსიკური ერთეულის შემდეგი შესატყვისები: „**ფიქრი** - აზრი, **ფიქრი აიტანს** - შეფიქრიანდება, **ფიქრი გაიტაცებს** - ფიქრი წაიღებს, **ფიქრს მიეცემა** - შეფიქრიანდება, **ფიქრი ნუ გაქვს** - ნუ გედარდება, **ფიქრობს** - ფიქრშია, საგონებელშია, გულში ლაპარაკობს (გადატ.), თავს იმტვრევს (გადატ.), თავს იტყვის (გადატ.), თავს იხეთქავს (გადატ.)“.⁸

ბიბლიამ მთლიანად, და სახარების წიგნებმა განსაკუთრებით, განსაზღვრა ლექსიკის ფუნდამენტურ მნიშვნელობათა მემკვიდრეობითობა, აზროვნების სტილის სიმყარე თაობიდან თაობაში და ფრაზეოლოგიურ გამოთქმათა საფუძველზე გამყარებული ენობრივი გემოვნება. მიუხედავად იმისა, რომ ბიბლიური წიგნები და სახარება ყველა ქრისტიანი ერისთვის საერთო ტექსტობრივ ამოსავალს ეფუძნება, მკაფიოდ უნდა ითქვას, რომ ყველა ერს თავისი ტექსტი აქვს შემუშავებული მისი ენობრივი კომპეტენციის, ისტორიული გამოცდილების, სამყაროს ენობრივი სურათის ინდივიდუალური აღქმისა და მრავალი სხვა მაიდენტიფიცირებელი ნიშნის გავლენით.

ჩვენი ეკლესია საღვთისმსახურო პრაქტიკაში ხელმძღვანელობს **გიორგი მთაწმინდელის** რედაქციით. შესაბამისად, ჩვენც ამოსავლად საკვლევი ლექსიკისათვის სწორედ მთაწმინდელისეული რედაქცია მიგვაჩნია; რაც შეეხება თანამედროვე თარგმანებს (არსებობს ბაჩანა ბრეგვაძის, ზურაბ კიკნაძის, ზვიად გამსახურდიას... თარგმანები) ჩვენ გავეცანით ბაჩანა ბრეგვაძისეულ რედაქციას, იმ იმედით, რომ ამ გზით უკეთ დავინახავთ საძიებელ ლექსიკაში დროთა განმავლობაში მომხდარ ცვლილებებს.

მთაწმინდელისეული სახარების თარგმანში არ ფიქსირდება ფიქრ- ძირით ნაწარმოები არც ერთი სიტყვა, მაგრამ ბრეგვაძისეულ თარგმანში აქტიურად გამოიყენება **ფიქრ-** ძირით ნაწარმოები ფუძეები. ამ მიზნით, ჩავატარეთ მოკლე შედარება-შეპირისპირებითი კვლევა საკითხთან დაკავშირებით და სახარების ბრეგვაძისეული თარგმანიდან ამოვკრიბეთ **ფიქრ-** ძირით ნაწარმოები ყველა ლექსიკური ერთეული და მოვებნეთ მათი შესატყვისები მთაწმინდელისეულ სახარებაში:

ლუკას სახარება

მთაწმინდელი:

„ხოლო მან რად იხილა, შეძრწუნდა სიტყუასა მას მისსა ზედა და **განიზრახვიდა**: ვითარ-მე არს მოკითხვად ესე?“ (ლუკა 1:2.),

ბრეგვაძე:

„ის შემფოთდა ამ სიტყვებზე და **ჩაფიქრდა**: რას უნდა ნიშნავდესო ეს მისალმება?“ (ლუკა 1:29).

მთაწმინდელი:

„და ვითარცა მოელოდა ერი იგი, და **განიზრახვიდეს** ყოველნი გულთა მათთა იოვანესთჳს, ნუუკუე იგი არს ქრისტე“ (ლუკა 39:15).

ბრეგვაძე:

„როცა ხალხი მოლოდინში იყო და ყველა თავის გულში **ფიქრობდა** იოანეზე, ქრისტე ხომ არ არისო“ (ლუკა 3:15).

მთაწმინდელი:

„და თავადსა იესუს ეწყო ოდენ ყოფად მეოცდაათესა წელსა, რომელი **საგონებელ იყო** მედ იოსებისა, ელისა“ (ლუკა 3:23).

⁸ **კარლო ჯორჯანელი**, *ქართულ სინონიმთა ლექსიკონი*, (გამომცემლობა პალიტრა L, თბილისი, 2016), გვ. 579.

ბრეგვაძე:

„თვით იესო, როცა იწყებდა, იქნებოდა ოცდაათი წლისა და, როგორც **ფიქრობდნენ**, იყო ძე იოსებისა, ყელისა“ (ლუკა 3:23).

მთაწმინდელი:

„მიუგო სიმონ და თქუა: მე ეგრე **ვჰგონებ**, ვითარმედ რომელსაცა-იგი უფროდსი მიუტევა. ხოლო თავადმან თქუა: სამართლად საჯე“ (ლუკა 7:43).

ბრეგვაძე:

„მიუგო სიმონმა და თქუა: „მე **ვფიქრობ**, რომელსაც უფრო მეტი მიუტევა“. ხოლო მან უთხრა მას: „სწორად განსაჯე““ (ლუკა 7:43).

მთაწმინდელი:

„შევიდა მათდა **გულის-სიტყუად**: ვინ-ძი უდიდეს იყოს შორის მათსა?“ (ლუკა 9:46).

ბრეგვაძე:

„ერთი **ფიქრი** კი დაეზადათ: ვინ უფრო დიდი იყო მათ შორის?“ (ლუკა 9:46).

მთაწმინდელი:

„ვინ უკუე ამათ სამთაგანი **გგონიეს** შენ მოყუას მისა, რომელ იგი შევარდა ავაზაკთა მათ?“ (ლუკა 10:36).

ბრეგვაძე:

„რას **ფიქრობ**, იმ სამიდან რომელი უფრო იყო ყაჩაღების ხელში ჩავარდნილის მოყვასი?“ (ლუკა 10:36).

მთაწმინდელი:

„და **განიზრახვიდა** გულსა შინა თვსსა და თქუა: რა-მე ვყო, რამეთუ არა მაქუს, სადა შევიკრიბო ნაყოფი ჩემი?“ (ლუკა 12:17).

ბრეგვაძე:

„**იფიქრა** თავისთვის: „რა ვქნა, არაფერი მაზადია, რომ სადმე დავაბინავო ჩემი მოსავალი?“ (ლუკა 12:17).

მთაწმინდელი:

„და თქუენცა იყვენით განზრახვებულ, რამეთუ ჟამსა, რომელსა არა **ჰგონებდეთ**, ძე კაცისაჲ მოვიდეს“ (ლუკა 12:40).

ბრეგვაძე:

„ამიტომ თქვენც მზად იყავით, ვინაიდან, რომელ ჟამზეც არ **ფიქრობთ**, სწორედ მაშინ მოვა ძე კაცისა“ (ლუკა 12:40).

მთაწმინდელი:

„და იყო **განზრახვასა** მას მათსა ამისთვის, და აჰა ესერა ორ კაც ზედა მოადგეს მათ სამოსლითა ელვარიტა“ (ლუკა 24:4).

ბრეგვაძე:

„ამის გამო **შეფიქრიანდნენ** და, აჰა, მათ წინაშე წარსდგა ორი მამაკაცი, ბრწყინვალე სამოსლით მოსილი“ (ლუკა 24:4).

მთაწმინდელი:

„და თავადმან ჰრქუა მათ: რაჲსა შეძრწუნებულ ხართ, და რაჲსათვს **გულის-სიტყუანი** მრავალნი მოვლენან გულთა თქუენთა?“ (ლუკა 24:38).

ბრეგვაძე:

„მაგრამ მან უთხრა: რატომ შეძრწუნდით და რატომ გებადებათ გულში ასეთი **ფიქრები**?“ (ლუკა 24:38).

მათეს სახარება

მთაწმინდელი:

„იცოდნა იესუ **ზრახვანი იგი გულისა** მათისანი და ჰრქუა მათ: ყოველი მეუფებაჲ, რომელი განევლთის თავსა თვსსა, მოოჭრდის; და ყოველი ქალაქი გინა სახლი, რომელი განევლთის თავსა თვსსა, ვერ დაემტკიცოს“ (მათე 12:25).

ბრეგვაძე:

„მაგრამ იცოდა იესომ, რასაც **ფიქრობდნენ** ისინი, და უთხრა მათ: ყოველი სამეფო, თავისი თავის წინააღმდეგ გაყოფილი, გაპარტახდება: და ყოველი ქალაქი, გინდა სახლი, თავისი თავის წინააღმდეგ გაყოფილი, დაიქცევა“ (მათე 12:25).

მთაწმინდელი

„ხოლო იგინი **განიზრახვიდეს** გულსა თვსსა და იტყოდეს, ვითარმედ: პური არა მოვიღეთ“ (მათე 16:7).

„**გულისკმა-ყო** იესუ და ჰრქუა მათ: რაჲსა **ჰზრახავთ** გულთა შინა თქუენთა, მცირედ-მორწმუნენო, რამეთუ პური არა მოიხუენით?“ (მათე 16:8).

„ხოლო თავადი მიექცა პეტრეს და ჰრქუა: წარვედ ჩემგან, სატანა, საცთურ ჩემდა ხარ, რამეთუ არა **ჰზრახავ** ღმრთისასა, არამედ კაცთასა“ (მათე 16:23).

ბრეგვაძე:

„ისინი კი **გულში ფიქრობდნენ**: ალბათ, იმიტომ გვეუბნება, პურის წამოღება რომ დაგვავიწყდაო“ (მათე 16:7).

„**მიუხვდა** იესო და უთხრა მათ: რას **ფიქრობთ**, მცირედ მორწმუნენო: პურის წამოღება დაგვავიწყდაო?“ (მათე 16:8).

„ხოლო ის მიუბრუნდა პეტრეს და უთხრა: გამშორდი, სატანა! ჩემი საცთური ხარ! რადგან ღმრთისას კი არ **ფიქრობ**, არამედ კაცისას.“ (მათე 16:23).

მარკოზის სახარება

მთაწმინდელი:

„ხოლო იესუ მეყსეულად **გულისკმა-ყო** სულითა, რამეთუ ესრეთ **ზრახვენ გულთა შინა** მათთა, და ჰრქუა მათ: რასა მაგას **ჰზრახავთ** გულთა შინა თქუენთა?“ (მარკოზი 2:8).

ბრეგვაძე:

„ხოლო იესომ მყისვე შეიცნო სულით, რასაც **ფიქრობდნენ**, და უთხრა მათ: რად **ფიქრობთ** მაგას თქვენს გულში?“ (მარკოზი 2:8).

მთაწმინდელი:

„ხოლო თავადი მიექცა და იხილნა მოწაფენი თვსნი, შეჰრისხნა პეტრეს და ჰრქუა მას: წარვედ ჩემგან მართლუკუნ, ეშმაკო, რამეთუ არა **ჰზრახავ** ღმრთისასა, არამედ კაცთასა“ (მარკოზი 8:33).

ბრეგვაძე:

„ხოლო ის მობრუნდა, გადახედა თავის მოწაფეებს, შერისხა პეტრე და უთხრა: გამშორდი, სატანა; ვინაიდან ღმრთისას კი არ **ფიქრობ**, არამედ კაცისას“ (მარკოზი 8:33).

მასალაზე დაკვირვებით დავადგინეთ რომელი ლექსიკური ერთეულები ენაცვლება ქართულ სამწიგნობრო ენაში სიტყვას - **ფიქრი**. ეს სიტყვებია: **ზრახვა, გულის-ხმა, გულის სიტყვა, გგონიეს, საგონებელ-იყო**.

ცხრილში მოცემულია ჩანაცვლების მაგალითები:

N	მთაწმინდელთან	ბრეგვაძესთან
1	განიზრახვიდა	ჩაფიქრდა
2	განიზრახვიდეს	ფიქრობდა
3	საგონებელ იყო	ფიქრობდნენ
4	ვჭგონებ	ვფიქრობ
5	გულის-სიტყვადაცა	ფიქრი
6	გგონიეს	ფიქრობ
7	განიზრახვიდა	იფიქრა
8	ჭგონებთ	ფიქრობთ
9	იყო განზრახვასა	შეფიქრიანდნენ
10	გულის-სიტყუანი	ფიქრები
11	ზრახვანი იგი გულისანი	ფიქრობდნენ
12	განიზრახვიდეს	გულში ფიქრობდნენ
13	გულისცმა-ყო	ფიქრობდნენ
14	ზრახვენ გულსა შინა	ფიქრობთ
15	არა ზრახავ	არ ფიქრობ

საუკუნეთა მანძილზე არაბულ ენასთან შეხების მომენტი და ენობრივი კონტაქტები არაბულენოვან, სპარსულენოვან და თურქულენოვან სამყაროსთან განაპირობებდა აღმოსავლური ლექსიკის დამკვიდრებას ქართულში.⁹ ხშირად ეს ენობრივი კონტაქტები საკუთრივ ქართულ სიტყვებს იწირავდა და ნასესხობების გაბატონებას იწვევდა. **ფიქრ-** ფუძეც ამის დასტურია.

სიტყვათა სესხება ენის ლექსიკური ფონდის გამდიდრების ერთ-ერთი ძირითადი წყაროა. ნასესხობათა გამოვლენა და კვლევა კი, ენის ისტორიის შესწავლის მნიშვნელოვანი ნაწილი.

დამოწმებული ლიტერატურა:

ახალი აღთქმა, ზაჩანა ბრეგვაძის თარგმანი ძველი ბერძნულიდან, გიორგი მთაწმინდელის სახელობის საეკლესიო გალობის უმაღლესი სასწავლებელი, 10/06/2020. http://www.orthodoxy.ge/tserili/akhali_agtqma/sarchevi.htm ;

ახალი აღთქმა უფლისა ჩუენისა იესუ ქრისტესი, წმ. გიორგი მთაწმინდელის რედაქციის კრიტიკულად დადგენილი ტექსტის მეორე სრული გამოცემის მიხედვით, გიორგი მთაწმინდელის სახელობის საეკლესიო გალობის უმაღლესი სასწავლებელი, 10/06/2020. http://orthodoxy.ge/tserili/mtatsmindeli/akhali_agtqma.htm

დავით ჩუბინაშვილი. *ქართულ-რუსული ლექსიკონი*, (თბილისი, 1984);

თურქულ-რუსული ლექსიკონი, *Турецко – русский словарь*, (Академия наук СССР институт востоковедения, Москва: изд. “Русский язык”), 1997;

იუსტინე აბულაძე. *სპარსული ენის სახელმძღვანელო, გრამატიკა, ქრესტომათია, ლექსიკონი*, (თსუ გამომცემლობა, თბილისი, 1953);

⁹ **ლელა ავალიანი**. *არაბულიდან მომდინარე პროფესიის აღმნიშვნელი ტერმინები ქართულ სალიტერატურო ენასა და დიალექტებში*, დისერტაცია, (საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკად. გ. წერეთლის სახელობის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტი, თბილისი, 2005), გვ. 7.

კარლო ჯორჯანელი, *ქართულ სინონიმთა ლექსიკონი*, (გამომცემლობა პალიტრა L, თბილისი, 2016);

ლელა ავალიანი. *არაბულიდან მომდინარე პროფესიის აღმნიშვნელი ტერმინები ქართულ სალიტერატურო ენასა და დიალექტებში*, დისერტაცია, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკად. გ. წერეთლის სახელობის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტი, თბილისი, 2005;

სულხან-საბა ორბელიანი. *ლექსიკონი ქართული. ტ. I-II*, (გამომცემლობა „მერანი“, თბილისი, 1991-1993);

ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, რვატომეული, (საქართველოს სსრ. მეცნიერებათა აკადემია, თბილისი 1950-1964).

Irine Iakobidze

PhD in Philology

Change of some lexical units denoting to the process of thinking in the Georgian Language

Summary

Observations in the Georgian Literary Language show that historical-cultural development brings changes in values, and there is no doubt that, a language remembers all directions of mental action. Separation of lexical items in old and new Georgian texts and observation of them shows the dynamics of vocabulary change, it will show us what semantic changes this or that concept has undergone over the centuries, whether the meaning has been expanded, contraction. The change of vocabulary was also conditioned by the borrowing of words, due to the historical past of Georgia. These changes were clearly reflected in Georgian religious or secular literature.

რიცხვითი სახელის შემცველი ესპანური ენის ნაციონალური ფრაზეოლოგიზმების ეკვივალენტები ქართულ და რუსულ ენებზე

ყველასათვის ცნობილია, რომ ამა თუ იმ ენაზე საუბრისას, ჩვენ ვსარგებლობთ არა მარტო ცალკე აღებული სიტყვებით, არამედ მყარი შესიტყვებებით. ანუ იმ ფრაზეოლოგიური ერთეულებით, რომელთაც ჩვენ კი არ ვქმნით ცოცხალი საუბრის დროს, არამედ მზა ფორმით მოგვეპოვება მეხსიერებაში. ამა თუ იმ ენის ფრაზეოლოგიზმების უცოდინრობა იწვევს გაგებინების გაძნელებას იმ შემთხვევაშიც კი, როცა ყველა ცალკე აღებული კომპონენტი ნაცნობია. ამიტომ, ენის კარგად ფლობა გულისხმობს არა მარტო ლექსიკური მინიმუმის ცოდნას, არამედ ფრაზეოლოგიური გამონათქვამების ცოდნასაც, რადგან შეუძლებელია ამა თუ იმ ენაზე გამართული მეტყველება მათ გარეშე. ფრაზეოლოგიზმები სძენენ ენას ხატოვნებასა და ექსპრესიას. შეუძლებელია წარმოვიდგინოთ ენა მყარი გამონათქვამებისა და ფრაზეოლოგიზმების გარეშე, რადგან, ამ შემთხვევაში, საქმე გვექნება უსიცოცხლო და მშრალ გამონათქვამებთან.

კვლევამ ცხადყო, რომ ესპანური ენის ყველა რიცხვითი სახელის შემცველ ნაციონალურ ფრაზეოლოგიზმს ვერ დაეძებნა ეკვივალენტი რიცხვის შემცველი ფრაზეოლოგიზმით. საკმაოდ დიდი ოდენობა არის მოძიებული სემანტიკური მნიშვნელობით. ვფიქრობ, რომ ეს მოვლენა უნდა იყოს დაკავშირებული ეროვნულ ფაქტორებთან: ქართველების, რუსების და ესპანელების მსოფლხედველობა განსხვავდება ერთმანეთისაგან, რაც არის მჭიდრო კავშირში ერის კულტურასთან და ისტორიასთან.

როგორც ფრაზეოლოგიურ ერთეულთა კომპონენტები, რიცხვითი სახელის შემცველი ლექსემები განიცდიან სემანტიკის ცვლილებას და იძენენ განზოგადოებულ რაოდენობრივ, ანუ სიმბოლურ მნიშვნელობას. ნორმატიულ / არანორმატიულ ან მცირე / დიდ რაოდენობაზე წარმოდგენები იქმნება რიცხვობრივი რიგის შეფასებითი გააზრების შედეგად. ეს მოვლენა დაკავშირებულია იმასთან, რომ სიმბოლურ მნიშვნელობათა წარმოქმნა აიხსნება მითოპოეტიკური სისტემებით, რომლებმაც გავლენა მოახდინეს თანამედროვე ქართულ, რუსულ და ესპანურ ენებზე.

კერძოდ, ჩვენ განვიხილავთ ესპანური ენის ნაციონალურ ფრაზეოლოგიზმებს, რომელთა სტრუქტურაშიც შედის რიცხვითი სახელი და რომელთა წარმომავლობაც დაკავშირებულია ისტორიულ მოვლენებთან:

❖ Mantenerse en sus trece - „ურყევად და შეუპოვრად რაიმეს დაჟინება“.

1. პირველ ჩვენებას არ ცვლის
2. Решительно стоять на своем
3. Упорно добываться (чего-либо)

ესპანური გამონათქვამი, რომელსაც საფუძვლად უდევს ისტორიული ფაქტი. (სიტყვასიტყვით: „საკუთარ ცამეტზე დგომა“). ბენედიქტე XIII-ის მმართველობისას, ეკლესიაში მოხდა განხეთქილება, რის შედეგადაც დასავლეთში ორი პაპი გაჩნდა, ერთი - ავინიონში, მეორე კი - რომში. 1392 წელს, ბენედიქტე XIII არჩეულ იქნა ავინიონის პაპის თანამდებობაზე. 1414 წელს კი, მან გადაწყვიტა ბოლო მოეღო „ორპაპიანობისათვის“, თუმცა თვითონ დიდხანს და ჯიუტად არ თმობდა თავის საპაპო ტახტს, რამაც გამოიწვია ამ გამონათქვამის შენარჩუნება და რაც თანამედროვე ესპანურ ენაში აღნიშნავს რაიმეს დაჟინებას.

❖ La quinta columna - „საიდუმლო ჯაშუში, მტერი“.

მეხუთე კოლონა

Пятая колонна

ეს არის ესპანური გამონათქვამი. უკავშირდება ესპანელი გენერლის, ემილ მოლის გამონათქვამს, რომელიც ხელმძღვანელობდა ფრანკისტულ ჯარებს 1936-1939 წწ. სამოქალაქო ომის დროს. 1936 წ. შემოდგომას გენერალმა რადიოთი განაცხადა, რომ ფაშისტი მემბოხეების ოთხი კოლონის გარდა, რომელიც მიემართება ესპანეთისკენ, მას ყავს მეხუთე კოლონა თვითონ დედაქალაქში. გენერალმა იგულისხმა ჯაშუშები და დივერსანტები. ქართულ და რუსულ ენებში ფრაზეოლოგიზმი წარმოადგენს კალკას.

❖ **ათი მტკაველი შუბლი აქვს** - „ასე ამბობენ ძალიან ჭკვიან ადამიანზე“.

Tener dos palmos de frente;

Семи пядей во лбу.

„ათი მტკაველი შუბლი აქვს“ და მისი ეკვივალენტი ესპანურ ენაში “tener dos palmos de frente”, ეს ორივე ფრაზეოლოგიზმი ქართულშიც და ესპანურშიც, რუსული ზეგავლენით შემოვიდა, რადგან ფრაზეოლოგიზმში «Семи пядей во лбу» - ვარაუდობენ, რომ შუბლის სიმაღლე პროპორციულია ჭკუისა; ამ გამონათქვამის სამი მნიშვნელობის მქონე სიტყვიდან, გაუგებარია - მეორე (пядь-მტკაველი); თუმცა, ასე ერქვა სიგრძის საზომ ერთ-ერთ რუსულ ერთეულს. არსებობდა საზომის ორი სახეობა: მცირე და დიდი მტკაველი. პირველი აღნიშნავდა დაშორებას გაჭიმულ დიდ და საჩვენებელ თითებს შორის, მეორე კი - დიდისა და შუა თითის შორის. გამოდის, რომ ამ საზომის საშუალო ზომა იყო დაახლოებით 18 სანტიმეტრი,¹ ხოლო შვიდმტკაველიანი შუბლის მქონე ადამიანს უნდა ჰქონოდა თავის წარმოუდგენელი ზომა (1,2 მეტრზე მეტი სიმაღლისა). ფრაზეოლოგიზმი აგებულია ჰიპერბოლაზე.

ესპანური ფრაზეოლოგიზმი “Saber más que Lepe” სემანტიკურად გამოხატავს იგივეს, რაც ზემოთ აღნიშნული ფრაზეოლოგიზმი. ხოლო, აქ საქმე გვაქვს ესპანურ ნაციონალურ ფრაზეოლოგიზმთან, რომელიც უკავშირდება ისტორიულ ფაქტს.

კერძოდ, სამეფო აკადემია (DRAE) და ჯოან კორომინასი (ესპანური ენის მოკლე ეტიმოლოგიური ლექსიკონის ავტორი, უკავშირებენ გამონათქვამებს - Saber más que Lepe , დონ პედრო დე ლეპეს დორანტესთან, რომელიც იყო კალოჭორას ეპისკოპოსი მე-15 საუკუნეში, ის გახლავთ წიგნის ავტორი, რომელიც ცნობილია სახელწოდებით „კათოლიკური კათეტიზმი“. სინამდვილეში, დონ პედრო დე ლეპე და დორანტესი იყო კალაორას ეპისკოპოსი, დაიბადა სანლუკარ დე ბარამედაში 1641 წელს და გარდაიცვალა არნედილოში (რიოხა, ესპანეთი) 1700 წლის 5 სექტემბერს. ყველა ავტორი სწორად არ წერს ამ ეპისკოპოსის სახელს; ზოგი წერს "Pedro de Lepe y Dirantes", ზოგი "Pedro de Lepe y Durantes", სწორი სახელია - Pedro de Lepe y Dorantes.

პედრო დე ლეპესა და დორანტესმა დაწერა კათოლიკური კათეტიზმი, რომელშიც მოცემულია წმინდა კათოლიკური სარწმუნოების ძირითადი საიდუმლოებების ახსნა და სხვა ბევრი რამ, რაც ქრისტიანმა უნდა იცოდეს მის შესახებ. ეგრეთ წოდებულმა კათოლიკურმა კათეტიზმმა საოცარი პოპულარობა მოიპოვა მე-17 და მე-18 საუკუნეებში. ეპისკოპოსი პედრო დე ლეპე იყო მისაზადი პიროვნება, მისი სახელი ფიგურირებს „ენის ავტორიტეტების კატალოგში“, რომელიც გამოაქვეყნა ესპანური ენის სამეფო აკადემიამ.²

დღევანდელ დროში, როდესაც დაკარგულია ცნობიერებაში ამ გამონათქვამის წარმოშობა და ხალხი ვერ უკავშირებს მას ეპისკოპოსს. სახალხო მეტყველებაში წარმოიშოა ამ გამონათქვამის ვარიაციები, რომელშიც ხაზი აქვს გასმული ეპისკოპოსის ჭკუას,

¹ Сергей Иванович Ожегов. *Словарь русского языка* (Издательство: ОНИКС, Москва, 2008), ст. 826.

² Joan Corominas. *Diccionario etimológico de la lengua castellana* (editorial Grados, Madrid, 1987), p. 524.

ინტელექტს. ასევე ხშირად ავშირებენ მას ჭკუის გამჭრიახობასთან და მის შთამომავლობასთან (რა თქმა უნდა, ეპისკოპოსის შთამომავლობა ვერ ეყოლებოდა):

saber más que Lepe

saber más que Lepe, Lepijo y su hijo

saber más que Lepe y Lepillo

saber más que Lepe, Lepijo y su hijo

ser más listo que Lepe y sus cincuenta hijos

*saber más que Lepe, Lepico y su hijo*³

არსებობს ამ ფრაზეოლოგიზმის წარმოშობის მეორე თეორიაც, რომლის მიხედვითაც ის ეპისკოპოსს კი არა, აფერისტ ადამიანს უკავშირდება. ისტორიკოსი პედრო ვოლტეს ბოუ თავის წიგნში „ისტორია“ (ბარსელონა, 1994) გამოხატავს მოსაზრებას, რომ ეს გამონათქვამი ეხება ხუან დე ლეპეს, ავანტიურისტს. მან გადაკვეთა ზღვები და მიაღწია ინგლისამდე. შეძლო და გახდა მეფე ენრიკე VII მეგობარი. 1457 წ. ითამაშა მასთან ერთად აზარტული თამაში, ლეპემ მოუგო მეფეს და 24 საათის განმავლობაში გახდა ინგლისის მეფე. ეს დრო მან გამოიყენა გასამდიდებლად. როდესაც მოხუცდა, დაბრუნდა უკან თავის სამშობლოში და შეწირა დიდძალი ფული ფრანკისკანელების მონასტერს „Nuestra Señora la Bella“, სადაც გარდაცვალების შემდგომ იყო დაკრძალული.⁴

❖ **Meterse en camisa de once varas** – „სხვის საქმეში ჩარევა“. (სიტყვასიტყვით: „დინით (დინა - ფიზიკის ტერმინია) თერთმეტი ვარის ტოლ პერანგში შეძრომა (1 ვარა = 83,5 სმ)“).

Соваться не в свое дело

სხვის საქმეში ცხვირის ჩაყოფა

ამ ფრაზეოლოგიზმში ასახულია შუა საუკუნეების ესპანეთში შვილად აყვანის ცერემონია. ტრადიციის მიხედვით, ბავშვის მშვილობელი ბავშვს აძვრენდა პერანგის სახელოში და გამოჰყავდა საყელოდან. ეს ქმედება მუდამ სასურველად არ მთავრდებოდა, განსაკუთრებით ბავშვისათვის, რის შედეგადაც წარმოიშვა ეს გამონათქვამი, რომელიც აღნიშნავს თანამედროვე ესპანურ ენაში - „სხვის საქმეში ცხვირის ჩაყოფას“.⁵

❖ **Estar a cuarta pregunta** – „რთულ ფინანსურ მდგომარეობაში ყოფნა, უფულოდ ყოფნა“ (სიტყვასიტყვით: „მეოთხე შეკითხვაზე ყოფნა“).

უკაპიკოდ ყოფნა

Сидеть на мели

ეს გამონათქვამი მომდინარეობს პატიმართა დაკითხვის სასამართლო წესებიდან. სისხლის სამართლის კოდექსის მიხედვით, პატიმარს აუცილებლად უნდა გაეცა პასუხი შემდეგ ოთხ კითხვაზე: სახელი და ასაკი, ქვეყანა და პროფესია, რელიგიური კონფესია და მოქალაქეობა, ყოველწლიური შემოსავალი. მეოთხე შეკითხვაზე პასუხის გაცემისას, პატიმრები მუდამ პასუხობდნენ, რომ იყვნენ ღარიბები და არ ჰქონდათ ფული; ასე გავრცელდა ხალხში ეს გამოთქმა და ყოველთვის, როცა საქმე ეხებოდა ფულს, ამბობდნენ - ვპასუხობთ მეოთხე შეკითხვასო.

❖ **Cantar las cuarenta** – „სრული სიმართლის თქმა“.

Рубить правду-матку в глаза

სიმართლის პირში მიხლა

³ J. Corominas. *Diccionario etimológico...* p. 527.

⁴ Pedro Voltes Bou. *Historia* (Salvat editors, Barcelona, España, 1994), p. 127.

⁵ ნინო ზაალიშვილი. *ნუმერაციული ფრაზეოლოგიზმების ქართულ-ესპანურ-რუსული ლექსიკონი* (გამომცემლობა უნივერსალი, თბილისი, 2019), გვ. 76.

თავისი წარმოშობით უკავშირდება ბანქოს თამაშის სახეობას „ტუტე“, რომელიც ადრე პოპულარული იყო ესპანეთში. ამ თამაშის არსი იმაში მდგომარეობდა, რომ მოთამაშეს რაც შეიძლება სწრაფად მოეგროვებინა ერთი მასტის ფსონი; თუ ამას მოახერხებდა, ხმამაღლა გამოაცხადებდა და იღებდა 20 ქულას, ხოლო თუ კოზირებს მოაგროვებდა – მაშინ 40 ქულას. ეს ფაქტი დაედო საფუძვლად გამონათქვამს “cantar las cuarenta”, რომელიც იქცა მყარ გამონათქვამად.⁶

რაც შეეხება ფრაზეოლოგიური ერთეულების თარგმნას, ეკვივალენტის ძებნასთან დაკავშირებული პრობლემები, უმეტეს შემთხვევაში, როდესაც არ არის ნაპოვნი სრული ან ნაწილობრივი ეკვივალენტი, მთარგმნელმა უნდა აირჩიოს ფრაზეოლოგიური ერთეულების საწყისი წყაროს ტექსტიდან სამიზნე ტექსტზე გადაყვანის სტრატეგიებისა და პროცედურების სერია, უნდა ეცადოს თავიდან აიცილოს ფრაზეოლოგიური ერთეულების სემანტიკური, კონოტაციური და დისკურსული დატვირთვის დაკარგვა. აღსანიშნავია ისიც, რომ ფრაზეოლოგიზმების თარგმნა არ ემყარება ეკვივალენტური ურთიერთობების მარტივ დაკვირვებას, რადგან თარგმანის ეკვივალენტები დიდწილად განსაზღვრულია კონტექსტით და თარჯიმანმა ყურადღება უნდა მიაქციოს სტილისტურ და სიმბოლურ მნიშვნელობებს.

მყარ გამონათქვამთა შემადგენლობაში რიცხვითი სახელები განიცდიან ხარისხობრივ, სემანტიკურ ცვლილებებს. ისინი ნაწილობრივ კარგავენ თავიანთ პირდაპირ ლექსიკურ, რაოდენობრივ მნიშვნელობას და გამოიყენებიან იმ იდეათა ინტენსიფიკატორებად, რომლებიც ჩადებულია ამ მყარ გამონათქვამებში. ანალიზმა ცხადყო, რომ უმრავლეს შემთხვევაში რიცხვითი სახელები წარმოადგენენ მყარ გამონათქვამთა აუცილებელ კომპონენტს.

აღსანიშნავია, რომ ყოველთვის არ ხერხდება ფრაზეოლოგიზმთა ამოსავალი მოტივირების აღმოჩენა და წყაროების განსაზღვრა. სტატიაში განხილული ესპანური ენის „საკუთრივ ნაციონალური“ იდიომების მაგალითზე კარგად ჩანს, რომ ისინი თავიანთი ხატოვანებითა და აღსანიშნავი რეალიებით იმდენად მაგრად არიან მიჯაჭვულნი ენას, რომ მათი ჩამოცილება ნაციონალური საყრდენიდან გამოიწვევს მათ სრულ რღვევას. კვლევამ ცხადყო, რომ ყოველ ასეთ გამონათქვამს – საკუთარი ისტორია აქვს, რამაც მოახდინა არცთუ მცირე ანაბეჭდი მათ გამოყენებასა და სტილისტიკურ შეფერილობაზე.

დამოწმებული ლიტერატურა:

- ალექსანდრე ონიანი. *ქართული იდიომები* (გამომცემლობა ნაკადული, 1966);
თედო სახოკია. *ქართული ხატოვანი სიტყვა-თქმანი* (გამომცემლობა სახელგამი, თბილისი, 1979);
ნინო ზაალიშვილი. *ნუმერაციული ფრაზეოლოგიზმების ქართულ-ესპანურ-რუსული ლექსიკონი* (გამომცემლობა უნივერსალი, თბილისი, 2019);
Joan Corominas. *Diccionario etimológico de la lengua castellana* (editorial Grados, Madrid, 1987);
Pedro Voltes Bou. *Historia* (Salvat editors, Barcelona, España, 1994);
Ramon Caballero. *Diccionario de modismos de la lengua castellana* (editorial El Ateneo, Buenos Aires, 1947).
Александр Иванович Молотков. *Фразеологический словарь русского языка* (Издательство: М.: Советская Энциклопедия; Издание 2-е, Москва, 1999);
Сергей Иванович Ожегов. *Словарь русского языка* (Издательство: ОНИКС, Москва, 2008).

Nino Zaalishvili

⁶ ნ. ზაალიშვილი. *ნუმერაციული ფრაზეოლოგიზმების...* გვ. 78.

Equivalents of the national numeral phraseological units of Spanish in the Georgian and Russian languages

Summary

The article is devoted to the numeral phraseological units. National numeral phraseological units of Spanish are analyzed, which reflect the national customs of the Spanish people or historical facts. Their equivalents are established in the Georgian and Russian languages. The history of the origin of the above-mentioned phraseological units is separated.

Key words: numeral phraseological units, equivalents, national peculiarities.

„ქართული ენის განმარტებით ლექსიკონში“ სალიტერატურო ენის ფორმად მიჩნეული ზოგი მეგრული სიტყვა-ფორმისათვის

„ქართული ენის განმარტებით ლექსიკონში“ (1950-1964) მეგრული ლექსიკონის სრული იგნორირება არ ხდება. ისინი მიჩნეულია ან გურულ-იმერულ (ასევე ლეჩხ., რაჭ.) ფორმებად, ან წარმომავლობის მითითების გარეშე შესული. ამის მიზეზი საბჭოთა პერიოდში გაბატონებული იდეოლოგია იყო, რომლის მიხედვითაც მეგრულ-ლაზური და სვანური „უმწერლობო ენებად“, „ტომობრივ ენებად“ მიიჩნეოდა.

სტატიაში განვიხილავთ ისეთ ლექსიკურ ერთეულებს, რომლებიც ქველ-ში სალიტერატურო ენის ფორმადაა მიჩნეული, ანუ კვალიფიკაციის გარეშე შესული და არ არის აღნიშნული, რომ მეგრულ-ლაზურის კუთვნილებათ. ამასთან, არ გამოვრიცხავთ, რომ სიტყვა შეიძლება სხვა კუთხეშიც შეიძლება იხმარებოდეს:

ბორკილი

ბორკილი - 1. ჯაჭვით შეერთებული რკინის რგოლები, რომელთაც ხელებზე ან ფეხებზე ადებდნენ შეპყრობილ მძიმე დამნაშავეებს. 2. თოკი, ჯაჭვი და მისთ., რითაც ცხენს ფეხებს უკრავენ, რომ ძოვის დროს არ გაიქცეს (ქველი).

საბას ლექსიკონში საანალიზო ძირისაგან ნაწარმოები ფორმებია: **ბორკილი** (149, 8 ფსალმ.) - ფერტე შესაკრავი ზა. ფერტის შესაკრავი ბ. **ბორკილილი** - თავ-ბორკილიანი ჯაჭვი(ა) ესეცა (+ ყელს შესაყარი ზ) ზა. თავ-ბორკილიანი ჯაჭვი ბ. **განბორკება** კეთრის სნეულება (სენი ბ) ზაბ; **განბორკილებული** კეთროვნებიანი ცვ. სნეული რამ არი ე. **შებორკილება** (+14, 3 მათე ზა) ბორკილის შეყრა ზაბ. (ს.ს. ორბელიანი, *ქართული ლექსიკონი*).

ეტიმოლოგიურად ძირეული მეგრ. **ბორკ-** („ფეხი“) უკავშირდება ქართ. **ბარკ-** (ბარკ-ალ-ი) ძირს. მეცნიერთა მიერ აღნიშნულია, რომ **ბორკილი** „შესულია ძველ ქართულშივე“ და ზმნურ ფუძეებშიც მონაწილეობს. ამის არგუმენტად იხმობენ საბას მიერ მოყვანილ საილუსტრაციო მასალას, სადაც დამოწმება ფსალმუნებიდანაა.¹

ბარკ-:ბორკ- „კანონზომიერ შესატყვისობაზე“ მიუთითებენ ეტიმოლოგიურ ლექსიკონშიც, რომლის მიხედვით „**ბორკ-ილ** ფუძე მეგრულიდან ან ლაზურიდან ნასესხობადაა მიჩნეული უძველეს ქართულ წერილობით ძეგლებში. ქართულში ამ ფუძის ნასესხობას მოწმობს ის, რომ **ბორკ-** ზმნა, რომლის ვნებითი გვარის მიმღეობაა **ბორკილ-ი**, ძველ ქართულში არ ჩანს. სამაგიეროდ, დასტურდება **ბორკილ-** ფუძისაგან ნაწარმოები პირიანი ფორმები: ჰეროდე მაშინ შეიპყრა იოჰანე და შებორკილა, მ. 14,13 (ხანმ.; ჰაემ.) და მისთ. გვაქვს აქედან წარმოქმნილი მიმღეობაც: შევედინ შენ წინაშე სულთქუმაჲ შებორკილებულთაჲ, სიმდიდრითა მკლავისა შენისაჲთა შეეწიე შვილთა მოკლულთასა, ფსალმ. 78,11 გ; და სხვ.

აღსანიშნავია, რომ ძველ ქართულში **ბორკილ-** სიტყვის სინონიმია **საკრველ-**: არა ჯერ-ხიყო განკსნად საკრველთა მისთა დღესა შაბათსა? ლ. 13,17 (ხანმ.) და ა. შ. საკრველ-მიმღეობა უკავშირდება **კარ-/კრ-** ზმნურ ძირს. ბორკვა ზმნა გვხვდება გურულში და

¹ **კორნელი დანელია**. მეგრულ-ქანური ლექსიკონის საკითხები, *ქართული ხალხური სიტყვიერება (მეგრული ტექსტები)*, №II, თბილისი, 1991, გვ. 617; **რევაზ შეროზია**. მეგრულ-ლაზური სიტყვა-ფორმებისათვის „სიტყვის კონასა“ და უძველეს ქართველურ ძეგლებში, (*ქართველური მემკვიდრეობა*, №XIX, 2015), გვ. 194.

ზანიზმს წარმოადგენს“.² აქვე აღნიშნულია, რომ ლაზურში შესატყვისი ფუძე არ ჩანს, მაგრამ ა. თანდილავეს ლაზურ ლექსიკონში ვხვდებით **ბორკელა** ერთეულს „გრძელი უფორმო ფეხის მქონე ადამიანი (ცხოველი)“ (ა. თანდილავე, *ლაზური ლექსიკონი*).

მეგრულში ფიქსირებულ **ბარკ-** ძირისაგან ნაწარმოებ ფორმებზე პროფ. რ. შეროზია შენიშნავს, რომ „მეგრულ მეტყველებაში დადასტურებული **ბარკალაია** (გვარი), **გი-ბარკ-ალ-უ** (დაბორძიკობს), **გი-ფარკ-ალ-უ** (ფეხზე ძლივს დგას, დაქანაობს) ფორმებიც **ბარკ-ალ** (**//ფარკ-ალ**) ფუძისგან შეიძლება იყოს ნაწარმოები და ის „უკუნასესხობად“ ვერ კვალიფიცირდება“.³

თანამედროვე სალიტერატურო ქართულში აქტიურად გამოიყენება **ბორკ-** ძირისგან ნაწარმოები ზმნაც და სახელური ფორმებიც: **ბორკ-ავ-ს**, **ბორკილაყრილი**, **ბორკიაწყვეტილი**, **ბორკილგაყრილი**, **ბორკილდადებული**, **ბორკილიანი**, **ბორკილშეყრილი** (ქეგლ-ში შესული ფორმები)...

მეგრულში **ბორკ-ი** („ფეხი“) ფუძეს უკავშირდება **ბორკუა** (დაბორკვა), **ბორკილი** (დაბორკილი), **ობორკალი** (ბორკილი) **ჟირ-ბორკამი** (ორფეხა) (ი. ყიფშიძე, *რჩეული თხზულებები*); პ. ჭარაია ბორკთან განიხილავს ა გახმოვანების **ბარკანუა** (ეზაბრკანა) - აბარკლება (ავიბარკლება) ფორმას (პ. ჭარაია, *მეგრულ-ქართული ლექსიკონი*). **ბარკანუა** აკაპიწებას გულისხმობს.

როგორც პროფ. რ. შეროზია აღნიშნავს, „ის სიტყვა-ფორმები, რომლებიც ერთგვარია მეგრულ-ლაზურ მეტყველებასა და უძველეს მეგლებში (და რომლებიც აღარ ჩანან მომდევნო ხანის სამწერლო ენაში), ნათლად მიუთითებენ მეგრულ-ლაზურის (საერთოდ, დასავლურ-ქართველურის) წვლილზე ქართველური სალიტერატურო ენის ფორმირებაში“.⁴

თოლიგე

თოლიგე - საალერსო სიტყვა - თვალის ჩინო! ჩემო თვალის სინათლევ! ასე მიმართავდა ცოლი ქმარს ან ქმარი ცოლს - სამეგრელოში (ქეგლი).

ი. ყიფშიძის განმარტების მიხედვით **თოლიგე** [თოლი+გე, როგორც ღორონთი-გე] ტაბუირების ერთ-ერთი სახეა, სამარცხვინოდ ითვლებოდა ცოლ-ქმარს ერთმანეთისთვის სახელით მიემართათ, ამიტომ მეტსახელად საალერსო სიტყვების ხმარებას მიმართავდნენ (ი. ყიფშიძე, *რჩეული თხზულებები*).

თოლიგე **თოლი**-საგან (თვალი) ნაწარმოები მეგრული საალერსო-საფიცარი მიმართვაა, ჩემო თვალის ჩინო. სუფიქსი **-გე** ფიცილის ნაწილაკია, რომელიც დაერთვის გარკვეულ სიტყვებს, როგორიცაა: **შური** (სული), **ღორონთი** (ღმერთი)...

სიტყვის ფორმოზრივ-სემანტიკური ანალიზის მიხედვით, აუცილებელიცაა ქეგლ-ში კვალიფიკაციის წესის სრული დაცვა და მეგრულ წარმომავლობაზე მითითება.

კუჩხაბედნიერი

ქეგლ-ში შესულია **კუჩხაბედნიერი** - „ფეხბედნიერი“ მეგრული საქორწინო სიმღერა (მღერიან, როცა პატარძალი შემოჰყავთ სიძიანთას ეზოში) (ქეგლი). ამ ფორმის მიხედვით

² ჰაინც ფენრიხ, **ზურაბ სარჯველაძე**. *ქართველურ ენათა ეტიმოლოგიური ლექსიკონი*, (სულხან-საბა ორბელიანის სახელობის თბილისის სახელმწიფო პედაგოგიური უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი, 2000, გვ. 96-97).

³ **რევაზ შეროზია**. *ქართველური ეტიმოლოგიური მასალისათვის III, ქართველური მეცვიდრეობა*, №XIV, 2010, გვ. 174.

⁴ **რ. შეროზია**. *მეგრულ-ლაზური სიტყვა-ფორმებისათვის „სიტყვის კონასა“*... გვ. 196.

კომპოზიციის პირველი ელემენტი **კუჩხა** „ფეხობას, მეკვლეობას“ აღნიშნავს. ზედმიწევნითი განმარტებით **კუჩხაბედნიერი** არის **ბედნიერი ბედობა, მეკვლეობა**.

კუჩხა სამეგრელოში ბედობის დღეს აღინიშნება, მეკვლეობის ტრადიციის მიხედვით. მართალია, დიდად ვერ შორდება ეს მნიშვნელობები ერთმანეთს, მაგრამ მეგრულ მეტყველებაში გამოყენებული **კუჩხიბედნიერი** „ფეხბედნიერი“ კარგი ფეხით შესვლას უკავშირდება (არა მარტო ბედობის დღეს).

ამას ადასტურებს ისიც, რომ მეგრული საქორწილო სიმღერის ტექსტში გამოყენებულია **„კუჩხიბედნიერი“** და არა **„კუჩხაბედნიერი“**.

ლაზურში ფეხბედნიერს აღნიშნავს **კუჩხებედონი** (ა. თანდილავა, **ლაზური ლექსიკონი**).

ვფიქრობთ, დაზუსტებას მოითხოვს ქეგლ-ის განმარტება.

მარულა

მარულა ცხენების შეჯიბრებაა ჭენებაში დიდ მანძილზე (ქეგლი).

პ. ჭარაიას მიხედვით **მარულე/მარულა**- დოღია, რომელიც **მეგრ. რულა** - სირბილს, ჭენებას უკავშირდება; **მარულე ცხენი** - მრბენი ცხენი, მჭენებელი (უნდა იყოს გასაჭენებელი - კ.გ.) ცხენი. ავტორი საფუძვლიანად მიუთითებს, რომ სიტყვა **მარულა** მეგრულისაგან წარმომდგარი უნდა იყოს (პ. ჭარაია, **მეგრულ-ქართული ლექსიკონი**).

კ. დანელიას თვალსაზრისით, მეგრულ **რულასაგან** ნაწარმოებ **მა-რულ-ე** (მორბენალი) მიმღეობურ ფორმას ეყრდნობა საწყისური **მა-რულ-ა** (მორბენალობა).⁵

ამ შემთხვევაშიც სიტყვის მეგრული გახმოვანება და ფორმობრივ-სემანტიკური მხარე ნათელია.

ოჩოკოჩი

იმდენად ნათელია სიტყვის მეგრული წარმომავლობა, რომ შეუძლებელია ყურადღების მიღმა დარჩენოდა ქეგლ-ის სარედაქციო კოლეგიის რომელიმე წევრს, მაგრამ, როგორც ვხედავთ, ამაზე მითითება არაა განმარტებისას: **ოჩოკოჩი** - ცრუმორწ. ძველი ხალხური თქმულებით – მავნე არსება, ტყის კაცი (ქეგლი).

ი. ყიფშიძე მას განიხილავს **კოჩი-ს** ბუდეში **ოჩო-კოჩი** (ი. ყიფშიძე, **რჩეული თხზულებები**), სხვა ლექსიკონებში კი ცალკე ერთეულად გვხვდება: „ტყის კაცი, ვაც-კაცი; ანუ ის ზღაპრული არსება და ღვთაება, რომლის სხეულის ერთი ნაწილი თხისაა, მეორე კი ადამიანისას მიაგავს. **ოჩო-კოჩი** (თხა კაცი) ამბობენ ისეთ კაცზე, რომელსაც ტანი ხშირი თმით აქვს დაფარული, ბანჯგვლიანია, აქვს დიდი ულვაშები (ო. ქაჯაია, **მეგრულ-ქართული ლექსიკონი**); ნადირთ ღვთა-ება, ტყის კაცი, ტყიური, რომელსაც ვაცის ჩლიქები და რქები აქვს, ხშირი ბანჯგვლები და მკერდზე საჩეჩელივით ამოჩრილი ძვალი, რომელზედაც წამოიხვეს ხოლმე მსხვერპლს (ა. **ქობალია**, **მეგრული ლექსიკონი**).

შდრ. ოჩოკოჩე (ლექხ.) ტყის კაცი, ოჩოკოჩი (ალ. ღლონტი, **ქართულ კილო-თქმათა სიტყვის კონა**).

სამწიგნობრო ენაში აქიურად გამოიყენება ეს სიტყვა-ფორმა.

საანალიზო ერთეული კომპოზიტიური წარმოებისაა - **ოჩო+კოჩი** „ვაცი+კაცი“.

თითოეული ელემენტის ეტიმოლოგიზე მეცნიერები შენიშნავენ:

⁵ კ. დანელია. **მეგრულ-ქართული ლექსიკონის საკითხები...** გვ. 625.

პროფ. მ. ჩუხუას „ქართველურ ენა-კილოთა შედარებით ლექსიკონში“ მეგრ. **ოჩო-ს** შესატყვისობა შემდეგნაირადაა წარმოდგენილი: „ს.-ქართვ. *ჭაცა „გრძელი ხის ჯოხი, ბოძი“ > ქართ. ვაცა- : ზან. **ოჩო-**.

ქართ. ვაცა- დაკავშირებულია იმერულ ვაცა-მ „მთავარი ბოძი, რომელზედაც დადგმულია სახლის თავი“ და გურულ „სახლის სახურავის მწვერვალი და მთავარი ბოძი“ მნიშვნელობებთან. ზანური **ოჩო-ს** სემანტიკა კი - „გრძელი ჯოხები, რომლებსაც ფეხების დასადგმელი კაუჭები აქვს“ - ოჩო-ფეხები.

ქართული ვაცა- ფუძის შესატყვისი ზანური ეკვივალენტი **ოჩო-** უნდა ჩანდეს კომპოზიციური აგებულების სიტყვაში ოჩო-ფეხები. ამის საფუძველს იძლევა ბგერათშესატყვისობის ჩვენება ქართველურ ენებში, რასაც მხარს უჭერს სიტყვის შინაარსობრივი მხარეც“.⁶

ვფიქრობთ, სემანტიკური კავშირის გათვალისწინებით, ლოგიკური იქნება მეგრულში დადასტურებული **ოჩი** - ყოჩი, მამალი თხა (ლაზური - **ბოჩი** (ა. თანდილავა, ლაზური ლექსიკონი)) დაუკავშირდეს სალიტერატურო ვაც-ი ფუძეს. ის მნიშვნელობები კი, რომელიც წარმოდგენილია იმერულიდან და გურულიდან შეიძლება მეორეულად ჩავთვალოთ.

მაშასადამე, მეგრ. **ოჩი** : ქართ. ვაცი სემანტიკურად იდენტური ერთეულებია და **ოჩოკოჩში** ნაგულისხმევი მნიშვნელობაც მას უკავშირდება -ვაცკაცი, ტყიური კაცი.

განსახილველი კომპოზიციის მეორე კომპონენტისთვის აღდგენილია *კაც-ი არქეტიპი: ქართულ კაც- (<*კაც-ი) ძირს კანონზომიერად შესატყვისება მეგრული **კოჩ-**, ლაზური **კოჩ-** და სვანური **ჭჷშ-** (*ც1>ჩ>შ და კ>ჭ პროცესები).⁷

ოჩოკოჩი ფორმოზომიერ-სემანტიკურად მეგრული წარმოშობის ერთეულია, რომელიც დამკვიდრდა სალიტერატურო ენაში იმავე მნიშვნელობით, როგორც მეგრულშია.

პეტელი

პეტელი „თხისა და ცხვრის ხმიანობა, - კიკინი, ბღავილი“ (ქეგლი), მეგრული გახმოვანების სიტყვაა, რომელიც რვატომეულში აღნიშნული არაა.

ხმაბაძვითი ერთეული **პეტელი** მეგრულში კიკინს, თხის ძახილს, ხმიანობას აღნიშნავს (პ. ჭარაია, *მეგრული ლექსიკონი*). დასტურდება ზმნური ფორმა **პეტელ-ან-ს** - თხა (შხური) პეტელანს/ც „თხა კიკინებს“ (ი. ყიფშიძე, *რჩეული თხზულებები*).

პეტელი იხმარება გურულში - „თხის კიკინი“ (ალ. ღლონტი, *ქართულ კილო-თქმათა სიტყვის კონა*).

„ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის“ ახალ რედაქციაში ამჯერად შესულია **გაიპეტელებს** ფორმა „პეტელის ხმას გამოსცემს; პეტელით გაივლის“ (ქეგლი). რვატომეულში ეს ფორმა არ დასტურდება, ნათელია ლექსიკონის შევსებასთან გვაქვს საქმე, მაგრამ კვალიფიცირება არ ხდება. სავარაუდოა, სათანადო ტომში შევა მეგრული **პეტელანს** ზმნის შესაბამისი სალიტერატურო ზმნური ფორმა.

ჟვერი

ქეგლ-ში საწყის მნიშვნელობად საბასეული განმარტებაა მოხმობილი: **ჟვერი** - 1. ფოთლიანი რტო (საბა). - შტო, რომელსაც ფოთლები შერჩენილი აქვს. 2. კუთხ. (იმერ.) ჭოკი, ხალა. 3. კუთხ. (ლეჩხ.) „ბრგე, დიდი, ახოვანი“ (ქეგლი).

⁶ **მერაბ ჩუხუა.** *ქართველურ ენა-კილოთა შედარებითი ლექსიკონი*, (გამომცემლობა „უნივერსალი“, თბილისი, 2000-2003), გვ. 99.

⁷ **პ. ფენრიხი. ზ. სარჯველაძე.** *ქართველურ ენათა ეტიმოლოგიური ლექსიკონი...* გვ. 265.

ჟვერი - ბურდუ, სქლად ამოსული მაღალი უვარგისი ბალახი (პ. ჭარაია, *მეგრულ-ქართული ლექსიკონი*); ნამიან, სველ ბალახზეა გამახვილებული ყურადღება ო. ქაჯაიასა და ა. ქობალიას ლექსიკონებშიც.

საინტერესოა მეგრულში გამოყენებული ა გახმოვანების **ჟვარ-უ-ა** „გაწმენდა, გასუფთავება უვარგისი ბალახისგან“, ზმნური ფორმა - **ჟვარ-უნ-ს** „ასუფთავებს ჟვერისგან“, **გო-ჟვარ-ილ-ი** „გაწმენდილი უვარგისი ბალახისგან“. ამავე ძირს ემყარება ფორმები: **ჟვარ-ჟვალ-ი** „ჟონვა, ტირილი“, **ი-ჟვარჟვალ-უ** „ჟონავს, ცრემლით ტირის“; ლაზური **ჟვარ-ოჟვარუ** (ვიწ.) დარღვევა, ლეწვა (ა. თანდილავა, *ლაზური ლექსიკონი*).

შდრ. ჟვერ- ძირი დიალექტებშიც ძირითადად დასახელებული მნიშვნელობებით დასტურდება: მაგ.: **ჟვერი** (გურ., ქვ. იმერ.) ცუდი ბალახი ერთად სქლად ამოსული; ფოთლოვანთა ბუჩქნარი; ეკალ-ბარდის ბუჩქნარი; ფოთლიანი რტო. **ჟვერი** - (აჭარ.) - მცენარის ფოთოლი საზოგადოდ. **ჟვერო** - (გურ.) ხის ფოთოლი; ფოთლოვანი მცენარეულის ბუჩქნარი. განსხვავებული სემანტიკისაა **ჟვერი** (ლეჩხ.) ბრგე, დიდი, ახოვანი. **ჟვერება** - (გურ.) გალახვა, დაჟვერვა, ცემა; **ჟვერა** დაარტყა. **ჟვერვა** - (იმერ.) დაქანცვა, დაღლა; რტყმევასაც ნიშნავს (ლლონტი, *ქართულ კილო-თქმათა სიტყვის კონა*).

პროფ. მ. ჩუხუა **ჟვერ-** ფუძეს უკავშირებს **ზვარ-** („დიდი ვენახი“) ძირს. მისი თვალსაზრისით, „მათ საერთოწარმომავლობას ფორმალური თვალსაზრისით წინააღმდეგობა არ ახლავს; შდრ. ქართ. ა : ზან. ე (აო) - ქართ. ძარღვ-ი : ზან. ჯერღვ-ი < ჯორღვ-ი, ქართ. ტყავ-ი : ზან. ტყებ-ი < *ტყობ-ი... ასევე ქართ. ზვარ-ი : ზან. ჟვერ-ი < *ჟვორ-ი. მნიშვნელობის მხრივაც სიახლოვეზე მიუთითებს: ქართულში დადასტურებული დიდი (ბევრი) ვენახის სემანტიკის გამომავლილად მივიჩნევთ მეგრულში გავრცელებულ მრავალი მცენარის (ერთად ამოსულის) გაგებას. სხვა დასავლურ დიალექტებში (გურ., იმერ., აჭარ.) ფიქსირებული **ჟვერ-** ფუძე ზანური წარმომავლობისად მიგვაჩნია, რაზეც ფორმალურ-სემანტიკური იდენტურობა მიანიშნებს. ს.-ქართვ. *ზუ-არ- „მრავალი ვაზი (ყურძენი) ერთად; ვენახი (დიდი)“ > ქართ. ზვარ-ი : ზან. ჟვერ-ი < *ჟვორ-ი.⁸

ლ. კელაურამე სტატიაში „დამატებანი ქართველურ ენათა ეტიმოლოგიური ლექსიკონისათვის“, ს. ქართვ. დონეზე აღადგენს **ჟუერ-** ძირს, ქართ. **ჟვერ-**ის კანონზომიერ შესატყვისად მიიჩნევს კოლხ. ზმნურ **ჟვარ-** ძირს. ამოსავალი **ჟუერ-** ძირის მნიშვნელობად „**ნედლ რტოს**“ > **წკეპლას** და **გაწკეპლას** მიიჩნევს.⁹

ეტიმოლოგიური ანალიზისას გათვალისწინებული არაა მეგრულში პარალელურად გამოყენებული ე და ა გახმოვანების ფორმები: **ჟვერი** // **ჟვარი** (**ჟვარუნს**). როგორც ჩანს, მეტყველებამ სახელური და ზმნური ფორმის გასხვავებისთვის ხმოვანმონაცვლეობის წესს მიმართა და ამისთვის გამოყენებულია ე:ა მონაცვლეობა. ანუ, ერთი მეტყველების ფარგლებში დასტურდება ე და ა გახმოვანების ლექსემები, ამდენად მათ შორის ბგერათშესატყვისობაზე ვერ ვისაუბრებთ.¹⁰

ჩაფულა

ჩაფულა-ს საბასეული განმარტება „ფერცის საცმელი“, მოხმობილია ქეგლ-შიც და განმარტებულია როგორც უქუსლო, დაბალყელიანი ფეხსაცმელი, წულა (ქეგლი). ი. აბულაძის ლექსიკონში განიმარტება როგორც „ქალამანი“ და საილუსტრაციოდ გამოყენებულია ციტატა გ. მთაწმინდელის „იოვანე და ეფვთიმეს ცხოვრებიდან“.

⁸ მ. ჩუხუა. *ქართველურ ენა-კილოთა შედარებითი ლექსიკონი*... გვ. 103.

⁹ ლევან კელაურამე. დამატებანი ქართველურ ენათა ეტიმოლოგიური ლექსიკონისათვის, *ეტიმოლოგიური ძიებანი*, №X, თბილისი, 2013, გვ. 13.

¹⁰ საკითხისათვის ვრცლად იხ. რ. შეროზია, *ქართველური ეტიმოლოგიური მასალისათვის X*, (*ქართველური მემკვიდრეობა*, N XVII, 2013) გვ. 358-360.

განმარტებიდან გამომდინარე, კ. დანელია მიიჩნევს რომ სულხან-საბამ სწორედ ამ ლიტერატურული წყაროდან იხელმძღვანელა.¹¹

პროფ. რ. შეროზია ყურადღებას ამახვილებს იმაზე, რომ საბას ლექსიკონში შეაქვს რედუცირებული ფორმა „ჩაფლა“ და ურედუქციო „ჩაფულა“-ც. გ. მთაწმინდელთან პირველი დასტურდება (ჩაფლა), მაგრამ სულხან-საბა განმარტავს მეორეს (ჩაფულა). აქედან გამომდინარე ფიქრობს, რომ „ამ შემთხვევაში იგი აღებულია უშუალოდ მეგრული მეტყველებიდან და ამიტომ მითითებულია მისი ზოგადი მნიშვნელობა - „ფერცის საცმელი““.¹²

კ. დანელია განიხილავს ჩაფულა-ს კომპოზიტიურ წარმოებას: „ჩა/ფულ-ა. პირველი ნაწილი ჩა (<ჩალ//ჩენ) ფეხის მნიშვნელობის ძირი ჩანს, რომელიც დაცული უნდა იყოს ფუძეებში: ჩალ-უა „ხელის შეშლა“ (ეტიმ. შეფერხება), ჩან-ჩალ-ი „ცუდი სიარული“ (ეტიმ. ფეხის თრევით სიარული), ჩანგალი „ბარბაცით სიარული“ (ეტიმ. უფეხოსავით სიარული: ჩან „ფეხი“, გა უქონლობის უ პრეფიქსის ფარდი, შდრ. ტვინ-გა უტვინო), ჩორქო „ქაჩაჩი“ (ეტიმ. ფეხის რქა), ხოლო მეორე ნაწილი ფულ-ა შესატყვისია ქართ. ფალ-ისა: და-ვ-ფალ>*დო-ვ-ფოლ>დო-ვ-ფულ. ასე რომ ჩაფულა ეტიმოლოგიურად არის „ფეხის დაფარვა“.¹³

ჩან- ძირი მეგრულ მეტყველებაში გამოიყენება ცერას მნიშვნელობით, ამასთან ის იხმარება წყვილში ჩან-კითი „ცერა თითი“. აქედან გამომდინარე, შეიძლება გამოვთქვათ ვარაუდი, რომ ჩაფულა//ჩაფლა ფორმაში ფულ-//ფლ- „ფლობა, დაფლობა“ ძირი გამოიყოს და ჩა- სალიტ. ზმნისწინისეულად მივიჩნიოთ; წარმოდგენილი დაყოფის მიხედვით კი ჩამოყალიბდეს ეტიმოლოგია „ჩასაფლობი“. ამ ეტიმოლოგიას უნდა მიყვებოდეს მეგრულ მეტყველებაში დადასტურებული ფორმები ო-ჩა-ფლ-ე // ოჩაფლე თირი „რაშიც ჩაფლობა შეიძლება; კოჭებამდე ჩასაფლობი თოვლი“.

ი. ყიფშიძესთან ვხვდებით ვარიანტებს ჩაფულა/ჩაფლა/ჩაფელა/ჩაფია (ი. ყიფშიძე, რჩეული თხზულებები); ჩაფულა/ჩაფლა „ქალამანი, წულა, ჩაფულა“ (პ. ჭარაია, მეგრულ-ქართული ლექსიკონი, ა. თანდილავა, ლაზური ლექსიკონი).

ჩაფული-ა აჭარულში ფეხსაცმელების აღმნიშვნელია (ალ. ღლონტი, ქართულ კილო-თქმათა სიტყვის კონა).

ჯარგვალი

ქეგლ-ში ლექსემის განმარტებისას აქცენტი არ არის გაკეთებული მის კუთხურობაზე: ჯარგვალი - 1. მრგვალი გაუთლელი ხეებისაგან აშენებული (შენობა), ძეგური; 2. ამგვარად აშენებული სახლი. 3. სპეც. ძელისაგან შეკრული სამ- ან ოთხკუთხა ჩარჩოს სახის სამაგრი გვირაბში (ქეგლი).

ვხვდებით „ქართულ ლექსიკონშიც“: ჯარგვალი (ჯარგვალი) - ესე არს ძელნი მოჭდობილნი სამ-ოთხ კუთხედ მაღალი, ვიეთნი კიდობანად სახელ-სდებენ. ლექსიკოგრაფი შესადარებლად გვაგზავნის იმავე მნიშვნელობის ჯირგვალი*(ნუსხებშია „ჯირგვალი“) ერთეულისკენ (ს.ს. ორბელიანი, ქართული ლექსიკონი).

ერთეული კომპოზიტიური წარმოებისაა, რომელიც შედგება მეგრ. ჯა (ძელი) + რგვალი (მრგვალი) ფუძეებისგან. ამაზე მიუთითებს ი. ყიფშიძე განმარტებისას ჯა „ხე“; ჯა+რგვალი მრგვალი მორების ნაგებობა, (ი. ყიფშიძე, რჩეული თხზულებები). ეს მეგრული გახმოვანების სიტყვა, დასტურდება სხვა დასავლურ კილოებშიც (გურ., იმერ., აჭარ.). გვხვდება ლაზურშიც მრგვალი ხის მნიშვნელობით: ჯაგვალა - მორი, ჯაგვალი - მრგვალი ხე (ა. თანდილავა, ლაზური ლექსიკონი).

¹¹ კ. დანელია. მეგრულ-ჭანური ლექსიკის... გვ. 621.

¹² რ. შეროზია. მეგრულ-ლაზური სიტყვა-ფორმებისათვის „სიტყვის ... გვ. 195.

¹³ კ. დანელია. მეგრულ-ჭანური ლექსიკის საკითხები... გვ. 622.

მიუხედავად იმისა, რომ **ჯარგვალი** ქართველურ სივრცეში უმეტესად თავისუფალი გამოყენებისაა, ვფიქრობთ, ქეგლ-ში მისი **მეგრ.** კვალიფიცირება უნდა მოხდეს.

წარმოდგენილი ლექსიკური ერთეულები ღრმად აქვს შეთვისებული სალიტერატურო ენას, მაგრამ ფორმოზრივად აშკარაა მათი მეგრული წარმომავლობა. ამდენად, ვფიქრობთ, მათი კვალიფიცირება ნათელს გახდის მეგრული მეტყველების როლს სამწიგნობრო ენის ჩამოყალიბებაში უძველესი დროიდან მოყოლებული.

ვფიქრობთ, მსგავს შემთხვევებში, როცა სიტყვა გახმოვანებით ან ფორმოზრივ-სემანტიკურად მეგრულ-ლაზური (ან სვანური) წარმომავლობისაა, აუცილებლად უნდა მოხდეს კვალიფიცირება და „ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის“ განახლება-შეცვლის პირობებში უნდა იქნეს გათვალისწინებული.

დამოწმებული ლიტერატურა:

ალი თანდილავა. *ლაზური ლექსიკონი*, თბილისი, 2013;

ალიო ქობალია. *მეგრული ლექსიკონი*, გამომცემლობა „არტანუჯი“, თბილისი, 2010;

ალექსანდრე ღლონტი. *ქართულ კილო-თქმათა სიტყვის კონა*, გამომცემლობა „განათლება“, თბილისი, 1984;

ილია აბულაძე. *ძველი ქართული ენის ლექსიკონი*, გამომცემლობა „მეცნიერება“, თბილისი, 1973;

იოსებ ყიფშიძე. *რჩეული თხზულებები*, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი, 1994;

კორნელი დანელია. მეგრულ-ქანური ლექსიკის საკითხები, *ქართული ხალხური სიტყვიერება (მეგრული ტექსტები)*, N II, თბილისი, 1991;

ლევან კელაურაძე. დამატებანი ქართველურ ენათა ეტიმოლოგიური ლექსიკონისათვის, *ეტიმოლოგიური ძიებანი*, N X, თბილისი, 2013.

მერაზ ჩუხუა. *ქართველურ ენა-კილოთა შედარებითი ლექსიკონი*, გამომცემლობა „უნივერსალი“, თბილისი, 2000-2003;

ოთარ ქაჯაია. *მეგრულ-ქართული ლექსიკონი*, N I, II, III, გამომცემლობა „ნეკერი“, თბილისი, 2001-2002;

პეტრე ჭარაია. *მეგრულ-ქართული ლექსიკონი*, სულხან-საბა ორბელიანის სახელობის თბილისის სახელმწიფო პედაგოგიური უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი, 1997;

რევაზ შეროზია. მეგრულ-ლაზური სიტყვა-ფორმებისათვის „სიტყვის კონასა“ და უძველეს ქართველურ ძეგლებში, *ქართველური მემკვიდრეობა*, N XIX, 2015;

რევაზ შეროზია. ქართველური ეტიმოლოგიური მასალისათვის X, *ქართველური მემკვიდრეობა*, N XVII, 2013;

რევაზ შეროზია. ქართველური ეტიმოლოგიური მასალისათვის III, *ქართველური მემკვიდრეობა*, N XIV, 2010;

სერგი ჟღენტი. ზანიზმები გურულ ზმნებში, *ენიკის მოამბე*, N 5-6, თბილისი, 1940;

სულხან-საბა ორბელიანი. *ლექსიკონი ქართული*, გამომცემლობა „მერანი“, თბილისი, I ტომი, 1991, II ტომი 1991;

ქეგლი, *ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი*, რვატომეული, გამომცემლობა „მეცნიერება“, თბილისი, 1950-1964;

ქეგლი, ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, არნოლდ ჩიქობავას
ენათმეცნიერების ინსტიტუტი, ახალი რედაქცია, თბილისი, 2008;
ჰაინც ფენრიხ, ზურაბ სარჯველაძე. ქართველურ ენათა ეტიმოლოგიური
ლექსიკონი, სულხან-საბა ორბელიანის სახელობის თბილისის სახელმწიფო
პედაგოგიური უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი, 2000.

Keso Gejua

PhD in Philology

In the "Expository Dictionary of the Georgian Language" for some Megrelian word-forms considered as a literary language

Summary

The article analyzes such Megrelian lexical items, which are not qualified in the "Expository Dictionary of the Georgian Language" (1950-1964), that is, it is considered to be a form of literary language. We think when a word is a sound or formally-semantically of Megrelian-Laz (or Svan) origin, it must be qualified. The paper presents an analysis of such units - **Borkili, T'olige, Kuč'xhabedineri, Marula, Oč'okoč'i, Peteli, žveri, č'ap'ula, Jargvali**. We think, such cases should be taken into account in the conditions of updating and supplementing the "Expository Dictionary of the Georgian Language".

ქართულენოვან სოციალურ ქსელ Facebook-ზე ინგლისური ენის გავლენის შესახებ

სოციალური ქსელების გამოყენება აქტიურად ხდება დღეს ყოფაცხოვრებისათვის საჭირო თითქმის ყველა სფეროში.

დღესდღეობით, საქართველოში ყველაზე ფართო გამოყენების სოციალური ქსელი არის Facebook-ი. ადამიანები ამ ქსელის გამოყენებით აქტიურად ურთიერთობენ.

სოციალური ქსელებით ყველა თაობის და ყველა ქვეყნის ადამიანი არის დაინტერესებული და ყოველდღიურად იყენებს მას. ურთიერთობისათვის საზოგადოების უმრავლესობა იყენებს ლათინურ ასოებს.

თემის აქტუალობა განაპირობა, სოციალური ქსელების ხშირმა გამოყენებამ და ვინაიდან ურთიერთობის მთავარი ფორმა ლინგვისტური საშუალებებით ხორციელდება, შედეგად მივიღეთ, რომ მისი გავლენა ქართულ ენაზე აისახა და სოციალურ ქსელებში შექმნილმა ლექსიკურმა ერთეულებმა შესაძლოა გადმოინაცვლოს მოსაუბრის სამწერლობო და სამეტყველო ენაში. სტატუსების, კომენტარების ანალიზმა კი შედეგად მოგვცა წერილობითი მეტყველების რეალური სურათი სოციალურ ქსელში.

ნაშრომის მიზანია ვაჩვენო, რა გავლენა აქვს ინგლისურ ენას ქართულ ენაზე, სოციალურ ქსელ Facebook - ის მაგალითზე.

ქართველ მოსახლეობას სოციალურ ქსელებში აშკარად ეტყობა ინგლისური ენის გავლენა, რაც შემდგომ, როგორც წერით, ასევე ზეპირმეტყველებაშიც აისახება. რაც, ვფიქრობ ქართულ ენას სავალალო მდგომარეობაში აგდებს.

ნაშრომში ნაჩვენებია თუ რა გავლენას ახდენს სოციალურ ქსელებში ინგლისური ენა ქართულ ენაზე და რა საფრთხე ემუქრება ქართულ ენას მომავალში.

მაგალითისთვის სოციალურ ქსელ ფეისბუქზე დავაკვირდი სხვადასხვა პიროვნებების (ჩვეულებრივი მოქალაქეები) მიერ განთავსებულ სტატუსებს, კომენტარებს, სადაც კვლევს შედეგად გამოიკვეთა შემდეგი თავისებურებანი:

1. გვხვდება ინგლისურენოვანი ფრაზები ქართველ მომხმარებელთან, უმეტესწილად 17-დან 25 წლამდე ასაკის მომხმარებლებში.

My heart  

1.1



1.2

 this is my life

1.1

ჩემი გული

1.2 ეს ჩემი ცხოვრებაა.

Mariami's 8th birthday,     
Happy birthday my lovely girl     
 love love love    

1.3

1.3. მარიამის მე-8 დაბადების დღე,

ბედნიერი დაბადების დღე ჩემო საყვარელი გოგონა

მიყვარს მიყვარს მიყვარს (სიყვარული)

2. გვხვდება ფრაზები ინგლისურ ენაზე, სადაც შეცდომებია დაშვებული:

Love u so much ❤️💜💕

2.1 
ნაცვლად you

2.1.ძალიან მიყვარხარ. უნდა იყოს U-ს

#mymonkey 🍌🐵💕💙

2.2 
სიტყვებს შორის არაა)

2.2 ჩემი მაიმუნი (დაშორება

#myhappineesisyou ❤️❤️❤️


2.3 

💕💕💕💕💕💕💕💕 this is my life

2.3. ჩემი ბედნიერება ხარ (უნდა იყოს დაშორებები სიტყვებს შორის. My happiness)

3. ფრაზები, სადაც შერეულია ქართული და ინგლისური სიტყვები გამოქვეყნებულ ფრაზებში.

Our ბესიკა 🤗🤗🙌🙌

3.1 

3. 2.

ჩემი ზუკიტოო ❤️❤️❤️ #brother



3.1 ჩვენი ბესიკა (ირონიული ნათქვამი)

3.2. ძმა (უადგილოა #ძიეზის გამოყენება)

HAAPY NEW YEAR ❤️

ყველას გილოცავთ 🍷

3.3 მიყვარხაროთ 📎

3.3 გილოცავთ ახალ წელს (აქ შერეულია ტექსტი ასევე გამოვრებულია თანხმომავნი ბგერები ემოციის გასაძლიერებლად.)

4. ხშირია ინგლისურენოვანი ფრაზები, რომლებიც ქართული ანბანითაა გადმოცემული.

ქართული ✓
ინგლისური ✓
ისტორია ✓
მათემატიკა ✓
ატესტატი იზ მაინ ❤️🙏🙏
🙏

4.1

4.1 ატესტატი ჩემია (ამ მნიშვნელობით არის გამოყენებული)



თბილისში წინა საახალწლო

4.2 განწყობა, ახალი ილუმინაციები,



4.3

4.2. ილუმინაციები - Illuminations- განათება 4.3. ნათიას ძვირფასი (ტკბილი) სახლი.

5. ასევე, ქართულენოვანი ფრაზები (ზშირად სარეკლამო ტექსტები), სადაც გამოყენებულია ინგლისური სიტყვები.

შეასრულე ტრანზაქციები ინტერნეტ და
მობაილბანკით, დააგროვე
გათამაშების ბილეთები და მიიღე
შანსი მოიგო სუპერ პრიზი - 50000, 30000
ან 20000 ლარი.

5.1

5.1 ტრანზაქციები- გარიგებები - transaction,
სუპერ პრიზი- შესანიშნავი -საუკეთესო საჩუქარი.

...ძვირფასო მეგობრებო, მოხარული

ვიქნები გაგიკეთოთ სიურპრიზი!

5.2 პირიქით სიურპრიზი რომელიც მოგიწევს

შეიძინე გერმანული პრემიუმ ბრენდ

AEG-ის ჭურჭლის სარეცხი მანქანა,

5.3

1. სიურპრიზი - surprise - გაკვირვება

5.3 პრემიუმ ბრენდი- მაღალი ხარისხი.

6. შერეულია ქართულ-ინგლისური სიტყვები და ასევე ქართული სიტყვების დასაწერად გამოყენებულია ინგლისური ანბანის ასოები. (ინგლისურენოვანი სიტყვები დაწერილია შეცდომით; კონკრეტულად, ემოციის გასაძლიერებლად გამეორებულია ასოები)

daos guloo ❤️ gilocavvvv mravals daeswarrii
yvelafers sauketesos gisurvebbb ❤️
miyvarxarr dzaliannnn ❤️ chemi pawawuna
magram ukve didii gogo xar ❤️ ❤️ nu agar
daviwyebb bodilas kargad ici rasac gisurvebbb
da rasac warmoadgen chemtvis ❤️ ❤️ lavvvvv
lavvvvvvv ❤️ ❤️ ❤️

6.1

6.1 მილოცვისას lavvvv (მიყვარხარ) უნდა იყოს love.

7. გამოყენებულია ინგლისურენოვანი სიტყვები აბრევიატურებით.

DATOS HPB

7.1



7.1 დათოს დაბადების დღე

დევიდ კრისტალი იძიებს იმ გვლენას, რომელსაც ინტერნეტი ახდენს ენაზე და ამბობს რომ ინტერნეტ ენისათვის დამახასიათებელია: ღიმილაკები, აბრევიატურები და მათი გაშფრვა და შინაარსის გაგება შესაძლებელია მხოლოდ ინდივიდუალურად, კონკრეტული ინტერნეტ სიტუაციის გათვალისწინებით. იგი ფიქრობს რომ ტექნოლოგიების განვითარებასთან ერთად უნდა მოხდეს ენის გრამატიკული მახასიათებლების გათვალისწინება და ავტომატური სიტყვის აღიარება.¹

¹ დავით ჩიხლაძე. ლეგალიზებული ინტერნეტ-სლენგი, ბორხესისა და უმბერტო ეკოს „უნივერსალური ენა“ და კიბერ-ქართული.

მოკლე ტექსტური შეტყობინებების მომხრეები ფიქრობენ, რომ ამგვარი ცვლილებები გარდაუვალია მოდერნიზაციისა და მიმდინარე ტენდენციების პირობებში. თანამედროვე ტექნოლოგიების ათვისება და თანამედროვე საკომუნიკაციო მეთოდების (შეტყობინებათა მომსახურება და ტექსტური მიმოწერა მობილური ტელეფონის მეშვეობით) მხარდაჭერა გარდაუვალად განაპირობებს ცვლილებებს პუნქტუაციასა და გრამატიკაში. მოკლე ტექსტური შეტყობინებები ხელს უწყობს ინგლისური ენის პოპულარიზაციას მთელი მსოფლიოს მასშტაბით. სხვადასხვა ენაზე მოსაუბრე ადამიანები იყენებენ ინგლისურ ენაზე წარმოდგენილ ლოგოგრამებსა და პიქტოგრამებს. ისინი სიმბოლოთა მეშვეობით მნიშვნელობას ანიჭებენ სიტყვებს. ეს მეთოდი გამოიყენება სხვა ენებშიც, მაგალითად: ფრანგულში, გერმანულში, ჩინურში და სხვა. Sms ენის მომხრეები მიიჩნევენ, რომ ეს ენა ზრდის ინგლისური ენის კრეატიულობას, რადგან ადამიანებს საშუალება ეძლევათ, შექმნან საკუთარი ემოციების გამომხატველი სიმბოლოები, აბრევიატურები, სლენგი, აკრონიმები. ინდივიდუალიზმისა და თავისუფლების შეგრძნება ალაფრთოვანებს ადამიანებს, ამიტომ მოკლე ტექსტური შეტყობინებების გამოყენებით ხდება კომუნიკაციის დამყარება უფრო ეფექტური გზით. მაგ.: ფრანგულ ენაში გვხვდება იგივე მოკლე ტექსტური შეტყობინების მაგალითები, რომლებიც გვაქვს ინგლისურში.

მკვლევართა ერთი ნაწილი მიუთითებს მოკლე ტექსტური შეტყობინებების ენის მრავალ უარყოფით მხარეზე და იმ საშიშროებებსა თუ სირთულეებზე, რომლებსაც მათი გამოყენება იწვევს.

ელისი (პროფესორი როდ ელისი) ფიქრობს, რომ „მოკლე ტექსტებმა შეცვალა ადამიანების ინგლისური წერისა და საუბრის მანერა“. იული თელის, რომ „მოკლე ტექსტები მნიშვნელოვნად აკნინებს წერითი კომუნიკაციის ხარისხს.

Sms ენის გამოყენება მნიშვნელოვან უარყოფით გავლენას ახდენს, როგორც ინგლისურ, ასევე მედიის ენაზე გლობალური მასშტაბით. აქედან გამომდინარე უდავოა, რომ მომავალში ინგლისური ენის არსებობა თავისი პირვანდელი სახით ეჭვქვეშ დგება.²

ჩემ მიერ წარმოდგენილმა ანალიზმა კი შედეგად მოგვცა ქართული წერილობითი მეტყველების რეალური სურათი სოციალურ ქსელში.

აქედან გამომდინარე შევეცადე მეჩვენებინა სოციალური ქსელ Facebook-ზე ინგლისური ენის გავლენა ქართულ მეტყველებაზე კერძოდ:

1. გვხვდება ინგლისურენოვანი ფრაზები ქართველ მომხმარებელთან უმეტესწილად 17-დან 25 წლამდე ასაკის მომხმარებლებში.
2. გვხვდება ფრაზები ინგლისურ ენაზე, სადაც შეცდომებია დაშვებული.
3. გამოქვეყნებული გამოთქმები, სადაც შერეულია ქართული და ინგლისური სიტყვები.
4. ხშირია ინგლისურენოვანი ფრაზები, რომლებიც ქართული ანბანითაა გადმოცემული.
5. ასევე ქართულენოვანი ფრაზები (ხშირად სარეკლამო ტექსტები), სადაც გამოყენებულია ინგლისური სიტყვები.
6. შერეულია ქართულ-ინგლისური სიტყვები და ასევე ქართული სიტყვების დასაწერად გამოყენებულია ინგლისური ანბანის ასოები. (ინგლისურენოვანი სიტყვები დაწერილია შეცდომით; კონკრეტულად, ემოციის გასაძლიერებლად განმეორებულია ასოები).
7. გამოყენებულია ინგლისურენოვანი სიტყვები აბრევიატურებით.

<http://www.24saati.ge/weekend/story/15512-legalizebuli-internet-slengi-borkhesisa-da-umberto-ekos-universaluri-ena-da-kiber-qartuli>, (19.12.2016 წელი, 12:56 სთ.).

² მაია გურგენიძე. აბრევიატურისა და მოკლე შეტყობინებების ენის რამდენიმე მნიშვნელოვანი ასპექტის გამო თანამედროვე ინგლისურში, ჟურნალი „სპეკალი“, მე-5 ნომერი, <http://www.spekali.tsu.ge/index.php/ge/article/viewArticle/5/51>, (20.12.2016 წელი, 11:24 სთ.).

მსგავსი ფორმების გამოყენებით, ერთგვარად, ელექტრონულ კომუნიკაციაში მკვიდრდება დიალოგის ახალი ფორმა. ხელი ეწყობა ინგლისური ენის გავლენის გაძლიერებას და ქართული ენის დაკნინებას (როგორც წერითი ასევე ზეპირი მეტყველებისას).

ზეპირი მეტყველება ყოველთვის დაუდევრობით გამოირჩეოდა, რასაც მეტ-ნაკლებად ვეგუბოდით, რადგან არ ფიქსირდებოდა. ახლა წერითი მეტყველებაც ასეთივე დაუდევარი გახდა სოციალური ქსელების გავლენით. რა თქმა უნდა, ეს არასასურველ ზეგავლენას მოახდენს ენაზე.

ვფიქრობ, გავლენა სოციალურ ქსელებში ინგლისური ენისა ქართულ ენაზე ნამდვილად ცუდია, რადგანაც მსგავსი ფორმების გამოყენება წერისას წარმოადგენს საფრთხეს ქართული ენისათვის. სასურველია სახელმწიფოს მხრიდან მეტი ყურადღება დაეთმოს ქართულენოვან სოციალურ სივრცეს და ინტერნეტკომუნიკაციაში მართებული ფორმების გამოყენების ვალდებულებას.

დამოწმებული ლიტერატურა:

დავით ჩიხლაძე, ლეგალიზებული ინტერნეტ-სლენგი, ბორხესისა და უმბერტოეკოს „უნივერსალური ენა“ და კიბერ-ქართული,

<http://www.24saati.ge/weekend/story/15512-legalizebuli-internet-slengi-borkhesisa-da-umberto-ekos-universaluri-ena-da-kiber-qartuli> 19.12.2016 წელი 12:56 სთ

მაია გურგენიძე, აბრევიატურისა და მოკლე შეტყობინებების ენის რამდენიმე მნიშვნელოვანი ასპექტის გამო თანამედროვე ინგლისურში, ჟურნალი „სპეკალი“, მე-5 ნომერი,

<http://www.spekali.tsu.ge/index.php/ge/article/viewArticle/5/51> 20.12.2016 წელი 11:24 სთ.

Marina Mtskerashvili

Student of PhD Programme Philology

About the influence of English on the Georgian social network Facebook

Summary

Today the most widely used social network is Facebook in Georgia. People are actively interacting with this network.

The Georgian population in the social networks is apparently under the influence of the English language, which is reflected in both written and spoken language and puts the Georgian language in a deplorable state.

The topic is urgent and determined with the frequent usage of social media. The analysis of statuses and comments has given us a real picture of written speech on the social network.

The purpose of this work is to show, with the example of the social network Facebook, the impact of English on the Georgian language and the dangers which threatens the Georgian language in future.

For example, the article discusses the statuses, comments, and some features of various individuals (ordinary citizens) posted on social network Facebook.

1. We find English phrases that are used by Georgian users mostly in the age group of 17 to 25 years.

2. There are phrases in English where mistakes are made.

3. Published expressions combine Georgian and English words.

4. There are English phrases in Georgian alphabet.

5. There are also Georgian phrases (often advertising texts) where English words are used.
 6. Georgian and English words are mixed and English letters are used to write Georgian words. (English words are spelled incorrectly; letters are repeated to enhance emotion)
 7. There are English words used in abbreviations.
- I think that the influence of English on Georgian in social networks is really undesirable, as the usage of such forms of writing is a threat to the Georgian language.

ეპიგრაფთა ქრონოტოპი „დათა თუთაშხიას“ მიხედვით

XX საუკუნის 70-იანი წლების ქართულ პროზაში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს ჭაბუა ამირეჯიბის რომანს „დათა თუთაშხიას“, რომელშიც გვხვდება და ერთმანეთზე გადაწნულია მითოლოგიური და ბიბლიური ელემენტები და სიუჟეტები.

რომანს ორი მხარე აქვს: რეალურ-ისტორიული და წარმოსახვით-მითოლოგიური. რეალურ-ისტორიულში მწერალი მოგვითხრობს დათა თუთაშხიას ცხოვრების ეპიზოდებს. წარმოსახვით პლანში კი ავტორი გვიხატავს დათა თუთაშხიას ტრაგედიას, როგორც კაცთა მოდგმის ტრაგედიას, ბრძოლას სიკეთესა და ბოროტებას შორის.

რომანში არ არის დაზუსტებული ისტორიული დრო. იგი მოიცავს სადღაც XIX საუკუნის 80-იანი წლებიდან XX საუკუნის 10-იან წლებს, ესეც პირობითია, მაგრამ რომანში მომხდარი ამბავი შეიძლება ყველა ეპოქაში, ნებისმიერ დროსა და სივრცეში მომხდარიყო. „ნაწარმოებში წარმოსახული კონკრეტული ისტორიული სინამდვილეს სტრუქტურად გარდაქმნის აშკარა ტენდენციაზე მეტყველებს არა მხოლოდ ის, რომ რომანს ეპიგრაფებად უძღვის ავტორის მიერვე თხზული მითი, რომელიც ტონს აძლევს მთელს ნაწარმოებს“.¹

რომანის „დათა თუთაშხიას“ გასაღებად შეიძლება ჩაითვალოს ეპიგრაფები, რომლებიც მწერლის ფანტაზიის ნაყოფია და ქართული მითების შინაგან კანონზომიერებათა ზუსტი და ღრმა ცოდნით, მათი შინაგანი ლოგიკის დაცვითი შექმნილი მითოლოგიზაციაა. მწერალს მიწერილი აქვს: „მეთოთხმეტე საუკუნის ხელნაწერიდან“. მისი ტექსტი გრძელდება რომანის ოთხივე კარის სათითო ეპიგრაფად. ეს არის განგებ არქაიზებული მითოლოგიზირებული ტექსტი, რომელიც სიმბოლურად მიგვანიშნებს რომანში მომხდარ ამბებზე. მითოსური ელემენტების მოხმობით ეპიგრაფებში ავტორი თავის უმთავრეს სათქმელს წარმოაჩენს.

ავტორი თავად საუბრობს ეპიგრაფების შესახებ. მან ეპიგრაფების წანამდღვარების საჭიროება მაშინ იგრძნო, როცა წიგნის დამთავრებას აღარაფერი აკლდა: „რატომღაც ყოველთვის მეშინოდა, რომ „დათა თუთაშხიას“ ძირითადი იდეა განუზოგადედბელი დარჩებოდა თუ მას რაიმეს არ წავაშველებდი... წმ. გიორგის ჩემს მიერ ინტერპრეტირებული მითოსი ხუთ ნაწილად დავყავი. პირველი ნაწილი მთელ რომანს წავუმდღვარე და იგი ნაწარმოების საერთო პრობლემატიკის პარალელურია. ყოველ კარს თავისი ეპიგრაფი აქვს. მითოსის ამ ნაწილებში თუთაშხას ხასიათის დინამიკა „დათა თუთაშხიას“ დინამიკას დავამთხვოე ეს არის და ეს“.² ასე დაიწერა რომანის ეს მშვენიერი მითოლოგიური ეპიგრაფ-ნოველები, რომლის გარეშეც „დათა თუთაშხიას“ წარმოდგენა უკვე შეუძლებელია. ამ მითოლოგიზირებულ ეპიგრაფებში კარგად ჩანს ციკლური დროის მახასიათებლები. მითოლოგიზირებული დრო-სივრცე, რეალური სივრცე და რეალური დრო იოლად გარდაიქმნება მითოპოეტურ დრო-სივრცედ.

მითოლოგიური პრინციპის გამოყენება საშუალებას იძლევა კიდევ უფრო გაფართოვდეს ისედაც პირობითი და არა კონკრეტულ ლოკალი მეტი მხატვრული დამაჯერებლობა მიენიჭოს „ნოველას (ეპიგრაფს) მითი-ნოველა-ეპიგრაფის ქრონოტოპი და

¹ თენგიზ ჩხაიძე. სიკეთისთვის ბრძოლის გაკვეთილები. ჟურნალი „კრიტიკა“ N1, 1979, გვ. 3-21.

² კობა იმედაშვილი. საუბრები; საუბარი ჭაბუა ამირეჯიბთან, (გამომცემლობა ნაკადული, თბილისი, 1990), გვ. 20.

რეალური დროის ქრონოტიპის მოხდენილი ნაზავი, მისი პოეტური გააზრება არქაულსა და ხელშესახებს ხდის გამოგონილს“...

მითოსურ აზროვნებაში დრო და სივრცე იდუმალი ძალებია. მითოლოგიაში არ გვაქვს გარჩეული დროის მომენტები: წარსული, აწმყო და მომავალი, დრო ერთიან, უწყვეტ მთლიანობად აღიქმება, რომელსაც ახასიათებს ციკლური განმეორებადობის კანონი.

დროის ციკლურ თეორიას ეყრდნობა სამყარო როგორც ერთი უწყვეტი, უცვლელი მთლიანობა ეხება. ამავე დროს, მოქმედად, მეხსიერების დროს მიიჩნევს, ნამდვილ, რეალურ დროდ, რომელიც ციკლური დროის კერძო გამოხატულებაა. ყოფიერების წვდომა მხოლოდ აწმყოშია შესაძლებელი, მაგრამ არა დროით შემოფარგლურ, არამედ უსაზღვრო აწმყოში, რომლის, როგორც თანდართულ მომენტთა ერთობლიობა, როგორც წარსულს ასევე მომავალს მოიცავს.

რომანის ეპიგრაფებში გამოვლინდა დროის ციკლურობის საკითხი. დროის ლინეალურობის წრიულად გარდაქმნა ისტორიის კანონზომიერებაა. აქედან გამომდინარე ყოველი ამბავი, შემთხვევა განმეორებული ამბავია, მარად დაბრუნებადი ისტორიაა.

მწერლის ოსტატობას უნდა მიეწეროს ის ფაქტი, რომ იგი მითს მის მიერვე მოთხრობილი ამბების კონტექსტში კი არ გადმოგვცემს, არამედ გარდასახავს ამა თუ იმ მოძღვრებას თხრობის სტრუქტურაში, მხატვრულად გადმოგვცემს მას მხატვრულ ქსოვილში.

მითოსი ნაწარმოებს გამსჭვალავს არა პირდაპირ არამედ სიმბოლურად, მეტაფორული მნიშვნელობით და მრავალმხრივობას ანიჭებს მხატვრულ სახეს, რომელიც ხელს უწყობს დროსივრცული საზღვრების გაფართოებას. ჭაბუა ამირეჯიბი ამ მიზნით იყენებს მითოსს „დათა თუთაშხიაში“. მითოლოგიური არქეტიპების მოხმობის საშუალებას აძლევს მწერალს თვალსაჩინოდ წარმოაჩინოს ქრონოტიპი (დროთა კავშირი) და განმარტო ნაწარმოების ძირითადი იდეაა.

XX საუკუნის 70-იანი წლები ქართული რომანის განვითარების ახალ საფეხურად მოიაზრება. ამ პერიოდში წინა პლანზე წამოიწია, როგორც მითოსური და ბიბლიური მოდელების გამოყენება, ასევე ქრონოტიპის გააზრება.

ყოველი ეპოქა სასიცოხლო გარემოს, კულტურის სფეროს იმ „თარგის“ თანახმად აწესრიგებს ან აფორმებს, რომელსაც დრო კარნახობს. დროს ქვეშ, ამ შემთხვევაში არა ქრონოლოგია, არამედ ცოცხალი განცდის ის ფორმა იგულისხმება, რომელსაც სხვანაირად მსოფლალქმას, მსოფლშეგრძნებას უწოდებენ. ეს შეგრძნება, ერთი მხრივ, გარე სამყაროს სასიცოცხლო მნიშვნელობას და მეორე მხრივ, მათ ამ ვითარებათა მიმართ ინდივიდუალურ ადამიანურ მიმართულებას მოიცავს.

მსოფლალქმა, მსოფლშეგრძნება ფორმათა გროვას გარკვეულობასა და რეგულარულობას აძლევს. საბაზისო ფორმათ შორის დრო-სივრცითი წარმოდგენა ერთ-ერთი ძირითადია. ამიტომაც ნებისმიერი ეპოქისა თუ კულტურის გაგების მცდელობა სწორედ ამ საბაზისო მოდელის, დროს-სივრცითი წარმოდგენის გარკვევით უნდა იწყებოდეს.

მსოფლგანცდით მიმართებას არა უსულო მექანიზმი, არამედ ცოცხალი განცდა ქმნის, ამიტომ ეპოქის კულტურას ან სულს ყველაზე კარგად ის სფერო უნდა ასახავდეს, სადაც შემოქმედება გრძნობადი შემეცნებისაგან გამიჯნული არ არის. ასეთი ლიტერატურის სფეროა და ქრონოტიპის საკითხის კვლევა სწორედ ნაყოფიერი იქნება.

მხატვრულ ნაწარმოებში არსებული დროისა და სივრცის პრობლემა სრულიად სამართლიანად იქცა მსჯელობის ობიექტად, რომელსაც რუსმა ლიტერატურათმცოდნემ მ.მ. ბახტინმა „ქრონოტიპი“ უწოდა.

„ქრონოტოპი არის ლიტერატურაში მხატვრულად შეთავსებული დრო-სივრცის ურთულესი მიმართება... მხატვრულ-ლიტერატურულ ქრონოტოპში ხდება სივრცული და დროული ელემენტების გაერთიანება ერთ კონკრეტულ მთლიანობაში. დრო მჭიდროვდება, მკვრივდება..სივრცე ინტერსიფიცირდება, ერთვება დროის სიუჟეტის, ისტორიის მოძრაობაში. დროის თვისებები იხსნება სივრცეში, სივრცე კი გაიზრდება და გაიზომება დროით... ქრონოტოპი განსაზღვრავს ლიტერატურული ნაწარმოების მხატვრულ მდგრადობას რეალურ სინამდვილესთან მიმართებაში.³

დრო და სივრცე არქიტექტონური ელემენტია. ქრონოტოპი, როგორც მხატვრული კატეგორია განსაზღვრავს ავტორის პერსონაჟების და სიტუაციების მოძრაობას ნაწარმოების რაც თავის მხრივ ქმნის ნაწარმოების არქიტექტონურ წყობას.

XX საუკუნის 70-იანი წლების რომანში დროსივრცული, მითოსური და ბიბლიური მოდელების გამოყენება გონების ღრმა შრეებში დაღეწილი მახსოვრობის აღდგენის ფუნქცია შეიძინა. ამ პერიოდის მწერლები მიუბრუნდნენ მითოლოგიური და ბიბლიური თემების, სიუჟეტების, მითების, „მითისქმნადობას“ და ლიტერატურულ ჭრილში გააზრებას.

მითი იძლევა დროისა და სივრცითი საზღვრების მოშლის უნიკალურ საშუალებას. მითოსური და ბიბლიური მოდელების, სიუჟეტების გამოყენება უსაზღვროა. მწერლები ამას იყენებენ, როგორც არქეტიპებად ისე ციტატების, ასოციაციების, პარალელიზმების სახით, ზოგიერთი მათგანი კი თავად „ქმნის მითს“. ამ ყველაფრით მათ სურთ წარმოაჩინონ მოვლენათა ტიპურობა, მარადქმნადობა, მუდმივობა, კაცობრიობის მახსოვრობაში შემორჩენილი ზეჩვეულებები და მარადიული ღირებულება.

მითს ყოველ დროსა და სივრცეში მნიშვნელოვანი როლი ეკისრება. მითი თავს უყრის ორ უმნიშვნელოვანეს მითიურ დროსა და სივრცის პოლუსს და გვთავაზობს მათი გადაკვეთის წერტილებში წარმოქმნილ მოვლენებს, საგნებს... და აი აქ იქცევა არქეტიპებად და სახე სიმბოლოებად.

ე. კასირესის მიხედვით დროის მითიური კონცეფცია უკავშირდება იმას, რომ მითი ყოველთვის გულისხმობს გენეზისს, ცხოვრებას დროში, მოქმედებას, ისტორიას, თხრობას. წარსული მითში წარმოადგენს საგანთა „რატომ“-ს, მათ მიზეზს.“ მითის პირველადი დრო გადაიქცევა რეალურ, ემპირიულ დროდ სივრცული ურთიერთობის გამოხატვის გზით, ყველაზე მარტივი ურთიერთობა დიფერენცირდება პერპენდიკულარით“.⁴

ქრონოტოპს თავის ირგვლივ ატრიალებს მითი, რადგან ის მის შუაგულშია, მითოსური ყოფიერების შიგნითაა, მითოსური ყოფიერება განსაზღვრავს დრო-სივრცით მოდუსებს. „გაჩერება ან მდინარებაც არ შლის ყოფიერებას, არამედ უკვე თავადვე შემოსაზღვრავს მარადიული წრებრუნვით თავად მის ირგვლივ“.⁵

რომანის მითოლოგიური ეპიგრაფ-ნოველის მთვარი მოქმედი პირები არიან თუთაშხა, მრავალთავიანი ურჩხული და ხალხი-ერი.

„დათა თუთაშხაში“ მთავარი გმირი გაიზრება მთვარის ღვთაებად და წინა პლანზეა წამოწეული ღვთების ზნეობრივი სახე და მისი ქმედების ეთიკური მხარე რაც მახასიათებელია ქრონოტოპისთვის.

³ **Михаил Бахтин.** *Вопроси литературы и эстетики.* (издательство Художественная литература, Москв,1986) ст. 121-122.

⁴ **მარიამ მირესაშვილი.** ისტორიული რომანის ჟანრული თავისებურება (XX საუკუნის II ნახევარში), (გამომცემლობა ინოვაცია, თბილისი,2005), გვ. 134.

⁵ **Алексей Лосев.** *Античная мифология в ее историческом развитии.*(Издательство Государственное учевно-педагогическое издательство министерства просвещения РСФСР (Учпедгиз),Москва 1991), ст. 87.

ჭაბუა ამირეჯიბისეული მითოსური თუთაშხაც მთვარის ნათელი ღვთების განსახიერებაა: „ჰყავდა ერსა გამგებლად და მორიგეს ქვეყნიერთა საქმეთა თვისთა ჭაბუკი პირმშვენიერი და რაინდი კეთილადნაგი-თუთაშხა. არა იყო იგი სულდგმული ერთი და მე ხორციელი, არამედ სული კრებითი, არსი მყოფი კაცთა წიაღსა შინა, ვითა წახნაგთაგანი მათი უპირველესი“.⁶

თუთაშხა ანუ ორშაბათი („საკრალური ორშაბათი“) - მთვარის დღეს ნიშნავს. ეს დღე განსაკუთრებულად იყო მიჩნეული. სწორედ ამ დღეს იცვლიდა მთვარე სახეს-ივსებოდა და ილეოდა. ასევე ის არის კვირის პირველი დღე. დროის ციკლური აღქმაც დაკავშირებულია ერთგვარად მთავარის ციკლებთან. მონაცვლეობასა და მუდმივ განმეორებადობას ეყრდნობა. დროის ციკლური აღქმა ნაკლებად ზრუნავს წარსულის შენახვასა და დამახსოვრებაზე, რადგან ყველაფერი მეორდება. შესაბამისად, მომავალიც არ არის ზრუნვის საგანი, რადგან იქაც ყველაფერი წინასწარ განსაზღვრულია. ციკლური დრო უმთავრესად უწყვეტად აღიქმება. მითოსისთვის დრო და სივრცე იდუმალი ძალებია, რომელიც განსაზღვრავენ არა მარტო მიწიერ არსებათა, არამედ ზეციურ ღვთებათა სიცოცხლეს. მითოლოგიაში არ გვაქვს გარჩეული დროის მომენტები. წარსული, აწმყო და მომავალი, დრო ერთიან, უწყვეტ მთლიანობად აღიქმება, რომელსაც ახასიათებს ციკლური განმეორებადობის კანონი. „ანდრეზი განა მითოსი თავისი საუკეთესო ნიმუშებში არის უწყვეტი ჯაჭვი ანუ შიში, რომელიც გაბმულია თაობებს შორის და აწმყოს წარსულთან აკავშირებს-თუ ანდრეზი- შიში გაწყდა, გამწყდარა „დროთა კავშირიც“.⁷ შემოქმედს მითოსში ყველაზე მეტად იზიდავს „დროთა კავშირის“ აღდგენის ფუნქცია. ჭაბუა ამირეჯიბმაც ამიტომ მიმართა ძველ ქართველთა უმთვრესი ღვთების, მთვარის, სიმბოლურ სახეს და მისი მხატვრული გადამუშავების შედეგად მოიძებნა საერთო, მაგისტრალური ხაზი ქართველი კაცის სულიერი, ზნეობრივი განვითარებისა და მისი ეთიკურ-ფილოსოფიური ძიებისა“.⁸ მითოსი ხელს უწყობს რომანის ქრონოტოპის გაზრდას, რადგან მითოსი რომანში შედის, როგორც სიმბოლური, ალეგორიული ასევე მეტაფორული მნიშვნელობით და მრავალპლანიანობას სძენს რომანს. დროსივრცული მოდუსებისა და საზღვრების გადალახვის მიზნით ჭაბუა ამირეჯიბიც იყენებს ქართულ მითოს რომანში.

მითოსი დროის მიღმა დგას და იძლევა მოვლენის პირველ საწყისისი წვდომას, განზოგადების საშუალებას. მითოსურ არქექტიპებზე ან მითოსური სახის ნაწარმოებები ზედაპირული აღქმისას, რომელიც გარკვეული დროსივრცული საზღვრები გააჩნიათ, გამუდმებით იგრძნობა კავშირი მიღმურ, იდუმალ სამყაროსთან. მითის გასხივოსნება ხდება მხატვრულ სახეებში.

რომანის ეპიგრაფებში გარკვევით არის მითითებული თუთაშხას ამაღლებულ, ღვთებრივ მისიაზე. თუთაშხას არქექტიპი ღვთება თუთაშხას თვითმეწირვის გზით, ქვესკნელში ჩასული მთვარის მსგავსად, ხელახლა უნდა აღორძინდეს, განახლდეს. მას როგორც მთვარესთან წილხვდომილს სიკვდილი არ უწერია. თუთაშხია და მისი არქექტიპი თუთაშხა ებრძვიან ყველა სახის ბოროტებას, რომელიც ურჩხულის სახითაა მითოლოგიზირებული. თუთაშხა სიკეთის ღმერთია.

„...და იქნა კაცთათვის სოფელი სივრცედ მიგებისათვის სიყვარულისა, რომელი იყო ღმერთი“.⁹ სიკეთე შეგვიძლია გავიგოთ, როგორც სიყვარული. „სული კრებითი“

⁶ ჭაბუა ამირეჯიბი. დათა თუთაშხია, (გამომცემლობა საქართველოს მაცნე, თბილისი, 2006) გვ. 3.

⁷ ზურაბ კიკნაძე. ქართულ მითოლოგიურ გადმოცემათა სისტემა, (გამომცემლობა თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი, 1985), გვ. 4.

⁸ შორენა მახაჭაძე. მითი და რეალობა „დათა თუთაშხიაში“, (გამომცემლობა მერანი, თბილისი, 1996), გვ. 54.

⁹ ჭ. ამირეჯიბი. დათა თუთაშხია... გვ. 4.

აერთიანებს ყოველივე წმინდას, ამაღლებულს, მაღალზნეობრივს. თავისთავად ამ დროს კაცთა არსებაც მაღალზნეობრივია, ადამიანები სწავლობენ, შრომობენ, მიწათმოქმედებენ, თხზავდნენ ანბანს, აკვირდებოდნენ ვარსკვლავს და „ამინდმეტყველედნენ“, ადგენდნენ რუკებს. თუთაშხა თავისი განმგებლობის დროს ადამიანთა სასიკეთოდ მოღვაწეობს და ზნეობრივ ნორმებს ადგენს.

„თუთაშხა კულტურული ღმერთების ტოლფასი პერსონაჟია, რომელსაც ადამიანისათვის მოაქვს ცოდნის, სიყვარულის, სიწმინდის, თვითშეწირვის სიკეთე.¹⁰

წარმართული მთვარის ღვთება თუთაშხა, რომელიც ეპიგრაფის ერთ-ერთი მოქმედი გმირია ქრისტიანულმა წმინდა გიორგიმ, თეთრმა გიორგიმ შეცვალა. თეთრი გიორგი მთავრის ხატება იყო, რომლის შესახებაც ივანე ჯავახიშვილი დაწვრილებით მიმოიხილავს.

ივანე ჯავახიშვილი წერს, რომ წმინდა გიორგის წარმართობის დროინდელი მთავარი ღვთების, მთვარის ადგილი უკავია ქართველი ხალხის ცნობიერებაში“. „ქართველი ხალხის ცნობიერებაში ახლაც კი ორშაბათს მეგრულად თუთაშ-თუთაშხა, სვანურად -დომდულ ჰქვია, და ორივე სიტყვა მთვარის დღეს ნიშნავს. ყველგან, სადაც ქართველებს უცხოვრიათ, ვითარცა მთვარმეუფის და ღვთების თაყვანისცემა ყველა ქართველი ტომების უძველეს რწმენად უნდა ჩაითვალოს“.¹¹

კორნელი კეკელიძე კი მიუთითებს წმინდა გიორგის მემკვიდრეობით კავშირზე მითრასთან. „ჩვენშიაც მთვარის სახით მითრას სცემდნენ თაყვანს, ხოლო ქრისტიანობის მიღების შემდეგ-მითრას სახით წმინდა გიორგის“.¹²

მითრასა და წმინდა გიორგის მართლაც ბევრი აქვთ საერთო, ჯერ ერთი, ორივე ბოროტი ძალის წინააღმდეგ მებრძოლია, სიბნელის, ქაოსის დაუძინებელი მტრები და ნათლისა და კოსმოსის დამამყარებელნი არიან დედამიწაზე, ასევე ორივეს წმინდა ცხოველი ხარია და მცენარე კი მუხა“.¹³ ხოლო, წმინდა გიორგის ფრინველად ითვლებოდა მამალი, რადგან ის ღამე ყიოდა. მამალი იყო გამოსახული, აგრეთვე, მითრას ბარელიეფზეც. იგი თვისი ყივილით აფრთხოვდა ბოროტ სულებს და იცავდა კეთილმორწმუნეებს სიცივისგან.¹⁴

ყველა ხალხი ქმნის თავის იდეალურ გმირს, რომელსაც შეუძლია მისი ოცნება რეალობად აქციოს, გააკეთოს ის რასაც ჩვეულებრივი მოკვდავი ვერ შეძლებს. მსგავსი გმირი ბოროტ ძალებთან ბრძოლაში იბადება. სწორედ ასეთი იდეალური გმირია წმინდა გიორგი. ხალხის წარმოდგენით, იგი დედამიწას პატრონობს, მას ყველაზე მეტი ძალა აქვს ამ ქვეყანაზე. წმინდა გიორგი კაცია“.¹⁵

„ქართველთა შეგნებაში სამარადისოდ არის აღბეჭდილი წმინდა გიორგის ხატი, აღმართული ხარის რქებზე, როგორც წინამძღოლი და მხსნელი, მარადჟამ წინ მიუძღვის სინათლისკენ თავის საყმოს“.¹⁶

¹⁰ კობა იმედაშვილი. მითი და თანამედროვე ქართული პროზა, ჟურნალი, *მნათობი*. N2, 1980, გვ. 160.

¹¹ ივანე ჯავახიშვილი. *ქართველი ერის ისტორია*, წიგნი I, (1908). გვ. 90.

¹² კორნელი კეკელიძე. *ქრისტიანობაში და მითრასთან*. *ეტიუდები ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიიდან*, ტ. II, (თბილისი, 1945), გვ. 353.

¹³ არქანჯელო ლამბერტი. *სამეგრელოს აღწერა*, (გამომცემლობა ფედერაცია-ს და სტ. თბილისი, 1938), გვ. 143-144.

¹⁴ სერგი მაკალათია. *ჩვეულებრივი კულტი ძველ საქართველოში* (გამომცემლობა საქართველოს სამხარეთმცოდნეო საზოგადოება, თბილისი, 1938), გვ. 38.

¹⁵ შ. მახაჭაძე. *მითი და რეალობა...* გვ. 62.

¹⁶ ზ. კიკნაძე. *ქართულ მითოლოგიურ...* გვ. 104.

მეორე თავის ეპიგრაფში ავტორი ხატავს საზარელი ურჩხულის აღზევების ხანას, რომელიც იწვევს ერის დეგრადირების, დაცემის, სიძულვილის ღმერთად ქცევის, ანგარების, სათნოების დათრგუნვისა, სიკეთის დაცემისა და მკაფიო სახეს:

„და იქმნა: სინდისი ცნებად გარდასულთა ჟამთა და სიტყვათა სათრევად ძვირის მეტყველთაგან; ძალა-იარაღად დათრგუნვისათვის სათნოებისა სულსა თვისსა შინა მიმძლავრებისათვის მოყვასისა; სიკეთე-ნიღბად ავისა განზრახვისა და ქმნისა; დედაკაცი-განმართლებად მეძავობისა და ბერწობისა; მეგობარი-მაღამოდ შიშისათვის წუთისოფლისა და საგნად სხვათა ფარულთა ანგარებათა; ერი-ასპარეზად ნივთთა მოხვეჭისა და ხნულად მიმოთესვისათვის სიცრუვეთა; ვენახი და მინდორი-ადგილად მოყვასისა ნაღვანისა მითვისებისა; პური და საქონელი ყოველი- თავნად აღებისა სარგებელთა და ვახშთა; სოფელი-სივრცედ შურის მიგებისა და სიძულვილისა, რაიცა იქმნა ღმერთად. იქმნა ყოველი მარტოოდენ, ვითარცა ზემორე ითქვა და დაიხშო ბრწყინვალეობა მზისა ჭყრტილისაგან ოქროისა“.¹⁷

„ურჩხულის აღზევება, სინდისის საღანძღავ ცნებად ქცევა, მეგობრის დასახვა ფარულ ანგარებათა მოზიარედ და მისთანანი ისტორიული დროის, რომელსამე მონაკვეთში მომხდარი აქტი კი არაა ეპიგრაფის მიხედვით, არამედ კაცთა მოდგმის არსებასა და ყოველი ცალკეული პიროვნების ფსიქიკაში გათამაშებული მარადიული ტრაგედია“.¹⁸ თუთაშხა ებრძვის ურჩხულს-კრებითი სული ებრძვის განსხეულებულ სულს და ამ ბრძოლის ასპარეზია, როგორც თითოეული პიროვნების შინაგანი მხარე, ასევე ქვეყნიერებაც. თუთაშხასათვის ერის სულიერი დაცემის, დეგრადაციის, გადაგვარების ყურება მეტად რთული იყო. თუთაშხას მცდელობამ უარყოფითი შედეგი გამოიღო ის უმადურობისა და სიმხდალის, ადამანის მანკერი თვისებების, სულიერი დაცემის, სიბილწის, დამცირების, არაადამიანური თვითმხილველი იყო. გაურკვეველ მდგომარეობაში იყო თავისი სიკეთის წილ მიღებული ბოროტებისა გამო, თუ როგორ ეშველა იმ ზნეობრივი დაკნინებისათვის, რაც ურჩხულის აღზევებას მოჰყვა. როგორ ეშველა ხვეჭის სურვილისათვის, სიხარბისათვის, მრუშობისათვის, უმადურობისათვის, ამპარტავნებისათვის, აღზევებისაკენ სწრაფვისთვის, სიცრუისთვის, მზაკვრობისათვის, სიძულვილისთვის. ის ფიქრობდა თუ როგორ ეშველა ბოროტების უფსკრულისაკენ მიმავალი ქვეყნისათვის.

„არღარა მაქვს ცნობა, კეთილსა ვიქმნ თუ ავსა, უმჯობეს არს, დავიკრიფო მკლავნი მკერდსა ზედა და ვიპყრა ძალი ჩემი უმოქმედობად. განდგა თუთაშხა ქვეყნისაგან თვისისა, დაინთქა ჭვრეტად და არღარა გულისხმა ჰყო სადარდებელი ერისა, რამეთუ არა იყო თუთაშხა“.¹⁹ ამიტომაც გადაწყვიტა თუთაშხამ საკუთრი ძალით, დაეთრგუნა ურჩხული. ებრძოლა მის წინააღმდეგ. ადამიანებისათვის სიკეთე მოეტანა და ბოროტება დაეთრგუნა. თუთაშხას ბრძოლა ურჩხულთან-ეს არის ბრძოლა სიკეთესა და ბოროტების მარადიული ორთაბრძოლა, რომელიც დროსა და სივრცეში ხდება.

ორთბრძოლა სიკეთესა და ბოროტებას შორის, თუთაშხასა და ურჩხულს შორის, მეტად დამაბული ხდება მესამე თავის ეპიგრაფში, სადაც კულმინაციას აღწევს, სამკვდრო-სასიცოხცლო ბრძოლაა დახატული:

„მიუხდა თუთაშხა მას ურჩხულსა პირიდან ცეცხლგადმომდინარეს, მთასცა შუბი ხახასა შინა, განართხო მიწასა ზედა და მოჰკვეთა თავ იგი. უხაროდის მათ ცოტა კაცთა, რომელნი იყვნენ ფარულად თავყვანისმცემელნი წესისა თუთაშხასი და ჰგონებდნენ მას მხსნელად

¹⁷ ჭ. ამირეჯიბი. დათა თუთაშხია... გვ. 144.

¹⁸ რევაზ თვარაძე. ბედი საღვთო რაინდის: ჭაბუა ამირეჯიბი: „დათა თუთაშხია;“ (სიღნაღი, 1997), გვ. 171.

¹⁹ ჭ. ამირეჯიბი. დათა თუთაშხია... გვ. 8.

ერისა. გარნა ფენიქსებრ აღდგა ურჩხული და მოიბა ერთისა მოკვეთილსა თავისა წილ თავი შვიდი. თუთაშხა კვალად და შემუსრნა შვიდივე თავი ურჩხულისა. მოვიდა სისხლისა ღვარი და მდინარე მისი ადიდებული გარდავიდა ნაპირთგან წალეკვად ქვეყნისა... ურჩხულმან ყოვლისა მოკვეთილისა თავისა წილ ამოიყარა შვიდი და ამოდენჯერვე განმრავლდ ბოროტება ერსა შორის. დაეცა ზარი თუთაშხას ნახულისა გამო და მოიცვა იგი რწმენამ, რამეთუ ვერცა ვინ არგოს მოდგმასა კაცთა, თუ არა კაცმავე.²⁰

მწერლის მიერ დროსივრცულ მომენტში გამოყენებული სიმბოლოები საშუალებას აძლევს მკითხველს, სრულად ჩაწედოს მის ჩანაფიქრს, ნაწარმოებში ასახულ ქრონოტიპის არსს, ტექსტის სტრუქტურის და სათქმელის ჩამოყალიბებაში ქრონოტიპის განსაკუთრებულ მნიშვნელობას. სიმბოლოები, დროსი თვისობრივობის და იმ კულტურული სივრცის ფორმისა და შინაარსის გამომხატველი ნიშნები ხდებიან, რომელთაც ეკუთვნის. ამ შემთხვევაში მწერალი იყენებს ფენიქსს, რომელიც განმარტების მიხედვით მითოლოგიური ფრინველია, რომელსაც თვითწვის უნარი გააჩნია. სიკვდილის წინ ფენიქსი საკუთარ თავს იწვავს, ხოლო შემდეგ აღსდგება ფერფლიდან. ფენიქსი უკვდავების უნივერსალური ნიშანია. როდესაც ფენიქსი სიკვდილის მოახლოებას გრძნობდა, იგი ბუდეს იშენებდა, შემდეგ გავარვარებული მზის სხივებზე იწვებოდა. სწორედ მაშინ წარმოიქმნებოდა „ახალი ფენიქსი“. ფენიქსი არის მუდმივი განახლების სიმბოლო.

ფენიქსის მსგავს ურჩხულის წინააღმდეგ ვერც თავგანწირული ბრძოლით შეძლო თუთაშხამ მისი დამარცხება. პირიქით, ერთი ბოროტების ადგილზე შვიდმა ამოხეთქა, უფრო გამრავლდა და ღრმად გაიდგა ფესვები. უფრო ცუდიც, ადამიანებმა დაიწყეს ერთმანეთის ხოცვა-ჟლეტა, თავიანთ ბოროტმოქმედებას კი თუთაშხას საქციელით ამართლებდნენ. თუთაშხა ბოროტების დასათრგუნად და სიკეთის ზეიმად იბრძოდა. თუთაშხა არ იყო ღმერთი და ამ გზამცა ვერ მიიყვანა გამარჯვებამდე და ვერც მიაგნო ბოროტების სიკეთედ გადაქცევის საშუალებას. მეოთხე კარის ეპიგრაფში გვეხსნის მისი სულიდან ამოხეთქილი ღაღადი:

„მაშინ ღაღლინა ღაღადისი თუთაშხამ მიმართა ცათა: -ჰე, უზენაესო! არა სართეველად თვისა ვეზიარე ფიქრთა; არაკვართისა ჩემისათვის ვბეჭე ქსელნი; არა ძიებად შურისა ვეც მახვილნი და არა ათინათისგან მოჯადოებით გარდიქმენ ძედხორციელად. არამედ სნებათგან განკურნებისათვის მოდგმისა კაცთა. რომელი ვზნიე მე, რამეთუ არა მომეც ნიჭი გარდაქცევისათვის სიკეთედ ბოროტებისა. აწ მოველ და მომაგე ხვედრი ჩემი და მივაგო ნაგრამსა შენსა“.²¹ ხოლო ზეციურმა ხმამ ტანჯვის, გოლგოთის გზაზე მიუთითა, რომელიც ტანჯვის გზა იყო თვისთაშეწირვის, ინიციაციის გზა იყო, რომელიც ხსნას მოუტანდა ერს, ისიც საკუთარი ნებით მიეცა წამებას, რათა სხვები ეხსნა განსაცდელისაგან. მან თავად უნდა გაიაროს „ჯოჯოხეთი“, წვეთ-წვეთად უნდა გასცეს საკუთარი გულის სისხლი და თუ ამ მტანჯველი გამოცდის შემდეგაც შეინარჩუნებს სიკეთის უძლეველობის რწმენას, მიეცემა ბოროტების სიკეთედ გარდაქმნის ნიჭი.

თუთაშხამ ურჩხული საკუთარი სხეულის ნაწილებით დააპურა, მოკვეთა სხეულს ასონი და კაცთა შთანთქმელ ურჩხულს მიუგდო საკვებად.

„მოიკვეთა თუთაშხამ თავისითავე დაშნითა მკლავი მარცხენა, მიუგდო ურჩხულსა და დანთქა მან; მოიკვეთეს და მიუგდეს მათ ცოტა კაცთაც და დანთქამან. მოიკვეთა თუთაშხამ ფეხნი ორთავ, მოიგდო ურჩხულსა და დანთქა მან; მოიკვეთეს და მიუგდეს მათცა და დანთქა კვალად. შედეგად ამისა იცვალა ფერითვისის საზიზღარი ურჩხულმან და ნაკლულ იქმნა ძალი ცეცხლისა გადმომდინარესი ხახით. იხილა ერმან ესე ყოველი და

²⁰ ჭ. ამირეჯიბი. დათა თუთაშხია... გვ. 324.

²¹ ჭ. ამირეჯიბი. დათა თუთაშხია... გვ. 518.

რომელთაზე აგრეთვე აჭმის ასონი თვისნი მას ურჩხულს.²² ურჩხულმა ყველაფერი შესანსლა სიყვარულისა და სიკეთისათვის მებრძოლს მიბაძა, ხალხმა რომელიც ცოტა იყო. ურჩხული განაცვიფრა და შეძრა თუთაშხას თვითშეწირვის აქტმა, მისმა რწმენამ, სულის სიწმინდემ, სიმაღლემ და მიატოვა ადამიანის შთანთქმის ჩვევა. ადამიანის სახე მიიღო.

„თუთაშხამ, წილხვდომილმა გმირმა, მტანჯველი ინიციაციის გზით მიაგნო ჭეშმარიტებას. უმაღლესი ზნეობრივი მიზნის მიღწევა მხოლოდ უდიდესი მსხვერპლის გაღების, თვითშეწირვის ფასად შეიძლება. სხვა საშუალება ბოროტების სიკეთედ გარდაქმნისთვის არ არსებობს“.²³ ზნეობის გავმოვლენა სხვაზე ზრუნვაა, რომელსაც საფუძვლად სიყვარული უდევს. სხვაზე ზრუნვა სიკეთეა. შოპენჰაუერმა ზნეობრიობა ბედნიერებაზე მაღლა დააყენა, რადგან თავისი ეთიკის საფუძვლად აღიარა თანატანჯვა, რომელიც ნიშნავს ზნეობრიობას, საკუთარი ბედნიერების დათმობას. თუთაშხამ ზნეობრიობის სახე აჩვენა, როდესაც თვითშეწირვით ბოროტება სიკეთედ აქცია და ამით წილ მიიღო სიკეთის ღვთებამ რთული გზა გაიარა, და გარდასახვა, გარდაქმნა განიცადა. იგი ჯერ „სული კრებითი“ იყო, შემდეგ „ძე ხორციელად“ გარდაიქმნა, ბოლოს კი „დაუტევა სულმან თუთაშხასამან ხორცნი მიწასა ზედა, აღავლინა ცად, დაჯდა მთოვარედ და იქმნა ძე იგი ხორციელ ღმერთად.“²⁴

კობა იმედაშვილი, გიორგი გაჩეჩილაძე, აპოლონ ცანავა და სხვები თუთაშხას თვითშეწირვის აქტში ქრისტეს ჯვარცმის ანალოგიას ხედავენ. კობა იმედაშვილის აზრით, „ერის მახსოვრობაში შემორჩენილია სამი არქეტიპი-თუთაშხა (მთვარე) - თეთრი გიორგი-იესო ქრისტე განსხეულდა ერთ პიროვნებაში-თუთასხაში“.²⁵

„რამეთუ ნათელი მოვიდა სოფლად, და შეიყუარეს კაცთა ბნელი, ვიდრე ნათელი, რამეთუ იყვნეს საქმენი მათნი ბოროტ. რამეთუ ყოველი რომელი ბოროტსა იქმს, სძულს მას ნათელი, რაითა არაემხელნენ საქმენი მისნი“.²⁶ წუთისოფლის მკვიდრთან სხნელად განკაცებულამ მაცხოვარმა „სახე მონისა მიიღო“ ანუ ყოველივე ადამიანური შეიძინა, გარდა ცოდვისა. უფლის გზა მარადიული მოდელია, ნიშნული ყოვლისათვის, ვინც ნებით აირჩევს მსახურებას ჯვარცმას სხვათათვის თავის გასაწირვად.

ერთი ცხოვრებისეული მდგომარეობიდან სხვა მდგომარეობაში გადასვლა ანუ ინიციაცია, რომლის ერთ-ერთი ეტაპია გამოცდა ან კიდევ ჩვეული სამყაროდან განცალკევება მსგავსი სიმბოლიკები გვხვდება მითებში ურჩხულის მიერ კულტურული გმირის გადაყლაპვისა და შემდგომ მისი განთავისუფლების მოტივი, კერძოდ გმირის ორთაბრძოლა ურჩხულთან და მასზე გამარჯვება, რაც ბოროტი ძალების წინააღმდეგ ბრძოლადაც გაიაზრება.

ურჩხულთან შებრძოლება, ურჩხულის საკუთარი სხეულის ნაწილებით დაპურება „დათა თუთაშხიას“ ეპიგრაფებში გვაქვს გადმოცემული, რაც შეგვიძლია ჩავთვალოთ ინიციაციურ მოტივად. „ჭაბუა ამირეჯიბმა ორი მითოლოგიური მოტივი შეაერთა და ურჩხულის მიერ კულტურული გმირის შეგნებული აქტი. ამან კი თუთაშხას მითიური სახე ახალ სიმაღლეზე აზიდა, მის შეგნებულ ეთიკურ მოქმედებას ზოგადსაკაცობრიო პარადიგმის მნიშველობა მიაწიჭა“.²⁷ ქრონოტოპული ასპექტი უფრო მიუახლოვდა ციკლური დრო-სივრცის მოდელს.

²² ჭ. ამირეჯიბი. დათა თუთაშხიას... გვ. 518.

²³ შ. მახაჭაძე. მითი და რეალობა... გვ. 72.

²⁴ ჭ. ამირეჯიბი. დათა თუთაშხიას... გვ. 518.

²⁵ კობა იმედაშვილი. მითი და თანამედროვე... გვ. 160.

²⁶ იოანეს სახარება, ახალი აღთქმა (გამომცემლობა საქართველოს საპატრიარქო, თბილისი, 1995) 3, გვ. 19-20.

²⁷ შ. მახაჭაძე. მითი და რეალობა... გვ. 76.

თუთმხასა და ურჩხულის ანუ სიკეთისა და ბოროტების დაპირისპირება-ორთაბრძოლა მარადიულია. დრო მარადიულობასთანაა შერწყმული. დროულობის გაგებას ვხვდებით მითოლოგიურ აზრივნებაშიც. „მარადიულზე შეიძლება თქვას, რომ ის „არის“, ხოლო იმაზე რაც წარმოქმნეს ითქმის „იყო“ და „იქნება“ მარტოოდენ იმის მიმართა სახმარი, რაც დროში იბადება და იქმნება, რადგან ერთიც და მეორეც სხვა არ არის თუ არა მოძრაობა და ცვალებადია. ხოლო იმას, რაც მარადიულია და უძრავია, არ შეჰფერის დროთა მსვლელობაში უხსნესი გახდეს, ან უმრწემესი, ანდა ოდესმე“.²⁸

რომანის ეპიგრაფებში დახატული მითოსი ალეგორიულ ხასიათს ანიჭებს ცხოვრებისეულ სიტუაციებს, ავსებს და ზოგადადამიანურ განზოგადების ძალას ანიჭებს ჩვეულებრივ ფაქტებს, გარკვეულ შემთხვევაში არღვევს ქრონოტოპულ საზღვრებს, შეიძლება ითქვას დროის ციკლური სვლაა, რაც მოვლენათა შექცევადობას დაკარგულის კვლავდაბრუნებას უკავშირდება. რომანში მითოსური და რეალისტური პლანების ოსტატური ურთიერთგადაკვეთით მიიღწევა ფართო განზოგადებები:წარსული-აწმყო-მომავალი და პიროვნება-ერი-კაცობრიობა.

მითოსური ხასიათის ნოველურ ეპიგრაფებში მითის შემოტანით რომანში მოთხრობილმა ამბებმა „მუდმივი სტრუქტურა შექმნეს, რომელიც შესაბამისდროულია როგორც წარსულისთვის, ისე აწმყოსა და მომავლისთვის“.²⁹ ამის გამო „დათა თუთაშხიას“ მკითხველს ისეთი შეგრძნება აქვს, რომანის პერსონაჟები მხოლოდ მოცემულ დრო-სივრცეში კი არ ცხოვრობენ და მოქმედებენ, არამედ არღვევენ ქრონოტოპულ საზღვრებს და წვდებიან ერის, კაცობრიობის, პირველსაწყისს, რომანში-ეპიგრაფებში უწყვეტ მთლიანობად აღიქმება წარსული-თანამედროვეობა-მომავალი.

ყველა მწერალი ნებით თუ უნებლიეთ თავისებურად ჭრიდა და ჭრის ქრონოტიპის პრობლემას. ჭრის იმით თუ როგორ აგებს მისეულ სამყაროს, როგორ განალაგებს სივრცეში და დროში პერსონაჟებს და ხდომილებათ.

ამრიგად, როგორც უკვე ზემოთ აღვნიშნეთ ჭაბუა ამირეჯიბის „დათა თუთაშხიას“ მითოსურ ეპიგრაფ-ნოველებში მჟღავნდება დროის ციკლური მოდელი, რომელიც ეყრდნობა დროის უცვლელ, უწყვეტ მთლიანობას. მითოსურ ეპიგრაფ-ნოველების ამბავის დროში ჩართულია მითის მხატვრული დრო ანუ ციკლური დრო. იგი ასახავს პერსონაჟების შემდგომი (რომანის ძირითადი ნაწილის) დროში გარდაქმნას, ახალი სახის ჩამოყალიბების გზებს, მიმართულებასა და მნიშვნელობას. ეპიგრაფ-ნოველის ქრონოტიპი შენივთებულია რომანის ქრონოტიპთან. შეიძლება ითქვას მითოსური ეპიგრაფ-ნოველის ქრონოტიპი-რომანის ქრონოტიპთან. მითოსური ეპიგრაფ-ნოველა-ქრონოტიპში ლოკალიზებული მოვლენები განმარტავს ნაწარმოების დედააზრს.

დამოწმებული ლიტერატურა:

არქანჯელო ლამბერტი. *სამეგრელოს აღწერა*, (გამომცემლობა ფედერაცია-ს და სტ. თბილისი, 1938);

ზურაბ კიკნაძე. *ქართულ მითოლოგიურ გადმოცემათა სისტემა*, (თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი, 1985);

თენგიზ ჩხაიძე. სიკეთისთვის ბრძოლის გაკვეთილები. ჟურნალი „კრიტიკა“ N1, 1979;

ივანე ჯავახიშვილი. *ქართველი ერის ისტორია*, წიგნი I, (1908);

²⁸ პლატონი. ტიმეოსი, (გამომცემლობა ირმისა, თბილისი, 1994), გვ. 37-39.

²⁹ Леви Стросс Клод. Структура мифов (ж. „Вопр философии“, Москва, 1970), ст. 153.

იოანეს სახარება, ახალი აღთქმა (გამომცემლობა საქართველოს საპატრიარქო, თბილისი, 1995);

კობა იმედაშვილი. მითი და თანამედროვე ქართული პროზა, ჟურნალი, *მნათობი*, N2, 1980;

კობა იმედაშვილი. *საუბრები; საუბარი ჭაბუა ამირეჯიბთან*, (გამომცემლობა ნაკადული, თბილისი, 1990);

კორნელი კეკელიძე. *ქრისტიანიზმი და მითრაიზმი*. ეტიუდები ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, ტ.II, (თბილისი, 1945);

მარიამ მირესაშვილი. *ისტორიული რომანის ჟანრული თავისებურება (XX საუკუნის II ნახევარში)*, (გამომცემლობა ინოვაცია, თბილისი, 2005);

პლატონი. *ტიმეოსი*, (გამომცემლობა ირმისა, თბილისი, 1994);

რევაზ თვარაძე. *ბედი საღვთო რაინდის: ჭაბუა ამირეჯიბი: „დათა თუთშია“*, (სილნადი, 1997).

Rusudan Motskobili

Student of PhD Programme Philology

Chronotype of epigraphs according to "Data Tutashkhia"

Summary

Tchabua Amirejibi's novel "Data Tutashkhia" is the distinguished novel of the 20th century Georgian literature. The main aim of the work is to demonstrate the way of implementation of the general function of the epigraph - to be expressive and elucidator of the main idea of the work and the chronotope shown in the epigraphs of Tchabua Amirejibi's novel "Data Tutashkhia". The entry of the novel's author himself is given in the first part of the work, in which the task of this epigraph is explained – its goal is the creation of additional aspect for the novel in the form of myth for the generalization of the main idea of the work. The advantage of mythologization of epigraph, in this point of view, is explained, that takes place in the event of "Data Tutashkhia". The issue is actual and interesting, the artistic function of the chronotope of "Data Tutashkhia"'s epigraphs, that was not researched before, is quite well distinguished in it.

**გი დე მოპასანის ნოველების „მინდვრებში“ და „მზითევი“ და ეკ. გაბაშვილის
მოთხრობის „ორ-ენა და ქუჩეს“ შორის მსგავსების რამდენიმე ასპექტი**

ქართულ ლიტერატურულ კრიტიკაში, კერძოდ იერემია ქარელიშვილის(ეკატერინე გაბაშვილის ცხოვრებისა და შემოქმედების მკვლევარი) მიერ გაიჟღერა აზრმა, რომ ეკატერინე გაბაშვილის მოთხრობები ერთგვარად ენათესავება გი დე მოპასანის შემოქმედებას. ეს მინიშნება მნიშვნელოვანი აღმოჩნდა ჩვენთვის, გვეძებნა საერთო მათ შემოქმედებაში, მსგავსება შესამჩნევია გი დე მოპასანის ნოველებსა და ეკ.გაბაშვილის მოთხრობებს შორის, მიუხედავად იმისა, რომ გი დე მოპასანი ფრანგული ლიტერატურის კლასიკოსთა წარმომადგენელია, ლიტერატურულ შემოქმედებას საზღვარი არ აქვს და მსგავსება შეიძლება მოიძებნოს, პირველი ის ფაქტია, რომ ორივე მწერლის შემოქმედებითი აღზევების ხანა 1880 წლიდან იწყება და მათ მიერ შქმნილ ნაწარმოებებში ასახულია, ის სოციოპოლიტიკური ვითარება, რომელითაც ხასიათდებოდა მე-19 საუკუნის 80-იანი წლები. პირველ რიგში უნდა აღინიშნოს ქალებთა აქტუალიზაციის საკითხი მთელ მსოფიოში, ქალთა ჩაგრული ყოფის ასახვა მხავტრულ ტექსტებში.

გი დე მოპასანის ნოველების კითხვისას ხვდები, რომ ქალი მისი ცხოვრების აზრია. მიუხედავად იმისა, რომ იგი ქალში ხედავდა ენერგიას, მამოძრავებელ ძალას, მისი პერსონაჟი ქალების ძირითადი ნაწილი უბედურები არიან. მოპასანი, ჩვენი მწერალი ქალის მსგავსად, სწვდებოდა ქალის არსს და ჩადიოდა მისი სულის სიღრმეში. შეეძლო, შეემჩნია ის, რაც სხვებისთვის ნაკლებად შესამჩნევია, მაგრამ ორივე მწერლის პერსონაჟი ქალები მუდამ სირთულეების პირისპირ დგანან.¹ „არ არსებობდა ისეთი მწერალი, რომელიც ასე გულახდილად ფიქრობდა, რომ ცხოვრების ხიბლი და აზრი ქალშია, მის სიყვარულშია. ამასთანავე არ არსებობდა ისეთი მწერალი, რომელიც ასე ცხადად აჩვენებდა ყველა საშინელ მხარეს, რაც ქალს ბედნიერებისკენ მიმავალ გზაზე ხვდებოდა, აშიშვლებდა მოვლენებს და ტოვებდა ასე“. ეს ტოლსტოის შეფასება, გი დე მოპასანის მიმართ, რომელიც თამამად შეიძლება მიესადაგოს ეკატერინე გაბაშვილსაც. რაც შეეხება წინააღმდეგობებს, გი დე მოპასანის ნოველებში წინააღმდეგობით სავსე ცხოვრებაა, თუმცა გამოსავლის ძიება ნაკლებია, თითქოს ორივე მწერალი ფიქრობს, რომ მათი პერსონაჟები ეჯახებიან ისეთ წინააღმდეგობას, რომელსაც ვერ გადალახავენ. ეკატერინე გაბაშვილიც გრძნობდა, რომ ბრძოლა უშედეგო იყო იმ გარემოში, რომელშიც მის გმირებს უხდებოდათ ცხოვრება. მისი გმირებიც ვერ გაუძლებდნენ წინააღმდეგობებს. გი დე მოპასანის ნოველებისა და ეკ.გაბაშვილის მოთხრობას შორის გამოიკვეთა რამდენიმე ერთნაირი ასპექტი,

1. ნატურალური ხედვა და რეალისტურად გადმოცემული ამბავი;
2. ქალი იყო ორივე მწერლის შემოქმედებითი შთაგონების წყარო;
3. ქალის ჩაგრული ყოფის ასახვა, წინააღმდეგობები, მათი დაძლევა ან გადალახვის სურვილი.

გი დე მოპასანის ნოველებსა და ეკ. გაშვილის მოთხრობებს შორის მსგავსება შესამჩნევია იმ კუთხითაც, რომ მოპასანიც ცდილობდა, მხოლოდ ფაქტები და ადამიანის ქცევები გადმოეცა. „პერსონაჟის ფსიქოლოგია კი ისე უნდა იმალეოდეს წიგნში, როგორც ნამდვილ ცხოვრებაში იმალება ადამიანთა ქცევაში“, - წერდა ის. მოპასანის ნოველების გმირებს უჭირთ სხვა ადამიანების გაგება, ეკატერინე გაბაშვილის მოთხრობების

¹ ლევ ტოლსტოი. წინასიტყვაობა გი დე მოპასანის თხზულებებისთვის, (პასრედნიკი 1894).

გმირებსაც უჭირთ სხვა ადამიანებს გაუგონ. მაგალითისთვის ამჯერად გი დე მოპასანის ორ ნოველას „მინდვრებში“ და „მზითვეი“ ეკ.გაბაშვილის მოთხრობას „ორ-ენა და ქუჩეს“ განვიხილავთ, წარმოგიდგენთ ორი მწერლის მიერ საერთო აქცენტებზე შექმნილ ნოველებისა და მოთხრობის სიუჟეტს.

ეკატერინე გაბაშვილის მოთხრობა „ორ-ენა და ქუჩე“ 1883 წელს დაიწერა. მოთხრობაში გადმოცემულია ქალ-ვაჟის ტრაგიკული სიყვარულის ამბავი, ქუჩეს მშობლები არ ათხოვებდნენ მისთვის სასურველ ბიჭზე, ვინც ქუჩეს უყვარდა, მხოლოდ იმიტომ რომ მას არ ჰქონდა მატერიალურად ქუჩეს ოჯახისთვის სასურველი მდგომარეობა. „ქუჩე იყო დედისერთა მზითვიანი ქალი, პირველი საპატარძლო სოფელში. მამამისი ამაყოფდა გასათხოვარი ქალით და შვილს აზნაურის გოგოს ადრიდა. მაგრამ ქუჩეს შეუყვარდება ერთი სხვა კუთხიდან გადმოხვეწილი ბიჭი, თედო(ორ-ენა), რომელიც თავს მოჯამაგირეობით ირჩენდა.“ რა უნდა იყოს იმაზე შემზარავი, რომ მშობელი ამ სიყვარულის გამო სწირავს საკუთარ შვილს, მშობლიური სიტბოსა და სიყვარულის ნაცვლად ბნელ, ნესტიან ბოსელში მიუჩენს საცხოვრებელს ორსულ ქალს. კითხულობ და მიჰყვები ქუჩეს ცხოვრების გზას, ხვდები, რომ მის ირგვლივ ყველა ღირსებისგან დაცლილი, ანგარებიანი, უსუყვარულო და შეუბრალებელი ადამიანები არიან. ეკატერინე გაბაშვილი ქალ-ვაჟის გაცნობისთანავე ხაზს უსვამს მატერიალურ მდგომარეობას, რომელიც განმსაზღვრელი აღმოჩნდა წყვილის მომავალ ცხოვრებაში.

გი დე მოპასანის მოთხრობა „მინდვრებში“² ორი ღარიბი ოჯახის ცხოვრებაა ნაჩვენები, ტუვაშების და ვალენების ოჯახი გვერდიგვერდ ცხოვრობენ, პატარა ქოხებში, ორივე ოჯახისთვის ძირითადი საკვები კარტოფილის წვნიანია, ორივე ოჯახს ერთად რვა ბავშვი ჰყავს, ზემოთხსენებული ოჯახების ცხოვრება მაშინ შეიცვალა, როდესაც აგვისტოს თვეში მათი ეზოს წინ მსუბუქი ავტომობილი გააჩერა ახალგაზრდა ქალმა, მანქანიდან გადავიდა და ბავშვების მოსაფერებლად გასწია. „რა კარგები არიან მტვერში ამოსვრილებიც კი“-განუცხადა ქმარს, ამ დღის შემდეგ ქალმა ბავშვებთან სიარულს მოუხშირა, ტკბილეულებით ანებივრებდა პატარებს, ბოლოს კი ოჯახს განზრახვა გაანდო, რომ მას სურდა ერთ-ერთი ბავშვი ეყიდა, ვალენების ოჯახი დასთანხმდა შეთავაზებას. 1200 ფრანკს გადაუხდიდა ქალბატონი დიუბერი ყოველთვიურად ოჯახს. აღნიშნული გარიგება ნოტარიულად გაფორმდებოდა. ნოველაში ვკითხულობთ: „ქალბატონმა დიუბირმა, სიხარულისაგან გაბადრულმა, აიყვანა ატირებული ბავშვი, ისე როგორც სუვენირი მაღაზიაში“ გაჭირვებულმა ოჯახმა შვილი გაყიდა.

მატერიალური მდგომარეობა აღმოჩნდა განმსაზღვრელი გი დე მოპასანის მოთხრობაში „მინდვრებში“. ვალენების ოჯახისთვისაც, ვალენების ოჯახსა და პატარა ბიჭი სწორედ მატერიალური სიდუხჭირის გამო გაყიდა, ისე, როგორც ქუჩეს სიყვარული შეეწირა მატერიალურ სიდუხჭირეს.

მოთხრობაში კიდევ ერთი მტკივნეული საკითხია გამოკვეთილი, ესაა ადამიანის ნივთად ქცევა, ამ შემთხვევაში შვილი, როგორც ზედმეტი ნივთი. ეკ. გაბაშვილის მოთხრობაშიც „ორ-ენა და ქუჩე“ შვილი ამ ფორმით გვხვდება, როდესაც ქუჩე იმშობიარებს, ყველასგან მიტოვებული, ბოსელში, ის მოკლავს ახალდაბადებულ ჩვილს (ბოსლის იატაკზე დაახეთქებს). ქუჩესთვისაც შვილი ტვირთია, ისე როგორც ვალენების ოჯახისთვისაც შვილი ზედმეტ ნივთად ქცეული არსებაა, ქუჩეს არანაირი რესურსი არ გააჩნია გაზარდოს შვილი, ეშინია დაბრკოლების, არ შესწვს ბრძოლის უნარი, ფსიქოლოგიურად მძიმე მდგომარეობაში მყოფი, ორივე მწერლის მიერ, გადმოცემული ქალების მდგომარეობა ასე შეიძლება დავინახოთ, ისინი ვერ უძლებენ გაჭირვებას, განსაცდელს, ვერ პოულობენ გამოსავალს. ორივე ქალის მდგომარეობის წარმოდგენა

² გი დე მოპასანი. *ნოველები*, (თბილისი, პალიტრა L, 2016).

მწელია, სიკვდილი რა თქმა უნდა უმძიმესი ფაქტია და გაყიდვასა და გაშვილებას ვერ შეედრება, მაგრამ ჩვენ ამაზე არ გვაქვს აქ საუბარი, გაჭირვების გამო შვილების უარყოფა, მათი ნივთებად ქცევა, ეს იყო პრობლემა მაშინდელ სამყაროში. მსგავსი ფაქტები ეკ.გაბაშვილის მოთხრობებში და გი დე მოპასანის ნოველებში არაერთგან გვხვდება.

მშობლებისა და შვილების გაუცხოვების საკითხი, გამოიკვეთა გი დე მოპასანის აღნიშნულ ნოველაში „მინდვრებში“ და ეკ.გაბაშვილის მოთხრობაში „ორ-ენა და ქუჩე“. საკითხი მტკივნეულია ორივე მწერლისთვის, ტუვაშების ოჯახის მოკლე ისტორია ასეთია: მატერიალურად გაჭირვებულ ოჯახში გაზრდილი შარლო, რომელიც ოჯახმა არ გაყიდა და გაზარდა, საყვედურობს მშობლებს, იმ ფაქტს, რომ ისინი თავს იწონებდნენ იმით, რომ მათ არ გაყიდეს შვილი. „ჩვენ არ გვინდოდა ჩვენი შვილის გაყიდვა“ 18 წლამდე შარლოც თავს იწონებდა „რადგან გაყიდული არ იყო“ 18 წლის ასაკში კი ეუბნება მშობლებს: „დიახ გსაყვედურობთ თქვენ ზუსტადაც, რომ უარმყავით, თქვენ იმსახურებთ რომ დაგტოვოთ, მოხუცებო წავედი!“ მშობლებმა ვერ გაუგეს შარლოს, ის, მხოლოდ იმით უნდა ყოფილიყო ბედნიერი, რომ გაყიდული არ იყო, ვერც სხა რამ შეუქმნა ოჯახმა, 18 წლამდე აცხოვრა მშობელმა შვილი მხოლოდ ამ ბედნიერებით და ისე დაშორდნენ ერთმანეთს მშობელი და შვილი, ისე გაუცხოვდნენ, რომ შვილმა არ გაყიდვის ფაქტი კი არ დაუფასა ოჯახს-პირიქით არ აპატიო და სახლიდან წავიდა. მშობლებს არ ესმოდათ რა ფსიქოლოგიური სტერესი იყო შვილისთვის არ გაყიდვით თავის მოწონება, ბავშვის გონებაში, რომ შეიძლებოდა ათასგვარი კითხვა გაჩენილიყო ვერ მიხვდა მშობელი, არ გაყიდეს იმიტომ რომ, მათ სიბერეში სჭირდებოდა დამხმარე, მათ გაჭირვებულ ყოფას სჭირდებოდა შემხიდებელი, არ გაყიდეს იმიტომ, რომ ამ ფაქტით თავი მოიწონეს მეზობლების წინაშე. აი ეს დაინახა შარლომ და არა სიყვარული, ისეთი სიყვარული, რომელიც შვილს არ დაგათმობინებს, მშობლებისგან რომ ეს ეგრძნო შარლოს, მოხუცებს არ მიატოვებდა.

შვილებისა და მშობლების გაუცხოვების საკითხია გამოკვეთილი ეკ.გაბაშვილის მოთხრობაშიც „ორ-ენა და ქუჩე“ ნაწარმოებში ქუჩეს მშობლებს გაუჭირდათ გაეგოთ ახალგაზრდა ქალისთვის, მშობლები სასტიკი წინააღმდეგი იყვნენ ქუჩეს არჩევანის, (როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ორ-ენას მატერიალური მდგომარეობა არ იყო ქუჩეს ოჯახისთვის მისაღები). მამა სიკვდილითაც კი დაემუქრება შვილს, იგი ფიქრობდა, ვისთვის მიეთხოვებინა ორსული ქალი, გასაკვირი ფაქტია, რომ მშობლები არ ფიქრობენ შვილის მდგომარეობაზე, მის უბედურებაზე. ისინი ნერვიულობენ, თუ რას იტყოდნენ მეზობლები, როდესაც ქუჩეს ორსულობის ამბავს გაიგებდნენ. რა უნდა ეთქვათ ხალხისთვის, აი, რა იყო მათი მთავარი საფიქრალი. ქუჩე მშობლებმა ბნელ, ნესტიან ბოსელში შეაგდეს, მშობლებმა გაწირეს ორსული შვილი, სწორედ მშობლების ამგვარმა დამოკიდებულებამ გახადა ქუჩე უბედური ქალი, იგი არ აღიარებს მშობლებს, არ უყვარს და პატივს არ სცემს მათ. მოთხრობა „ორ-ენა და ქუჩეს“ შესახებ სომხური გაზეთის ჟურნალ „არძაგანში“.³ დაბეჭდილია ასეთი შეფასება: „მწერლის კალამი მიმართულია არაადამიანური ჩვევებისა და წესების, მშობლების დესპოტიზმისა გულგრილობის წინააღმდეგ“.

ორი მწერლის ნოველებისა და მოთხრობების გაცნობისას იკვეთება მეტად მტკივნეული, თუმცა ძირითადი აქცენტი მშობლებისა და შვილების გაუცხოვებული ურთიერთობისა. მშობლებს უჭირთ შვილებს გაუგონ. მშობლები ისე ექცევიან შვილებს, როგორც ნივთს, ის უნდა გააკეთოს შვილმა რაც მშობელს უნდა, მასზე უნდა იქორწინოს, ვინც მშობლისთვის სასურველია, შვილი რომ ინდივიდია და თავისი გრძნობები, სურვილები და მოთხოვნები აქვს, ამ ფაქტს ვერ ეგუებოდნენ მშობლები.

³ ჟურნალი „არძაგანი“ (N27, 1894.).

ორი მწერლის ნოველებისა და მოთხრობების გაცნობისას გამოიკვეთა ანგარებიანი ქორწინების საკითხი. მაგალითისთვის განვიხილავთ გი დე მოპასანის ნოველას „მზითევი“⁴.

ბატონი ლებრიუმანის ქორწინება მადმუაზელ ჟანა კორდიესთან დიდი ხმაურით აღინიშნა, ჟანა კორდიე სასურველ საპატარძლოდ ითვლებოდა, რადგანაც მას ჰქონდა სამი ათასი ფრანკი ნაღდი ფული, საბანკო ბილეთები და ანგარიშის პირადი ნომრის მფლობელიც იყო. ნოველაში ვკითხულობთ: „ელეგანტური და მოხდენილი, ქორფა მადმუაზელი კორდიე დახვეწილი მანერებით მაინცდამაინც ვერ მოიწონებდა თავს, მაგრამ გამორჩეულ ქალიშვილებში ითვლებოდა“ საქორწინო მოგზაურობა წყვილმა პარიზში დაგეგმა, წასვლის წინ ქმარი აფრთხილებს ცოლს: „რაიმე რომ არ დაგავიწყდეს, წინასწარვე გააფრთხილე მამაშენი მზითევი მოგიმზადოს“. საქორწინო მოგზაურობაში წასულ კორდიეს ქმარი ომნიბუსიდან გაეპარება და ცოლის მზითვსაც (ფულს) თან წაიღებს, ამ ამბის გამგონე ქალს ყურთასმენა წაერთვა, აღარაფერი ესმოდა, თავისთვის ლულულულებდა: „ბევრი ფული ჰქონდა მთელი ჩემი მზითევი“

როგორც აღვნიშნეთ, მზითვიანი ქალის ცოლად მოყვანა საქართველოშიც ერთგვარი საქმიანი გარიგება იყო, მაგალითისთვის კვლავ „ორ-ენა და ქუჩეს“ სიუჟეტურ განვითარებას მივყევით. მამა წინააღმდეგია ქუჩეს ქორწინებისა არასასურველ სასიძოვზე და ორსული შვილის ბედს, ქუჩეს სხვა კაცზე გათხოვებაში ეძებს, მოთხრობაში ვკითხულობთ: „ჩარდახიანი ურემი, რიგიანად მზითვით დადებული გავიდა სოფლიდან, არც მაყრები, არც მეჯვარე არ მისდევდა პატარძალს, გვერდით უჯდა შუახნის კაცი ჭადარამორეული ორმოცდაათი წლის ჭარმაგი, ნაქვრივალი, ოთხი შვილის მამა“. ფაქტია, რომ მოხუცი ქვრივი ქუჩეს მზითვს დახარბდა, თან ქალი დიასახლისადაც გამოადგებოდა. ქუჩეს მამას რომ ეგონა, საქმე მოგვარდა, უბედურებას უბედურება მოჰყვა, ქვრივმა კაცმა მალევე შეიტყო ქუჩეს ორსულობის ამბავი და მშობლებს უკანვე დაუბრუნა ქალი.

ქორწინება მზითვით, მომგებიანი გარიგებაა გი დე მოპასანის ნოველებშიც, ისე როგორც ეკ. გაბაშვილის არაერთ მოთხრობაში. ცხადია, რომ გი დე მოპასანის ნოველის პერსონაჟიც მიმართავს გამდიდრების იოლ ხერხს, აღსანიშნავია, ეს ფაქტიც იყო ორივე მწერლისთვის მტკივნეული საკითხი.

ანგარებიან ქორწინებასთან დაკავშირებით რაც შეიძლება ითქვას ისაა, რომ მხოლოდ უბედურების მომტანია ორივე მწერლის შემოქმედებაში და აღნიშნულ მოთხრობებში.

ჩვენ მიერ განხილულ ეკ. გაბაშვილის მოთხრობის „ორ-ენა და ქუჩე“ და გი დე მოპასანის ნოველების, „მინდვრებში“ და „მზითევი“ ძირითადი საერთო მახასიათებელი აქცენტები შემდეგია: ნოველებისა და მოთხრობის მხატვრულ-ესთეტიკურე მხარე არის რელისტური, ნატურალური ხედვით გადმოცემული ამბავი, მძიმე და ტრაგიკული. უნდა აღინიშნოს.

გადმოცემის ფორმის სიცხადე, გულახდილად მოყოლილი ამბავი, სიყვარული და სიძულვილი იმის მიმართ, რასაც გადმოგვცემს და აღწერს ორივე ავტორი. ორივე მწერლისთვის მიუღებელია უბრძოლველი მორჩილება, განსაკუთრებით ქალების დუმილი, მიუღებელია ჩამორჩენილი ადამიანების ის საზოგადოება, რომელიც გზას უხშობდა არჩევანის თავისუფლებას. ქორწინება, როგორც სარფიანი გარიგება და ადვილი გზით გამდიდრება, გამოკვეთილია ორივე მწერლის აღნიშნულ ტექსტებში.

ეკატერინე გაბაშვილის მხრიდან ძალზედ გაბედული ნაბიჯია იმის ხმამაღლა თქმა, რომ ადამიანებს სიყვარულში არჩევანის თავისუფლება სურდათ.

⁴ გი დე მოპასანის. ნოველები...

დამოწმებული ლიტერატურა:

გი დე მოპასანი. *ნოველები*, (პალიტრა L, თბილისი, 2016);
ეკატერინე გაბაშვილი. ორ-ენა და ქუჩე, *სომხური ჟურნალი მურჰა*, 1894, N6;
ეკატერინე გაბაშვილი. *რჩეული ნაწერები*, (თბილისი, 1953);
იერემია ქარელიშვილი. *ეკ. გაბაშვილის ცხოვრება და შემოქმედება* (თბილისი, 1980);
ინეზა კიკნაძე. *ეკ. გაბაშვილის თხზულებათა ენა და სტილი*, (თბილისი, 1982);
ლევ ტოლსტოი. წინასიტყვაობა გი დე მოპასანის თხზულებებისთვის (*პასრედნიკი* 1894, N35);
ქართული პროზა, ტ 13. *ეკატერინე გაბაშვილი*, (თბილისი 1989).

Nestan Ghambashidze

PhD in Philology

Several aspects of the similarities between Guy de Maupassant's novels "Fields" and "Dowry" and Ekaterine Gabashvili's short story "Two Languages and the Street"

Summary

In Georgian literary criticism, in particular, in Jeremiah Karelishvili's opinion (a researcher of the life and work of Ekaterine Gabashvili) Ekaterine Gabashvili's stories are somehow related to the work of Guy de Maupassant. This reference was important to us, we found common ground in their work, the similarity between Guy De Mopasant's novels and Ek. Gamabashvili's stories are noticeable, although Guy De Maupassant is a representative of the classics of French literature, literary creativity has no boundaries and similarities can be found. The era of the writer's creative ascents dates back to 1880, with several identical aspects between Guy De Mopasant's novels and Ek. Gabashvili's story, for example, this time in Guy De Mopasant's two novels: "In Fields" and "Mzitevi" we discuss Ek. Gabashvili's short story "Two-Language and Street", we present the story of the novels and short stories created by the two writers on common accents and the main aspects:

- 1) Natural vision and realistically conveyed story.
- 2) Women were the source of creative inspiration for both writers;
- 3) Resistances, desire to overcome them.
- 4) The issue of alienation of parents and children.
- 5) The issue of mercenary marriage.

**სიმონ ჩიქოვანის „ფიქრები მტკვრის პირას“
(ურითმო განწყობილებები)**

სიმონ ჩიქოვანმა ფუტურიზმით გატაცების პერიოდში, შექმნა ლირიკული პოემა „ფიქრები მტკვრის პირას (ურითმო განწყობილებები)“. ნაწარმოები დაწერილია 1925 წელს. ავტორს იგი არ შეუტანია თხზულებათა არცერთ კრებულში. „ფიქრები მტკვრის პირას“ არც პრესაში გამოქვეყნებულა. ნაწარმოები დაიბეჭდა პოეტის გარდაცვალების შემდეგ, 1980 წელს, მისი თხზულებების ოთხტომეულის მეორე ტომში. ჟანრობრივი თვალსაზრისით „ფიქრები მტკვრის პირას“ უფრო ვრცელი ლექსია, ვიდრე პოემა, თუმცა მოცულობის გამო მას პირობითად ლირიკული პოემა შეიძლება ვუწოდოთ.

ნაწარმოებისათვის დამახასიათებელია ერთგვარი ქაოტურობა, ფრაგმენტულობა და აზრობრივი ბუნდოვანება. პოეტი არ მიილტვის იმისკენ, რომ თანმიმდევრულად გამოგვეცხადოს თავისი სათქმელი. ზოგჯერ იგი ისე იწყებს ახალ თემაზე საუბარს, რომ არ ასრულებს წამოწყებულ მსჯელობას. მისი პოეტური ხედვაც მოუსვენრად ინაცვლებს საგნიდან საგანზე, მოვლენიდან – მოვლენაზე. განწყობილებათა ქაოტურობა თავისებურად ვლინდება ტექსტის მხატვრულ ფორმაშიც. პოემა არაა დაყოფილი სტროფებად, დარღვეულია რიტმი, იშვიათად ვხვდებით რითმას. „ფიქრები მტკვრის პირას“ ვერლიბრის ფორმითაა დაწერილი.

ნაწარმოებში აშკარაა ფუტურისტული პათეტიკა, წერის მანიფესტური მანერა. უპირველესი, რაც ყურადღებას იქცევს, ესაა თხზულების სათაური. პოეტი ღიად მიგვანიშნებს თავისი ნაწარმოების მთავარ ინტერტექსტზე, – ბარათაშვილის ლირიკულ შედევერზე „ფიქრნი მტკვრის პირას“. რაც შეეხება ამ ორი ტექსტის ურთიერთმიმართების ხასიათს, აშკარაა, რომ სიმონ ჩიქოვანი მიმართავს პაროდირების გზას. შეიძლება ითქვას, რომ „ფიქრები მტკვრის პირას“ თავისებური გაპაექრებაა ბარათაშვილის პოეტიკასთან.

რატომ შეარჩია ფუტურისტმა პოეტმა მაინცდამაინც ბარათაშვილის ლექსი? ვფიქრობთ, ეს არ იქნება გასაკვირი, თუ გავითვალისწინებთ ფუტურიზმის მსოფლმხედველობრივ პრინციპებს და ლიტერატურულ პრაქტიკას. ფუტურიზმი, როგორც ავანგარდისტული მიმდინარეობა, მკვეთრად დაუპირისპირდა წარსულის ლიტერატურულ მემკვიდრეობას. ფუტურისტების განსაკუთრებული თავდასხმის ობიექტი კი მისი საპირისპირო სულისკვეთების ლიტერატურული მიმართულება – რომანტიზმი (აგრეთვე რომანტიზმის განვითარების უკიდურესი ფორმა – სიმბოლიზმი) გახლდათ. რომანტიკული იდეალიზმი, ანტიცივილიზაციური პათოსი, ყოველდღიურ ყოფაზე ამაღლების რომანტიკული პრინციპი, მისტიციზმისაკენ მიდრეკილება ძირეულად ეწინააღმდეგებოდა ფუტურისტულ ურბანიზმს, ტექნიკის, ბრძოლის კულტს. „მითოლოგია და მისტიკა უკან მოვიტოვეთ, ჩვენ თვალწინ იზადება ახალი კენტავრი-ადამიანი მოტოციკლზე“, – წერდა ფუტურიზმის ცნობილი თეორეტიკოსი ფილიპო მარინეტი. რომანტიზმისადმი სიმონ ჩიქოვანის დამოკიდებულება ნათლად ჩანს 1924 წელს ჟურნალ H2SO4-ში გამოქვეყნებულ ლექსში „რომანტიკული პლაკატი“, რომელშიც პოეტი რომანტიკულ ხელოვნებას წარსულის ბარგად აცხადებს.

„კრახმალის გრძნობას დაარქმევთ ამლექსს უგემურს
ბანალური რომანტიზმი ბარგათ გადამაქვს

შედლება გექნეთ გამოსცვალოთ გრაფიკა სტრიქონის
აგებულ ასოების ქვეშ
დარჩება ჩრდილი რეზინის.“

ან კიდევ:

„მე რომანტიზმზე წავიკითხავ ბოლო „რეკვიემს“.
კრახმალის ლექსი ისტერიკით შუბლის მარღვს გატკენს.“

ამ სტრიქონების შემდეგ გასაკვირი აღარაა ჩიქოვანის პოემის თამამი ინტერპრეტაცია. პოემა ერთგვარი გაგრძელებაა ჟურნალ „H2SO4“-ში გამოქვეყნებული ჩიქოვანის აზრებისა. პოემის დასაწყისშივე პოეტი თავს უწინაპროს უწოდებს, ფუტურისტები ხომ წარსულ მემკვიდრეობას უარყოფდნენ:

„ესეც გამოველ და უწინაპრომ ამოვირჩიე დღე ნაღვლიანი და სევდისაგან შეყვითლებული“.

აღნიშნულის გათვალისწინებით, სავსებით გასაგები ხდება, თუ რატომ შეირჩია პაროდის ობიექტად ჩიქოვანმა რომანტიკოსი პოეტის ნაწარმოები.

რომანტიზმის პოეტიკასთან დაპირისპირება თხზულებაში დაუფარავადაა დეკლარირებული:

„რომანტიზმი გულს მოედო დამბალ ობივით..
მტკვარი კი სტირის ჩემს დაკარგვაზე და ურბანიზმზე“ –

ამ სიტყვებში რომანტიზმის მიუღებლობა გადმოცემულია მისი ობთან შედარების გზით. აქვე ჩნდება ურბანიზმის მოტივიც, რომელიც ასე სისხლხორცეული იყო ფუტურისტებისათვის.

ჩიქოვანის ლირიკულ პოემაში ბარათაშვილის რომანტიკული პოეტიკის პაროდირება ხორციელდება, როგორც იდეის, ასევე ფორმის დონეზეც. უპირველეს ყოვლისა, ჩიქოვანთან რომანტიკულ იდეალიზმს უპირისპირდება ურბანიზმი. ახალ დროში მტკვარი ჩაფიქრებულა, იგი თითქოს ვერ ეგუება ურბანიზმულ გარემოს, თუმცა მისი მიღების გარდუვალობასაც გრძნობს.

როგორც აღინიშნა, ფუტურიზმისათვის, ურბანიზმთან ერთად, არსებითია ტექნიკის კულტი. ფუტურიზმი უპირისპირდება რომანტიზმის ანტიცივილიზაციურ სულისკვეთებას (რომანტიკოსი ჟან ჟაკ რუსოსაგან მომდინარეობს აზრი, რომ ცივილიზაციური ყოფა აუხეშებს ადამიანის სულს და ზნეობრივად თრგუნავს მას). თუ რომანტიკოსები მიიჩნევენ, რომ ბუნება არის ადამიანის პირველსაცხოვრისი, რომელიც სულიერად განწმენდს და აფაქიზებს მას, ფუტურისტები უპირატესობას ანიჭებენ ქალაქურ ყოფას, ტექნიკურ ცივილიზაციას. ამით უნდა აიხსნას სიმონ ჩიქოვანის ლირიკულ პოემაში „ზაჰესის მოტივის“ გამოჩენა. ზაჰესი იმ დროის მემარცხენე ქართველ პოეტათვის იყო სიმბოლო ახალი დროისა, ტექნიკური პროგრესისა, ადამიანის შესაძლებლობათა გაფართოებისა:

„ვქადაგებ ხალხში სახარებას ახალ გმირობის,
ტვირთი ფიქრების ავითვალწუნე.

ჩემს გულს გასაბრწყინებლად მე ჩაუნთე ზაჰესიდან წყება სანთლების“.

სიმონ ჩიქოვანის ამ ნაწარმოების ანტირომანტიკული სულისკვეთება ვლინდება არამხოლოდ ბარათაშვილის ერთი შედეგის („ფიქრნი მტკვრის პირას“), არამედ მთელი მისი პოეტური სამყაროს პაროდირებით.

მთაწმინდა რომანტიკოსი პოეტის სულის სავანეა. აქ ეძლევა იგი ფილოსოფიურ საფიქრალს, სულიერ მედიტაციას. ბუნება, მთაწმინდის შემოგარენი ლირიკული გმირის სულიერი განწყობილებების მოპასუხედ გამოდის. მთაწმინდა ამავდროულად არის ყოველდღიურ ყოფაზე ამაღლების სიმბოლო. ბარათაშვილის ლექსის ლირიკული გმირისათვის მთაწმინდა საკრალურ სივრცეაა ქცეული.

ფუტურისტი პოეტისათვის კი მთაწმინდა ამავე მიზეზით უარყოფით სიმბოლოდ წარმოდგება, როგორც სახე ყოველდღიური ყოფიდან მოწყვეტილობისა. სიმონ ჩიქოვანს, რომანტიკოსი პოეტისაგან განსხვავებით, ქალაქური, ურბანული სივრცე იზიდავს. ამიტომაც არ უნდა გაგვივირდეს, როდესაც პოეტი იტყვის: „და მთაწმინდაზე ყველა ამსვლელი, გაუზომელად წყეული იყოს“.

სხვაგან კი ვკითხულობთ:

„მოვდივარ ზემოთ, მთაწმინდისაკენ,
ცხოვრების ჩარხის წაღმა-უკუღმა გაზომილ ტრიალს შედრინავს მტკვარი,
აქაფებულ ტალღის ღრიალით
და ის ადგილი უწმინდური რომ აოხლებდა სულს დაოხებულს,
ახლა საწყაულს აღუვსებელს ოხრავს, მატყუებს ნივთების ჭუჭყით“.

თუ ბარათაშვილისათვის მთაწმინდა წმინდა მთაა („ჰოი, მთაწმინდავ, მთაო წმინდავ“), ფუტურისტი პოეტისთვის იგი უწმინდური ადგილია, რომელიც დაოხებულ სულს (ალუზია ლექსზე „სული ობოლი“) აოხებდა (კვლავ რომანტიკული ოცნებას მიუღებლობა). ჩნდება აგრეთვე ბარათაშვილის ცნობილი მხატვრული სახე „საწყაული აღუვსებელი“, რომლის ფუნქციაც მოცემულ შემთხვევაში არაა ნათელი.

ზემოთ ციტირებული ტაეპების მსგავსად, სიმონ ჩიქოვანი ხშირად სარგებლობს ბარათაშვილის სხვადასხვა ლექსიდან მხატვრული სახეებით და ახდენს მათ შერწყმას ანდა თავისებურ გადამუშავებას.

ბარათაშვილის „ჩინარში“ ვკითხულობთ:

„რამდენჯერ ქარი შეარხევს საროს, იმდენჯერ მტკვარი უმეტეს ოხრავს“...

სიმონ ჩიქოვანი იყენებს ბარათაშვილის ამ სახეს და სინტაქსურ კონსტრუქციას თავისი სათქმელის გადმოსაცემად:

„რამდენჯერ ფეხაკრევით ჩვენ გადავივლით ჭრელ ცხოვრებას,
შუადღის ფილტვით დაორთქლილ სივრცეს,
იმდენჯერ მტკვარი ტალღებს უმატებს ოხვრას“.

თუ ბარათაშვილის ლექსში მტკვარი და ჩინარი შეყვარებული წყვილის ალეგორიაა, ხოლო მტკვრის ოხვრა ასოცირდება სატრფოსთან ვერშეყრით გამოწვეული ტკივილთან, სიმონ ჩიქოვანის ლექსში მტკვრის ოხვრის მიზეზი აბსტრაქტიზებულია და გაბუნდოვანებული.

პოემაში ისევ ფუტურისტულ კონტექსტში ვხვდებით პაროდირებას ბარათაშვილის ცნობილი სიტყვებისა: „არც კაცი ვარგა, რომ ცოცხალი მკვდარსა ემსგავსოს, იყოს სოფელში და სოფლისთვის არა იზრუნვოს“.

ჩიქოვანი წერს: „არც კაცი ვარგა რომ ცოცხალი იდგეს პროსპექტზე და ერთ შენობის სათვალეშიც არ ჩაიხედოს“.

ზოგ ადგილას ჩიქოვანი ბარათაშვილის ლექსის ფრაზებს მიჰყვება და ამ ფრაზებისა და ლექსის ცალკეული სიტყვების ციტირებით და ამავე დროს პოეტის აზრების გაუბრალოებით ახალი სამყაროს უპირატესობას ქადაგებს.

„დუდუნებს მტკვარი, შესცქერის კუნტი მთაწმინდის მაღლობს,
მეუბნებიან - სამშობლოში მოტორებმა ბარათაშვილის მერანი მოკლეს
და სისხლს გადმოღვრილს ცივად ვუყურო არ შეიძლება, საძაგლობაა.“

სიმონ ჩიქოვანი იღებს ბარათაშვილის მხატვრულ სახეებს და მათ ახლებურად „ამონტაჟებს“. მაგ:

„ვტოვებ მტკვარს
მტკვარს - საწყაულს აღუვსებელს
და ფიქრების მჭვარტილიან ჭურჭელს“.

აქ ბარათაშვილის მიერ ადამიანური ცხოვრების ამაოების აღმნიშვნელად გამოყენებული შესიტყვება „საწყაული აღუვსებელი“ უკვე თავად მტკვარს მიემართება.

რომანტიკული პოეტიკის პაროდირება ხორციელდება ტროპული აზროვნების სიბრტყეზე. თუ რომანტიკოსთათვის, და განსაკუთრებით, ბარათაშვილისათვის, დამახასიათებელია ამაღლებული სტილით წერა, ჰაეროვანი, ფაქიზი შედარებები და ეპითეტები, ფუტურისტი სიმონ ჩიქოვანის ტროპული მეტყველება დეპოეტიზებულია და დაცლილი ამაღლებული შინაარსისაგან. მისი შედარებები და ეპითეტები უხეშია, ყოფითი და ზოგჯერ უსიამოვნო შთაბეჭდილებების აღმძვრელიც. მაგალითად, სიყვარული, რომანტიკოსთათვის ასერიგად ამაღლებული და სათაყვანო გრძნობა, ჩიქოვანთან შემკობილია ეპითეტით „შობელმაღლი“. იგი წერს: „და სიყვარული, შობელმაღლი, ჩემი ლექსებით მე მათახსირებს“. ვარსკვლავი – ფუტურისტ პოეტთან „დამჭკნარია“: „დამჭკნარ ვარსკვლავებს, თანამავლებს, უნდათ თქვენს მკერდზე ზარი დარეკონ“. ტფილისი შედარებულია „ბნელ კალოშთან“: „იყო ტფილისში და აწვე ტფილისს ჩაღამებულ ბნელ კალოშივით“. მტკვარი და მთაწმინდა – რომანტიკოსი პოეტის მოწიწებისა და თავყანისცემის ობიექტები კი ამგვარადაა დამდაბლებული: „...რომ მე მთაწმინდა ამოვიდო ყურთბალიშივით, ფეხს მბანდეს მტკვარი“. ერთი სიტყვით, ამ უხეში, ყოფითი, ვულგარული შედარებებითა და ეპითეტებით უპირისპირდება ავტორი რომანტიკულ პოეტიკას და ცდილობს ბარათაშვილის რომანტიკული სამყაროს დესაკრალიზაციას.

ფუტურისტი პოეტის ირონიას იწვევს ბარათაშვილის მისწრაფება „ზეციურ სადგურთან“, „ზენაართ სამყოფთან“ შერთვისაკენ. აშკარაა ირონიული გადაძახილი ლექსთან „შემოღამება მთაწმინდაზედ“:

„მიმახლოვოს ღმერთს ფეხდაბანილს და მოსეირნეს ცაში ღრბუბლების წინდებით“.

უნდა აღინიშნოს, რომ პოემამ გარკვეული გავლენა მოახდინა თვითონ ჩიქოვანის პოეზიაზე, რადგან აქ გახმოვანებულ ფრაზებს იგი იყენებს შემდეგი დროის ლექსებში, ოღონდ უკვე დადებითი კონტექსტით. მაგ., „თქვენ სავარძელში ზის პოეზია, / თქვენს სავარძელში ზის გაზაფხული“, ამ ციტატებს იყენებს ლექსში: „შენს სავარძელზე“.¹

სიმონ ჩიქოვანი ჟურნალში „ლიტერატურა და სხვა“ წერდა: „გასაბჭოების შემდეგ ძველი ხელოვნება სიკვდილის პროცესამდე მივიდა, როგორც ბურჟუაზიული ინტელიგენციის ფსიხიკის დაშლის შედეგი.“ „ჩვენ ვართ ახალი ინტელიგენციის დაბადების პროცესში, რომელიც გამოვა მშრომელი მასიდან.“ წერილის დასასრულს ამბობს: „რასაკვირველია ხელოვნება აგიტაცია არ არის, მაგრამ ის უნდა წავიდეს იმ პერსპექტივების გაშლით, რომელიც არის მოთხოვნილებები თანამედროვეობის“.² აქედან გამომდინარე, აღარ არის გასაკვირი ჩიქოვანის ლექსების „ფიქრები მტკვრის პირას“ პათოსი.

სულ რაღაც ორიოდე წლის შემდეგ 1927 წელს გამოდის ფუტურისტების მორიგი ჟურნალი მემარცხენეობა #1. სადაც ჩიქოვანი ბევრად აკადემიური სტილითა და გასაგები ენით, წინა პოემებთან შედარებით, აქვეყნებს ლექსს პოემიდან: „ჩემი დანაშაული წვიმების ქვეშ“. სადაც წერს: „ჩემი წუხილი, ნეტავ, ამ წვიმას გადალმა გაყვეს.“ „ნუ გეშინია, გზა გვანუგეშებს და ვიწურებით, / განუკითხავად დღეს ზეცისგან ტანჯვას ვღებულობთ.“ თუ ვინ არის ადრესატი ლირიკული გმირის აშკარად არ ჩანს, მაგრამ ის ფაქტი, რომ ჩიქოვანი სევდიანია და მოწყენილი, საფიქრებელია, რომ თავისივე ახლაგაზრდული გატაცების მსხვერპლია, კიდევ უფრო საგულისხმოა, რომ ამ ლექსს ამავე ჟურნალში მოსდევს ლექსი „მიძღვნა ნიკოლოზ ბარათაშვილს“ სადაც ჩიქოვანის უწინდელი პათეტიკა, სადაც გამქრალა, თუმცა ლექსს მაინც ატყვია ფუტურისტული გაბუნდოვანების კვალი. განსაკუთრებით საგულისხმოა ბოლო სტროფი:

„და თუ შენ ფიქრობ ჯერ მე ზავში ვარ, სიბრძნის კბილი ჯერაც მაკლია,
და ძლიერ ვჩქარობ, რომ ვამზადებ სამერანო დადაღულ კვიცებს,
მე გიპასუხებ: გული დიდი მაქვს, ადამიანთა ვარ საძირკველი
და შენი სისხლი ჩემს ძარღვში რომ დგას, შთამომავლობას
მე დავუმტკიცებ.“

ლექსს ბოლოს მიწერილი აქვს თარიღი 1926 წელი. ლექსი ერთგვარად უკანდახევის მცდელობაა ჩიქოვანის მიერ. ამ ჟურნალში მოთავსებულ ლექსებში რეალიზმისკენ შემობრუნების ტენდენციები იგრძნობა. 1927 წელს ჩიქოვანი ჟურნალ „ქართულ მწერლობაში“ წერდა: „რამდენიმე თვის წინათ ჩემს მიერ წაკითხულ მოხსენებაში - „თანამედროვეობა და ქართული პოეზია“ აღვნიშნე, რომ თანადროობის ნამდვილი გაგება ჩვენ მოგვცემს ჩვენს პუშკინს და ახალ ბარათაშვილს. პირველი წარმოადგენს მსოფლიო რეზონანსიან შემოქმედებით ძალას, მეორე კი ერში ჩაუხრჩობელ დროის დამწყებ გენიას“.³

საბოლოოდ, შეიძლება ითქვას, რომ ჩიქოვანის ფუტურისტული იდეებით გატაცება იყო ხანმოკლე. მისი ლექსები იყო ფუტურისტულ იდეებს აყოლილი ახალგაზრდის

¹ სიმონ ჩიქოვანი. ლექსები. (გამომცემლობა „მერანი“, თბილისი, 1980) გვ. 46.

² სიმონ ჩიქოვანი. ახალი ხელოვნების ფაქტები. ლიტერატურა და სხვა, N1, 1924, გვ. 74.

³ სიმონ ჩიქოვანი. ფიქრები საქართველოზე. ქართული მწერლობა, N 1, 1927, გვ. 54.

სიახლისკენ მისწრაფება, რაც მალევე გადააფასა და ბარათაშვილი ჩიქოვანისთვის მისაბამ პოეტებად იქცა. ეს იყო ერთგვარი გაპაექრება ქართველ კლასიკოსებთან და ამავე დროს ქართულ პოეტიკაში თავის დამკვიდრების პრეტენზიაც. თუ როგორ შეიცვალა მოგვიანებით სიმონ ჩიქოვანის დამოკიდებულება ზოგადად ქართული კლასიკური მწერლობისა და კერძოდ, ბარათაშვილისადმი, ეს უკვე ცალკე მოხსენების თემაა.

დამოწმებული ლიტერატურა:

სიმონ ჩიქოვანი. ახალი ხელოვნების ფაქტები. *ლიტერატურა და სხვა* N1, 1924-1925;

სიმონ ჩიქოვანი. *ლექსები*. (გამომცემლობა „მერანი“, თბილისი, 1980);

სიმონ ჩიქოვანი. ფიქრები საქართველოზე. *ქართული მწერლობა*, N1, 1927.

Tea Sumbadze

Student of PhD Programme Philology

**Simon Chikovani's "Thoughts at The Bank of Mtkvari"
(non-rhyming attitudes)**

Summary

An interesting part of the literary heritage of the famous Georgian poet, SIMON CHIKOVANI, are the poems of the futuristic period, which clearly show the mood of Georgian futurism. In the present article, one of CHIKOVANI's poems "Thoughts on the Edge of the Mtkvari" is analyzed. The work presents futuristic pathos, a manifest manner of writing. The poet openly refers to the main intertext of his work – BARATASHVILI's lyrical masterpiece "Thinking on the Edge of the Mtkvari". SIMON CHIKOVANI reports the path of parody. For BARATASHVILI, Mtatsminda is a haven for the soul, while for a futuristic poet, Mtatsminda is presented as a negative symbol. SIMON CHIKOVANI, unlike the romantic poet, is attracted to urban space. "Thoughts on the Edge of the Mtkvari" is a peculiar dispute with Baratashvili's poetics.

დიზაინი და დაკაბადონება: ჯაზა მესხიშვილი
გამომცემლობა „ქართული უნივერსიტეტი“
თბილისი 2020